# საქართველოს მთავრობა

# ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2011-2014 წლებისათვის

(საბოლოო ვარიანტი)

თბილისი

2011

## საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული პრიორიტეტები

### *ერთიანი საქართველო სიღარიბის გარეშე*

**ერთიანი საქართველო სიღარიბის გარეშე** – საქართველოს მთავრობის უცვლელი მიზანია.

ეს მიზანი უნდა განხორციელდეს **თვალსაჩინო ეკონომიკური ზრდისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისაკენ** მიმართული ეფექტიანი ქმედებებით. გამოწვევად კვლავ რჩება გლობალური ეკონომიკური კრიზისის გავლენა და საქართველოს ტერიტორიის ოკუპაციის ფაქტი.

ერთიანი საქართველოსაკენ სწრაფვისათვის საქართველოს მთავრობა გამოიყენებს ყოველმხრივ **მშვიდობიან ძალისხმევას,** რათა დიპლომატიური, პოლიტიკური და საზოგადოებრივი ბერკეტების გამოყენება ყოველდღიურად გვაახლოვებდეს ამ მიზანთან, მათ შორის, საერთაშორისო სადამკვირვებლო ან/და საპოლიციო კონტინგენტის ოკუპირებულ ტერიტორიებზე მანდატის ეფექტიანად განხორციელების, **დეოკუპაციის** და არაღიარების საერთაშორისო პოლიტიკის უზრუნველყოფის გზით.

საქართველოს მთავრობის **„სახელმწიფო სტრატეგია ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ: ჩართულობა თანამშრომლობის გზით“** და მის საფუძველზე შემუშავებული სამოქმედო გეგმა მიმართულია იზოლაციის შემცირების, ოკუპირებული ტერიტორიის მაცხოვრებელთათვის საქართველოს დანარჩენი მოსახლეობის პრივილეგიებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის და სამოქალაქო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობების გაუმჯობესებისაკენ. სტრატეგია და მისი სამოქმედო გეგმის განხორციელება ხელს შეუწყობს ერთმანეთისაგან დაშორიშორებული საზოგადოების შერიგების პროცესს.

**დასაქმება** საქართველოს მთავრობის როგორც ეკონომიკური, ისე სოციალური პოლიტიკის მთავარი საზრუნავია. მაღალი ეკონომიკური ზრდის ტრაექტორიაზე საქართველოს ეკონომიკის დაბრუნება, ინფრასტრუქტურის განვითარება, მაღალხარისხიანი განათლება და ბიზნეს–გარემო დასაქმების პოლიტიკის მთავარი მდგენელებია.

საქართველოს მთავრობამ წარმატებით გაართვა თავი გლობალური ეკონომიკური კრიზისის შედეგებთან ბრძოლის გადამწყვეტ ეტაპს. ამჟამად მთავრობის ამოცანაა ამ **მიღწევების შენარჩუნება და განვითარება ჯერ კიდევ მიმდინარე კრიზისის ფონზე**.

**თავდაცვის პრიორიტეტები** იქნება: თავდაცვის სისტემის მართვის გაუმჯობესება და შემდგომი ინსტიტუციონალიზაცია, პერსონალის განათლება და წვრთნა, შეიარაღებული ძალების შესაძლებლობის განვითარება, ნატოში ინტეგრაციის მხარდაჭერა და ორმხრივი თანამშრომლობის ინტენსიფიკაცია.

საქართველო გააგრძელებს **ნატოში** ინტეგრაციისათვის ენერგიულ ქმედებებს. საქართველო გაწევრიანდება ნატოში. იგი გახდება ალიანსის უსაფრთხოების სისტემის ორგანული კომპონენტი და არა მხოლოდ უსაფრთხოების ,,მიმღები.“

**მაკროეკონომიკური სტაბილურობა** რჩება საქართველოს მთავრობის ფუნდამენტურ ამოცანად. საქართველოს მთავრობის ფისკალური პოლიტიკა მიმართული იქნება **საბიუჯეტო დეფიციტის შემცირებისა და ერთნიშნა ინფლაციის** უზრუნველყოფისაკენ. ეროვნულ ბანკთან ეფექტიანი თანამშრომლობა დარჩება მაკროეკონომიკური სტაბილურობის უზრუნველყოფის მნიშვნელოვან ინსტრუმენტად.

შემცირებული საერთაშორისო საინვესტიციო კაპიტალის მოსაზიდად საქართველოს ეკონომიკისთვის გამოწვევად რჩება კიდევ უფრო **მაღალი კონკურენტუნარიანობა, დამატებითი კონკურენტული უპირატესობების განვითარება**.

საქართველოს მთავრობის **თავისუფალი ეკონომიკის კურსი** უზრუნველყოფს სწრაფ ეკონომიკურ ზრდას, მოქალაქეებს, მეწარმეებსა და ინვესტორებს კი მისცემს შესაძლებლობას, სრულად გამოავლინონ პოტენციალი და უზრუნველყონ დასაქმება.

სათანადო საკონსტიტუციო ცვლილებები და **ეკონომიკური თავისუფლების, შესაძლებლობებისა და ღირსების აქტი** უზრუნველყოფს ამ კურსის მდგრადობასა და შეუქცევადობას.

ეკონომიკური კურსი უზრუნველყოფილი იქნება **დაბალი და მარტივი გადასახადებით, ხარისხიანი საგადასახადო ადმინისტრირებით, გონივრული და ზომიერი რეგულირებით**. საგადასახადო და მარეგულირებელი ადმინისტრირების ტვირთი პროპორციული იქნება მეწარმეთა სიმძლავრის, რაც დამატებით სტიმულს მისცემს მცირე და საშუალო მეწარმეობას. ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულებები და მათი რაოდენობის ზრდა მეტ კომფორტს შეუქმნის არარეზიდენტ პირებს საქართველოში საქმიანობისათვის.

**ევროკავშირთან** ურთიერთობებში პრიორიტეტული იქნება **„ასოცირების ხელშეკრულებაზე“** ინტენსიური მუშაობა, რაც მოემსახურება “ოთხი თავისუფლების პრინციპის” უფრო ფართოდ გავრცელებას საქართველოზე, რითაც უზრუნველყოფილი იქნება ადამიანების, საქონლის, კაპიტალისა და მომსახურების თავისუფალი გადაადგილება.

**თავისუფალი ვაჭრობის განვითარება,** სხვა ქვეყნებთან ვაჭრობაში სატარიფო და არასატარიფო ბარიერების გამოუყენებლობა, დარჩება საქართველოს მთავრობის პოლიტიკად. ევროკავშირთან „ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის“ ხელშეკრულებაზე მუშაობა წარმოადგენს უმთავრეს პრიორიტეტს ამ მიმართულებით.

**საჯარო ადმინისტრირების მოქნილმა, ამოცანებსა და მომხმარებელზე ორიენტირებულმა და არაკორუმპირებულმა სისტემამ** უნდა უზრუნველყოს საჯარო და ეკონომიკური ამოცანების ეფექტიანად შესრულება. ახალი ანტი–კორუფციული სტრატეგიის შესრულება და უშეღავათო ალმკვეთი პოლიტიკა არის გზა **კორუფციასთან ბრძოლის უპრეცედენტო წარმატებების შემდგომი კონსოლიდაციისათვის**.

**სოციალური პოლიტიკა,** რომელიც დაფუძნებულია ბენეფიციართა მიზნობრივ დახმარებაზე, დაიხვეწება, რათა გაიზარდოს როგორც მიზნობრიობის სიზუსტე, ისე დახმარების ეფექტურობა. სახელმწიფო, კვლავაც, უფრო მეტად დაეხმარება იმ ადამიანებს, რომლებიც ამას ყველაზე მეტად საჭიროებენ. უფრო მეტი დახმარება სოციალურად ყველაზე მეტად დაუცველ მოსახლეობას – დარჩება სოციალური პოლიტიკის მთავარ პრინციპად.

**მონეტარული სოციალური დახმარება** და **ჯანმრთელობის დაზღვევა,** წარმოადგენს ორ საყრდენს, რომელსაც ეფუძნება სოციალური ინტეგრაცია, სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობა და საზოგადოების ჯანდაცვის უზრუნველყოფა.

საქართველოს მთავრობა განახორციელებს **ჯანდაცვის რეფორმის ახალ ეტაპს**, რომელიც დაეფუძნება ახალ პრინციპებს: სადაზღვევო ინდუსტრიის როლის გაზრდით, ჯანმრთელობის დაზღვევისა და ჰოსპიტალური მომსახურების სინერგიით.

**იძულებით გადაადგილებული პირების ღირსეული საცხოვრებელი და სამოღვაწეო გარემოთი უზრუნველყოფა** გაგრძელდება საბოლოო მიზნის მიღწევამდე. ეს პროგრამა გაგრძელდება სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმის საფუძველზე. იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებლების დაკანონების მიზნით გამოყენებული იქნება დონორი ორგანიზაციების ფინანსური დახმარებაც.

**საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების შეღავათიანი სესხებისა და გრანტების** ეფექტიანად გამოყენებამ და გამჭვირვალე ხარჯვამ საქართველოს ეკონომიკას საშუალოვადიან პერიოდში უნდა შეუქმნას პლატფორმა მათ ჩასანაცვლებლად კერძო

საერთაშორისო შემოდინებებით. განსაკუთრებული ყურადღება კვლავაც მიენიჭება 2008 წლის ოქტომბერში გამართულ დონორთა საერთაშორისო კონფერენციის ფარგლებში საქართველოსთვის გამოყოფილი დაახლოებით 4.5 მილიარდი აშშ დოლარის ხარისხიან და ეფექტიანად ათვისებას.

**ინფრასტრუქტურის განვითარება** საქართველოს ეკონომიკისათვის წარმოადგენს ბაზისს, რომელზეც უნდა დაფუძნდეს საქართველოს უკეთესი შიდა და საერთაშორისო ინტეგრაცია, უკეთესი საცხოვრებელი და საინვესტიციო გარემო, ქვეყნის ეკონომიკური მიმზიდველობა. ენერგეტიკული, საგზაო და წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის პრიორი-ტეტულობა უცვლელი დარჩება.

გაგრძელდება საგზაო-სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისათვის მიმართული მრავალმხრივი სამუშაო, რათა გაუმჯობესდეს ძირითადი სამაგისტრალო, მეორადი და ადგილობრივი გზების მდგომარეობა, გამყარდეს ქვეყნის რეგიონული სატრანზიტო ცენტრის ფუნქცია და ხელი შეეწყოს ქვეყნის შიგნით ტვირთბრუნვას და ვაჭრობას. გაგრძელდება აღმოსავლეთ-დასავლეთის საგზაო დერეფნის მშენებლობა; დაიწყება ზესტაფონი-ქუთაისი-სამტრედიის მონაკვეთის, ქობულეთისა და ბათუმის შემოვლითი გზების და ვაზიანი–გომბორი–თელავის მაგისტრალის მშენებლობა.

ინვესტირება **საქართველოს რკინიგზაში** ახალი მასშტაბებით განხორციელდება, მისი მოდერნიზაციის და თბილისი–ბათუმის ჩქაროსნული მაგისტრალის შექმნის მიზნით. აშენდება ყარსი-ახალქალაქის რკინიგზა, რაც შესაძლებელს გახდის ჩინეთი-საქართველო-ევროპის სარკინიგზო მიმოსვლას. განხორციელდება თბილისის შემოვლითი სარკინიგზო ხაზის მშენებლობა.

მნიშვნელოვანი ეტაპი **„ღია ცის პოლიტიკის“** განხორციელებაში იქნება „ერთიანი საჰაერო სივრცის შესახებ“ შეთანხმებაზე მუშაობის დასრულება ევროკავშირთან.

**ლიბერალურმა ენერგეტიკულმა პოლიტიკამ,** მთავარი აქცენტით განახლებად ჰიდრორესურსებზე, კიდევ უფრო მდგრადად უნდა უზრუნველყოს საქართველოს **ენერგეტიკული უსაფრთხოება**, ინვესტიციების მძლავრი ნაკადი, საექსპორტო პოტენციალის ზრდა, მოწოდების წყაროების დივერსიფიკაცია და საქართველოს სტრატეგიული როლი აღმოსავლეთ–დასავლეთის ენერგეტიკულ კორიდორში. ყველა ძალისხმევა იქნება გამოყენებული „ნაბუკოსა“ და „თეთრი ნაკადის“ პროექტების პრაქტიკული რეალიზაციისათვის. თურქეთთან დამაკავშირებელი 500-კილოვოლტიანი მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობა გაცილებით მიმზიდველს გახდის საქართველოს ენერგეტიკულ სექტორს და ხელს შეუწყობს ენერგოგენერაციაში კერძო ინვესტიციების მოზიდვას. დასავლეთ საქართველოში განხორციელდება ელექტროგადამცემი ხაზების რეაბი-ლიტაცია (სენაკი-1 და სენაკი-2) და დასავლეთ საქართველოს დამაკავშირებელი გაზსადენის

მნიშვნელოვანი სეგმენტების აღდგენა-მშენებლობა, ჩრდილოეთ-სამხრეთის გაზსადენის რეაბილიტაცია-მშენებლობის სამუშაოების დასრულება. კერძო ინვესტიციებით დაფინანსდება 500 მეგავატზე მეტი ჰიდროენერგეტიკული სიმძლავრის მშენებლობა. 2013 წლამდე არსებითად დასრულდება გამრიცხველიანება. გაიზრდება ენერგოსისტემის მდგრადობა და განხორციელდება სექტორის შემდგომი დერეგულირება. ენერგოსისტემა იმუშავებს მეზობელი ქვეყნების ენერგოსისტემების პარალელურ რეჟიმში.

**სოფლის განვითარება** საქართველოს მთავრობისათვის წარმოადგენს მაგისტრალურ მიდგომას სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის. რეგიონული გზები, სოფლის განვითარების პროგრამა, სამელიორაციო ინფრასტრუქტურის განვითარება, გაზიფიცირების პროგრამა, წარმოების დივერსიფიკაცია შექმნის საფუძველს სოფლის მეურნეობაში ინვესტიციების მოსაზიდად და სოფლის მეურნეობის სოციალური ფუნქციის შესანარ-ჩუნებლად. სოფლებთან უკეთეს კავშირს უზრუნველყოფს საინვესტიციო პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს დაახლოებით 600 კილომეტრის მეორადი და ადგილობრივი გზების მდგომარეობის გაუმჯობესებას საქართველოს ყველა რეგიონში. მნიშვნელოვანი პროექტებია საირიგაციო და სამელიორაციო სისტემების რეაბილიტაცია, მდინარეთა ნაპირსამაგრი სამუშაოები და რეგიონებში სპორტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია. მნიშვნელოვანი იქნება ევროკავშირთან „სოფლის მეურნეობისა და სხვა საკვები პროდუქტების გეოგრაფიული აღნიშვნების ურთიერთდაცვის შესახებ“ (GIs) შეთანხმების ხელმოწერა.

საქართველოს მთავრობა გააგრძელებს საქართველოს **ქალაქებისა და რეკრეაციული ტერიტორიების რევიტალიზაციის** პროგრამებს მეტი დეცენტრალიზაციის, ბიზნეს და ტურისტული პოტენციალის გაზრდის, საცხოვრებელი და სამოღვაწეო გარემოს გაუმჯობესების მიზნით. ეს პროგრამები შეეხება როგორც ზღვისპირა, ისე სამთო რეკრეაციული ზონების განვითარებას, ისევე, როგორც საქართველოს ისტორიული ქალაქებს. გაგრძელდება ურბანული ინფრასტრუქტურის განვითარება: მყარი ნარჩენების პროექტების განხორციელება, წყალმომარაგების და წყალარინების, ადგილობრივი სატრანსპორტო და სხვა მუნიციპალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება. დაიწყება ახალი მრავალწლიანი პროგრამა, რომლის ფარგლებშიც შეღავათიანი საკრედიტო რესურსით, ჯამურად 300 მილიონ აშშ დოლარი, **გაუმჯობესდება საკვანძო ურბანული ინფრასტრუქტურა**. საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან ერთად მომზადდება ორი გრძელვადიანი – 500 მილიონ აშშ. დოლარზე მეტი მოცულობის საინვესტიციო 4–5 წლიანი **პროგრამა წყალმომარაგების სექტორში**.

საქართველოს ბუნებრივი **გარემოს დაცვას და ბუნებრივი რესურსებით ეფექტიანი სარგებლობის სისტემის განვითარებას** საქართველოს მთავრობა განახორციელებს ინსტიტუციური რეფორმის და ლიცენზირების სისტემის გამართვის საფუძველზე, **ბუნებრივი კატასტროფების რისკის** შემცირება შესაძლებელი გახდება ადრეული შეტყობინების საფუძველზე.

საქართველოს ახალგაზრდობის გლობალური კონკურენტუნარიანობის გაზრდისათვის საქართველოს მთავრობა უზრუნველყოფს **ხარისხიანი განათლების ინფრასტრუქტურის** შემდგომ განვითარებას. მასწავლებელთა მოტივაციისა და კვალიფიკაციის გაზრდა, უსაფრთხო სკოლა, ტოლერანტული გარემო, ვაუჩერული დაფინანსება არჩევანის უფლებით, კარგი სასკოლო ინფრასტრუქტურა, სასწავლო ტექნოლოგიები და ატრიბუტიკა იქნება ასეთი განვითარების უზრუნველყოფის ინსტრუმენტები.

ხელი შეეწყობა **ცხოვრების ჯანსაღი წესის** დამკვიდრებას, ასევე სპორტისა ახალგაზრდობის სფეროში არსებული ორგანიზაციების და სპორტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას.

საქართველოს მთავრობა განახორციელებს **საზოგადოებრივი მართლწესრიგის** სფეროში მიღწეული წარმატებების შემდგომ კონსოლიდაციას პოლიციის მიმართ საზოგადოებრივი მაღალი ნდობის შესანარჩუნებლად, მოქალაქეთათვის უფრო უსაფრთხო გარემოს შესაქმნელად და ბიზნესგარემოს გასაუმჯობესებლად.

**სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის** რეფორმირება უზრუნველყოფს მის შესაბამისობას საერთაშორისო სტანდარტებთან. განხორციელდება **ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა სისტემის** რეფორმირება თანამედროვე, სამართალდარღვევების პრევენციაზე ორიენტირებული, გამჭვირვალე სამართალწარმოების სისტემის დანერგვის მიზნით.

გაგრძელდება **პენიტენციური სისტემის** საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა – სასჯელაღსრულების ყველა დაწესებულების რეაბილიტაცია და პატიმართა საყოფაცხოვრებო, უფლებების და ჯანმრთელობის დაცვის პირობების გაუმჯობესება. განვითარდება მსჯავრდებულთა რეაბილიტაცია, რესოციალიზაციისა და რეინტეგრაციის სისტემა. გაგრძელდება **პრობაციის თანამედროვე სისტემის** ფორმირება, რომლის მიზანიცაა პატიმართა უფლებების დაცვისა და სოციალური გარემოს გაუმჯობესება.

**დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი მართლმსაჯულების სისტემის განვითარება** და ხელშეწყობა არის საქართველოს მთავრობის სტრატეგიული ამოცანა. შემდგომი ქმედებები ამ სფეროში უნდა დაეფუძნოს უკვე მიღწეულ წარმატებებს, საზოგადოების ნდობის გაზრდას და ჩართულობას, ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის განვითარებას.

**სააღსრულებო სისტემაში** სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ეფექტიანობა გაიზრდება აღსრულების კერძო სისტემის დანერგვის გზით.

**დემოკრატიული ინსტიტუტების კონსოლიდაციისათვის** მნიშვნელოვანი იქნება საქართველოს მთავრობის მხრიდან სამოქალაქო პლურალიზმის დასაარჩევნო სისტემისა დახვეწისათვის განხორციელებული ძალისხმევა.

## მაკროეკონომიკური პოლიტიკის ამოცანები

საშუალოვადიან პერიოდში ქვეყნის მაკროეკონომიკური პოლიტიკა მიმართული იქნება მაკროეკონომიკური სტაბილურობის უზრუნველყოფისაკენ, რომლის მისაღწევად ძირითადი პრიორიტეტებია:

– კრიზისის შემდგომი პერიოდისთვის ეკონომიკის სტაბილიზაცია და მომდევნო ეტაპზე ეკონომიკის მდგრადი და მაღალი ტემპით ზრდა;

– ინფლაციის დონის შემცირება და ერთნიშნა მაჩვენებლის შენარჩუნება;

– საინვესტიციო გარემოს შემდგომი გაუმჯობესება;

## მაკროეკონომიკური მიმოხილვა და პროგნოზი

ცხრილი 1. ძირითადი მაკროეკონომიკური ინდიკატორები

| | 2007 | 2008 | 2009 | 2010 | 2011 | 2012 | 2013 | 2014 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ფაქტ. | ფაქტ. | ფაქტ. | მოსალ. | პროგნ. | პროგნ. | პროგნ. | პროგნ. |
| რეალური მშპ (ზრდის ტემპი) | 12.3 | 2.3 | -3.8 | 6.3 | 4.5 | 5.5 | 6.5 | 7.0 |
| ნომინალური მშპ (მლნ ლარი) | 16993.8 | 19074.9 | 17986.0 | 20648.6 | 23088.2 | 25819.6 | 29147.7 | 33059.3 |
| მშპ ერთ სულ მოსახლეზე (აშშ დოლარი) | 2314.6 | 2921.1 | 2455.2 | 2641.7 | 2924.9 | 3270.9 | 3692.5 | 4188.1 |
| სამომხმარებლო ფასების ინდექსი (საშუალო პერიოდის განმავლობაში) | 9.2 | 10.0 | 1.7 | 7.1 | 7.0 | 6.0 | 6.0 | 6.0 |
| მიმდინარე ანგარიში (პროცენტულად მშპ-თან) | -19.8 | -22.8 | -11.2 | -12.7 | -13.3 | -12.9 | -11.5 | -9.6 |

### ა. ეკონომიკური ზრდა

*მიმოხილვა*

2009 წელს, 2008 წელთან შედარებით, მთლიანი შიდა პროდუქტი 3.8 პროცენტით შემცირდა და ნომინალურ გამოხატულებაში 18.0 მლრდ ლარს გაუტოლდა.

2009 წელს მნიშვნელოვანი კლება დაფიქსირდა ვაჭრობის, კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების, სასტუმროების და რესტორნების, სოფლის მეურნეობის და მრეწველობის დარგებში. ამ დარგებმა მთლიანი შიდა პროდუქტი 3.9 პროცენტით შეამცირეს. ზრდის ტენდენციით ხასიათდებოდა ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, საფინანსო საქმიანობის და ტრანსპორტის დარგები, რომლებმაც მთლიანი შიდა პროდუქტი 0.6 პროცენტით გაზარდეს.

*მრეწველობა*

2009 წელს მრეწველობის დარგში შექმნილი დამატებული ღირებულება 3.5 პროცენტით შემცირდა. წლის განმავლობაში მრეწველობის დარგის სფეროები

არაერთგვაროვნად ვითარდებოდნენ: გადამამუშავებელ მრეწველობაში წარმოების მოცულობამ 8.5 პროცენტით მოიკლო, სამთომომპოვებელ მრეწველობაში 9.4 პროცენტიანი მატება დაფიქსირდა, ელექტროენერგიის, აირისა და წყალმომარაგების სფერო 6.2 პროცენტით გაიზარდა. მრეწველობის წილი მშპ-ის დარგობრივ სტრუქტურაში 2008 წელთან შედარებით 0.4 პროცენტული პუნქტით შემცირდა და მშპ-ის 10.4 პროცენტი შეადგინა. 2009 წელს მრეწველობის დარგმა მშპ 0.5 პროცენტით შეამცირა.

*სოფლის მეურნეობა*

2008 წლისაგან განსხვავებით, 2009 წელს კლება დაფიქსირდა სოფლის მეურნეობაში. დარგში შექმნილი რეალური დამატებული ღირებულება 6.8 პროცენტით შემცირდა. სოფლის მეურნეობის ხარჯზე მშპ 0.6 პროცენტით შემცირდა.

*ვაჭრობა, ჯანმრთელობის დაცვა და საფინანსო საქმიანობა*

2009 წელს ყველაზე მეტად შემცირდა ვაჭრობის, კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების და სასტუმროების და რესტორნების დარგები. ამ დარგებში შექმნილი დამატებული ღირებულება შემცირდა: ვაჭრობაში 16.3 პროცენტით, კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების დარგში 13.0 პროცენტით, სასტუმროების და რესტორნების დარგში 4.4 პროცენტით. ყველაზე მეტი ზრდა დაფიქსირდა ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, საფინანსო საქმიანობის და სახელმწიფო მმართველობის დარგებში. ჯანმრთელობის დაცვაში შექმნილი დამატებული ღირებულება 8.7 პროცენტით, განათლებაში 4.7 პროცენტით, საფინანსო საქმიანობაში 1.5 პროცენტით და სახელმწიფო მმართველობაში კი 1.2 პროცენტით გაიზარდა.

2010 წლის სამ კვარტალში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) 6.5%-ით გაიზარდა და ნომინალურ გამოხატულებაში 14.7 მლრდ ლარს გაუტოლდა.

მშპ-ის ზრდაში ყველაზე მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს მრეწველობის, ვაჭრობისა და ტრანსპორტის დარგებმა. ამ დარგებმა განაპირობეს მშპ-ის 4.0%-ით ზრდა, რაც მთლიანი შიდა პროდუქტის საერთო ზრდის 61.5%-ს შეადგენს.

2010 წლის იანვარ-სექტემბერში, 2009 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით წარმოების მოცულობის ყველაზე მეტი ზრდა დაფიქსირდა მრეწველობის, ტრანსპორტის, კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების, სასტუმროების და რესტორნების და ვაჭრობის დარგებში. ამ დარგებში შექმნილი დამატებული ღირებულება გაიზარდა: მრეწველობაში – 14.9%-ით, ტრანსპორტში – 14.9%-ით, კომუნალური, სოციალური და პერსონალურ მომსახურებაში – 13.0%-ით, სასტუმროების და რესტორნების დარგში – 12.3%-ით და ვაჭრობაში – 11.8.%-ით.

***პროგნოზი***

*მთლიანი შიდა პროდუქტი*

2010 წელს მოსალოდნელია რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის 6.3 პროცენტიანი ზრდა, რომელიც ნომინალურ გამოხატულებაში 20.6 მლრდ ლარს

გადააჭარბებს. პროგნოზული გათვლებით, საშუალოვადიან პერიოდში (2011-2014 წლები) მშპ-ის ზრდის საშუალო წლიური მაჩვენებელი სავარაუდოდ 5.9 პროცენტის ფარგლებში იქნება.




*ინვესტიციები და სამომხმარებლო ხარჯები*

2010 წელს, 2009 წელთან შედარებით, მოსალოდნელია კერძო ინვესტიციების ნომინალური მოცულობის ზრდა, რომელიც მშპ-ის 21.5 პროცენტს მიაღწევს. შემდგომი ოთხი წლის განმავლობაში კერძო ინვესტიციებს ზრდის ტენდენცია ექნება და 2014 წლისათვის სავარაუდოდ მშპ-ის 31.0 პროცენტს შეადგენს.

## ბ. საგარეო სექტორი

**მიმოხილვა**

*მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი*

ეროვნული ბანკის ინფორმაციით 2009 წელს 2008 წელთან შედარებით მიმდინარე ანგარიშის უარყოფითი სალდო შემცირდა და 1 210.1 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც მშპ-ის მიმართ 11.2 პროცენტია. 2008 წლისათვის ანალოგიური მაჩვენებელი მშპ-ის მიმართ 22.8 პროცენტს უდრიდა.

*სავაჭრო ბრუნვა*

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით 2009 წელს საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 5 500 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 2008 წლის შესაბამის მაჩვენებელს 29.5 პროცენტით ჩამორჩება. სავაჭრო ბრუნვაში ექსპორტი

შეადგენს 1 131 მლნ აშშ დოლარს (შემცირდა 24.4%-ით), ხოლო იმპორტი – 4 369 მლნ აშშ დოლარს (შემცირდა 30.7%-ით).

2009 წელს, სავაჭრო ბრუნვის მიხედვით, ძირითად სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებს შორის პირველ ადგილზე თურქეთია. მისი წილი მთლიან სავაჭრო ბრუნვაში 18.4 პროცენტს შეადგენს. მეორე ადგილზე 9.9 პროცენტით აზერბაიჯანია, მომდევნო ადგილებს იკავებენ უკრაინა (9.1 პროცენტი) და გერმანია (5.9 პროცენტი).

ექსპორტის მიხედვით ძირითად სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებს შორის პირველი ადგილი თურქეთს უჭირავს. ამ ქვეყნის წილად მოდის მთლიანი ექსპორტის 20.0 პროცენტი. მეორე ადგილზე 14.7 პროცენტით აზერბაიჯანია, მესამეზე კანადა 10.4 პროცენტით, მეოთხეზე სომხეთი 7.9 პროცენტით, ხოლო მეხუთეზე უკრაინა 7.4 პროცენტით.

იმპორტის მიხედვით ძირითად სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებს შორის პირველ ადგილზე თურქეთია. მისი წილი მთლიან იმპორტში 18.0 პროცენტია. მეორე ადგილი 9.6 პროცენტით უკრაინას, მესამე კი 8.6 პროცენტით აზერბაიჯანს უჭირავს.

2009 წელს საგარეო ვაჭრობის სასაქონლო სტრუქტურის მიხედვით საქონლის ექსპორტში პირველ ადგილზე 11.5 პროცენტით ფეროშენადნობებია, შემდეგ მოდიან ნახევრადდამუშავებული ოქრო (10.3 პროცენტი), მსუბუქი ავტომობილები (6.9 პროცენტი), თხილი და სხვა კაკალი (6.2 პროცენტი) და ა.შ.

იმპორტის სასაქონლო სტრუქტურაში პირველ ადგილზე 12.7 პროცენტით ნავთობი და ნავთობპროდუქტებია. შემდეგ მოდის მსუბუქი ავტომობილები, რომელთა ნაწილი შემდგომში გადის ექსპორტზე (5.8 პროცენტი), სამკურნალო საშუალებები (4.0 პროცენტი), ნავთობის აირები და აირისებრი ნახშირწყალბადები (3.5 პროცენტი).

2010 წელს, საგარეო სავაჭრო ბრუნვა წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 21%-ით გაიზარდა და ნომინალურ გამოხატულებაში 6678 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. აქედან, საქონლის ექსპორტმა 40%-ით, ხოლო საქონლის იმპორტმა 17%-ით მოიმატა.

საქონელბრუნვის მოცულობის მიხედვით, საქართველოს უმსხვილეს პარტნიორ ქვეყნებს შორის პირველი ადგილი თურქეთს უკავია, რომლის წილი მთლიანი საქონელბრუნვის 16.5%-ს შეადგენს. მას მოსდევს აზერბაიჯანი (10.6%), უკრაინა (9.9%) და ა.შ.

ექსპორტში 15.4%-ით პირველ ადგილზე აზერბაიჯანია, მეორეზე თურქეთი 13.6%-ით. იმპორტში პირველი ადგილი 17.4%-ით თურქეთს უჭირავს, შემდეგ ადგილზე კი უკრაინაა 11.0%-ით.

სასაქონლო ჯგუფების მიხედვით ექსპორტში პირველ ადგილზე ფეროშენადნობებია მთლიან ექსპორტში 16.7%-იანი წილით, მომდევნო ადგილებს იკავებენ: მსუბუქი ავტომობილები (14.4%), შავი ლითონების ჯართი (6.9%), ოქრო დამუშავებული ან ნახევრად დამუშავებული (5.4%), აზოტოვანი სასუქები (4.6%) და ა.შ.

იმპორტის სასაქონლო სტრუქტურაში პირველ ადგილზე ნავთობი და ნავთობპროდუქტებია მთლიან იმპორტში 13.6% წილით. შემდეგ მოდიან: მსუბუქი ავტომობილები (6.1%), სამკურნალო საშუალებები (3.7%), ხორბალი (3.4%) და ა.შ.

**პროგნოზი**

_სავაჭრო ბრუნვა და მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი_

2010 წელს 2009 წელთან შედარებით მოსალოდნელი მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის წილი მშპ-ის მიმართ 1.4 პროცენტით გაიზრდება. საპროგნოზო პერიოდში მოსალოდნელია საგარეო სავაჭრო ბრუნვის ზრდა. პროგნოზული გათვლებით, 2011-2014

წლებში ექსპორტის ზრდის ტემპები გადააჭარბებს იმპორტის ზრდის ტემპებს და 2013 წლიდან მნიშვნელოვან შემცირებას დაიწყებს მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის ფარდობითი მაჩვენებელი. მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის წილი მშპ-ის მიმართ 2011 წლისათვის -13.4 პროცენტის, ხოლო 2012 წლისათვის კი -13.0 პროცენტის დონეზეა მოსალოდნელი. გარეგანი შოკების არარსებობის შემთხვევაში შემდგომ წლებში მიმდინარე ანგარიშის დეფიციტს შემცირების ტენდენცია ექნება და 2014 წლისათვის მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის ფარდობითი მაჩვენებლის მნიშვნელობა სავარაუდოდ -9.7 პროცენტის ფარგლებში იქნება.

## გ. მონეტარული სექტორი

**მიმოხილვა**

*<u>სამომხმარებლო ფასები</u>*

2009 წლის დეკემბერში, 2008 წლის დეკემბერთან შედარებით, სამომხმარებლო ფასები 3.0 პროცენტით გაიზარდა, ხოლო სამომხმარებლო ფასების საშუალო წლიურმა მაჩვენებელმა 1.7 პროცენტით მოიმატა.

2010 წელს, წლიურმა ინფლაციამ (დეკემბერი-დეკემბერთან) 11.2 პროცენტი, ხოლო საშუალო წლიურმა ინფლაციამ 7.1 პროცენტი შეადგინა.

2010 წლის ინფლაციაზე მნიშვნელოვანი გავლენა სამომხმარებლო კალათის ერთმა სასაქონლო ჯგუფმა მოახდინა. სურსათმა და უალკოჰოლო სასმელებმა ფასების საერთო დონე 9.5 პროცენტით გაზარდა.

პროგნოზული შეფასებებით 2011-2014 წლებისათვის სამომხმარებლო ფასების საშუალო წლიური ცვლილება კი 6-7 პროცენტის ფარგლებშია მოსალოდნელი.

*<u>ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ</u>*

2009 წლის მანძილზე ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ უმნიშვნელო რყევებით ხასიათდებოდა. 2009 წლის ბოლოს ლარის საშუალო თვიური კურსი 1.4 პროცენტით შემცირდა და 1.679 ლარი/აშშ დოლარის დონეზე დაფიქსირდა. ლარის საშუალო წლიური კურსი კი 12.1 პროცენტით შემცირდა და 1.67 ლარი/აშშ დოლარის დონეზე დაფიქსირდა.

2010 წლის იანვარ-სექტემბრის განმავლობაში ლარის საშუალო გაცვლითი კურსი გაუფასურების ტენდენციით ხასიათდებოდა, ოქტომბრიდან კი მცირედი გამყარება დაიწყო. 2010 წლის სექტემბერში 2009 წლის დეკემბერთან შედარებით ლარის საშუალო გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 9.1 პროცენტით იყო გაუფასურებული, ხოლო 2010 წლის წლიური ლარის საშუალო გაცვლითი კურსი აშშ დოლართან 5.0 პროცენტით გაუფასურდა და 1.76 ლარი შეადგინა ერთ აშშ დოლართან.

*<u>ფულის მასა</u>*

ეროვნული ბანკის მონაცემებით, 2009 წლის ბოლოს 2008 წლის ბოლოსთან შედარებით სარეზერვო ფულის მასა 12.8 პროცენტით გაიზარდა და 1 851.5 მლნ ლარს გაუტოლდა.

2009 წლის დეკემბრის ბოლოსათვის M3 ფართო ფულის აგრეგატის მოცულობამ 4 656.8 მლნ ლარი შეადგინა, რაც 8.2 პროცენტით აღემატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს. ამავე პერიოდში M2 ფულის მასა 14.9 პროცენტით გაიზარდა და 2 139.5 მლნ ლარის დონეზე დაფიქსირდა.

2009 წლის განმავლობაში დეპოზიტები უცხოურ ვალუტაში 3.1 პროცენტით, ხოლო დეპოზიტები ეროვნულ ვალუტაში 18.1 პროცენტით გაიზარდა. იცვლებოდა ფულის მულტიპლიკატორიც. წინა წელთან შედარებით M3-ის მულტიპლიკატორი 0.11 პუნქტით შემცირდა და 2.52 გაუტოლდა, M2-ის მულტიპლიკატორი კი 0.02 პუნქტით გაიზარდა და 1.16 შეადგინა.

2009 წელს, წინა წელთან შედარებით, 2.35 პროცენტული პუნქტით შემცირდა დოლარიზაციის კოეფიციენტი და 73.5 პროცენტს გაუტოლდა. პერიოდის ბოლოსთვის ფულის მიმოქცევის სიჩქარე M3 ფულის აგრეგატის მიხედვით 0.6 ერთეულით შემცირდა და 3.9 შეადგინა. M2-თვის კი აღნიშნული მაჩვენებელი 8.4 გაუტოლდა, რაც 1.8 ერთეულით ნაკლებია 2008 წლის შესაბამის მნიშვნელობაზე.

2010 წელს, წინა წელთა შედარებით სარეზერვო ფულის მასა 12.4 პროცენტით გაიზარდა და 2 081.1 მლნ ლარი შეადგინა. მონეტარული აგრეგატი M3-ის მოცულობამ 6 275.7 მლნ ლარი, ხოლო M2-ის მოცულობამ 2 738.6 მლნ ლარი შეადგინა, რაც შესაბამისად 34.8 და 28.0 პროცენტით მეტია წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით.

დეპოზიტები ეროვნული ვალუტით 2010 წლის ბოლოს წინა წლის დეკემბერთან შედარებით 47.3 პროცენტით, ხოლო დეპოზიტები უცხოური ვალუტით 40.5 პროცენტით გაიზარდა. შესაბამისად იცვლებოდა ფულის მულტიპლიკატორიც. 2010 წლის დეკემბერში წინა წლის დეკემბერთან შედარებით M3-ის მულტიპლიკატორმა 0.52 პუნქტით მოიმატა და 3.01 შეადგინა, M2-ის მულტიპლიკატორმა კი 0.17 პროცენტული პუნქტით მოიმატა და 1.31-ს გაუტოლდა.

დეპოზიტების დოლარიზაციის კოეფიციენტი 2010 წლის ბოლოს წინა წლის დეკემბერთან შედარებით 1.3 პუნქტით შემცირდა და 72.2 პროცენტს გაუტოლდა.

*<u>საპროცენტო განაკვეთები</u>*

2009 წელს 2008 წელთან შედარებით საშუალო წლიური საპროცენტო განაკვეთი სესხებზე ეროვნულ ვალუტაში 1.2 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 24.2 პროცენტს გაუტოლდა. უცხოურ ვალუტაში კი სესხებზე საპროცენტო განაკვეთმა 0.3 პროცენტული პუნქტით მოიმატა და 21.3 პროცენტი შეადგინა. რაც შეეხება საშუალო წლიურ საპროცენტო განაკვეთებს დეპოზიტებზე, ეროვნულ ვალუტაში აღნიშნული მაჩვენებელი 0.4 პროცენტული პუნქტით შემცირდა, ხოლო უცხოურ ვალუტაში 0.8 პროცენტული პუნქტით მოიმატა და შესაბამისად 10.8 და 9.7 პროცენტი შეადგინა.

2010 წელს, წინა წელთან შედარებით საშუალო წლიური საპროცენტო განაკვეთი სესხებზე ეროვნულ ვალუტაში 1.7 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 22.5 პროცენტს გაუტოლდა, ხოლო უცხოურ ვალუტაში 3.7 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 17.6 პროცენტს გაუტოლდა. კლების ტენდენცია დაფიქსირდა დეპოზიტებშიც, როგორც ეროვნულ, ისე უცხოურ ვალუტაში. ასე მაგალითად, საშუალო წლიური საპროცენტო განაკვეთი დეპოზიტებზე ეროვნულ ვალუტაში 0.7 პროცენტული

პუნქტით შემცირდა, ხოლო უცხოურ ვალუტაში 1.8 პროცენტული პუნქტით და შესაბამისად 10.1 და 7.9 პროცენტი შეადგინა.

## დ. დასაქმება და უმუშევრობა

**მიმოხილვა**

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით 2009 წელს ქვეყნის ეკონომიკაში დასაქმებულთა რაოდენობამ 1 656.1 ათასი კაცი შეადგინა. დასაქმებულთა 36.0 პროცენტი დაქირავებით იყო დასაქმებული, ხოლო 63.9 პროცენტი კი თვითდასაქმებული. 2009 წელს 2008 წელთან შედარებით უმუშევართა რაოდენობა 0.4 პროცენტით გაიზარდა და უმუშევრობის დონემ 16.9 პროცენტი შეადგინა. საპროგნოზო პერიოდში მოსალოდნელია უმუშევრობის დონის შემცირება. 2010-2014 წლებში უმუშევრობის შემცირება ძირითადად განხორციელდება ეკონომიკური ზრდის ხარჯზე.

**ფისკალური პოლიტიკა**

2009 წელს 2008 წელთან შედარებით ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების წილმა მშპ-ის მიმართ 1.4 პროცენტით მოიკლო. ამავდროულად, სახელმწიფო ინვესტიციების მოცულობა 3.5 პროცენტით შემცირდა.

2009 წელს, წინა წელთან შედარებით, 9.9 პროცენტული პუნქტით გაიზარდა მთავრობის ვალის წილი მშპ-თან მიმართებაში და 41.1 პროცენტს გაუტოლდა.

გრძელვადიანი პერიოდისთვის **მთავრობის სტრატეგიაა** ფისკალური მდგომარეობის კიდევ უფრო გაუმჯობესება, რაც უზრუნველყოფს:

- ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპის შენარჩუნებას;
- მაკროეკონომიკურ სტაბილურობას;
- ხარჯების ზრდას პრიორიტეტულ მიმართულებებზე;
- საფინანსო წესრიგის გაძლიერებას;

2011-2014 წლებისთვის ***ფისკალური პოლიტიკის ამოცანებს*** წარმოადგენს:

- ხარჯების მიმართვა ისეთ პრიორიტეტულ მიმართულებებზე, როგორიცაა სოციალური სფერო, განათლება, სოფლის მეურნეობა, ინვესტიციები ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის, უსაფრთხოება და მართლწესრიგი;
- ბიუჯეტის დეფიციტის თანდათანობით შემცირება;
- ბიუჯეტის ხარჯების წილის შემცირება მშპ-თან მიმართებაში;
- სახელმწიფო ხარჯების მენეჯმენტის შემდგომი სრულყოფა.

### ცხრილი 2. ძირითადი ფისკალური ინდიკატორები 2009-2014 წლებში
(პროცენტულად მშპ-თან)

| დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა | 2009 წლის ფაქტი | 2010 წლის წინასწარი | 2011 წლის პროგნოზი | 2012 წლის პროგნოზი | 2013 წლის პროგნოზი | 2014 წლის პროგნოზი |
|---|---|---|---|---|---|---|
| შემოსავლები | 29.3% | 28.4% | 27.6% | 26.5% | 25.1% | 23.5% |
| გადასახადები | 24.4% | 23.6% | 24.1% | 23.8% | 22.8% | 21.4% |
| გრანტები | 2.2% | 2.3% | 1.5% | 1.0% | 0.7% | 0.5% |
| სხვა შემოსავლები | 2.7% | 2.5% | 1.9% | 1.7% | 1.6% | 1.6% |
| | | | | | | |
| ხარჯები | 28.9% | 26.5% | 24.6% | 22.6% | 20.8% | 19.7% |
| შრომის ანაზღაურება | 5.8% | 5.4% | 5.2% | 4.8% | 4.5% | 4.2% |
| საქონელი და მომსახურება | 6.1% | 5.5% | 4.5% | 4.5% | 4.2% | 4.0% |
| პროცენტი | 1.0% | 1.0% | 1.4% | 1.1% | 0.9% | 0.8% |
| სუბსიდიები | 2.3% | 1.8% | 1.7% | 1.5% | 1.3% | 1.1% |
| გრანტები | 0.1% | 0.1% | 0.1% | 0.1% | 0.1% | 0.1% |
| სოციალური უზრუნველყოფა | 8.4% | 7.9% | 7.0% | 6.9% | 6.5% | 6.4% |
| სხვა ხარჯები | 5.2% | 4.8% | 4.7% | 3.6% | 3.4% | 3.1% |
| | | | | | | |
| საოპერაციო სალდო | 0.4% | 1.9% | 3.0% | 3.9% | 4.2% | 3.8% |
| | | | | | | |
| არაფინანსური აქტივების ცვლილება | 7.0% | 6.4% | 5.4% | 6.6% | 6.2% | 5.4% |
| ზრდა | 8.2% | 7.5% | 6.3% | 7.0% | 6.4% | 5.5% |
| კლება | 1.2% | 1.1% | 0.9% | 0.4% | 0.2% | 0.2% |
| | | | | | | |
| მთლიანი სალდო | -6.6% | -4.5% | -2.4% | -2.7% | -2.0% | -1.6% |
| | | | | | | |
| ფინანსური აქტივების ცვლილება | -2.9% | 1.5% | 0.3% | 0.2% | 0.1% | 0.1% |
| ზრდა | 0.5% | 1.3% | 0.9% | 0.2% | 0.2% | 0.2% |
| კლება | 3.4% | -0.3% | 0.6% | 0.1% | 0.1% | 0.1% |
| | | | | | | |
| ვალდებულებების ცვლილება | 3.7% | 6.1% | 2.6% | 2.8% | 2.1% | 1.7% |
| ზრდა | 5.8% | 7.0% | 3.7% | 3.4% | 6.7% | 3.5% |
| კლება | 2.1% | 0.9% | 1.1% | 0.5% | 4.6% | 1.8% |
| | | | | | | |
| ბალანსი | 0.0% | 0.0% | 0.0% | 0.0% | 0.0% | 0.0% |

## 2009-2010 წლების მოკლე მიმოხილვა

### *2009 წელი*

საქართველოს ეკონომიკისათვის 2009 წელი ბოლო წლების განმავლობაში ყველაზე რთული გამოდგა, რაც განაპირობა პირველ რიგში რუსეთის მიერ განხორციელებულმა სამხედრო აგრესიამ, ხოლო მეორეს მხრივ მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა.

ეკონომიკური კრიზისის გავლენის შემცირების მიზნით 2009 წლის დასაწყისიდანვე განხორციელდა შესაბამისი ღონისძიებები, კერძოდ მთავრობამ დაიწყო მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება, რაც კერძო ინვესტიციების შემცირების პირობებში ეკონომიკის მნიშვნელოვან სტიმულირებას წარმოადგენდა. მნიშვნელოვანი თანხები მიიმართა საგზაო ინფრასტუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაციაზე, რამაც დასაქმებასაც შეუწყო ხელი და სხვადასხვა სექტორებში სამუშაო ადგილების შემცირების მიუხედავად, უმუშევრობის დონე მნიშვნელოვნად არ გაუარესებულა. გარდა ამისა, 2009 წლის 1 იანვრიდან საშემოსავლო გადასახადი 25 პროცენტიდან შემცირდა 20 პროცენტამდე, რითაც სახელმწიფომ დაახლოებით 250.0 მლნ ლარის დამატებითი ინვესტირება განახორციელა საქართველოს ეკონომიკაში.

აღნიშნულმა ღონისძიებებმა საბოლოო ჯამში შეასუსტა მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის გავლენა და წლის პირველ ნახევარში საქართველოს ეკონომიკის 7 პროცენტამდე შემცირების მიუხედავად, წლის მეორე ნახევარში დაიწყო ეკონომიკის ეტაპობრივი ზრდა. წლის ბოლოს ეკონომიკური ვარდნა 3.8 პროცენტით დაფიქსირდა.

**ბიუჯეტის შემოსულობების ანალიზი**

საქართველოს **ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების** სახით 2009 წელს მიღებულია 5 264.5 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის 100 პროცენტია. შემოსავლების საერთო მოცულობა გასულ წელთან შედარებით 10.1 პროცენტით შემცირდა, რაც ეკონომიკური კრიზისისა და გადასახადების განაკვეთების შემცირებით არის გამოწვეული. შემოსავლების საერთო მოცულობამ მთლიანი შიდა პროდუქტის 29.3 პროცენტი შეადგინა (ცხრილი 3).

### ცხრილი 3. ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები

მლნ. ლარი

| დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა | ნაერთი ბიუჯეტი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 2009 | | | | | % | |
| | გეგმა | ფაქტი | +/- | % | მშპ-ს % | 2009/2008 | საგადასახადო შემოსავლებში გადასახადების წილი |
| შემოსავლები | 5 265,7 | 5 264,5 | -1,2 | 100,0 | 29,3 | 89,9 | |
| გადასახადები | 4 348,8 | 4 388,9 | 40,1 | 100,9 | 24,5 | 92,3 | |
| საშემოსავლო გადასახადი | 1 114,3 | 1 118,9 | 4,6 | 100,4 | 6,2 | 86,3 | 25,5 |
| მოგების გადასახადი | 520,6 | 517,7 | -2,9 | 99,4 | 2,9 | 87,4 | 11,8 |
| დამატებული ღირებულების გადასახადი | 2 034,3 | 2 051,7 | 17,4 | 100,9 | 11,4 | 99,2 | 46,7 |
| აქციზი | 446,4 | 443,2 | -3,2 | 99,3 | 2,5 | 85,5 | 10,1 |
| საბაჟო გადასახადი | 35,0 | 35,9 | 0,9 | 102,6 | 0,2 | 69,2 | 0,8 |
| ქონების გადასახადი | 143,0 | 160,4 | 17,4 | 112,2 | 0,9 | 121,6 | 3,7 |
| სხვა არაკლასიფიცირებული გადასახადები | 55,2 | 61,0 | 5,8 | 110,5 | 0,3 | 65,6 | 1,4 |
| გრანტები | 463,2 | 388,6 | -74,6 | 83,9 | 2,2 | 63,0 | 7,4 |
| სხვა შემოსავლები | 453,8 | 487,1 | 33,3 | 107,3 | 2,7 | 100,6 | 9,3 |

არაფინანსური აქტივების რეალიზაციიდან 2009 წელს მობილიზებულ იქნა 211.5 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის 98.6 პროცენტია. არაფინანსური აქტივების რელიზაციიდან მიღებული თანხების მოცულობა მშპ-თან მიმართებაში 1.2 პროცენტს შეადგენს. არაფინანსური აქტივების რეალიზაციიდან მიღებული თანხების წილი შემოსულობებში 3.7 პროცენტს შეადგენს.

ფინანსური აქტივების რეალიზაციიდან 2009 წელს მობილიზებულ იქნა 244.8 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის 102.3 პროცენტია. ფინანსური აქტივების რეალიზაციიდან მიღებული თანხების მოცულობა მშპ-თან მიმართებაში 1.4 პროცენტია. ფინანსური აქტივების რეალიზაციიდან მიღებული თანხების წილი შემოსულობებში 4.3 პროცენტს შეადგენს.

ვალდებულებების ზრდის ხარჯზე 2009 წელს მობილიზებულ იქნა 1 046.4 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის 92.6%-ს, ხოლო მთლიანი შიდა პროდუქტის 5.8%-ს შეადგენს.

2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებები სხვადასხვა სფეროების მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდა:

- ***სოციალური სფერო*** *– 1 319.8 მლნ ლარი,*
- ***განათლება*** *– 459.2 მლნ ლარი;*
- ***ჯანმრთელობის დაცვა*** *– 339.8 მლნ ლარი;*
- ***ენერგეტიკა*** *– 27.6 მლნ ლარი;*

- ***ტრანსპორტი** – 505.7 მლნ ლარი;*
- ***დასვენება, კულტურა, სპორტი, რელიგია** – 144.7 მლნ ლარი;*
- ***თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება** – 1 720.8 მლნ ლარი.*

– 2009 წლის განმავლობაში განხორციელდა პენსიებისა და სოციალური დახმარებების მატება, კერძოდ, საპენსიო ასაკით დანიშნული სახელმწიფო პენსია (652.8 ათასი ბენეფიციარი) 2009 წლის 1 იანვრიდან 70 ლარიდან გაიზარდა 75 ლარამდე, ხოლო 1 ნოემბრიდან 80 ლარამდე. ასევე გაიზარდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პენსიები, მათ შორის, მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პენსია (29 ათასზე მეტი ბენეფიციარი) 65 ლარიდან გაიზარდა 80 ლარამდე, ხოლო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (გარდა მკვეთრად გამოხატულისა) პირთა პენსია (110 ათასზე მეტი ბენეფიციარი) 65-დან 70 ლარამდე. სოციალური დახმარებების პროგრამის ფარგლებში საარსებო შემწეობის ოდენობა სოციალურად დაუცველი ოჯახის მეორე და ყოველ მომდევნო წევრზე 12 ლარიდან გაიზარდა 24 ლარამდე;

– გაიზარდა მოსწავლეთა ვაუჩერების ოდენობა რის შედეგადაც წლის განმავლობაში მასწავლებელთა მინიმალური ხელფასი გაიზარდა 50 ლარით;

– სახელმწიფოს მიერ დაზღვეულ იქნა 900.0 ათასზე მეტი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ადამიანი;

– 2009 წელს საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაციაზე მიმართულმა სახსრებმა შეადგინა 500.0 მლნ ლარზე მეტი;

– სხვადასხვა რეგიონებში ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსების მიზნით მიიმართა 400.0 მლნ ლარზე მეტი;

– სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მიმართულ იქნა 20.0 მლნ ლარი;

– 96.0 მლნ ლარამდე მიიმართა იძულებით გადაადგილებულ პირთა სახლების მშენებლობაზე;

– საქართველოს ენერგოსისტემის გასაუმჯობესებლად მიიმართა 67.0 მლნ ლარი;

– სასჯელაღსრულების დაწესებულებათა მშენებლობა-რეაბილიტაცია დაფინანსდა 33.0 მლ ლარით;

– საჯარო სკოლების მშენებლობა-რეაბილიტაციაზე მიიმართა 20.0 მლნ ლარზე მეტი;

– ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისისათვის გადარიცხულმა ტრანსფერებმა შეადგინა 847.2 მლნ ლარი;

– სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებასა და დაფარვაზე მიმართულ იქნა 318.1 მლნ ლარი;

– წინა წლებში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების მიზნით მიიმართა 228.8 მლნ ლარი.

*2010 წელი*

**ბიუჯეტის შემოსულობების წინასწარი მაჩვენებლები**

***ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების სახით*** მობილიზებულია 5 866.4 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (5 777.9 მლნ ლარი) 101.5 პროცენტია, ხოლო მისი წილი მშპ-ის მიმართ 28.4 პროცენტია.

ნაერთი ბიუჯეტის გადასახადების სახით მობილიზებულია 4 867.5 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (4 821.0 მლნ ლარი) 101.0 პროცენტია, ხოლო მისი წილი მშპ-ის მიმართ 23.6 პროცენტია: მათ შორის:

საშემოსავლო გადასახადის სახით მობილიზებულია 1 202.1 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (1 220.0 მლნ ლარი) 98.5 პროცენტია, ხოლო მისი წილი მშპ-ის მიმართ 5.8 პროცენტია.

მოგების გადასახადის სახით მობილიზებულია 575.9 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (515.5 მლნ ლარი) 111.7 პროცენტია, ხოლო მისი წილი მშპ-ის მიმართ 2.8 პროცენტია.

დამატებული ღირებულების გადასახადის სახით მობილიზებულია 2 203.1 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (2 196.0 მლნ ლარი) 100.3 პროცენტია, ხოლო მისი წილი მშპ-ის მიმართ 10.7 პროცენტია.

აქციზის სახით მობილიზებულია 560.8 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (574.0 მლნ ლარი) 97.7 პროცენტია, ხოლო მისი წილი მშპ-ის მიმართ 2.7 პროცენტია.

იმპორტის (საბაჟო) გადასახადის სახით მობილიზებულია 70.4 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (70.5 მლნ ლარი) 99.8 პროცენტია, ხოლო მისი წილი მშპ-ის მიმართ 0.3 პროცენტია.

ქონების გადასახადის სახით მობილიზებულია 191.7 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (190.0 მლნ ლარი) 100.9 პროცენტია, ხოლო მისი წილი მშპ-ის მიმართ 0.9 პროცენტია.

სხვა გადასახადის სახით მობილიზებულია 63.5 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (55.0 მლნ ლარი) 115.4 პროცენტია, ხოლო მისი წილი მშპ-ის მიმართ 0.3 პროცენტია.

***გრანტების*** სახით მობილიზებულია 472.6 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (464.9 მლნ ლარი) 101.7 პროცენტია, ხოლო მისი წილი მშპ-ის მიმართ 2.3 პროცენტია. (ფაქტიურ მონაცემებში გათვალისწინებულია, როგორც სახაზინო სამსახურის მიერ, ასევე ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების მიერ მოწოდებული ინფორმაცია ამ მუხლით მობილიზებული სახსრების შესახებ)

***სხვა შემოსავლების*** სახით მობილიზებულია 526.2 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (491.8 მლნ ლარი) 107.0 პროცენტია, ხოლო მისი წილი მშპ-ის მიმართ 2.5 პროცენტია.

***არაფინანსური აქტივების*** რეალიზაციიდან მობილიზებულ იქნა 219.9 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (207.2 მლნ ლარი) 106.1 პროცენტია, ხოლო მისი წილი მშპ-ის მიმართ 1.1 პროცენტია.

***ფინანსური აქტივების*** რეალიზაციიდან მობილიზებულ იქნა 66.2 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (62.0 მლნ ლარი) 106.8 პროცენტია, ხოლო მისი წილი მშპ-ის მიმართ 0.3 პროცენტია.

**ვალდებულებების ზრდის** ხარჯზე 2010 წელს მობილიზებულ იქნა 1 447.0 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (1 512.7) 95.7%-ს, ხოლო მთლიანი შიდა პროდუქტის 7.0%-ს შეადგენს.

2010 წელს სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებები სხვადასხვა სფეროების მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდა:

- ***სოციალური სფერო*** *– 1 278.2 მლნ ლარი,*
- ***განათლება*** *– 504.1 მლნ ლარი;*
- ***ჯანმრთელობის დაცვა*** *– 415.0 მლნ ლარი;*
- ***ენერგეტიკა*** *– 24.6 მლნ ლარი;*
- ***ტრანსპორტი*** *– 546.6 მლნ ლარი;*
- ***დასვენება, კულტურა, სპორტი, რელიგია*** *– 165.7 მლნ ლარი;*
- ***თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება*** *– 1 503.9 მლნ ლარი.*

- 2010 წლის განმავლობაში სახელმწიფო პენსიების და კომპენსაციების დასაფარად მიმართული იქნა 883.8 მლნ ლარი;
- სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის დაზღვევაზე მიმართული იქნა 139.4 მლნ ლარი;
- 2010 წელს საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაციაზე მიმართულმა სახსრებმა შეადგინა 543.0 მლნ ლარზე მეტი;
- სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მიმართულ იქნა 40.0 მლნ ლარი;
- 30.4 მლნ ლარამდე მიიმართა იძულებით გადაადგილებულ პირთა სახლების მშენებლობაზე;
- საქართველოს ენერგოსისტემის გასაუმჯობესებლად მიიმართა 180.6 მლნ ლარი;
- ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისისათვის გადარიცხულმა ტრანსფერებმა შეადგინა 1 046.4 მლნ ლარი;
- სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებასა და დაფარვაზე მიმართულ იქნა 358.5 მლნ ლარი;
- წინა წლებში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების მიზნით მიიმართა 13.1 მლნ ლარამდე.

## 2011-2014 წლების შემოსულობების პროგნოზი

საშუალოვადიან პერიოდში საბიუჯეტო შემოსულობების პროგნოზული გათვლების გაკეთებისას გათვალისწინებულ იქნა ფისკალურ სფეროში მომხდარი ცვლილებები და მის მიერ გამოწვეული შესაძლო შედეგები. პროგნოზული გათვლებით, 2011-2014 წლებში, ზრდის ტენდენცია ექნება ნაერთ ბიუჯეტში მობილიზებული თანხების მოცულობას. 2011 წლისთვის ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლების მშპ-თან ფარდობის მაჩვენებელი 27.6 პროცენტს მიაღწევს, ხოლო გადასახადების წილი მთლიანი შიდა პროდუქტის მიმართ 24.1 პროცენტს გაუტოლდება.

2011 წელს მშპ-სთან გადასახადების საპროგნოზო მაჩვენებლების ზრდა გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ გადასახადების პროგნოზირებისას გათვალისწინებულ იქნა საგადასახადო კოდექსის ახალი რედაქცია.

2011 წელს ნაერთი ბიუჯეტის ***სხვა შემოსავლების*** წილი მთლიანი შიდა პროდუქტის მიმართ სავარაუდოდ 1.9 პროცენტს გაუტოლდება. ხოლო 2011 წელს ნაერთი ბიუჯეტის ***არაფინანსური და ფინანსური აქტივების*** რეალიზაციიდან მისაღები თანხების მოცულობა მშპ-თან მიმართებაში შესაბამისად 0.9 და 0.2 პროცენტამდეა ნავარაუდევი.

# ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები 2009-2014 წლებში

| დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა | 2009 წლის ფაქტი | | | 2010 წლის წინასწარი | | | 2011 წლის პროგნოზი | | | 2012 წლის პროგნოზი | | | 2013 წლის პროგნოზი | | | 2014 წლის პროგნოზი | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ნაერთი ბიუჯეტი | სახელმწიფო ბიუჯეტი | ტერიტორიული ერთეულების ნაერთი ბიუჯეტი | ნაერთი ბიუჯეტი | სახელმწიფო ბიუჯეტი | ტერიტორიული ერთეულების ნაერთი ბიუჯეტი | ნაერთი ბიუჯეტი | სახელმწიფო ბიუჯეტი | ტერიტორიული ერთეულების ნაერთი ბიუჯეტი | ნაერთი ბიუჯეტი | სახელმწიფო ბიუჯეტი | ტერიტორიული ერთეულების ნაერთი ბიუჯეტი | ნაერთი ბიუჯეტი | სახელმწიფო ბიუჯეტი | ტერიტორიული ერთეულების ნაერთი ბიუჯეტი | ნაერთი ბიუჯეტი | სახელმწიფო ბიუჯეტი | ტერიტორიული ერთეულების ნაერთი ბიუჯეტი |
| **შემოსავლები** | **5,264.5** | **4,917.0** | **1,194.7** | **5,866.4** | **5,421.5** | **1,531.3** | **6,366.8** | **5,955.8** | **1,411.6** | **6,844.0** | **6,427.0** | **1,342.0** | **7,305.0** | **6,885.9** | **1,419.1** | **7,764.0** | **7,348.5** | **1,465.5** |
| გადასახადები | 4,388.9 | 4,161.7 | 227.1 | 4,867.5 | 4,592.4 | 275.1 | 5,571.0 | 5,300.0 | 271.0 | 6,144.0 | 5,867.0 | 277.0 | 6,635.0 | 6,355.9 | 279.1 | 7,074.0 | 6,798.5 | 275.5 |
| გრანტები | 388.6 | 387.7 | 848.1 | 472.6 | 471.4 | 1,087.6 | 355.8 | 355.8 | 1,000.6 | 250.0 | 250.0 | 925.0 | 200.0 | 200.0 | 1,000.0 | 170.0 | 170.0 | 1,050.0 |
| სხვა შემოსავლები | 487.0 | 367.5 | 119.5 | 526.3 | 357.7 | 168.6 | 440.0 | 300.0 | 140.0 | 450.0 | 310.0 | 140.0 | 470.0 | 330.0 | 140.0 | 520.0 | 380.0 | 140.0 |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| **ხარჯები** | **5,209.2** | **5,174.0** | **882.4** | **5,483.0** | **5,466.5** | **1,102.9** | **5,680.5** | **5,746.1** | **935.0** | **5,827.0** | **5,876.0** | **876.0** | **6,075.0** | **6,186.0** | **889.0** | **6,507.0** | **6,634.0** | **923.0** |
| შრომის ანაზღაურება | 1,048.3 | 941.6 | 106.7 | 1,120.2 | 993.5 | 126.7 | 1,206.2 | 1,081.2 | 125.0 | 1,250.0 | 1,120.0 | 130.0 | 1,300.0 | 1,150.0 | 150.0 | 1,400.0 | 1,220.0 | 180.0 |
| საქონელი და მომსახურება | 1,105.2 | 879.9 | 225.3 | 1,138.6 | 881.6 | 257.0 | 1,041.4 | 791.4 | 250.0 | 1,170.0 | 950.0 | 220.0 | 1,230.0 | 1,010.0 | 220.0 | 1,325.0 | 1,100.0 | 225.0 |
| პროცენტი | 171.2 | 167.2 | 4.0 | 206.0 | 200.6 | 5.4 | 319.3 | 314.3 | 5.0 | 274.0 | 268.0 | 6.0 | 273.0 | 266.0 | 7.0 | 258.0 | 250.0 | 8.0 |
| სუბსიდიები | 420.3 | 254.1 | 166.2 | 380.0 | 196.3 | 183.7 | 398.5 | 218.5 | 180.0 | 380.0 | 220.0 | 160.0 | 370.0 | 213.0 | 157.0 | 370.0 | 210.0 | 160.0 |
| გრანტები | 14.3 | 861.2 | 0.3 | 13.2 | 1,099.6 | 0.0 | 13.6 | 1,014.2 | 0.0 | 20.0 | 945.0 | | 22.0 | 1,022.0 | | 24.0 | 1,074.0 | |
| სოციალური უზრუნველყოფა | 1,505.9 | 1,419.9 | 86.0 | 1,623.6 | 1,481.1 | 142.5 | 1,615.5 | 1,490.5 | 125.0 | 1,793.0 | 1,663.0 | 130.0 | 1,900.0 | 1,770.0 | 130.0 | 2,100.0 | 1,970.0 | 130.0 |
| სხვა ხარჯები | 944.0 | 650.1 | 293.9 | 1,001.4 | 613.8 | 387.6 | 1,086.0 | 836.0 | 250.0 | 940.0 | 710.0 | 230.0 | 980.0 | 755.0 | 225.0 | 1,030.0 | 810.0 | 220.0 |

| დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა | 2009 წლის ფაქტი | | | 2010 წლის წინასწარი | | | 2011 წლის პროგნოზი | | | 2012 წლის პროგნოზი | | | 2013 წლის პროგნოზი | | | 2014 წლის პროგნოზი | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ნაერთი ბიუჯეტი | სახელმწიფო ბიუჯეტი | ტერიტორიული ერთეულების ნაერთი ბიუჯეტი | ნაერთი ბიუჯეტი | სახელმწიფო ბიუჯეტი | ტერიტორიული ერთეულების ნაერთი ბიუჯეტი | ნაერთი ბიუჯეტი | სახელმწიფო ბიუჯეტი | ტერიტორიული ერთეულების ნაერთი ბიუჯეტი | ნაერთი ბიუჯეტი | სახელმწიფო ბიუჯეტი | ტერიტორიული ერთეულების ნაერთი ბიუჯეტი | ნაერთი ბიუჯეტი | სახელმწიფო ბიუჯეტი | ტერიტორიული ერთეულების ნაერთი ბიუჯეტი | ნაერთი ბიუჯეტი | სახელმწიფო ბიუჯეტი | ტერიტორიული ერთეულების ნაერთი ბიუჯეტი |
| საოპერაციო სალდო | 55.3 | -257.0 | 312.3 | 383.4 | -45.0 | 428.4 | 686.3 | 209.7 | 476.6 | 1,017.0 | 551.0 | 466.0 | 1,230.0 | 699.9 | 530.1 | 1,257.0 | 714.5 | 542.5 |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| არაფინანსური აქტივების ცვლილება | 1,264.2 | 940.0 | 324.2 | 1,320.9 | 873.5 | 447.4 | 1,245.1 | 715.5 | 529.6 | 1,708.0 | 1,242.0 | 466.0 | 1,815.0 | 1,284.9 | 530.1 | 1,777.0 | 1,234.5 | 542.5 |
| ზრდა | 1,475.7 | 1,100.3 | 375.4 | 1,540.8 | 1,020.3 | 520.5 | 1,445.1 | 865.5 | 579.6 | 1,808.0 | 1,322.0 | 486.0 | 1,865.0 | 1,324.9 | 540.1 | 1,827.0 | 1,274.5 | 552.5 |
| კლება | 211.5 | 160.3 | 51.2 | 219.9 | 146.8 | 73.1 | 200.0 | 150.0 | 50.0 | 100.0 | 80.0 | 20.0 | 50.0 | 40.0 | 10.0 | 50.0 | 40.0 | 10.0 |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| მთლიანი სალდო | -1,208.8 | -1,197.0 | -11.9 | -937.5 | -918.5 | -19.0 | -558.8 | -505.8 | -53.0 | -691.0 | -691.0 | 0.0 | -585.0 | -585.0 | 0.0 | -520.0 | -520.0 | 0.0 |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| ფინანსური აქტივების ცვლილება | -530.5 | -499.6 | 12.8 | 317.6 | 357.2 | 13.5 | 51.5 | 104.5 | 0.0 | 40.0 | 40.0 | 0.0 | 40.0 | 40.0 | 0.0 | 40.0 | 40.0 | 0.0 |
| ზრდა | 87.6 | 130.8 | 30.0 | 400.2 | 439.5 | 13.8 | 198.5 | 251.5 | 0.0 | 60.0 | 60.0 | 0.0 | 60.0 | 60.0 | 0.0 | 60.0 | 60.0 | 0.0 |
| *ვალუტა და დეპოზიტები* | *0.0* | *0.0* | *29.5* | *135.4* | *125.5* | *9.9* | *0.0* | | | *0.0* | | | *0.0* | | | *0.0* | | |
| *სესხები* | *67.4* | *110.6* | *0.5* | *182.2* | *231.4* | *3.9* | *168.5* | *221.5* | | *60.0* | *60.0* | | *60.0* | *60.0* | | *60.0* | *60.0* | |
| *აქციები და სხვა კაპიტალი* | *20.2* | *20.2* | *0.0* | *82.6* | *82.6* | *0.0* | *30.0* | *30.0* | | *0.0* | | | *0.0* | | | *0.0* | | |
| კლება | 618.1 | 630.4 | 17.2 | 82.6 | 82.3 | 0.3 | 147.0 | 147.0 | 0.0 | 20.0 | 20.0 | 0.0 | 20.0 | 20.0 | 0.0 | 20.0 | 20.0 | 0.0 |
| *ვალუტა და დეპოზიტები* | *373.3* | *402.8* | *0.0* | *16.4* | *16.4* | *0.0* | *112.0* | *112.0* | | *0.0* | | | *0.0* | | | *0.0* | | |
| *სესხები* | *57.8* | *45.9* | *11.9* | *66.0* | *65.9* | *0.1* | *35.0* | *35.0* | | *20.0* | *20.0* | | *20.0* | *20.0* | | *20.0* | *20.0* | |

| დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა | 2009 წლის ფაქტი | | | 2010 წლის წინასწარი | | | 2011 წლის პროგნოზი | | | 2012 წლის პროგნოზი | | | 2013 წლის პროგნოზი | | | 2014 წლის პროგნოზი | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ნაერთი ბიუჯეტი | სახელმწიფო ბიუჯეტი | ტერიტორიული ერთეულების ნაერთი ბიუჯეტი | ნაერთი ბიუჯეტი | სახელმწიფო ბიუჯეტი | ტერიტორიული ერთეულების ნაერთი ბიუჯეტი | ნაერთი ბიუჯეტი | სახელმწიფო ბიუჯეტი | ტერიტორიული ერთეულების ნაერთი ბიუჯეტი | ნაერთი ბიუჯეტი | სახელმწიფო ბიუჯეტი | ტერიტორიული ერთეულების ნაერთი ბიუჯეტი | ნაერთი ბიუჯეტი | სახელმწიფო ბიუჯეტი | ტერიტორიული ერთეულების ნაერთი ბიუჯეტი | ნაერთი ბიუჯეტი | სახელმწიფო ბიუჯეტი | ტერიტორიული ერთეულების ნაერთი ბიუჯეტი |
| *აქციები და სხვა კაპიტალი* | *187.0* | *181.7* | *5.3* | *0.2* | | *0.2* | *0.0* | | | *0.0* | | | *0.0* | | | *0.0* | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| **ვალდებულებების ცვლილება** | **678.4** | **697.4** | **24.7** | **1,255.1** | **1,275.7** | **32.5** | **610.3** | **610.3** | **53.0** | **731.0** | **731.0** | **0.0** | **625.0** | **625.0** | **0.0** | **560.0** | **560.0** | **0.0** |
| ზრდა | 1,046.4 | 1,046.4 | 43.7 | 1,447.0 | 1,447.0 | 53.1 | 854.3 | 854.3 | 53.0 | 870.0 | 870.0 | 0.0 | 1,960.0 | 1,960.0 | 0.0 | 1,165.0 | 1,165.0 | 0.0 |
| *საგარეო* | *786.9* | *786.9* | | *1,275.1* | *1,275.1* | | *754.3* | *754.3* | *0.0* | *670.0* | *670.0* | | *1,760.0* | *1,760.0* | | *965.0* | *965.0* | |
| *საშინაო* | *259.5* | *259.5* | *43.7* | *171.9* | *171.9* | *53.1* | *100.0* | *100.0* | *53.0* | *200.0* | *200.0* | | *200.0* | *200.0* | | *200.0* | *200.0* | |
| კლება | 368.0 | 349.0 | 19.0 | 191.9 | 171.3 | 20.6 | 244.0 | 244.0 | 0.0 | 139.0 | 139.0 | 0.0 | 1,335.0 | 1,335.0 | 0.0 | 605.0 | 605.0 | 0.0 |
| *საგარეო* | *133.1* | *115.9* | *17.2* | *122.9* | *122.9* | *0.0* | *138.9* | *138.9* | | *104.0* | *104.0* | | *1,300.0* | *1,300.0* | | *570.0* | *570.0* | |
| *საშინაო* | *234.9* | *233.1* | *1.8* | *69.0* | *48.4* | *20.6* | *105.1* | *105.1* | | *35.0* | *35.0* | | *35.0* | *35.0* | | *35.0* | *35.0* | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| **ბალანსი** | **0.0** | **0.0** | **0.0** | **0.0** | **0.0** | **0.0** | **0.0** | **0.0** | **0.0** | **0.0** | **0.0** | **0.0** | **0.0** | **0.0** | **0.0** | **0.0** | **0.0** | **0.0** |

## სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი მხარჯავ დაწესებულებების საორიენტაციო ზღვრული მოცულობები 2011-2014 წლებში

| დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა | 2011 წლის დასაქმებულთა საორიენტაციო ზღვრული მოცულობა | 2011 წლის ზღვრული მოცულობა (ათას ლარებში) | 2012 წლის ზღვრული მოცულობა (ათას ლარებში) | 2013 წლის ზღვრული მოცულობა (ათას ლარებში) | 2014 წლის ზღვრული მოცულობა (ათას ლარებში) |
|---|---|---|---|---|---|
| საქართველოს პარლამენტი და მასთან არსებული ორგანიზაციები | 1,414.0 | 40,133.7 | 40,133.0 | 40,133.0 | 40,133.0 |
| საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია | 183 | 14,154.0 | 14,200.0 | 14,200.0 | 14,200.0 |
| საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატი | 42 | 1,300.0 | 1,300.0 | 1,400.0 | 1,400.0 |
| საქართველოს მთავრობის კანცელარია | 205 | 8,500.0 | 8,500.0 | 8,500.0 | 8,500.0 |
| საქართველოს კონტროლის პალატა | 400 | 10,800.0 | 10,800.0 | 10,800.0 | 10,800.0 |
| საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია | 502 | 13,183.9 | 37,000.0 | 37,000.0 | 14,000.0 |
| საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო | 119 | 2,615.0 | 2,680.0 | 2,680.0 | 2,680.0 |
| საქართველოს უზენაესი სასამართლო | 189 | 5,300.0 | 5,300.0 | 5,300.0 | 5,300.0 |
| საერთო სასამართლოები | 2,348 | 32,400.0 | 32,400.0 | 32,400.0 | 32,400.0 |
| საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო | 61 | 1,075.0 | 1,100.0 | 1,100.0 | 1,150.0 |
| სახელმწიფო რწმუნებულის–გუბერნატორის ადმინისტრაცია აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის მუნიციპალიტეტებსა და თვითმმართველ ქალაქ ფოთში | 50 | 1,205.0 | 1,250.0 | 1,250.0 | 1,300.0 |
| სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია ლანჩხუთის, ოზურგეთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებში | 43 | 700.0 | 750.0 | 750.0 | 750.0 |
| სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია ბაღდათის, ვანის, ზესტაფონის, თერჯოლის, სამტრედიის, საჩხერის, ტყიბულის, წყალტუბოს, ჭიათურის, ხარაგაულის, ხონის მუნიციპალიტეტებსა და თვითმმართველ ქალაქ ქუთაისში | 50 | 920.0 | 950.0 | 950.0 | 1,000.0 |
| სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია ახმეტის, გურჯაანის, დედოფლისწყაროს, თელავის, ლაგოდეხის, საგარეჯოს, სიღნაღისა და ყვარლის მუნიციპალიტეტებში | 50 | 940.0 | 950.0 | 950.0 | 1000.0 |

| დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა | 2011 წლის დასაქმებულთა საორიენტაციო ზღვრული მოცულობა | 2011 წლის ზღვრული მოცულობა (ათას ლარებში) | 2012 წლის ზღვრული მოცულობა (ათას ლარებში) | 2013 წლის ზღვრული მოცულობა (ათას ლარებში) | 2014 წლის ზღვრული მოცულობა (ათას ლარებში) |
|---|---|---|---|---|---|
| სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია დუშეთის, თიანეთის, მცხეთისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტებში | 43 | 700.0 | 750.0 | 750.0 | 800.0 |
| სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია ამბროლაურის, ლენტეხის, ონისა და ცაგერის მუნიციპალიტეტებში | 43 | 685.0 | 750.0 | 750.0 | 800.0 |
| სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია ადიგენის, ასპინძის, ახალციხის, ახალქალაქის, ბორჯომისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებში | 43 | 725.0 | 750.0 | 800.0 | 800.0 |
| სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია ბოლნისის, გარდაბნის, დმანისის, თეთრიწყაროს, მარნეულის, წალკის მუნიციპალიტეტებსა და თვითმმართველ ქალაქ რუსთავში | 50 | 895.0 | 895.0 | 900.0 | 900.0 |
| სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია გორის, კასპის, ქარელისა და ხაშურის მუნიციპალიტეტებში | 43 | 740.0 | 750.0 | 800.0 | 800.0 |
| ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი | 38 | 1,301.0 | 1,350.0 | 1,400.0 | 1,400.0 |
| დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი | 20 | 623.2 | 650.0 | 700.0 | 700.0 |
| რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი | 22 | 1,000.0 | 1,100.0 | 1,200.0 | 1,200.0 |
| საქართველოს ფინანსთა სამინისტრო | 4,475 | 113,044.4 | 110,000.0 | 105,000.0 | 105,000.0 |
| საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო | 959 | 33,294.7 | 33,000.0 | 33,000.0 | 33,000.0 |
| საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო | 327 | 222,107.5 | 225,000.0 | 250,000.0 | 250,000.0 |
| საქართველოს იუსტიციის სამინისტრო | 1,713 | 68,700.0 | 50,000.0 | 50,000.0 | 50,000.0 |

| დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა | 2011 წლის დასაქმებულთა საორიენტაციო ზღვრული მოცულობა | 2011 წლის ზღვრული მოცულობა (ათას ლარებში) | 2012 წლის ზღვრული მოცულობა (ათას ლარებში) | 2013 წლის ზღვრული მოცულობა (ათას ლარებში) | 2014 წლის ზღვრული მოცულობა (ათას ლარებში) |
|---|---|---|---|---|---|
| საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო | 5,043 | 105,065.0 | 110,000.0 | 110,000.0 | 100,000.0 |
| საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო | 612 | 73,236.0 | 75,000.0 | 75,000.0 | 75,000.0 |
| საქართველოს თავდაცვის სამინისტრო | 39,700 | 660,000.0 | 690,444.0 | 721,705.0 | 753,075.2 |
| საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო | 28,532 | 566,000.0 | 566,000.0 | 566,000.0 | 566,000.0 |
| საქართველოს დაზვერვის სამსახური | 160 | 5,000.0 | 5,000.0 | 6,000.0 | 6,000.0 |
| საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო | 1,720 | 550,842.1 | 580,000.0 | 640,000.0 | 700,000.0 |
| საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო | 399 | 53,000.0 | 55,000.0 | 60,000.0 | 60,000.0 |
| საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო | 172 | 28,399.4 | 30,000.0 | 30,000.0 | 30,000.0 |
| საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო | 3,441 | 1,569,974.6 | 1,630,000.0 | 1,770,000.0 | 1,930,000.0 |
| საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო | 118 | 7,818.1 | 8,000.0 | 8,100.0 | 8,100.0 |
| საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო | 563 | 52,774.0 | 60,000.0 | 70,000.0 | 80,000.0 |
| საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო | 2,029 | 21,985.6 | 24,000.0 | 24,000.0 | 24,000.0 |
| საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო | 56 | 35,000.0 | 35,000.0 | 36,000.0 | 37,000.0 |
| საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური | 3,550 | 47,500.0 | 47,500.0 | 47,500.0 | 47,500.0 |
| საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი | 71 | 1,650.0 | 1,650.0 | 1,650.0 | 1,650.0 |
| სსიპ – საზოგადოებრივი მაუწყებელი | 79 | 25,000.0 | 26,100.0 | 29,000.0 | 33,000.0 |
| სსიპ – სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო | 37 | 500.0 | 500.0 | 400.0 | 400.0 |
| სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაცია | 90 | 8,840.0 | 8,840.0 | 8,840.0 | 8,840.0 |
| საქართველოს საპატრიარქო | | 22,800.0 | 22,800.0 | 22,800.0 | 22,800.0 |
| სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო | 291 | 4,757.9 | 4,757.9 | 4,757.9 | 4,757.9 |

| დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა | 2011 წლის დასაქმებულთა საორიენტაციო ზღვრული მოცულობა | 2011 წლის ზღვრული მოცულობა (ათას ლარებში) | 2012 წლის ზღვრული მოცულობა (ათას ლარებში) | 2013 წლის ზღვრული მოცულობა (ათას ლარებში) | 2014 წლის ზღვრული მოცულობა (ათას ლარებში) |
|---|---|---|---|---|---|
| სსიპ – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური - საქსტატი | 149 | 4,201.0 | 5,000.0 | 4,000.0 | 4,000.0 |
| სსიპ - თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტო | 9 | 180.0 | 180.0 | 190.0 | 200.0 |

## სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი მხარჯავი დაწესებულებების საშუალოვადიანი პრიორიტეტები და მათი დაფინანსების საპროგნოზო მოცულობები

### საქართველოს კონტროლის პალატა

1. **INTOSAI-ის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად საქართველოს კონტროლის პალატის ინსტიტუციური განვითარება, დამოუკიდებელ თანამედროვე უმაღლეს აუდიტორულ ორგანოდ ჩამოყალიბება**

**პრიორიტეტის აღწერა და მიზანი**

საქართველოს საჯარო ფინანსების მართვის სისტემაში გარე აუდიტი საჭიროებს არსებით გარდაქმნას, რადგან სახელმწიფო სახსრების კონტროლის მეთოდოლოგია ეფუძნება ფინანსური კონტროლის მოძველებულ ფორმებს. თანამედროვე გარე აუდიტის სისტემამ განავითარა ფინანსური და ეფექტიანობის აუდიტის მნიშვნელოვანი სახელმძღვანელო პრინციპები და სტანდარტები, რომლებიც არსებითად განსხვავდება მოქმედი კონტროლის ფორმებისაგან.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კონტროლის პალატის შესაძლებლობების გაძლიერებისათვის აუცილებელია:

- სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავება (განახლება);
- INTOSAI-ის სტანდარტების შესაბამისად ფინანსური და ეფექტიანობის აუდიტის სახელმძღვანელოების დამტკიცება და პრაქტიკაში დანერგვა;
- აუდიტის ხარისხის კონტროლის სისტემის შექმნა;
- სახელმწიფო აუდიტორის სასერტიფიკაციო პროგრამის მომზადება და სახელმწიფო აუდიტორების სერტიფიცირება;
- საზოგადოების ნდობის ხარისხის ამაღლება, კომუნიკაციების გაუმჯობესება საქართველოს პარლამენტთან, აუდიტის ობიექტებთან, დონორებთან და პროფესიულ საერთაშორისო ორგანიზაციებთან.

**მოსალოდნელი შედეგი:**

კონტროლის პალატის თანამედროვე, დამოუკიდებელ, სახელმწიფო სექტორის უმაღლეს აუდიტორულ ორგანოდ ჩამოყალიბება, რომელიც სრულად პასუხობს საერთაშორისო მოთხოვნებს და სარგებლობს საზოგადოების ნდობის მაღალი ხარისხით.

## 2. საჯარო ფინანსების მართვის განვითარების ხელშეწყობა

### პრიორიტეტის აღწერა და მიზანი

- საჯარო ფინანსების მართვაში თანამედროვე საერთაშორისო მეთოდების დანერგვის ხელშეწყობა;
- სახელმწიფო სექტორში შიდა კონტროლის სისტემის ჩამოყალიბების მხარდაჭერა და შიდა აუდიტის ინსტიტუტის დანერგვის ხელშეწყობა;
- ანგარიშვალდებულების, გამჭირვალობის, საჯაროობის და ეფექტიანობის გაუმჯობესება.

**მოსალოდნელი შედეგი:**

სახელმწიფო ფინანსების მართვის გაუმჯობესება, მისი საჯაროობისა და გამჭირვალობის უზრუნველყოფა, ადამიანური რესურსების და სახელმწიფო სახსრების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლება.

# საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

## 1. ინსტიტუციური რეფორმის დასრულება

### პრიორიტეტის აღწერა და მიზანი

სასამართლოს საქმიანობის ეფექტურობის ამაღლებისა და საქმეთა განხილვის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით მოხდება რაიონული (საქალაქო) სასამართლოების გაერთიანება და გამსხვილება, სადაც მაღალკვალიფიციური სამოსამართლო კორპუსის პირობებში, შესაძლებელი გახდება საქმეთა განხილვის სპეციალიზაციის დამკვიდრება. ამასთან, გაერთიანებულ სასამართლოებში დანიშნული მაგისტრატი მოსამართლეები უზრუნველყოფენ მცირე მნიშვნელობის საქმეთა სწრაფად და ეფექტურად გადაწყვეტას.

სასამართლო სისტემაში დაინერგება ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემა, შემუშავდება სასამართლო საქმისწარმოების ახალი წესი, რის შედეგადაც შესაძლებელი გახდება საპროცესო ვადების ავტომატურ რეჟიმში კონტროლი და დაჩქარდება საქმეთა განხილვა.

**მოსალოდნელი შედეგი:**

ჩამოყალიბდება ძლიერი და ეფექტური სასამართლო სისტემა.

## 2. მოსამართლეთა ვაკანსიების ეტაპობრივად შევსება და დაწინაურების კრიტერიუმების დახვეწა

### პრიორიტეტის აღწერა და მიზანი

სასამართლო სისტემის მთელი ქვეყნის მასშტაბით ნორმალური ფუნქციონირებისათვის საჭიროა მოსამართლეთა ვაკანტური ადგილების ეტაპობრივად შევსება. შესაბამისად, განხორციელდება იუსტიციის უმაღლეს სკოლაში მისაღები კონკურსების ჩატარება და მოსამართლედ გამწესება მოხდება იუსტიციის უმაღლეს სკოლაში სავალდებულო სასწავლო კურსის გავლის შემდეგ, ხოლო მოსამართლედ გამწესების ძირითადი კრიტერიუმი იქნება მის მიერ საკვალიფიკაციო სიაში დაკავებული რიგითი ნომერი; სასამართლოს დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად მომზადდება საფუძველი მოსამართლეთა უვადოდ დანიშვნისათვის და განისაზღვრება მოსამართლეთა დაწინაურების კრიტერიუმები.

**მოსალოდნელი შედეგი:**

მოსამართლეები ზემდგომ სასამართლო ინსტანციაში დაწინაურდებიან მათი კვალიფიკაციის, გამოცდილებისა და სხვა ობიექტური კრიტერიუმების გათვალისწინებით.

### 3. მოსამართლეთა და სასამართლოების მოსამსახურეთა სოციალური დაცვის გარანტიების გაუმჯობესება

**პრიორიტეტის აღწერა და მიზანი**

სასამართლოს დამოუკიდებლობის და ობიექტურობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია როგორც მოსამართლეთა, ასევე სასამართლო მოსამსახურეთა სოციალური პირობების გაუმჯობესება, მათი ხელფასების ეტაპობრივი ზრდა.

**მოსალოდნელი შედეგი:**

მოსამართლეებს შეექმნებათ მყარი სოციალური დაცვის გარანტიები, რაც ხელს შეუწყობს სასამართლოს დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობას.

## ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი

### 1. NATO-ში ინტეგრაციის კოორდინაცია

**პრიორიტეტის აღწერა და მიზანი**

NATO წარმოადგენს ევრო-ატლანტიკური უსაფრთხოების ყველაზე ინსტიტუციონალიზებულ და ქმედით ორგანიზაციას, რომელიც ეფუძნება საერთო დემოკრატიულ ფასეულობებს. NATO-ში გაწევრიანება საქართველოსთვის უსაფრთხოების სტაბილური გარანტია და ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტია.

NATO-ში ინტეგრაციისათვის საჭირო პირობების შექმნის მიზნით აუცილებელია ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის პროცესში ჩართული უწყებების ეფექტური მონაწილეობის, ეროვნული წლიური პროგრამის შემუშავების, მისი განხორციელების მონიტორინგის, NATO-საქართველოს კომისიის ფარგლებში შეხვედრების მომზადების და სხვა ღონისძიებების კოორდინაცია.

**მოსალოდნელი შედეგები:**

- NATO-სთან საქართველოს თანამშრომლობის გაღრმავება;
- წლიური ეროვნული პროგრამით გათვალისწინებული რეფორმების წარმატებით განხორციელება;
- NATO-ში ინტეგრაციის დინამიკის შენარჩუნების უზრუნველყოფა და ალიანსთან შედეგზე ორიენტირებული პოლიტიკური დიალოგის წარმოება საბოლოო გაწევრიანების მიზნით.

## 2. ევროკავშირში ინტეგრაციის კოორდინაცია

### პრიორიტეტის აღწერა და მიზანი

ევროკავშირთან ინტეგრაცია საქართველოს საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი პრიორიტეტია. მისი განხორციელება ხელს შეუწყობს საქართველო-ევროკავშირს შორის პოლიტიკური, სავაჭრო-ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობების განვითარებას, ქვეყნის უსაფრთხოების გაზრდას, საქართველოში უცხოური ინვესტიციებისა და ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის ზრდას, მოქალაქეების მიგრაციისა და დასაქმების ლეგალიზაციას და ზოგადად, ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას.

ევროკავშირში ინტეგრაციისათვის საჭირო პირობების შექმნისათვის აუცილებელია:

- ევროპული სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის (ENP AP) წარმატებული განხორციელება;
- ევროკავშირთან „ევროკავშირის აღმოსავლეთ სამეზობლოსთან პარტნიორობის“ (Eastern Partnership) ფორმატში თანამშრომლობის განვითარება;
- ევროკავშირთან „პარტნიორობა მობილურობისათვის“ (Mobility Partnership) ფარგლებში თანამშრომლობის განვითარება;
- ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების შესახებ, რომელიც შეიცავს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებას (DCFTA), მოლაპარაკებების წარმატებით დასრულება;
- საქართველო-ევროკავშირს შორის სავიზო რეჟიმის გამარტივებისა და რეადმისიის ხელშეკრულების ხელმოწერა და განხორციელება და ევროკავშირთან სავიზო ლიბერალიზაციის პროცესის გაგრძელება;
- ევროკავშირის დახმარების პროგრამებისა და ინსტრუმენტების სრულფასოვანი და მასშტაბური ამოქმედების ხელშეწყობა;
- ევროკავშირის სააგენტოებთან თანამშრომლობა და ევროკავშირის პროგრამების ფარგლებში აქტიური მონაწილეობის ხელშეწყობა.

### მოსალოდნელი შედეგები:

- სახელმწიფო ინსტიტუტების მშენებლობასა და დემოკრატიულ განვითარებაში ევროკავშირის აქტიური მხარდაჭერა;
- საქართველო-რუსეთის კონფლიქტის მოგვარებაში და სტაბილურობის უზრუნველყოფაში ევროკავშირის აქტიური მონაწილეობა;

- ევროკავშირის ბაზარზე ქართული პროდუქციის ექსპორტისა და საქართველოში უცხოური ინვესტიციების ზრდის ხელშემწყობი ფაქტორების გაფართოება;
- ევროკავშირთან სავიზო რეჟიმის გამარტივება, ევროკავშირის წევრ ქვეყნებში საქართველოს მოქალაქეთა ლეგალური გადაადგილებისა და დასაქმების ხელშემწყობი გარემოებების ზრდა.

## დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი

### 1. ქართული დიასპორების სამშობლოსთან ინტეგრაცია

**პრიორიტეტის აღწერა და მიზანი**

ქართული დიასპორების სამშობლოსთან ინტეგრაცია იყო და კვლავ რჩება ქვეყნის ერთ-ერთ პრიორიტეტად, საჭიროა სამშობლოდან სხვადასხვა მიზეზთა გამო გასული მოსახლეობის მაქსიმალური ჩართვა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. შესაბამის სახელმწიფო უწყებებთან თანამშრომლობით მათთვის კონკრეტული პროექტების შეთავაზება და პოპულარიზაცია.

ქართული დიასპორების სამშობლოსთან ინტერგაციისათვის აუცილებელია:

- ყოველწლიურად საქართველოში დიასპორის დღის აღნიშვნა და ქართული დიასპორის წარმომადგენელთა ჩართვა დიასპორის დღისადმი მიძღვნილ კულტურულ ღონისძიებებში;
- საზღვარგარეთ ქართული სახლების დაფუძნება და მათი მხარდაჭერა;
- ბიზნეს ფორუმების ჩატარება საქართველოში და საზღვარგარეთ;
- ქართული კომპანიების დიასპორულ ორგანიზაციებთან დაკავშირება;
- საზღვარგარეთ მოღვაწე ქართველი ბიზნესმენებისთვის საინვესტიციო პროექტების შეთავაზება;
- ქართული დიასპორის კავშირების გამოყენება საქართველოში უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად;

**მოსალოდნელი შედეგები:**

- სხვადასხვა ქვეყნებში მოქმედი ქართული სათვისტომოების ერთმანეთთან დაახლოება;
- დიასპორებსა და ქართულ საზოგადოებას შორის კავშირურთიერთობების გაღრმავება;
- ქართულ დიასპორაში არსებული კაპიტალის და ინვესტიციების საქართველოში მოზიდვა და დაბანდება;

### 2. ქართულ დიასპორებში განათლებისა და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება

### პრიორიტეტის აღწერა და მიზანი

ქართულ დიასპორებში განათლებისა და კულტურული მემკვიდრების შენარჩუნება ითვალისწინებს საზღარგარეთ არსებული ფოლკლორული ანსამბლების და საკვირაო სკოლების მხარდაჭერას, კულტურული და საგანმანათლებლო ღონისძიებების მოწყობას და კულტურულ მემკვიდრეობაზე მეურვეობას, რისთვისაც აუცილებელია:

- ფოლკლორული ანსამბლების ტრადიციული ფორმებით და მუსიკალური საკრავებით მომარაგება;
- საკვირაო სკოლების შესაბამისი ლიტერატურით მომარაგება;
- საინფორმაციო რესურსებისა და კულტურული ღონისძიებების მხარდაჭერა;
- დიასპორასთან ინტერნეტ-კავშირის სრულყოფა და ონლაინ პროექტების განვითარება;
- საზღვარგარეთ ქართული სატელევიზიო და სხვა მედია პროექტების შექმნა/პოპულარიზაცია;
- მოსწავლეთა გაცვლითი პროგრამების ხელშეწყობა.

### მოსალოდნელი შედეგი:

სხვადასხვა ქვეყნებში მცხოვრებ ქართულ დიასპორებში შენარჩუნებული იქნება ქართული ენა, მუსიკალური და ფოლკლორული ხელოვნება.

## საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

### 1. საბიუჯეტო პროცესის შემდგომი განვითარება და სრულყოფა

### პრიორიტეტის აღწერა და მიზანი

ბოლო წლების განმავლობაში საქართველოს საბიუჯეტო პროცესში მნიშვნელოვანი რეფორმები განხორციელდა, რის შედეგადაც დაიწყო ბიუჯეტის დანერგვა MTEF-ის პრინციპების მიხედვით, საბიუჯეტო კლასიფიკაცია გადავიდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის GFSM-2001 კლასიფიკაციაზე, შემუშავდა ,,საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი‘‘, რომელმაც ერთიან სისტემაში მოაქცია და გაამარტივა ქვეყნის საბიუჯეტო პროცესი.

რეფორმების შედეგად ასევე გაუმჯობესდა საბიუჯეტო სახსრების აღრიცხვა და ანგარიშგება, დაიწყო მუშაობა სახელმწიფო სექტორში აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IPSAS) და ინტეგრირებული სახელმწიფო ფინანსური საინფორმაციო სისტემის (PFMS) დანერგვის მიმართულებით.

ზემოაღნიშნული რეფორმების მიუხედავად საქართველოს საბიუჯეტო პროცესი კვლავაც საჭიროებს შემდგომ განვითარებასა და სრულყოფას, შესაბამისად სახელმწიფო ფინანსების მართვის რეფორმის ფარგლებში გასატარებელია რიგი ღონისძიებები,

რომლებმაც უნდა უზრუნველყონ საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი საბიუჯეტო პროცესის ჩამოყალიბება.

საშუალოვადიან პერიოდში პრიორიტეტის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ძირითადი ღონისძიებები:

- პროგრამული და კაპიტალური ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის შემუშავება;
- მხარჯავი დაწესებულებებისა და ტერიტორიული ერთეულების წარმომადგენლებთან სამუშაო შეხვედრების ორგანიზება პროგრამული ბიუჯეტის შედგენისა და შესრულების კრიტერიუმების შემუშავების მიზნით;
- საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისი, ყოველწლიური, კონსოლიდირებული, ფინანსური ანგარიშგების სისტემის შემუშავება;
- შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის სისტემის შექმნა და დანერგვა, რომელიც გაერთიანებს საბიუჯეტო პროცესის ყველა მონაწილე მხარეს პროცესის ყველა ეტაპზე;
- მაკრო და ფისკალური პროგნოზირების მოდელის გაუმჯობესება;
- არსებული ფინანსური რესურსების სტრატეგიული მართვა;
- სახელმწიფოს შიდა და გარე ვალის (ვალის მდგრადობაზე კონცენტრირებით) მართვის და მონიტორინგის მექანიზმების გაუმჯობესება;
- საჯარო სამართლის იურიდიული პირების მონაცემთა ბაზის მუდმივი განახლება და გაფართოვება;
- IPSAS-ის აღრიცხვის სტანდარტის თანმიმდევრული დანერგვის პროცესის გაგრძელება, რაც გულისხმობს მოდიფიცირებულ საკასო მეთოდის დანერგვას და დარიცხვის მეთოდზე დაფუძნებული სისტემის ჩამოყალიბებისათვის შესაბამისი ბაზის მომზადებას;
- ელექტრონული ხაზინის სისტემის შექმნა და დანერგვა;

**მოსალოდნელი შედეგები:**

- ქვეყნის საბიუჯეტო პროცესში პროგრამული და კაპიტალური (შედეგებზე ორიენტირებული) ბიუჯეტის დანერგვა და საბიუჯეტო პროცესის გამჭირვალობის ზრდა;
- საბიუჯეტო პროცესის მარეგულირებელი სრულყოფილი ნორმატიული ბაზა;
- ბიუჯეტის დაგეგმვისა და აღსრულების გამარტივებული პროცედურები;
- გაუმჯობესებული მაკროეკონომიკური პროგნოზირება;
- ეტაპობრივად შემცირებული საბიუჯეტო დეფიციტი;
- IPSAS-ის აღრიცხვის სტანდარტის პრაქტიკაში დანერგვა;

## 2. საგადასახადო პოლიტიკა და გადამხდელთა მომსახურების გაუმჯობესება

**პრიორიტეტის აღწერა და მიზანი**

ბოლო წლების განმავლობაში გამარტივდა საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა, შემცირდა გადასახადების განაკვეთები, რამაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ქვეყანაში ინვესტიციების შემოდინებას და ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას, რის შედეგადაც ყოველწლიურად იზრდებოდა საგადასახადო შემოსავლების მოცულობა, თუმცა მომავალშიც აუცილებელია საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა, საგადასახადო და საბაჟო ორგანოების მუშაობის ეფექტურობის ზრდა და საგადასახადო პოლიტიკაში დაგეგმილი რეფორმების შესახებ საზოგადოების და გადამხდელთა სისტემატური ინფორმირება.

საშუალოვადიან პერიოდში პრიორიტეტის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ღონისძიებების განხორციელება:

- გადამხდელთა ელექტრონული მომსახურების სისტემის შემდგომი განვითარება;
- საგადასახადო და საბაჟო პუნქტების მშენებლობა-რეაბილიტაცია;
- საგადასახადო-საბაჟო პროცედურების დახვეწა, საერთო სტანდარტების დანერგვა;
- გადამხდელთა მომსახურების გამარტივება და მათი ინფორმირებულობის და საჯაროობის ამაღლება;
- საგადასახადო დავების განხილვის სისტემის გაუმჯობესება;
- საგადასახადო-საბაჟო საკანონმდებლო ბაზის გაუმჯობესება;
- ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების მიზნით სხვადასხვა ქვეყნებთან შესაბამისი შეთანხმებების გაფორმება;

**მოსალოდნელი შედეგები:**

- ლიბერალური საგადასახადო კანონმდებლობის შედეგად ქვეყანაში საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება;
- ძლიერი და ეფექტური საბაჟო-საგადასახადო სისტემის ჩამოყალიბება;
- საგადასახადო საჩივრების რაოდენობის შემცირება;
- საგადასახადო შემოსავლების ადმინისტრირების გაუმჯობესება;

## საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

### 1. ეკონომიკური პოლიტიკა და მისი განხორციელების კოორდინაცია

**პრიორიტეტის აღწერა და მიზანი**

გასული პერიოდის გლობალური უარყოფითი ეკონომიკური მოვლენების გათვალისწინებით, ქვეყნის ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტის, ეკონომიკის განვითარებისა და ზრდის მისაღწევად აუცილებელია ზრდის ტემპის მატების უზრუნველმყოფი ეკონომიკური პოლიტიკის გატარება, რომელშიც იგულისხმება თანმიმდევრული ნაბიჯების გადადგმა ეკონომიკის შემდგომი ლიბერალიზაციის მიზნით, რაც წარმოადგენს ინვესტიციების მოზიდვის საფუძველს.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობისათვის აუცილებელია:

- ეკონომიკური პროცესების ანალიზი, სექტორული კვლევა ქვეყნის ეკონომიკის ძლიერი და სუსტი მხარეების გამოსავლენად;
- შესაბამისი ღონისძიებების გატარებისთვის რეკომენდაციების შემუშავება;
- მაკროეკონომიკური სტატისტიკური მონაცემების ანალიზი და შესაბამისი ანგარიშების მომზადება;
- სამშენებლო სფეროს შემდგომი ლიბერალიზაციის მიზნით შესაბამისი (მათ შორის საკანონმდებლო) ცვლილებების განხორციელება;

**მოსალოდნელი შედეგები:**

- სტაბილური მარკოეკონომიკური გარემოს შენარჩუნება საშუალოვადიან და გრძელვადიან პერსპექტივაში;
- სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ანალიტიკური ცენტრების მიერ საქართველოსადმი მინიჭებული მაღალი რეიტინგები;

## 2. უცხოური ინვესტიციების მოზიდვა, ტურიზმის, ხარისხის ინფრასტრუქტურისა და საგარეო ვაჭრობის განვითარება

**პრიორიტეტის აღწერა და მიზანი**

ქვეყნის საინვესტიციო და ტურისტული მიმზიდველობის ზრდა უცხოური ინვესტიციების ზრდის მნიშვნელოვანი წინაპირობაა. აუცილებელია საერთაშორისო დონეზე და ქვეყნის შიგნით ისეთი ღონისძიებების გატარება, რომლებიც ერთის მხრივ, უზრუნველყოფენ ქვეყანაში არსებული საინვესტიციო და ტურისტული შესაძლებლობების დემონსტრირებას, ხოლო მეორეს მხრივ, წარმოქმნის ახალ შესაძლებლობებს და ხელს შეუწყობს ინვესტიციების შემოდინებას ქვეყნის ეკონომიკის სხვადასხვა სექტორში.

საქართველოს ტურისტული იმიჯის პოპულარიზაცია საერთაშორისო ბაზრებზე პირდაპირ გავლენას იქონიებს ამ ქვეყნებიდან ტურისტების რაოდენობის ზრდაზე. შედეგად მოხდება ტურისტული კომპანიების სტიმულირება აღნიშნულ ბაზრებზე საქმიანობის უფრო აქტიურად წარმართვისათვის. შიდა ტურიზმის განვითარება ხელს შეუწყობს საქართველოს ეფექტური პოზიციის დაკავებაში მიზნობრივ ტურისტულ ბაზრებზე. ქვეყანაში ტურიზმის განვითარებისათვის ძალზედ მნიშვნელოვანია ასევე ტურისტული ინფრასტუქტურისა და ტურისტული ადგილების განვითარების ხელშეწყობა და ტურიზმის სფეროში მომსახურეობის ხარისხის გაუმჯობესება.

ქვეყნის საგარეო ვაჭრობის შემდგომი განვითარებისთვის და სავაჭრო სტრუქტურული გაუმჯობესებისთვის მნიშვნელოვანია საგარეო სავაჭრო ურთიერთობების რეგულარული ანალიზი და რეკომენდაციების შემუშავება. უცხოურ ბაზრებზე ტექნიკური ბარიერების დაძლევისათვის საჭიროა ქვეყანაში წარმოებული პროდუქციისა და მომსახურების კონკურენტუნარიანობის ზრდა, რისთვისაც უნდა მოხდეს ტექნიკური რეგულირების სფეროს განვითარება საერთაშორისოდ აღიარებულ ნორმებთან დაახლოვების კუთხით.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით საშუალოვადიან პერიოდში უნდა განხორციელდეს შემდეგი ღონისძიებები:

- საერთაშორისო გამოფენებში მონაწილეობა;
- ფესტივალების და დღესასწაულების ორგანიზება;
- გამოფენების მოწყობა საქართველოს ტერიტორიაზე;
- საქართველოს ტურისტული შესაძლებლობების პოპულარიზაცია პრესით და ტელევიზიით;
- ახალი ტურისტული პროდუქტის შექმნა და მათი განვითარებისათვის პროექტების განხორციელება;
- უცხოური და ადგილობრივი მედიის წარმომადგენლებისათვის პრეს-ტურების მოწყობა;
- საერთაშორისო სტანდარტების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით თანამშრომლობა (გაწევრიანება) შესაბამის საერთაშორისო ორგანიზაციებთან;
- სტანდარტების რეესტრის მონაცემთა ბაზის სრულყოფა, გამზომი საშუალების დამოწმების აღიარება და აკრედიტაციის სამუშაოების განხორციელება;

**მოსალოდნელი შედეგები:**

- ქვეყნის საინვესტიციო მიმზიდველობისა და უცხოური ინვესტიციების ზრდა ქვეყნის ეკონომიკაში;
- ტურისტების რაოდენობის ზრდა;
- წარმოებული პროდუქციისა და მომსახურების კონკურენტუნარიანობის ამაღლება;
- საქართველოს პროდუქციისთვის უცხოურ ბაზარზე შეღწევისათვის ტექნიკური ბარიერების შემცირება;
- სავაჭრო ბრუნვის სტრუქტურული გაუმჯობესება და სავაჭრო რეჟიმების განვითარება.

### 3. სახელმწიფო ქონების პრივატიზება

**პრიორიტეტის აღწერა და მიზანი**

სახელმწიფოს საკუთრებაში დარჩენილი აქტივების უმეტესი ნაწილი არ არის სრულფასოვნად ჩართული ეკონომიკურ საქმიანობაში, მათი ნაწილი იმყოფება არასახარბიელო ფინანსურ და ეკონომიკურ მდგომარეობაში. შესაბამისად, მნიშვნელოვანია აღნიშნული ქონების გადასვლა კერძო სექტორში, რათა მოხდეს მათი სრულად ჩართვა ეკონომიკურ საქმიანობაში, რისთვისაც აუცილებელია სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საწარმოებისა და ქონების საპრივატიზებოდ მომზადება და შემდგომში მათი პრივატიზაცია.

**მოსალოდნელი შედეგები:**

- სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების დიდი ნაწილის ეკონომიკურ საქმიანობაში ჩართვა;
- ყოფილი სახელმწიფო საკუთრების ობიექტებში ინვესტიციების მოზიდვა;

## საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო

### 1. საქართველოს საავტომობილო გზების ინფრასტრუქტურის განვითარება

**პრიორიტეტის აღწერა და მიზანი**

საავტომობილო გზების ინფრასტრუქტურის განვითარება ბოლო წლების განმავლობაში ქვეყნის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს და შესაბამისად წლების განმავლობაში ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი თანხები მიიმართებოდა, რის შედეგადაც გაუმჯობესდა საგზაო ინფრასტრუქტურის ძირითადი მონაკვეთები.

ზემოაღნიშნულის მიუხედავად, საქართველოში ტურიზმის განვითარებისა და ეკონომიკური საქმიანობის გაუმჯობესებისათვის მომდევნო წლებში აუცილებელია საგზაო ინფრასტრუქტურის შემდგომი განვითარებისათვის დამატებითი რესურსების მიმართვა.

დაგეგმილია შემდეგი პროექტების განხორციელება:

- ძირითად საავტომობილო გზებზე ავტოტრანსპორტის გაზრდილი ნაკადის გამტარუნარიანობის და საერთაშორისო გადამზიდავი კომპანიების ინტერესების გათვალისწინებით, საავტომობილო გზების მახასიათებლების საერთაშორისო მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა;
- ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფნის შემადგენელი ნაწილის ფოთი-თბილისი-წითელი ხიდის საავტომობილო გზის (E-60 ავტომაგისტრალი) და აჭარის შემოვლითი გზის (E-70 ავტომაგისტრალი) ცალკეული მონაკვეთების რეკონსტრუქცია-მოდერნიზაცია;
- რიკოთის გვირაბის სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება;
- მუნიციპალურ ცენტრებთან, ძირითად საკურორტო, ისტორიულ და კულტურულ ძეგლებთან, მოსაზღვრე ქვეყნებთან მისასვლელი საავტომობილო გზების პერიოდული შეკეთება და რეაბილიტაცია;
- საავტომობილო გზების მიმდინარე შეკეთება და შენახვა ზამთრის პერიოდში, სტიქიური მოვლენების სალიკვიდაციო და პრევენციის მიზნით სამუშაოების ჩატარება;

**მოსალოდნელი შედეგები:**

- საავტომობილო გზების ინფრასტრუქტურის განვითარება და მისი ხარისხის გაუმჯობესება;
- საქართველოს, როგორც სატრანზიტო ქვეყნის პოტენციალის გაზრდა;
- ავტოტრანსპორტის ნაკადის გამტარუნარიანობის გაზრდა;

• საავტომობილო გზების მახასიათებლების საერთაშორისო მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა და ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფანში ინტეგრაცია;

• ავტომობილების საოპერაციო დანახარჯების შემცირება, რაც გულისხმობს ცემენტო-ბეტონის საფარიან საავტომობილო გზებზე მოძრაობისას ავტომობილების მიერ დაახლოებით 10 პროცენტით ნაკლები საწვავის მოხმარებას (მსოფლიო ბანკის ექსპერტთა დასკვნის მიხედვით);

• საავტომობილო გზების მიმდებარე დასახლებულ პუნქტებში ინფრასტრუქტურის, მათ შორის ტურიზმისა და ვაჭრობის განვითარება და ქვეყანაში საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება;

• საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში მცხოვრებ მოსახლეობას შორის ინტეგრაციის და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება.

• საავტომობილო გზების საექსპლუატაციო მაჩვენებლების გაუმჯობესება.

## 2. რეგიონული ინფრასტრუქტურის განვითარება

### პრიორიტეტის აღწერა და მიზანი

ბოლო წლებში საგზაო და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიუხედავად, ზოგიერთ რაიონში კვლავ პრობლემატურია შიდა რაიონული და სოფლის გზების მოწესრიგების საკითხი, ასევე მნიშვნელოვანია რეგიონებში წყალმომარაგების და წყალარინების სამშენებლო-სარეაბილიტაციო პროექტების განხორციელება, შესაბამისად მომდევნო წლებში დაგეგმილია:

• ქობულეთში, ქუთაისში და ბორჯომში წყალმომარაგების და წყალარინების სამშენებლო-სარეაბილიტაციო ღონისძიებების ჩატარება, კერძოდ:

- სატუმბი სადგურების მშენებლობა;
- გამწმენდი ნაგებობების მშენებლობა-რეაბილიტაცია;
- სისტემის გამრიცხველიანება;
- ხარჯმზომების შესყიდვა და მონტაჟი;
- წყლის სისტემების რეზერვუარების მშენებლობა და არსებულის რეაბილიტაცია.

• თვითმმართველ ქალაქებსა და მუნიციპალიტეტებში შიდა გზებისა და ქუჩების რეაბილიტაცია;

• წყალმომარაგების სათავე ნაგებობებისა და შიდა ქსელის, კანალიზაციის, გამწმენდი ნაგებობის და სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია.

### მოსალოდნელი შედეგები:

• მუნიციპალიტეტებში წყალმომარაგების გაუმჯობესება და წყალჟონვის შემცირება;

• შიდა გზების გამტარუნარიანობის ზრდა.

3. **იძულებით გადაადგილებულ პირთათვის სახლების მშენებლობა-რეაბილიტაცია და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობა-განვითარება;**

**პრიორიტეტის აღწერა და მიზანი**

საქართველოში კონფლიქტური რეგიონების არსებობამ და რუსეთის ფედერაციის აგრესიამ საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი აქცია იძულებით გადაადგილებულ პირებად, რომელთა უმრავლესობა თავდაპირველად დარჩა უსახლკაროდ. წლების განმავლობაში მიმდინარეობდა მუშაობა მათი საცხოვრებელი პირობების გასაუმჯობესებლად, თუმცა მაინც დარჩენილია დევნილთა გარკვეული ნაწილი, რომელთაც კვლავ არ აქვთ საკუთარი სახლები. ასევე, პრობლემატურია ის გარემოება, რომ დევნილთა ჩასახლებებში რიგ შემთხვევებში მოძველებული და მწყობრიდან გამოსულია საყოფაცხოვრებო ინფრასტრუქტურა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მომდევნო წლებში დაგეგმილია დევნილთა ახალი დასახლებების მშენებლობა და არსებულ დასახლებებში ინფრასტრუქტურის განვითარება. დევნილთა დასახლებებისათვის ნაგავმზიდი მანქანებისა და ნაგვის ურნების შესყიდვა.

**მოსალოდნელი შედეგები:**

- იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება.
- დევნილთა დასახლებების სანიტარული პირობების გაუმჯობესება;
- წყალმომარაგების სისტემების გამართული და შეუფერხებელი ფუნქციონირება;
- დასახლებებში შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობის შედეგად ეკონომიკური აქტივობის ზრდა და დევნილი მოსახლეობის დასაქმება;

4. **წყლით უზრუნველყოფის ერთიანი სისტემის ინსტიტუციური მოწყობისა და განვითარების ღონისძიებები**

**პრიორიტეტის აღწერა და მიზანი**

წყლით მომარაგების სისტემის განვითარება წარმოადგენს მნიშვნელოვან ფაქტორს რეგიონების ეკონომიკური განვითარების დაჩქარების საქმეში. ამიტომ აუცილებელია განხორციელებულ იქნას მათი სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები და შემდგომი განვითარების სახელმწიფო მხარდაჭერის ღონისძიებები.

პრიორიტეტის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ღონისძიებების განხორციელება:

- ყოველწლიურად წყლის არსებული ქსელების მოვლის, რეაბილიტაციის, განვითარებისა და მოდერნიზაციის სამუშაოების ჩატარება;
- წყალმომარაგების სიტემების არმქონე სოფლებში, ქალაქების და დაბების უბნებში აუცილებელი სამშენებლო სამუშაოების განხორციელება;

• რეგიონებში წყლის მიწოდებაზე პასუხისმგებელი სამსახურების მეშვეობით თანამდროვე მართვის სისტემის დანერგვა და მოსახლეობის წყლის რესურსებით მომარაგების ეფექტური უზრუნველყოფა;

**მოსალოდნელი შედეგი:**

რეგიონებში წყალმომარაგების ქსელების მშენებლობის და რეაბილიტაციის შედეგად უზრუნველყოფილი იქნება მოსახლეობის წყლით შეუფერხებელი მომარაგება.

## საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

### 1. სისხლის სამართლის სისტემის რეფორმა (იუსტიციის სამინისტროს ნაწილი)

**პრიორიტეტის აღწერა და მიზანი**

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო 2008 წლიდან წარმართავს სისხლის სამართლის სისტემის რეფორმას. ეს პრიორიტეტი მიზნად ისახავს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის განმტკიცებას საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და მართლმსაჯულების ხელმისაწვდომიბის გაუმჯობესებას. აგრეთვე, პროკურატურის ეფექტური სისტემის შექმნას და დანაშაულის შემცირებას. ასევე, არასრუწლოვანთა დანაშაულის რაოდენობის შემცირებას. აღნიშნული რეფორმა ითვალისწინებს სისხლის სამართლის ახალი საპროცესო კოდექსის იმპლემენტაციას, არასრუწლოვანთა მართმლმსაჯულების სისტემის გაუმჯობესებას, პროკურატურის შესახებ საზოგადოებაში ცნობიერების ამაღლებასა და ელექტრონული საქმის წარმოების სისტემის დანერგვას.

პრიორიტეტის ფარგლებში სამინისტროს მიერ განსახორციელებელი ღონისძიებებია:

- უწყებათაშორისი საბჭოს საქმიანობის კოორდინაცია;
- სისხლის სამართლის ახალი საპროცესო კოდექსიდან გამომდინარე, შესაბამისი სამართლებრივი დოკუმენტების მომზადება;
- ნაფიც მსაჯულთა სისტემის დანერგვის ხელშეწყობა;
- პროკურატურის თანამშრომელთა პროფესიული მომზადება;
- სისხლის სამართლის საქმის ინტეგრირებული მართვის სისტემის შექმნა;
- პროკურატურის საზოგადოებრივი საბჭოს შექმნა;
- დაზარალებულთა საკონსულტაციო ცენტრების ფარგლებში დანაშაულის პოტენციური მსხვერპლისათვის საჭირო პირველადი კონსულტაციის გაწევა;
- საზოგადოებრივი პროკურატურის ფარგლებში დანაშაულის პრევენციაზე მიმართული ღონისძიებების ორგანიზება;
- არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციაზე სახელმწიფო კონცეფციის ჩამოყალიბების ხელშეწყობა;

**მოსალოდნელი შედეგები:**

სისხლის სამართლის რეფორმაში ჩართულ უწყებებს, საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობის გაძლიერება და მიმდინარე რეფორმების მონიტორინგის უზრუნველყოფა;

სისხლის სამართლის ახალი საპროცესო კოდექსის შესაბამისად სრულყოფილი სამართლებრივი რეჟიმი;

პროკურატურის მუშაკთა პროფესიული და წარმატებული საქმიანობა, გამოძიებისა და დევნის ორგანოთა მონაცემთა ერთიანი ბაზა;

პროკურატურის ეფექტურობის, გამჭვირვალობისა და საზოგადოებისადმი ანგარიშვალდებულების ზრდა, დანაშაულის პრევენცია და არასრულწლოვანთა შორის დანაშაულის რაოდენობის შემცირება.

## 2. „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს" ელექტრონული გამოქვეყნება და ნორმატიული აქტების სისტემატიზაცია

**პრიორიტეტის აღწერა და მიზანი**

საქართველოს საკანონმდებლო ბაზის სრულყოფისა და საერთაშორისო კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის მიზნით, რეგულარულად ხორციელდება ცვლილებები და დამატებები მოქმედ კანონმდებლობაში. აღნიშნული, თავის მხრივ, მოითხოვს სახელმწიფოს ნორმატიული ბაზის ოფიციალური ვერსიის მომხმარებელთათვის ხელმისაწვდომობის ოპერატიულად უზრუნველყოფას.

პრიორიტეტის მიზნის მისაღწევად დაგეგმილია „საკანონმდებლო მაცნეს" ოფიციალური ვებ-გვერდის შექმნა, სადაც განთავსდება საქართველოს ნორმატიული აქტების კოდიფიცირებული ელექტრონული ვერსიები, რაც აამაღლებს მოსახლეობის ინფორმირებულობის დონეს.

**მოსალოდნელი შედეგები:**

მონაცემთა ბაზაში არსებული ინფორმაცია იქნება მაღალსაიმედო, ოპერატიული, მუდმივად განახლებადი, რაც უზრუნველყოფს ქვეყნის კანონმდებლობის საჯაროობის ზრდას.

## 3. მომხმარებელზე ორიენტირებული, ერთიანი, დაცული და მუდმივად განახლებადი სამოქალაქო რეესტრის ფუნქციონირების უზრუნველყოფა

**პრიორიტეტის აღწერა და მიზანი**

გასული წლების განმავლობაში სამოქალაქო რეესტრის მიერ წამოწყებული იქნა მნიშვნელოვანი რეფორმები, რაც მიზნად ისახავს საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით მოსახლეობის იდენტიფიცირების სისტემის სრულყოფას, ასევე საქართველოს კანონმდებლობით სამოქალაქო რეესტრზე დაკისრებული ფუნქციების ეფექტურად შესრულებას. თუმცა, სამოქალაქო რეესტრის სფეროში მიმდინარე რეფორმების წარმატებით დასრულების მიზნით, საჭიროა სხვა დამატებითი ღონისძიებების განხორციელება.

პრიორიტეტის მიზნის მისაღწევად დაგეგმილია:

- ელექტრონული საიდენტიფიკაცო ბარათების შემოღება;
- დამისამართების პროექტის პროგრამული უზრუნველყოფის დანერგვა;
- საარჩევნო სიების ავტომატური გენერაციის პროგრამული უზრუნველყოფა;
- მონაცემთა ბაზაში საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ბიომეტრიული მონაცემების ასახვა;
- ,,იუსტიციის სახლების‘‘ სამშენებლო/სარემონტო სამუშაოებში მონაწილეობის მიღება და მოქალაქის ,,დახლის პრინციპით‘‘ და ,,ერთი ფანჯრის პრინციპით‘‘ მომსახურების მიზნით, ტერიტორიული სამსახურების თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად მოწყობა;

**მოსალოდნელი შედეგები:**

შეიქმნება ზუსტი, ერთიანი, დაცული, მუდმივად განახლებადი და ელექტრონულ მმართველობაზე დაფუძნებული მონაცემთა ბაზა, რაც უზრუნველყოფს მოქალაქეობის, სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის, მიგრაციის, დოკუმენტების აპოსტილისა და ლეგალიზაციის, საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის მოწმობისა და პასპორტის გაცემასთან დაკავშირებული პროცესის ეფექტურად წარმართვას.

4. **საჯარო რეესტრის, მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის წარმოება და ყველა დაინტერესებული პირისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა**

**პრიორიტეტის აღწერა და მიზანი**

ქვეყნის განვითარებასთან ერთად იზრდება მოთხოვნა ინფორმაციაზე. შესაბამისად, აუცილებელია საქართველოში არსებობდეს ერთიანი რეესტრი, სადაც ასახული იქნება ფიზიკური და იურიდიული პირების ქონებრივი უფლებები, ვალდებულებები და საჯარო

სამართლებრივი შეზღუდვები. აღნიშნული შესაძლებლობას მისცემს ყველა დაინტერესებულ პირს, კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით მიიღოს ამომწურავი ინფორმაცია რეგისტრირებული მონაცემების შესახებ.

პრიორიტეტის მიზნის მისაღწევად დაგეგმილია:

- საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სარეგისტრაციო სამსახურების ცენტრალიზაცია და მომსახურების დეცენტრალიზაცია (მომსახურების გაწევა ავტორიზებულ პირთა მეშვეობით);
- თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ტრენინგების ჩატარება;
- სააგენტოს ოფისების სათანადოდ მოწყობა და ,,იუსტიციის სახლების'' სამშენებლო/სარემონტო სამუშაოებში მონაწილეობა;
- ოფისებს შორის კავშირის და მომსახურების გაუმჯობესების მიზნით, ახალი ტექნოლოგიების განვითარება და დანერგვა;

**მოსალოდნელი შედეგები:**

სააგენტოში თანამშორმელთა კვალიფიკაციის ამაღლება, ახალი ტექნოლოგიების დანერგვა და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება ხელს შეუწყობს ფიზიკური და იურიდიული პირების ქონებრივი უფლებებისა და ვალდებულებების ამსახველი რეესტრის წარმოებას და აღნიშნულ რეესტრში დაცული ინფორმაციის სიზუსტეს და ხელმისაწვდომობას.

## 5. სააღსრულებო სისტემის მოწყობა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად

**პრიორიტეტის აღწერა და მიზანი**

სამართლებრივი სისტემის დახვეწისა და სამართლებრივი ურთიერთობების ზრდასთან ერთად იზრდება სააღსრულებლო სისტემის მნიშვნელობაც. შესაბამისად გაგრძელდეს ის რეფორმები, რომლებიც დაწყებული იქნა გასულ წლებში ამ მიმართულებით, რათა შედეგად საბოლოოდ ჩამოყალიბდეს ეფექტური და ოპერატიული სააღსრულებლო სისტემა.

პრიორიტეტის მიზნის მისაღწევად დაგეგმილია:

- ტერიტორიული ორგანოების თანამედროვე ოფისებით აღჭურვა;
- საინფორმაციო/საკომუნიკაციო სისტემების გაუმჯობესება და ახალი სისტემების დანერგვა;
- პროფესიონალი კადრების შერჩევის ოპტიმალური სისტემის დანერგვა.

**მოსალოდნელი შედეგები:**

გატარებული რეფორმების შედეგად შესაძლებელი გახდება სასამართლო გადაწყვეტილებების დროული და ეფექტური აღსრულება.

## 6. იუსტიციის სამინისტროს სისტემის თანამშრომელთა გადამზადება და სასწავლო ცენტრის განვითარება

**პრიორიტეტის აღწერა და მიზანი**

იუსტიციის სამინისტროს თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სახელმწიფო სტრუქტურის მომსახურების გაუმჯობესებისა და სამინისტროს საქმიანობის ეფექტიანობის ასამაღლებლად. შესაბამისად, აუცილებლობას წარმოადგენს სათანადო ტრეინინგების ჩატარება.

პრიორიტეტის მიზნის მისაღწევად დაგეგმილია:

- „ტრეინინგ-საჭიროებათა განსაზღვრის სტანდარტული მოდელის" მიხედვით, საჭირო ტრეინინგების დადგენა და ფოკუს-ჯგუფების მოწყობა;
- სათანადო სტანდარტების გათვალისწინებით, ტრენერთა შერჩევა და სწავლების მეთოდის განსაზღვრა.

**მოსალოდნელი შედეგები:**

იუსტიციის სამინისტროს სისტემაში ჩატარებული სათანადო ტრეინინგები განსაზღვრულ სფეროებში ხელს შეუწყობს სამინისტროს სისტემის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებას და მომსახურების ხარისხის ზრდას.

## 7. ეროვნული საარქივო ფონდის დაცულობის, მომსახურების თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის და დოკუმენტების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა

**პრიორიტეტის აღწერა და მიზანი**

დღეის მდგომარეობით, საქართველოს ეროვნულ არქივში არ არის შესაბამისი პირობები, რომელიც უზრუნველყოფს იქ არსებული დოკუმენტების დაცვას და შენარჩუნებას. არსებობს საფრთხე იმისა, რომ განადგურდეს განსაკუთრებული ღირებულების ეროვნული საარქივო ფონდი, საისტორიო და კინოფოტოფონო დოკუმენტები. აღნიშნულის აღმოფხვრის მიზნით, საჭიროა სათანადო ინფრასტრუქტურის შექმნა და საქართველოს ეროვნულ არქივში თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სწრაფი და ხარისხიანი მომსახურების დანერგვა.

პრიორიტეტის მიზნის მისაღწევად დაგეგმილია:

- ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანოების ცენტრალიზაცია;
- მოქალაქეთა მომსახურების სისტემის განვითარება და სრულყოფა;
- ეროვნული საარქივო ფონდის ელექტრონული დოკუმენტების არქივის (მ.შ. სადაზღვევო ფონდის) შექმნა;

- თბილისში მდებარე ცენტრალური არქივის საცავებში კონდიცირების და ვენტილაციის ავტომატური სისტემების მოწყობა.

**მოსალოდნელი შედეგები:**

არქივის რეგიონალური ოფისების ცენტრალიზაციით, ინფრასტრუქტურის განახლებით, საარქივო ფონდის დაცვა-შენახვის სისტემის გაუმჯობესებით და ელექტრონული არქივის ფონდის შექმნით შესაძლებელი გახდება სახელმწიფო ორგანოების, იურიდიული და ფიზიკური პირების დროული საინფორმაციო მომსახურება.

## 8. ელექტრონული მმართველობის განვითარება

**პრიორიტეტის აღწერა და მიზანი**

სახელმწიფო სექტორში ელექტრონული მმართველობის დანერგვა საჯარო სექტორის გამართული მუშაობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხს წარმოადგენს. აღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია მონაცემთა გაცვლის ერთიანი ინფრასტრუქტურის შექმნა, რაც ხელს შეუწყობს მოსახლეობისთვის იაფი, მოხერხებული და სწრაფი ელექტრონული საინფორმაციო მომსახურების მიწოდებას. ამასთან, ინფორმაციული ტექნოლოგიების ფართო გამოყენება მოითხოვს სათანადო ყურადღებას მისი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

პრიორიტეტის მიზნის მისაღწევად დაგეგმილია:

- სახელმწიფოში არსებული ელექტრონული ინფორმაციის ერთ ლოგიკურ სისტემაში მოქცევა და ქვეყნის მასშტაბით ერთიანი საინფორმაციო სისტემის შექმნა;
- ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკის ჩამოყალიბება და კომპიუტერულ ინციდენტებზე მონიტორინგისა და სწრაფი რეაგირების ეფექტური მექანიზმების ჩამოყალიბება;

**მოსალოდნელი შედეგები:**

- ახალი ტიპის საინფორმაციო სერვისების განხორციელება და ფაქტობრივად ,,ერთი ფანჯრის“ პრინციპის მიხედვით მოსახლეობის მომსახურება;
- ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკის გატარების გზით ინფორმაციის დაცვის უფრო ეფეტქური სისტემების შემუშავება.

## საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო

## 1. სისხლის სამართლის სისტემის რეფორმა (საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ნაწილი)

## პრიორიტეტის აღწერა და მიზანი

პატიმრების საცხოვრებელი პირობების გასაუმჯობესებლად და ციხეებში გადატვირთულობის შესამცირებლად გასატარებელი ღონისძიებები განაპირობებს ახალი დაწესებულებების აშენებას. პატიმართა ოჯახთან ურთიერთობების უფლების გამოყენების უზრუნველსაყოფად, აუცილებლია, მოკლე და გძელვადიანი ვიზიტებისათვის განკუთვნილი ადგილების შექმნა. პატიმართათვის განათლების მისაღებად კი - დისტანციური სწავლების პროგრამების განსაზღვრა. ხოლო, სასჯელაღსრულების სისტამაში მყოფ მსჯავრდებულთა გარანტიების გასაძლიერებლად, აუცილებელია, პატიმრობის კოდექსით გათვალისწინებული ახალი საჩივრების პროცედურების ხელმისაწვდომობა და პატიმართა ცნობიერების ამაღლება მათი უფლებების (საჩივრების, დისციპლინარული და ადმინისტრაციულ პროცედურების) შესახებ.

პრობაციის ეროვნული სააგენტოს საქმიანობის სპეციფიური ხასიათი, პირობით მსჯავრდებულთა საზოგადოებაში ინტეგრაცია მოითხოვს მთელი სისტემის მაღალკვალიფიციური კადრებით დაკომპლექტებას, მათი პროფესიული უნარ-ჩვევების სისტემატიურ სრულყოფას, უცხო ქვეყნების ანალოგიური სამსახურების გამოცდილების გაზიარებასა და მათი ქვეყნის რეალობასთან მისადაგებას. პირობით მსჯავრდებულის არასაპატიმრო გარემოში ყოფნა მართებულია და გამართლებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გარდა ზოგადი კონტროლისა, მუშაობა წარიმართება მსჯავრდებულების კრიმინალური ქცევის პრევენციაზეც, რაც მოიცავს სარეაბილიტაციო და საინტეგრაციო პროგრამების განხორციელებას.

დღეისათვის იურიდიული დახმარების სამსახური საქართველოს თითქმის მთელ ტერიტორიაზე უზრუნველყოფს იურიდიულ დახმარებას მხოლოდ 11 იურიდიული დახმარების ბიუროს და 3 საკონსულტაციო ცენტრის მეშვეობით. შესაბამისად ოფისების სიმცირის და საქართველოში არსებული სოციალური ფონის გათვალისწინებით მოქალაქეებისათვის კვლავაც პრობლემურია უფასო სამართლებრივი დახმარებით სარგებლობა. აგრეთვე მნიშვნლოვანია, რომ მოქალაქეებს ემსახურებოდნენ მაღალკვალიფიციური იურისტები, რომლებიც შესაბამის პროფესიულ სტანდარტებს დააკმაყოფილებენ. გარდა ამისა, სისხლის სამართლის ახალი საპროცესო კანონმდებლობისა და სხვა მნიშვნელოვანი გამოწვევების გათვალისწინებით, აუცილებელია კადრების სათანადო გადამზადების უზრუნველყოფა. აგრეთვე, მიუხედავად იმისა, რომ უფასო იურიდიული დახმარება სახელმწიფოს მიერ გარანტირებულია, საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილს კვლავაც არა აქვს საკმარისი ინფორმაცია უფასო სამართლებრივი დახმარებით სარგებლობის უფლებისა და საზოგადოებრივი ადვოკატების საქმიანობის შესახებ, რაც სახაზინო ადვოკატის ნეგატიური სტერეოტიპის ნგრევისა და იურიდიული დახმარების სამსახურის მიმართ ნდობის გამყარების აუცილებელი წინაპირობაა.

შესაბამისად, აღნიშნული პრიორიტეტის ფარგლებში განსახორციელებელია შემდეგი პროგრამები:

- სასჯელაღსრულება - საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პენიტენციალური სისტემის ჩამოყალიბება.

– პატიმრობის პირობების გაუმჯობესება;
– ციხეების გადატვირთულობის შემცირება;
– პატიმართა სამართლებრივი გარანტიების გაძლიერება;

- პრობაციის სრულყოფილი სისტემის ჩამოყალიბება.

– პრობაციის სააგენტოს ადმინისტრაციული შესაძლებლობების განვითარება;
– საკანონმდებლო ბაზის განვითარება;
– ზედამხედველობის სისტემის გაუმჯობესება;
– სარეაბილიტაციო პროგრამებისა და საზოგადოების ჩართულობის განვითარება;
– უწყებათა შორის კოორდინაციის უზრუნველყოფა და პრობაციის შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის გაუმჯობესება.

- უფასო იურიდიული დახმარება.

– უფასო იურიდიული დახმარების პროგრამა, მენეჯმენტი და ადმინისტრირება;
– იურიდიულ დახმარებაზე ხელმისაწდომობის გაზრდა;
– მაღალი ხარისხის მომსახურების უზრუნველყოფა;
– მაღალი საზოგადოებრივი ცნობადობა იურიდიული დახმარების სისტემის შესახებ;
– იურიდიული დახმარების სამსახურის საქმიანობის დამოუკიდებლობისა და გამჭირვალობის უზრუნველყოფა.

**მოსალოდნელი შედეგები:**

- საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სასჯელაღსრულების სისტემის ჩამოყალიბება გააუმჯობესებს პატიმართა საცხოვრებელ პირობებს, სრულყოფს მსჯავრდებულთა ოჯახთან ურთიერთობის უფლების გამოყენებას რესოციალიზაციის მიზნით, ქმედითუნარიანი განათლების პროგრამების შემუშავება უზრუნველყოფს პატიმართა მიერ განათლების მიღებას და ხელსშეუწყობს მათ გამოსწორებას. მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია, რეაბილიტაცია და გამოსწორება, შეამცირებს დანაშაულის განმეორებით ჩადენის ალბათობას.
- მაღალკვალიფიციური თანამშრომლებით დაკომპლექტებული, დახვეწილი კონტროლის მექანიზმისა და პირობით მსჯავრდებულთა საზოგადოებაში რესოციალიზაციისა და ინტეგრაციისათვის სრულფასოვანი დახმარების გაწევის შესაძლებლობის მქონე - სსიპ - არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს ჩამოყალიბება.
- უფასო იურიდიული დახმარება გახდება უფრო მეტად ხელმისაწვდომი და გაუმჯობესდება მომსახურების ხარისხი.
- გაიზრდება საზოგადოების ინფორმირებულობის დონე უფასო იურიდიული დახმარებით სარგებლობის უფლების შესახებ.

**2. საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისი პენიტენციალური სისტემის ჩამოყალიბება**

**პრიორიტეტის აღწერა და მიზანი**

პატიმრების საცხოვრებელი პირობების გასაუმჯობესებლად გასატარებელი ღონისძიებები განაპირობებს: ძველ დაწესებულებებში სარეკონსტრუქციო-სარემონტო სამუშაოების ჩატარებას, რიგი დაწესებულებების აღჭურვას ავტოტრანსპორტითა და დიზელ-გენერატორებით, ხელბარგის რენდგენო აპარატითა და სხვა ძირითადი

საშუალებებით. მსჯავრდებულთა სამედიცინო მომსახურების გასაუმჯობესებლად აუცილებელია, სამედიცინო პუნქტების გარემონტება და აღჭურვა შესაბამისი ტექნიკით; პატიმართა კვების სრულყოფისათვის საჭიროა სასურსათო ულუფების ნორმატივის ზრდა და რიგ დაწესებულებებში სამზარეულოებისა, სასადილო ოთახების გარემონტება, აგრეთვე სამზარეულო ინვენტარით აღჭურვა; სასჯელაღსრულების სისტემის უკეთ მუშაობისათვის აუცილებლობას წარმოადგენს ერთიანი მონაცემთა ბაზის არსებობა - საქმის წარმოების, საკადრო და პატიმართა სპეციალურ აღრიცხვაში. თანამშრომელთა სოციალური დაცვის გაზრდის მიზნით აუცილებელია მათი დაზღვევა.

სასჯელაღსრულების დაწესებულებებში განთავსებულ პირთა სამედიცინო მომსახურება და მისი ხარისხი არ უნდა განსხვავდებოდეს სამოქალაქო სექტორში არსებული სამედიცინო მომსახურების სტანდარტებისა და ხარისხისაგან.

სასჯელაღსრულების დეპარტამენტისა და სასჯელაღსრულების დაწესებულებების ფუნქციონირების დონის ამაღლებისათვის აუცილებლია დეპარტამენტისა და დაწესებულებების თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლება.

შესაბამისად, აღნიშნული პრიორიტეტის ფარგლებში განსახორციელებელია შემდეგი ღონისძიებები:

- საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სასჯელაღსრულების სისტემის ჩამოყალიბება;
- პენიტენციალური სისტემისათვის კადრების მომზადება;
- ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში.

**მოსალოდნელი შედეგები:**

- გაუმჯობესდდება პატიმართა ყოფითი პირობები;
- ამაღლდება სისტემაში დასაქმებული პირების კვალიფიკაცია და გაუმჯობესდება დასაქმებულთა სამუშაო პირობები;
- სასჯელაღსრულების სამედიცინო სისტემის სამოქალაქო სექტორის ჯანმრთელობის დაცვის სისტემასთან ინტეგრაციით ამაღლდება პატიმართა ჯანმრთელობის დაცვის ხარისხი.

## საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

### 1. ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის ხელშეწყობა

**პრიორიტეტის აღწერა და მიზანი**

საქართველოს ტერიტორიის 20% ოკუპირებულია რუსეთის ფედერაციის მიერ, შეუსრულებელია 2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ ხელშეკრულება, რუსეთისა და მისი მარიონეტულ რეჟიმების მიერ ირღვევა საერთაშორისო სამართლის მიერ აღიარებულ ნორმები და პრინციპები. საერთაშორისო ორგანიზაციები ვერ ახორციელებენ საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში არსებული მდგომარეობის მონიტორინგს.

აღნიშნული სიტუაციის გათვალისწინებით, გაგრძელდება დიპლომატიური ძალისხმევა ორმხრივ და მრავალმხრივ ფორმატში, საერთაშორისო თანამეგობრობის დახმარებით, საქართველოს დეოკუპაციის და ოკუპანტი სახელმწიფოს მხრიდან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის და სუვერენიტეტის პატივისცემის უზრუნველსაყოფად.

აგრეთვე გაგრძელდება მუშაობა ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების ფორმატში, ამასთანავე, წარიმართება მუშაობა ოკუპირებული ტერიტორიების არაღიარების მიმართულებით და ოკუპირებულ ტერიტორიებთან მიმართებაში საქართველოს მთავრობის სტრატეგიის განსახორციელებლად საერთაშორისო მხარდაჭერის კონსოლიდაციისათვის.

**მოსალოდნელი შედეგები:**

- საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში არსებულ მდგომარეობასთან დაკავშირებით, რუსეთის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შესახებ შესაბამისი დოკუმენტების მიღება;
- ჟენევის მოლაპარაკებების ფარგლებში დევნილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნების უზრუნველყოფის მიზნით კონკრეტულ მოქმედებებზე შეთანხმება.
- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების არაღიარების პოლიტიკის განმტკიცება.

## 2. ეკონომიკური და კულტურული დიპლომატია

**პრიორიტეტის აღწერა და მიზანი**

მდგრადი ეკონომიკური განვითარების მიზნით, აუცილებელია თანამედროვე საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში საქართველოს სრულფასოვანი მონაწილეობა და ამ პროცესებში დიპლომატიური ურთიერთობების აქტიური გამოყენება.

საერთაშორისო კულტურული თანამშრომლობა მნიშვნელოვან როლს ასრულებს მსოფლიოში ქვეყნის პოზიტიური და ობიექტური იმიჯის დამკვიდრებაში. ქვეყნის კულტურისა და ინტელექტუალური პოტენციალის წარმოჩენა შეიძლება იქცეს საგარეო პოლიტიკის ეფექტურ იარაღად, რომელიც მსოფლიოში საქართველოს ადექვატური იმიჯის ფორმირების გზით ჩვენი საგარეო პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესების განხორციელებას შეუწყობს ხელს.

აღნიშნული მიმართულებებით მომდევნო წლებში დაგეგმილი ძირითადი ღონისძიებებია:

- ექსპორტის მხარდაჭერა და ქართული პროდუქციისათვის ახალი ბაზრების მოპოვების ხელშეწყობა;
- კომპეტენციის ფარგლებში უცხოური ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა;
- ენერგო მომარაგების მარშუტების დივერსიფიცირების ხელშეწყობა;
- საზღვარგარეთ ქართული კულტურისა და ინტელექტუალური პოტენციალის წარმოჩენის ხელშეწყობა;
- თანამშრომლობა BSEC–ის და სუამის ფორმატებში.

**მოსალოდნელი შედეგები:**

- ქართული პროდუქციისათვის ახალი ბაზრების მოპოვება;
- ქვეყნის საბანკო და საინვესტიციო სექტორებში მნიშვნელოვანი რაოდენობის უცხოური ფინანსური კაპიტალის მოზიდვა;
- ალტერნატიული ენერგოპროექტების რეალიზაცია საქართველოს ენერგო უსაფრთხოების განმტკიცების მიზნით;

## 3. ევროკავშირთან ინტეგრაცია

### პრიორიტეტის აღწერა და მიზანი

ევროკავშირთან ინტეგრაციის პროცესის გაძლიერება ხელს შეუწყობს როგორც საქართველო-ევროკავშირს შორის სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის ინტენსიფიკაციას და მოქალაქეთა თავისუფალ მიმოსვლას, ასევე განამტკიცებს საქართველოს უსაფრთხოებას.

დაგეგმილია საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობის განვითარება მთელი რიგი პრიორიტეტული მიმართულებებით, მათ შორის ,,აღმოსავლეთ პარტნიორობის" ფარგლებში, როგორც ორმხრივი, ასევე მრავალმხრივი თანამშრომლობის ფორმატებში.

ქართული მხარის პრიორიტეტებს შორის აღსანიშნავია ,,აღმოსავლეთ პარტნიორობის" ინიციატივით შემოთავაზებული ისეთი პერსპექტივები, როგორიცაა ასოცირებისა და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებების გაფორმება, სავიზო რეჟიმის ეტაპობრივი ლიბერალიზაცია, ლეგალური მობილურობის ხელშეწყობა და ა.შ.

**მოსალოდნელი შედეგები:**

- ასოცირების შესახებ შეთანხმებაზე მოლაპარაკებების წარმოება.
- ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების გაფორმების მიზნით მოლაპარაკებების დაწყება/წარმართვა.
- საქართველოსა და ევროკავშირს შორის გამარტივებული სავიზო რეჟიმის შემოღება.
- საქართველოს მოქალაქეთა ლეგალური შრომითი მიგრაციის ხელშეწყობა ევროკავშირის წევრ ქვეყნებში.
- ევროკავშირთან სასოფლო-სამეურნეო პროდუქციისა და სხვა საკვები პროდუქტების გეოგრაფიული აღნიშვნების ურთიერთდაცვისა და საერთო საავიაციო სივრცის შესახებ შეთანხმებების ხელმოწერა და ძალაში შესვლა.

## 4. NATO-ში გაწევრიანების ხელშეწყობა

### პრიორიტეტის აღწერა და მიზანი

NATO-ში გაწევრიანება წარმოადგენს ქვეყნის ერთ-ერთ მთავარ საგარეო პოლიტიკურ პრიორიტეტს, რაც უზრუნველყოფს საქართველოს ეროვნულ უსაფრთხოებას.

NATO-ში გაწევრიანების ხელშეწყობის მიზნით განხორციელდება:

- ნატო-საქართველოს კომისიის ფარგლებში ალიანსთან ინტენსიური თანამშრომლობა;
- წლიური ეროვნული პროგრამის შესრულება;
- ალიანსის სამიტებისთვის მომზადება;
- ორმხრივი და მრავალმხრივი კონსულტაციების ჩატარება;
- ალიანსთან თანამშრომლობა პარტნიორობა მშვიდობისათვის პროგრამის და ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭოს ფარგლებში.

**მოსალოდნელი შედეგები:**

- წლიური ეროვნული პროგრამის წარმატებით განხორციელების შედეგად NATO-ს სტანდარტებთან მიახლოვება და ალიანსში ინტეგრაციის პროცესის დაჩქარება.
- მოკავშირეების მხრიდან საქართველოს NATO-ში ინტეგრაციის გზაზე პოზიტიური გადაწყვეტილებების მიღება.

**5. ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობა**

**პრიორიტეტის აღწერა და მიზანი**

საქართველოს წინაშე არსებულ გამოწვევებზე ეფექტური რეაგირებისა და საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტების განხორციელების მიზნით, აუცილებელია ორმხრივი და მრავალმხრივი ურთიერთობების შემდგომი განვითარება, რომლის უზრუნველსაყოფად დაგეგმილია:

- რეგიონულ ფორმატებში აქტიური თანამშრომლობა;
- ორმხრივ ფორმატში ყოველწლიური პოლიტიკური კონსულტაციების განხორციელება, აგრეთვე, მაღალი და უმაღლესი დონის ვიზიტების ორგანიზება;
- აშშ–სთან თანამშრომლობის შემდგომი განვითარება, განსაკუთრებით სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიის ფარგლებში;
- თანამშრომლობის შემდგომი განვითარება ევროპის ქვეყნებთან.
- ურთიერთობების ჩამოყალიბება/განვითარება ცენტრალური და ლათინური ამერიკის, აზიის და წყნარი ოკეანის რეგიონის ქვეყნებთან;
- საელჩოების გახსნა კორეის რესპუბლიკაში, სინგაპურში, ავსტრალიაში, არგენტინაში და წარმომადგენლობების გახსნა კუბაში.

**მოსალოდნელი შედეგები:**

- მეზობელ ქვეყნებთან ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის განვითარება;
- სუამისა და ბისეკის ფორმატში რეგიონული და რეგიონთაშორისი თანამშრომლობის გაძლიერება და კონკრეტული პროექტების განხორციელება;
- საქართველოს საგარეო პოლიტიკური მიზნების მიმართ ევროპის ქვეყნების მხარდაჭერის უზრუნველყოფა;

- აშშ–სთან ქარტიით გათვალისწინებული პროექტების განხორციელება და დოკუმენტით განსაზღვრული პრიორიტეტების ორმხრივ ხელშეკრულებებში გადაყვანა. ასევე, აშშ-ს მხრიდან საქართველოში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით, საქართველოსათვის სასურველი პოზიციის შენარჩუნება და აქტიური მხარდაჭერა ორმხრივ და მრავალმხრივ ფორმატებში;
- ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკის, აზიის და აფრიკის სახელმწიფოებთან ორმხრივი პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობების განვითარება და გაღრმავება; ამ რეგიონების ქვეყნების მიერ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების არაღიარების პოლიტიკის შენარჩუნება/განმტკიცება.

### 6. საქართველოს მოქალაქეების დაცვა საზღვარგარეთ და მათი მომსახურეობის ეფექტურობის ზრდა

**პრიორიტეტის აღწერა და მიზანი**

საზღვარგარეთ მყოფ საქართველოს მოქალაქეებზე ზრუნვა, მათი უფლებების და თავისუფლებების დაცვა სახელმწიფოს ერთ-ერთი უმთავრესი მოვალეობაა. ამ მიზნით, მნიშვნელოვანია საკონსულო ქსელის გაფართოვება, რაც ხელს შეუწყობს საქართველოს მოქალაქეთა დაცვის ეფექტურობის გაუმჯობესებას. განხორციელდება კრიზისულ სიტუაციებში საქართველოს მოქალაქეთათვის ეფექტური დახმარების გაწევა, დიპლომატიური მისიებისა და საკონსულო სამსახურების ქსელის გაფართოება–ოპტიმიზაცია.

**მოსალოდნელი შედეგები:**

- საზღვარგარეთ საქართველოს მოქალაქეების უფლებების უკეთ დაცვა;
- საზრვარგარეთ მოქალაქეთა მომსახურების ხარისხის ამაღლება;
- საქართველოს მოქალაქეებისთვის უცხოური ვიზების გაცემის პროცედურების გამარტივება.

## საქართველოს თავდაცვის სამინისტრო

### 1. თავდაცვის შესაძლებლობების განვითარება

**პრიორიტეტის აღწერა და მიზანი**

არსებული მრავალი საფრთხისა და გამოწვევის პირობებში, ასევე „მიღებული გამოცდილების“ გათვალისწინებით, თავდაცვისუნარიანობის ამაღლება და შეიარაღებული ძალების შესაძლებლობების განვითარება აუცილებელი პირობაა საქართველოს მშვიდობიანი განვითარებისთვის.

თავდაცვის შესაძლებლობების განვითარების ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი პროგრამების და ღონისძიებების განხორციელება:

- სადაზვერვო შესაძლებლობების განვითარება;

- სიმულაციური შესაძლებლობების შემდგომი განვითარება:

- სიმულაციის სისტემების ფუნქციონირებისთვის საჭირო ინფრასტუქტურის შექმნა, განვითარება და შესაბამისი აღჭურვილობით უზრუნველყოფა;

- სიმულაციის სისტემების განვითარების მიზნით საშტაბო წრთვნების „JCATS"-ის სისტემისთვის სცენარების შედგენა;

- პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ახალი სიმულაციური მოწყობილობის ინსტრუქტორთა მომზადების გაგრძელება;

- სარადარო და ჰაერსაწინააღმდეგო სისტემების მოდერნიზაცია;
- ინფრასტრუქტურის მოდერნიზაცია;
- შეიარაღებულ ძალებში ფსიქოლოგიური ოპერაციებისა (PSYOP) და საინფორმაციო ოპერაციების (IO) წარმოების შესაძლებლობების განვითარება.

**მოსალოდნელი შედეგები**

- სამხედრო წვრთნების სისტემის გაუმჯობესება;
- სამხედრო პერსონალის წვრთნების სისტემის ახალ გამოწვევებთან და თანამედროვე მოთხოვნებთან თანხვედრის ხარისხის ამაღლება;
- საქართველოს შეიარაღებული ძალების გვარეობების სპეციფიკის გათვალისწინებით მოსამზადებელი-სასწავლო ცენტრების განვითარება.

**2. თავდაცვის სისტემის მართვის გაუმჯობესება**

**პრიორიტეტის აღწერა და მიზანი**

თავდაცვის სისტემის მართვის გაუმჯობესებისა და სრულყოფისათვის მნიშვნელოვანია ინსტიტუციური რეფორმების გატარება თავდაცვის მართვის სფეროში, რაც უზრუნველყოფს საქართველოს შეიარაღებული ძალების განვითარებას და ხელს შეუწყობს NATO-სთან თავსებადობას.

შესაბამისად, მნიშვნელოვანია შემდეგი პროგრამების და ღონისძიებების განხორციელება:

- თავდაცვის სისტემის მართვის გაუმჯობესება და გადაწყვეტილების მიღების მექანიზმების სრულყოფა;
- თავდაცვის სისტემის განვითარების პროგრამებისა და დაგეგმვის სისტემის შემდგომი სრულყოფა;
- ადამიანური რესურსების მართვის სისტემის დახვეწა:

- ისეთი პროცედურების და სისტემის განვითარება, რომლის მიზანია სამხედრო პერსონალის რეკრუტირება, შეფასება პროფესიული განვითარება და წოდებრივი პრინციპით ანაზღაურების სისტემაზე თანმიმდევრულად გადასვლა;

- რეგიონალური რეკრუტირების ცენტრების დაარსება თითოეულ რეგიონში;

- წოდებრივ ანაზღაურების სისტემის საფუძველზე სოციალური და ერთჯერადი ფულადი კომპენსაციების საბიუჯეტო დაგეგმარება და შესაბამისი საკანონმდებლო ბაზისა და მექანიზმების მომზადება/დანერგვა;

- განახლებული საშტატო/თანამდებობრივი განრიგების ამოქმედება;

- შერჩეული სამხედრო მოსამსახურეების განახლებულ საშტატო/თანამდებობრივი განრიგების მიხედვით თანამდებობებზე დანიშვნა;

- სამხედრო მოსამსახურეთა აღრიცხვიანობის სისტემის განვითარება.

- ძალთა მართვის ეფექტური სისტემის განვითარება;
- სამოქალაქო საზოგადოებასთან აქტიური თანამშრომლობის გაგრძელება.

**მოსალოდნელი შედეგები**

- სამხედრო პერსონალის გაცილებით ეფექტური მართვის სისტემის ჩამოყალიბება.

**3. სამხედრო განათლების სისტემის განვითარება და ადამიანური რესურსების მართვა**

**პრიორიტეტის აღწერა და მიზანი**

შეიარაღებული ძალების მოდერნიზაციისა და ტრანსფორმაციისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს ადამიანური რესურსების მართვისა და განათლების ეფექტური სისტემის ჩამოყალიბება და განვითარება. საქართველოს თავდაცვის სამინისტროში პერსონალის თანამედროვე მართვისა და განათლების სისტემის განვითარება შემდეგ ძირითად კომპონენტებს მოიცავს:

- თავდაცვის ეროვნული აკადემიის რეფორმირება და მასში ოთხწლიანი კურსის დანერგვა (ბაკალავრიატი):

- საქართველოს შეიარაღებული ძალებისათვის მაღალკვალიფიციური პროფესიული განათლების მქონე სამხედრო და სამოქალაქო სპეციალისტების მომზადება და სამხედრო მეცნიერების განვითარების ხელშეწყობა.

- ქ. გორში თავდაცვის ეროვნული აკადემიისათვის სათანადო სამართლებრივი ბაზის შექმნა, ინსტიტუციონალური ავტორიზაციის და აკრედიტაციის მიღება.

- სასწავლო კორპუსების და საერთო სამხედრო საცხოვრებლის მოწყობა შესაბამისი ინვენტარით, ორგტექნიკით; საჭირო ლაბორატორიების, ელექტრონული ბიბლიოთეკის და სამკითხველო დარბაზის მოწყობა.

- ქართველ და უცხოელ პროფესორ-მასწავლებელთა მოწვევა სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლებიდან; სპეციალობების (ავტომობილები და საავტომობილო მეურნეობა; ტრანსპორტის მენეჯმენტი; კომპიუტერული სისტემები და ქსელები; ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა, საერთაშორისო ურთიერთობები) და კათედრების (ეკონომიკისა და მენეჯმენტის კათედრა; საერთაშორისო ურთიერთობებისა და პოლიტიკურ-მეცნიერებათა კათედრა;

ჰუმანტარულ მეცნიერებათა კათედრა; ავტომობილების ტექნიკური მომსახურებისა და სატრანსპორტო გადაზიდვების კათედრა; ინფორმატიკისა და კომპიუტერული ტექნოლოგიების კათედრა; საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრა) ჩამოყალიბება და მსმენელთა მიღება.

- კადეტთა სამხედრო ლიცეუმის განვითარება:

- ქ. ქუთაისში ლიცეუმის სასწავლო, ადმინისტრაციული და საცხოვრებელი შენობების მოწყობა შესაბამისი ინვენტარით; სასწავლო ლაბორატორიების და ბიბლიოთეკების განვითარება, სპორტული დარბაზის აღჭურვა სათანადო ინვენტარით და ტრენაჟორებით.

- პედაგოგ-მასწავლებელთა ტესტირება, სასწავლო პროგრამების შედგენა და კადეტთა შესაბამისი კონტიგენტის (პირველ ეტაპზე, 300 კადეტი 2010 წელს) შერჩევა.

- კადეტთა მომზადების სისტემის შემდგომი განვითარება საქართველოს სხვა რეგიონებში (აღმოსავლეთ საქართველოში ახალი სამხედრო ლიცეუმის ჩამოყალიბება).

- სასწავლო-საწვრთნელი ინფრასტრუქტურის განვითარება:

- ეროვნული სასწავლო ცენტრ „კრწანისი“-ს შტაბისათვის მოდულის და სასწავლო სფეროს განვითარებისთვის საჭირო ახალი ინფრასტრუქტურის მოწყობა და შესაბამისი აღჭურვა; (სენდვიჩების სასწავლო კლასების აშენება, ავტოპარკის, სპორტული მოედნის და დარბაზის მოწყობა, კავშირგაბმულობის შიდა ქსელის მოწყობა, სატრანსპორტო საშუალებებით უზრუნველყოფა).

- ქ.ხონში საწყისი საბრძოლო მომზადების კურსისათვის (BCT) შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობა (წელიწადში 1200 რეკრუტი შტატით), ახალი ბაზის აღჭურვა შესაბამისი საყაზარმე და საოფისე ავეჯით და სხვა საჭირო მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით;

- საპარაშუტო-სადესანტო კურსის აღჭურვა შესაბამისი ინვენტარით, საბრძოლო მომზადებისთვის საჭირო სპეციალური ტექნიკით (პარაშუტები), ლაზარეთის მოწყობა საჭირო სამედიცინო ინვენტარით, ავტოპარკის და ოფიცერთა საცხოვრებელი კორპუსის გარემონტება.

- სამეთაურო-საშტაბო კურსის ჩამოყალიბება და განვითარება:

- სამეთაურო-საშტაბო კურსისათვის ადმინისტრაციული შენობის და სასწავლო კლასების მოწყობა შესაბამისი ინვენტარით.

- მაღალკვალიფიციური ქართველი და უცხოელი სპეციალისტების მოზიდვა, სასწავლო პროგრამების სრულყოფა, სასწავლო პროცესის წარმართვისათვის საჭირო სახელმძღვანელოების თარგმნა, ელექტრონული ბიბლიოთეკის მოწყობა, სასწავლო პროცესისთვის საჭირო სიმულაციური საშუალებით (JCATS) უზრუნველყოფა.

- მოსამზადებელი კონტიგენტის გაზრდა, სხვადასხვა გაცვლით პროგრამებში

მონაწილეობის მიღება;

• ტაქტიკური, ოპერატიული და სტრატეგიული დონის დოქტრინების სრულყოფა:

- სამხედრო საგანმანათლებლო სისტემისათვის საჭირო საოფისე ფართის გაზრდა და აღჭურვა შესაბამისი ტექნიკით და ინვენტარით.

- სამხედრო მთარგმნელ-სპეციალისტთა რაოდენობის გაზრდა.

- თარგმნილი და შემუშავებული სახელმძღვანელოების (სხვადასხვა დონის საბრძოლო მომზადებს წესდებები) დაბეჭდვა და მათი დაყვანა შეიარაღებული ძალების პირად შემადგენლობამდე.

**მოსალოდნელი შედეგები:**

• 2014 წელს შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობის შევსება და დაკომპლექტება 100 (უმცროსი ოფიცრები) უმაღლესი სამხედრო და სამოქალაქო განათლების მქონე კვალიფიციური პერსონალით, სამხედრო-სამეცნიერო შესაძლებლობების გაძლიერება.

• 2012-2013 წლისათვის 300 პირველადი სამხედრო ცოდნისა და უნარ-ჩვევების მქონე, სამხედრო-პატრიოტული განწყობის კადეტის გამოშვება და სამომავლოდ ოფიცერთა კორპუსის ჩამოყალიბების ხელშეწყობა.

• სასწავლო-საწვრთნელი ინფრასტრუქტურის გაზრდილი შესაძლებლობები.

• 2011 წლის განმავლობაში 90-მდე მაღალი დონის მეთაურების და შტაბის ოფიცრების მომზადება.

• საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მომზადების დონის ამაღლებისათვის სასწავლო-სახელმძღვანელო ლიტერატურის ბაზის განვითარება.

**4. ნატო-ში ინტეგრაცია და საერთაშორისო თანამშრომლობა**

**პრიორიტეტის აღწერა და მიზანი**

NATO-ში ინტეგრაცია და საერთაშორისო თანამშრომლობა ქვეყნის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ერთ-ერთი უმთავრეს პრიორიტეტს წარმოადგენს. ნატო-სთან თანამშრომლობის მიმდინარე ფორმატების ფარგლებში გაგრძელდება აღებული ვალდებულებების შესრულება, ცალკეულ სახელმწიფოებთან თავდაცვის სფეროში ორმხრივი თანამშრომლობა და საერთაშორისო სამშვიდობო ოპერაციებში აქტიური მონაწილეობა. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია შემდეგი პროგრამების და ღონისძიებების განხორციელება:

• პროფესიული განვითარების პროგრამის (PDP) სასწავლო ცენტრის განვითარება;

• NATO-ს სამეკავშირეო ოფისის გახსნა საქართველოში;

• ყოველწლიური ეროვნული პროგრამა (ANP)-ის ფარგლებში 2011 და შემდგომი

წლების ვალდებულებების განსაზღვრა და NATO-ში წარდგენა;

• დაგეგმვისა და მიმოხილვის პროცესის (PARP) ფარგლებში აღებული ვალდებულებების ეტაპობრივი შესრულება;

• ინდივიდუალური პარტნიორობის პროგრამის (IPP) განხორციელება და შემდგომი წლების პროგრამის დაგეგმვა;

• NATO-ს ოპერატიული შესაძლებლობების კონცეფციის (OCC) პროგრამაში მონაწილე ქვედანაყოფის (ასეულის ზომის ქვედანაყოფი) ჩამოყალიბება.

• NATO-ს საერთაშორისო მისიაში (ISAF) მონაწილეობა:

- ISAF-ის მისიისთვს შესაბამისი ქვედანაყოფის შერჩევა პირადი შემადგენლობის დაკომპლექტება, სწავლების ჩატარება სპეციალობების მიხედვით.

- პირადი შემადგენლობის მომზადება გადასროლის წინა კურსის შესაბამისად (გერმანია, საფრანგეთი და სხვა).

- მოწინავე ჯგუფის გადასროლა, ძირითადი პირადი შემადგენლობის გადასროლა, დარჩენილი კონტიგენტისა და აღჭურვილობის გადატანა.

**მოსალოდნელი შედეგები:**

• ნატო-ს შემფასებელთა ჯგუფის მიერ ყოველწლიური ეროვნული პროგრამისა (ANP) და დაგეგმვისა და მიმოხილვის პროცესის (PARP) დადებითი შეფასება; NATO-ს წევრი სახელმწიფოების ექსპერტების გაზრდილი რაოდენობა სხვადასხვა საკითხებზე; შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფთა თავსებადობის მიღწევა და ურთიერთქმედების ამაღლება ალიანსის წევრი ქვეყნების სამხედრო ქვედანაყოფებთან.

## საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

### 1. საზოგადოებრივი წესრიგისა და სახელმწიფო უსაფრთხოების დაცვის ამაღლება

**პრიორიტეტის აღწერა და მიზანი**

ბოლო წლებში განხორციელებული წარმატებული რეფორმების შედეგად საქართველოში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა საზოგადოებრივი წესრიგი, შემცირდა დანაშაულთა რაოდენობა და გაიზარდა მოქალაქეთა უსაფრთხოება. არსებული მიღწევების შენარჩუნების და მათი შემდგომი გაუმჯობესებისათვის აუცილებელია სამინისტროს ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, ავტოპარკის განახლება, თანამშრომელთა შესაბამისი აღჭურვილობითა და ინვენტარით აღჭურვა.

აღნიშნული მიმართულებებით მომდევნო წლებში დაგეგმილია:

- სამინისტროს ბალანსზე არსებული შენობა-ნაგებობების სრული რეაბილიტაცია და ახალი შენობების მშენებლობა, მათი მიმდებარე ტერიტორიების კეთილმოწყობა და დაცვითი სისტემებით უზრუნველყოფა;
- სამინისტროს ავტოპარკის განახლება;
- საგანგებო სიტუაციების მართვისათვის სასწავლო გეგმების განხორციელება;
- კავშიგაბმულობის საშუალებების ახალი, თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა, რეგიონალური სამმართველოების, მათი განყოფილებების და სასაზღვრო-საემიგრაციო გამშვები პუნქტების მუდმივი და შეუფერხებელი კავშირის გაუმჯობესება;
- საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების და წესრიგის უზრუნველყოფა;
- კომპიუტერული და სპეციალური ტექნიკის ეტაპობრივი ცვლა, ინოვაციური თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა, ქსელური უწყვეტი კავშირის უზრუნველყოფა;
- ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის ამოცანათა შესრულებისათვის საინფორმაციო სისტემების შექმნა;
- სამინისტროს მოსამსახურეთა და სამოქალაქო პირთა სადაზღვევო მომსახურების გაუმჯობესება.
- სისხლის სამართლის სტატისტიკის წარმოება უწყებებს შორის შეთანხმებული მემორანდუმის შესაბამისად.

**მოსალოდნელი შედეგები:**

- საზოგადოებრივი წესრიგისა და მოქალაქეთა უსაფრთხოების დონის ამაღლება;
- სამინისტროს ობიექტების და განსაკუთრებულ მნიშვნელოვან პირთა დაცვის გაუმჯობესება;
- საგანგებო სიტუაციების თავიდან აცილება და შედეგების ლიკვიდაცია;
- ავტოსატრანსპორტო შემთხვევების შემცირება;
- უცხო ქვეყნების სპეცსამსახურების სადაზვერვო და სხვა კანონსაწინააღმდეგო საქმიანობის დროულად გამოვლენა და თავიდან აცილება;
- სახელმწიფოსათვის მოსალოდნელი საფრთხეების პროგნოზირება და პრევენცია;
- სამინისტროს მოსამსახურეთა სოციალური გარანტიების გაუმჯობესება;

## 2. სახელმწიფო საზღვრის დაცვის უსაფრთხოების გაძლიერება;

**პრიორიტეტის აღწერა და მიზანი**

საქართველოში და მეზობელ ქვეყნებში არსებული სიტუაციების გათვალისწინებით აუცილებელია სახელმწიფო საზღვრის უსაფრთხოების დონის ამაღლება, რისთვისაც აუცილებელია სასაზღვრო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება მესაზღვრეთა აღჭურვა შესაბამისი სატრანსპორტო საშუალებებითა და ტექნიკით.

საზღვრის დაცვის გაუმჯობესების მიზნით მომდევნო წლებში საზღვრის ინტეგრირებული მართვის სტრატეგიის განმახორციელებელი სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულია სხვადასხვა ღონისძიებების შესრულება, მათ შორის:

- საქართველო-თურქეთის სახელმწიფო საზღვარზე (სახმელეთო მონაკვეთი) სასაზღვრო ნიშნების სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩატარება;
- ევროკავშირის შესაბამისი უწყებების სტანდარტების გათვალისწინებით სახელმწიფო სახმელეთო საზღვარზე სასაზღვრო ინფრასტრუქტურის მშენებლობა და მისი ტექნიკური აღჭურვა (მაღალი გამავლობის ავტოტრანსპორტი, კვადროციკლები, თოვლმავლები, კავშირგაბმულობისა და საინჟინრო საშუალებები);
- საზღვაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა და მისი აღჭურვა სწრაფმავალი კატარღებით;
- საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით მესაზღვრეთა კავშირგაბმულობისა და საინჟინრო საშუალებებით აღჭურვა;
- მესაზღვრეთა პროფესიული დონის ასამაღლებლად მათი მომზადება-გადამზადება ევროკავშირში შემავალი ქვეყნების, ასევე აშშ-სა და თურქეთის რესპუბლიკაში შესაბამის სასწავლო ცენტრებში;
- სხვა სახელმწიფო უწყებებთან ერთად ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის, სახელმწიფო საზღვრის ხელშეუხებლობის, სახელმწიფოს, მოქალაქეთა და მათი ქონების უსაფრთხოების დაცვა;
- საზღვაო სივრცეში სუვერენული უფლებების დაცვა და ნაოსნობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა;

**მოსალოდნელი შედეგები:**

- სახელმწიფო საზღვრის ხელშეუხებლობის უზრუნველყოფა;
- სახელმწიფო საზღვარზე, სასაზღვრო ზოლში, სასაზღვრო ზონასა და საზღვაო სივრცეში კანონსაწინააღმდეგო ქმედებათა შემცირება;
- ნაოსნობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ნაოსნობის წესების დაცვა;
- საზღვაო სივრცეში სამაშველო ოპერაციების განხორციელების შესაძლებლობის გაუმჯობესება;
- ნარკოტიკული საშუალებების, იარაღის, ასაფეთქებელი ნივთიერებებისა და მასობრივი განადგურების საშუალებების იმპორტისა და ექსპორტის პრევენცია, გამოვლენა და აღკვეთა;
- კონტრაბანდული საქონლის იმპორტისა და ექსპორტის მინიმუმამდე შემცირება.

## 3. პროფესიონალი და კვალიფიციური კადრების მომზადების დონის ამაღლება

**პრიორიტეტის აღწერა და მიზანი**

მაღალკვალიფიციური და მაღალპროფესიული კადრების დეფიციტი გარკვეულ ხარვეზებს იწვევს სისხლის სამართლის საქმეების გამოძიებასა და სისხლის სამართლებრივი დევნაში. ძალაში შედის ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, რომელიც სამართალდამცავთა საქმიანობის ძირითად სამართლებრივ წყაროს წარმოადგენს, ამიტომ, მნიშვნელოვანია აღნიშნულ საკითხებში პროფესიული და კვალიფიციური კადრების მომზადება. ასევე აუცილებელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ახლად შექმნილი მანდატურთა სამსახურის კვალიფიციური კადრებით მომარაგება, სამომავლოდ მათზე დაკისრებული საქმიანობის ეფექტურობის ასამაღლებლად.

ყოველივე ზემოაღნიშნულის უზრუნველსაყოფად დაგეგმილია შემდეგი ღონისძიებების განხორციელება:

- პოლიციის ოფიცრების სისტემური წვრთნები არასრულწლოვანთა დაკითხვა-დაპატიმრების და მათთან მოპყრობის თაობაზე, არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციაზე და მათ პრობლემურ ქცევაზე;
- სამართალდამცავი სტრუქტურების ყველა წარმომადგენლისა და ყოველგვარი განშტოების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მანდატურთა მომზადება და გადამზადება;
- თეორიისა და პრაქტიკის სინთეზური სწავლება და კურსანტთათვის საჭირო პრაქტიკული უნარჩვევების გამომუშავება;
- სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ტრენერებად სამართალდამცავი ორგანოებიდან კვალიფიციური და პროფესიული კადრების შერჩევა;
- შერჩეული კადრებისათვის შესაბამისი ტრეინინგების დაგეგმვა და ტრეინინგ მასალის მომზადება;
- ტრენერების მიერ სამართალდამცავი ორგანოების ყველა თანამშრომლისათვის ახალ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული სიახლეების განმარტება და მათი სამომავლო დატრეინინგება.

**მოსალოდნელი შედეგი:**

- სამართალდამცავი ორგანოების და მანდატურის სამსახურის მაღალკვალიფიციური კადრებით დაკომპლექტება;
- შსს-ს თანამშრომლების მიერ ეთიკის კოდექსის პრინციპების პრაქტიკაში სრულყოფილად დაცვა;
- საქართველოში მყოფ უცხო ქვეყნის მოქალაქეებთან სამართალწარმოების პროცესში ენობრივი ბარიერით გამოწვეული პრობლემების გადალახვა შსს-ს თანამშრომლების მიერ;

### 4. ეროვნული საგანძურისა და დიპლომატიური წარმომადგენლობების დაცვის უსაფრთხოების დონის ამაღლება

**პრიორიტეტის აღწერა და მიზანი**

- დაცვის პოლიციის აღჭურვა დაცვითი ტექნოლოგიების განვითარებასა და წარმოებაში მსოფლიო ლიდერი ამერიკული კომპანიის AES intellinet-ის სისტემების აპარატურითა და რადიოგადამცემებით;
- დაცვის პოლიციის ავტოფარეხის რეკონსტრუქცია, ავტოპარკის განახლება და ობიექტებისათვის, რომლებიც მუდმივ მეთვალყურეობას საჭიროებენ, საგუშაგო ჯიხურების დამზადება და მათი მონტაჟი;
- საპატრულო-საგუშაგო ჯგუფის ეკიპირების განახლება;
- დაცვის მუშაკების პროფესიული დონის ამაღლების მიზნით სასროლეთის (ტირის) დარბაზის მშენებლობა;

**მოსალოდნელი შედეგი:**

- დიპლომატიური მისიების, რეზიდენციების, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სახელმწიფო ობიექტების, ეროვნული საგანძურისა და მნიშვნელოვანი ობიექტების უსაფრთხოება.

### 5. მოსამსახურეთა ჯანმრთელობის დაცვა

**პრიორიტეტის აღწერა და მიზანი**

- სამინისტროზე დაკისრებული ფუნქციების შესრულების დროს რიგ შემთხვევებში არის მოსამსახურეთა დაჭრისა და დასახიჩრების ფაქტები, რომელთა მკურნალობა და მათი ჯანმრთელობის რეაბილიტაცია სახელმწიფოს მოვალეობაა.

- სამინისტროს მოსამსახურეთა, თადარიგში დათხოვნილ პირთა, მათი ოჯახის წევრთა და სამინისტროს სასწავლო დაწესებულებების მსმენელთა სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფა, სტაციონარული მკურნალობა, ავადობის მიზეზების შესწავლა, დაჭრილთა სამედიცინო რეაბილიტაცია, პენსიონერთა და უნარშეზღუდულთა სამედიცინო შემოწმება, დადგენილი წესით სამხედრო-საექიმო კომისიის ორგანიზება და ჩატარება. შესაძლო საბრძოლო მოქმედებების დროს დაჭრილთათვის სამედიცინო დახმარების აღმოჩენა და ევაკუაციის ორგანიზება. სამინისტროს ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა, რომლის განსახორციელებლად აუცილებელია სამედიცინო აპარატურის განახლება-შევსება, სამედიცინო პერსონალის კვალიფიკაციის ასამაღლებელ ღონისძიებათა უზრუნველყოფა და მედიცინის თანამედროვე მიღწევების გაცნობა და პრაქტიკაში დანეგვა.

**მოსალოდნელი შედეგები:**

- თანამშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის მაღალი ხარისხი;

### 6. სისხლის სამართლის სისტემის რეფორმა (შინაგან საქმეთა სამინისტროს ნაწილი)

**პრიორიტეტის აღწერა და მიზანი**

- 2008 წლიდან საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო ჩართულია სისხლის სამართლის სისტემის რეფორმაში. პრიორიტეტის ფარგლებში, შსს სისტემის შემდგომი რეფორმირებისა და დახვეწის მიზანია, ძირითადი სისტემური რეფორმის შედეგად მიღწეული პროგრესის შენარჩუნება და გაღმავება; შსს-ს ტაქტიკურ-ოპერატიული დონის გაძლიერება საერთაშორისო თანამშრომლობის თვალსაზრისით, ხოლო შიდაუწყებრივ დონეზე ინფრასტრუქტურითა და აღჭურვილობით. პერსონალის უნარ-ჩვევების შემდგომი განვითარებით დანაშაულის პრევენციისა და საგამოძიებო პრაქტიკის სტანდარტის ამაღლება; პოლიციის საქმიანობისა და რეფორმების პროცესის მიმდინარეობის მაქსიმალური გამჭვირვალობის უზრუნველყოფა.

**პროგრამა** „შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორის და აკადემიის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და მონაცემთა ბაზის სრულყოფა“

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში მომდევნო წლებში დაგეგმილია შემდეგი ღონისძიებების განხორციელება:

- შსს მონაცემთა ბაზების სრული ეტაპობრივი კომპიუტერიზაცია, მათ შორის ელექტრონულ მონაცემთა მართვის სისტემების განვითარება;
- დრეოებითი მოთავსების იზოლატორების ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია;
- პოლიციის აკადემიის ინფრასტრუქტურისა და ტექნიკური აღჭურვილობის გაუმჯობესება;

**პროგრამა** „შსს ტაქტიკურ-ოპერატიული დონის გაძლიერება საერთაშორისო თანამშრომლობის თვალსაზრისით“

**პროგრამა** „ადამიანური რესურსების განვითარება, ტრეინინგებისა და გადამზადების მეშვეობით“

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში მომდევნო წლებში დაგეგმილია შემდეგი ღონისძიებების განხორციელება:

- ერთიანი პოლიციის საგამოძიებო შესაძლებლობების გაზრდა საბაზისო და სპეციალიზირებული ტრეინინგის/გადამზადების კურსების მეშვეობით, მათ შორის ტრეინინგები ტაქტიკურ და საგამოძიებო უნარჩვევებში, საზოგადოებასთან ეფექტურ კომუნიკაციაში;
- ეთიკის კოდექსის ეფექტურად განხორციელების მიზნით ტრეინინგების ჩატარება პოლიციის თანამშრომლებისათვის;
- შესაბამისი დანაყოფების გადამზადება ახლად დანერგილი სისტემების ოპერირებასა და გამოყენებაში;
- არასრულწლოვანთა დაკითხვის ტექნოლოგიებთან დაკავშირებით ტრეინინგების ჩატარება შსს საბაზისო მომზადების კურსის ფარგლებში;
- მოქმედი გამომძიებლების გადამზადება პედაგოგიკა-ფსიქოლოგიის საგანში;
- ძალადობის მსხვერპლ არასრულწლოვნების მიმართ მოპყრობის თავისებურებების შესწავლა;

- პატრულ-ინპსპექტორების, სასაზღვრო და უბნის ინსპექტორებისა და გამომძიებლების მომზადება უცხო ენაში;
- კატასტროფებზე რეაგირების შესახებ პერსონალის მომზადება-გადამზადება;
- სისხლის სამართლის საქმეთა ინტეგრირებული მართვის სისტემის ყოველწლიურ მოხმარებასთან დაკავშირებით ძირითადი ტრეინინგების ჩატარება;

**პროგრამა** „ადამიანის უფლებები, საზოგადოებასთან ურთიერთობა და დანაშაულის პრევენცია“;

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში მომდევნო წლებში დაგეგმილია შემდეგი ღონისძიებების განხორციელება:

- პოლიციის ღონისძიებების გამჭვირვალობის უზრუნველყოფა საზოგადოების მუდმივად ინფორმირებით ბეჭდური მედიის, ტელევიზიის და ელექტრონული მასალების საშუალებით.
- დაკავებულთა ინფორმირება მათი უფლებების შესახებ დაბეჭდილი მასალების გამოყენებით;
- ძალადობის მსხვერპლ ბავშვთა დაცვის სფეროში სოციალურ მუშაკებთან თანამშრომლობის უზრუნველყოფა და დაცვის მიმართვიანობის სისტემის ეფექტურად განხორციელების მიზნით, შესაბამისი მექანიზმების დანერგვა;
- სასაზღვრო-გამტარ პუნქტებზე ტრეფიკინგის პოტენციურ მსხვერპლთათვის საინფორმაციო მასალების შემუშავება და გავრცელების უზრუნველყოფა;

**მოსალოდნელი შედეგები:**

- სასერვერო ინფრასტრუქტურის გაძლიერება/გაუმჯობესება, პროგრამული უზრუნველყოფის გაუმჯობესება და ოპტიმიზაცია, კავშირგაბმულობის სისტემის გაფართოება, საქართველოს მასშტაბით მონაცემთა ბაზებზე თანამშრომელთა ონლაინ წვდომისათვის ნასამართლეობის ბარათების ელექტრონულ ვერსიაში გადატანა;
- დასაქმებულთა კომპიოუტერული ტექნიკით სრულად აღჭურვა;
- ყველა დროებითი მოთავსების იზოლატორის გარემონტება-რეაბილიტაცია;
- გაუმჯობესებული შსს აკადემიის ინფრასტრუქტურა;
- ევროკავშირის ქვეყნებთან ორმხრივი თანამშრომლობის ბაზის შექმნა ორმხრივი ვიზიტების საშუალებით და ქართულ და ევროპულა მხარეთა შორის ურთიერთობათა ეფექტური ქსელის შექმნა სამუშაო და ორმხრივი შეხვედრების საშუალებით;
- შსს აკადემიის კურსანტების სწავლება, მოქმედი თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლება ტრეინინგების გზით;
- შსს აკადემიის საბაზისო კურსით გათვალისწინებული სწავლება;
- ძალადობის მსხვერპლ არასრულწლოვნებთან ურთიერთობა/მოპყრობის მექანიზმის პრაქტიკაში დანერგვა;
- ინგლისური ენის შესწავლელი კურსის გაგრძელება თანამშრომლების სასერთიფიკატო დონემდე მისაღწევად;

- დროებითი მოთავსების იზოლატორების აღჭურვა შესაბამისი ბეჭვდითი მასალებით (5 ენაზე: ქართული, რუსული, სომხური, აზერბაიჯანული, აფხაზური);

## საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

### 1. განათლების მენეჯმენტისა და რესურსების გამოყენების ეფექტურობის ზრდა

**პრიორიტეტის აღწერა და მიზანი**

განათლების სისტემის რეფორმირების პირველი ეტაპი ხასიათდებოდა მართვის ფუნქციების გარკვეული კონცენტრაციით მართვის ზედა რგოლში, რაც იყო გამოწვეული ცვლილებების სწრაფი განხორციელების აუცილებლობით. განხორციელდა სტრუქტურული რეფორმა და განათლების ქსელის რაციონალიზაცია, მაგრამ ამავე დროს გამოიკვეთა სამინისტროს საქმიანობაში მიკრომენეჯმენტის ჩართვის აუცილებლობის საკითხი. შესაბამისად, დაგეგმილია განათლების სფეროს რეფორმირების გეგმების მომზადების პროცესში ყველა დაინტერესებული მხარის ჩაბმა.

გარდა ამისა, პრიორიტეტის ფარგლებში:

- განხორციელდება მართვის ინფორმაციული-საკომუნიკაციო სისტემის განვითარება და გაიზრდება რესურსცენტრების მართვის პოტენციალი;
- გაგრძელდება საჯარო სკოლების მშენებლობა-რეაბილიტაცია, რომელთა პარალერულად განხორციელდება სხვა ინფრასტრუქტურული პროექტები;
- რეაბილიტირებული იქნება პროფესიული სასწავლებლები და აღიჭურვება შესაბამისი ინვენტარით;
- საშუალოვადიან პერიოდში დაგეგმილია საჯარო სკოლების მასწავლებლების ხელფასების ეტაპობრივი ზრდა;
- დაინერგება საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სისტემა;

**მოსალოდნელი შედეგები:**

- გაუმჯობესდება საგანმანათლებლო დაწესებულებების მონიტორინგის და კონტროლის სისტემა და გაიზრდება მიღებული გადაწყვეტილებების ხარისხი;
- ამაღლდება რესურსების გამოყენების მიზნობრიობა და ეფექტურობა;
- ერთიან საინფორმაციო ქსელში ჩაერთვება სამინისტრო, რესურსცენტრები და ყველა სკოლა;
- შემცირდება საგანმანათლებლო დაწესებულებების რიცხვი გაუმართავი სასწავლო ბაზით;
- საჯარო სკოლებში მოეწყობა ლაბორატორიები, ბიბლიოთეკები, სპორტული კომპლექსები და კვების ობიექტები;
- გაიზრდება სახელმწიფო სასწავლო გრანტის მიმღები ბაკალავრიატის სტუდენტთა რაოდენობა;
- გაიზრდება პროფესიული განათლების მომზადების პროგრამების კონტინგენტი;

## 2. მაღალი ხარისხის საგანმანათლებლო შედეგებზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს ჩამოყალიბება

### პრიორიტეტის აღწერა და მიზანი

უმაღლეს სასწავლებლებში ჩაბარების პროცესში დამყარდა სამართლიანი კონკურენციის პრინციპი, თუმცა, მოხდა აქცენტის გადატანა ერთიანი ეროვნული გამოცდების საგნებზე, ნაკლები ყურადღება ეთმობა ეროვნული გეგმის სხვა საგნებს, შემცირდა გაკვეთილებზე დასწრების მაჩვენებელი. სახელმძღვანელოების ფართო სპექტრმა გაართულა მათი შერჩევის პროცესი. მასწავლებელთა სერტიფიცირების პროცესის დაყოვნება აფერხებს სწავლების ხარისხის ამაღლებას. მცირეა საგანმანათლებლო საგნებთან ინტეგრირებული კომპიუტერული პროგრამების რაოდენობა, დაბალია სკოლების ინტერნეტით უზრუნველყოფის მაჩვენებელი.

აღნიშნული პრობლემების გადაჭრის მიზნით:

- ეტაპობრივად დაინერგება ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა;
- სასკოლო ატესტატის ასაღებად ჩატარდება გამოცდები ძირითად საგნებში;
- ჩამოყალიბდება და ამოქმედდება სასკოლო სახელმძღვანელოების ერთიანი ტექნიკური სტანდარტები და გრიფირების ახალი წესი;
- ინგლისური ენის გაკვეთილებს ჩაატარებენ ინგლისურენოვანი მასწავლებლები;
- სრულად ამოქმედდება მასწავლებლების სერტიფიცირების სისტემა;
- გაგრძელდება უსაფრთხო სკოლის კონცეფციის დანერგვა;

### მოსალოდნელი შედეგები:

- საგანმანათლებლო დაწესებულებებში იქნება უზრუნველყოფილი დასწრების და დისციპლინის მაღალი დონე;
- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში შეიქმნება მოსწავლეთა ჯანმრთელობისათვის და სიცოცხლისათვის უსაფრთხო გარემო;
- აღიკვეთება საჯარო სკოლებში და მიმდებარე ტერიტორიაზე ჯანმრთელობისა და სიცხოცხლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები. კერძოდ, მოზარდ მოსწავლეთა შორის ურთიერთდაპირისპირება და საჯარო სკოლის ტერიტორიაზე მოსწავლეთა მიერ ცივი და ცეცხლსასროლი იარაღის ტარების, ალკოჰოლური და ნარკოტიკული საშუალებების გავრცელება;
- გაუმჯობესდება ინგლისური ენის ცოდნის დონე;
- სასწავლო გარემო ხელს შეუწყობს მოსწავლეების გონებრივი და ფიზიკური უნარ-ჩვევების განვითარებას, მათ შორის უსაფრთხოების, საინფორმაციო ტექნოლოგიების, უცხო ენებისა და მსოფლიო კულტურის ისტორიის ცოდნის საკითხებში.

## 3. თითოეული მოქალაქისათვის განათლების თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა

**პრიორიტეტის აღწერა და მიზანი**

რეფორმების შედეგად მიღწეულია ჩართულობის მაღალი მაჩვენებლები განათლების ყველა საფეხურზე, თუმცა, შეზღუდულია სწავლის შესაძლებელობები სპეციალური საგანამანათლებლო საჭიროებების მქონე ადამიანებისათვის, მწირია სწავლის ან კვალიფიკაციის შეძენის შესაძლებლობები სასჯელაღსრულების დაწესებულებებში, დიდია სოციალურად დაუცველი კატეგორიის ბავშვებისა და ახალგაზრდების რიცხვი, ხოლო ეროვნულ უმცირესობებში სახელმწიფო ენის ცოდნის დაბალი დონე ზღუდავს საზოგადოებაში მათი ინტეგრირების პროცესს. აღნიშნული სირთულეების დაძლევის და ყველა მოქალაქისათვის განათლების ხელმისაწვდომობის მიზნით:

- ზოგადი განათლების დაწესებულებებში განვითარდება სათანადო ინფრასტრუქტურა, შემუშავდება პროგრამები და გადამზადდებიან პედაგოგები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეებისათვის;
- ამოქმედდება კვოტების სისტემა ეთნიკური უმცირესობებისათვის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩაბარებისას;
- ქართული ენის სწავლების მიზნით ქვეყნის მასშტაბით გაფართოვდება ქართული ენის სახლების ქსელი;
- არასრულწლოვანთა აღმზრდელობით და ქალთა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში იქნება ორგანიზებული სასწავლო პროცესი;
- გაფართოვდება სოციალურად დაუცველი მოსწავლეების და სტუდენტების სახელმწიფო დახმარების სისტემა.

**მოსალოდნელი შედეგები:**

- უზრუნველყოფილი იქნება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვთა ინტეგრაცია ერთიან საგანმანათლებლო სივრცეში;
- ამაღლდება ქართული ენის ცოდნის დონე არაქართულენოვან მოსახლეობაში;
- სასჯელაღსრულების დაწესებულებებში შეიქმნება განათლების გაგრძელების და კვალიფიკაციის მიღების შესაძლებლობები;
- მოსწავლეები სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან იქნებიან უზრუნველყოფილი სახელმძღვანელოებით;

## 4. მეცნიერების და აკადემიური განვითარების ხელშეწყობა

**პრიორიტეტის აღწერა და მიზანი**

2005-2009 წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა მეცნიერების დაფინანსება, ჩამოყალიბდა მეცნიერების დაფინანსების კონკურენტული სისტემა. თუმცა, მეცნიერება ისევ ნაკლებად მიმზიდველია ნიჭიერი ახალგაზრდებისათვის, დაბალია მეცნიერთა საერთაშორისო სამეცნიერო თანამშრომლობაში ჩართულობის დონე, ნელი ტემპით მიმდინარეობს განათლებისა და მეცნიერების ინტეგრაციის პროცესი.

აღნიშნული მდგომარების გათვალისწინებით გამოიკვეთება სამეცნიერო კვლევების პრიორიტეტული მიმართულებები და ამოქმედდება კვლევების ხელშეწყობის განსხვავებული ფორმები, ხელი შეეწყობა სამეცნიერო საერთაშორისო თანამშრომლობას და ახალგაზრდა მეცნიერების წახალისებას.

**მოსალოდნელი შედეგები:**

- შეიქმნება სამეცნიერო ტექნოპარკები წამყვანი უნივერსიტეტების ბაზაზე;
- დაიწყება მეცნიერებატევადი პროდუქტებისა და ტექნოლოგიების დანერგვა ეროვნულ ეკონომიკაში;
- გაფართოვდება კავშირები ევროპულ და ევროატლანტიკურ სასწავლო-აკადემიურ სივრცესთან.

## საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო

### 1. სახელოვნებო განათლების სისტემის ხელშეწყობა

**პრიორიტეტის აღწერა და მიზანი**

სახელოვნებო განათლება ქვეყნის კულტურისა და განათლების პოლიტიკის განუყოფელი ნაწილია, როგორც ქართული კულტურის სულიერი და მატერიალური მემკვიდრეობის შენარჩუნებისა და ხელოვნების განვითარების, ისე ჩამოყალიბების პროცესში მყოფი ერთიანი საგანმანათლებლო სივრცის სრულყოფის საკითხში.

პრიორიტეტი მოიცავს სახელოვნებო განათლების ღონისძიებებს, რომლებიც ორიენტირებულია, როგორც საგანმანათლებლო დაწესებულებების, ისე სახელოვნებო განათლების ხელშეწყობაზე, რაც ასევე გულისხმობს ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების კანონების შემდგომ დახვეწას, მათში სახელოვნებო განათლების სპეციფიკის ასახვის თვალსაზრისით; სასწავლო-შემოქმედებითი კუთხით პერსპექტიულ მოსწავლეთა და სტუდენტთა ხელშეწყობას; საშემსრულებლო სამაგისტრო პროგრამებზე სტუდენტების სწავლის დაფინანსებას.

**მოსალოდნელი შედეგები:**

- სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებების მოწესრიგებული საკანონმდებლო და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა;
- სახელოვნებო ორგანიზაციების დაკომპლექტება მაღალკვალიფიციური კადრებით;
- მატერიალურად წახალისებული და მოტივირებული სახელოვნებო სასწავლებლების პედაგოგები;
- საერთაშორისო კონკურსებში, ფესტივალებში და სხვა ფორუმებში მოპოვებული წარმატებები;

- საქართველოს დიპლომებისა და ატესტატების მობილობა და ვალიდობა ევროპულ სტანდარტებთან;

## 2. მსოფლიოში საქართველოს პოზიტიური იმიჯის ჩამოყალიბება

### პრიორიტეტის აღწერა და მიზანი

XX საუკუნის მანძილზე საბჭოთა კავშირის ჩაკეტილობისა და შემდგომში კი საქართველოს პოლიტიკური იზოლაციის და შეზღუდული რესურსების გამო, ვერ ხდებოდა საქართველოს ხელოვნებისა და კულტურის პოპულარიზაცია საზღვარგარეთ. მიუხედავად რამოდენიმე წლის მცდელობისა მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ქართული კულტურა არ არის გაცნობიერებული საზოგადოების მიერ. ამიტომ, საქართველოს როგორც ევროპული და მსოფლიო ცივილიზაციის განუყოფელი ნაწილის წარმოჩინება ჯერ კიდევ საჭიროებს სერიოზულ ძალისხმევას.

პრიორიტეტი გულისხმობს საქართველოს პოპულარიზაციისა და ადექვატური იმიჯის ჩამოყალიბების მიზნით ისეთი ღონისძიებების ჩატარებას, რომლებიც პოზიტიურად წარმოაჩენს საქართველოს, გააღვივებს ინტერესს მის მიმართ და დაუმკვიდრებს ადგილს ევროპული ცივილიზაციის ისტორიულ და მიმდინარე კონტექსტში. პრიორიტეტი ორიენტირებულია შესაბამისი ქვეყნების პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიმღებ წრეებზე, მედია - ჯგუფებსა და საზოგადოების ფართო ფენებზე. პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება „საქართველოს საერთაშორისო კულტურული პრეზენტაციის პროგრამა „ქართული სეზონი", რომელიც მიზნად ისახავს გაცვლითი კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობას.

### მოსალოდნელი შედეგები:

- ქართული კულტურა მსოფლიოში დაიკავებს საკუთარ ადგილს, როგორც ერთ-ერთი უნიკალური და უძველესი კულტურა;
- საქართველო მსოფლიოს წინაშე წარსდგება, როგორც ევროპული კულტურის მქონე ქვეყანა;
- განვითარდება საქართველოს არა მხოლოდ კულტურული, არამედ საზოგდოებრივი და პოლიტიკური ურთიერთობები;

## 3. კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და სამუზეუმო სისტემის სრულყოფა

### პრიორიტეტის აღწერა და მიზანი

ქვეყნის მდიდარი კულტურული მემკვიდრეობის შესანარჩუნებლად და მომავალი თაობებისათვის მისი სრულყოფილი სახით გადასაცემად, აუცილებელია ძეგლთა რეაბილიტაცია. კულტურული მემკვიდრეობის მოვლა-პატრონობისა და მართვის არსებული მექანიზმები არ შეესაბამება მსოფლიოში გავრცელებულ პრაქტიკას, ასევე მოსაწესრიგებელია მუზეუმებისა და მუზეუმ-ნაკრძალების მატერიალურ-ტექნიკური ბაზები, აუცილებელია ექსპონატთა რეაბილიტაცია, მუზეუმების პოპულარიზაცია. ამ მიმართულებით, სხვადასხვა სახის გამოცემებს, ექსპოზიციებს, გამოფენებს ესაჭიროება

განახლება-მოწყობა. ასევე აუცილებელია მუზეუმების მენეჯმენტის გაუმჯობესება და საერთაშორისო ინსტიტუციებთან თანამშრომლობა.

პრიორიტეტის ფარგლებში დაგეგმილია:

- საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშების რეაბილიტაციისკენ მიმართული ღონისძიებების განხორციელება, როგორც ჩვენს ტერიტორიაზე, ისე მის ფარგლებს გარეთ;
- UNESCO-ს მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ქართული ძეგლების სრულყოფილი დოკუმენტირება და რეაბილიტაცია;
- კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშების (მოძრავი, უძრავი) ინვენტარიზაცია და სააღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა;
- ძეგლთა ინტეგრირებული ინფრასტრუქტურების შექმნა, პოპულარიზაციისკენ მიმართული ღონისძიებების განხორციელება; საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და დანერგვა კულტურული მემკვიდრეობის სფეროში;
- მუზეუმების რეაბილიტაცია, ახალი ტექნოლოგიებით აღჭურვა, მართვის თანამედროვე სისტემის დანერგვა და მუზეუმების ფონდების პასპორტიზაცია;
- მუზეუმების პოპულარიზაცია (ახალ ექსპოზიციათა მოწყობა, არსებულის განახლება, მოძრავი გამოფენების მოწყობა ქვეყნის შიგნით და გარეთ, ახალი გამოცემები).

**მოსალოდნელი შედეგები:**

- ქართული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების შენარჩუნება;
- ინტეგრირებული ინფრასტრუქტურა მოეწყობა კულტურული მემკვიდრეობის კომპლექსურ ძეგლებზე;
- ამოქმედდება სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო პროგრამა.
- შეიქმნება ძეგლთა დეტალური სააღრიცხვო, კვლევითი, სხვადასხვა ტიპის დაზიანებათა სადიაგნოსტიკო დოკუმენტაცია. მოხდება კულტურული მემკვიდრეობის უძრავი, მოძრავი ნიმუშების, ობიექტებისა და ძეგლების სისტემატიზაცია და საერთაშორისო სამეცნიერო ასპარეზზე გატანა.
- ინფორმაციის შენახვის, განახლებისა და გავრცელების თანამედროვე სტანდარტების დანერგვა.
- ქვეყანაში კულტურული ტურიზმის განვითარება და ზოგადად, ტურიზმისათვის მიმზიდველი გარემოს შექმნა.

## 4. ხელოვნების დარგების განვითარების ხელშეწყობა

### პრიორიტეტის აღწერა და მიზანი

თეატრის, კინოს, მუსიკის, სახვითი ხელოვნებისა და ლიტერატურის განვითარება-პოპულარიზაციის ხელშეწყობას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია როგორც ქართული კულტურის ტრადიციების შენარჩუნების, ისე მისი შემდგომი განვითარებისა და მსოფლიო კულტურულ სივრცეში ინტეგრირების თვალსაზრისით.

ამასთანავე გადასალახია რიგი პრობლემები ცენტრსა და რეგიონებს შორის ერთიანი კულტურული სივრცის შესაქმნელად და რეგიონებში არსებული პრობლემების მოსაგვარებლად. დედაქალაქთან შედარებით საქართველოს ცალკეული რეგიონების კულტურული ცხოვრება დიდი აქტივობით ვერ გამოირჩევა, მძიმე მდგომარეობაშია კულტურული ობიექტების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. მწვავედ დგას მრავალი შემოქმედი ადამიანის დასაქმების პრობლემა.

პრიორიტეტი გულისხმობს ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების ტრადიციების დაცვას, განვითარებას და პოპულარიზაციას, კონკრეტული პროექტების განხორცილების გზით საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში. საერთაშორისო თეატრალური, მუსიკალური, სახვითი, კინო ხელოვნების და წიგნის ფესტივალების მეშვეობით ხელოვნების პოპულარიზაციას, საიუბილეო თარიღების აღნიშვნას, გამოფენების და კონცერტების მოწყობას, რეგიონების თეატრების ხელშეწყობას სადადგმო ხარჯითა და ტექ-აღჭურვით, რეგიონებსა და თბილისის თეატრების გასტროლების ორგანიზებას და ხელშეწყობას. გამოცემების ხელშეწყობას და ახალი გამოცემებით ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდების განახლებას, საქართველოში ეროვნულ უმცირესობათა არამატერიალური და მატერიალური კულტურული ფასეულობების გამოვლენას და ქართულ კულტურულ სივრცეში განვითარებას.

**მოსალოდნელი შედეგები:**

- ქართველ ხელოვანთა პროფესიული ზრდა, დასაქმება, მათთვის ახალი ინფორმაციის მიწოდება, საერთაშორისო კულტურულ სივრცეში მათი ჩართვა;
- საერთაშორისო (თეატრალური, მუსიკალური, კინო, ფოლკლორული, წიგნის) ფესტივალების ჩატარება და მონაწილეობის მიღება;
- ლიტერატურული ნაწარმოებისა და ლიტერატურული გაზეთების გამოცემა; სეზონზე ახალი სპექტაკლების დადგმა, გამოფენების მოწყობა, საუბილეო და შემოქმედებითი საღამოების ჩატარება;
- საქართველოს რეგიონებში კულტურული ცხოვრების პოპულარიზაცია და აღორძინება;
- მთავარი ბიბლიოთეკის და მასში შემავალი სასოფლო ბიბლიოთეკების ფონდების შევსება ახალი გამოცემებით;
- განხორციელებული ღონისძიებების დარგობრივი, ჟანრობრივი, ესთეტიკური და თემატური მრავალფეროვნება;

## საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო

### 1. კონფლიქტურ რეგიონებში დევნილთა ქონების აღრიცხვა

**პრიორიტეტი: კონფლიქტურ რეგიონებში დევნილთა ქონების აღრიცხვა**

შესაძლო დაბრუნებულ დევნილთა ელემენტარული უფლებები არ არის უზრუნველყოფილი და მათი უსაფრთხოება გარანტირებული, ქონებრივი უფლებები სისტემატურად ირღვევა. შესაბამისად დაგეგმილია უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების მოთხოვნის მქონე პირების გამოკვეთა შემდგომში პრივატიზაციის პროცესის მოსამზადებლად, ვინაიდან აფხაზეთის ტერიტორიაზე და ცხინვალის რეგიონში პრივატიზაცია არ ჩატარებულა. ასევე დაგეგმილია აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის გეოინფორმაციული სისტემის შექმნა.

**მოსალოდნელი შედეგი:**

აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონში აღირიცხება დევნილი მოსახლეობის უძრავი ქონება.

## 2. ლტოლვილთა და დევნილთა საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება

**პრიორიტეტის აღწერა და მიზანი**

დევნილთა თითქმის ნახევარი დღესაც განსახლებულია კომპაქტური ჩასახლების ცენტრებში. ამ შენობებმა დაკარგა თავიანთი პირვანდელი ფუნქცია და ისინი ძირითადად უვარგისია საცხოვრებლად და საჭიროებს რეაბილიტაციას. პრიორიტეტის მიზანია ლტოლვილთა და დევნილთათვის კომპაქტური ჩასახლების ობიექტებში შესაბამისი საცხოვრებელი პირობების შექმნა და დევნილთათვის საცხოვრებელი ფართების საკუთრებაში გადაცემა.

აღნიშნულის გათვალისწინებით განხორციელდება სავალალო მდგომარეობაში მყოფ დევნილთა კომპაქტურად ჩასახლების ობიექტების შესწავლა და შემდგომში მათი რეაბილიტაცია. კვლავაც გაგრძელდება კომპაქტურად ჩასახლებულ ობიექტებში ლტოლვილთა და დევნილთა რაოდენობის დაზუსტდება და მათთვის კომუნალური ხარჯების დაფინანსდება.

**მოსალოდნელი შედეგები:**

კომპაქტურად ჩასახლებულ ობიექტებში ჩატარებული სარეაბილიტაციო სამუშაოების შედეგად გაუმჯობესდება მათში მცხოვრები დევნილების საცხოვრებელი პირობები. ორგანიზებულად ჩასახლებულ დევნილთა ოჯახები უზრუნველყოფილი იქნებიან ელექტროენერგიით, საყოფაცხოვრებო და კომუნალური მომსახურებით.

## 3. მიგრაციული პროცესების მიმართ ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება

ქვეყანაში დაწყებულია მუშაობა მიგრაციული პროცესების მიმართ ერთიანი მიდგომის საფუძვლების ჩამოსაყალიბებლად. მომზადებულია მიგრაციის მართვის სახელმწიფო სტრატეგიის პროექტი, რომლის საფუძველზეც უნდა შეიქმნას სამოქმედო გეგმა.

პრიორიტეტის მიზანს წარმოადგენს მიგრანტთათვის დახმარების გაწევა მათი საზოგადოებაში სრულფასოვანი ინტეგრაციის მიზნით. მიგრაციის ერთიანი მონაცემთა

ბაზის არსებობა საშუალებას მოგვცემს გავაანალიზოთ და სწორი შეფასება მივცეთ მიმდინარე მიგრაციულ პროცესებს და შესაბამისად დავსახოთ კონკრეტული ღონისძიებები არსებული პრობლემების აღმოსაფხვრელად.

პრიორიტეტის ფარგლებში დამატებით შეიქმნება საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრები, რაც გულისხმობს ბენეფიციარებისა და ზოგადად საზოგადოებისათვის სრულყოფილი ინფორმაციის მიწოდებას საერთაშორისო სამართლის, დანიშნულების ქვეყნებში არსებული სამართლებლივი აქტების, დასაქმების შესაძლებლობების, მიგრანტთა უფლებებისა და მოვალეობების, ასევე მოსალოდნელი საფრთხეების შესახებ.

ცენტრების ფუნქციონირება გარკვეულწილად წარმოადგენს არალეგალური მიგრაციისა და ტრეფიკინგის პრევენციას. მიგრაციის ერთიანი მონაცემთა ბაზა საშუალებას მოგვცემს მოვახდინოთ სრულფასოვანი პროგნოზირება და მონიტორინგი ქვეყანაში მიმდინარე როგორც შიდა, ასევე გარე მიგრაციულ პროცესებზე.

განხორციელდება ეკომიგრანტთა განსახლების ორგანიზება და ახალ საცხოვრებელ ადგილებზე მათი ადაპტაცია-ინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობა.

**მოსალოდნელი შედეგები:**

- საქართველოდან არალეგალური მიგრაციის ნაკადის შემცირება;
- საქართველოს მოქალაქეებისათვის უცხოეთში დროებითი ლეგალური შრომითი მიგრაციის შესაძლებლობების გაზრდა;
- რეადმისიის ხელშეკრულებით დაბრუნებულთა საზოგადოებაში სრულფასოვანი ინტეგრაცია;
- ეკომიგრანტების საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება.

### 4. მუსლიმანი მესხების რეპატრიაცია

**პრიორიტეტის აღწერა და მიზანი**

დამთავრდა რეპატრიაციის მსურველთა განაცხადების მიღება საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული აპლიკაციის ფორმების მიხედვით. 2010 წლის 1 იანვრიდან დაწყებულია და გაგრძელდება რეპატრიანტის სტატუსის მაძიებელთა მიღებული აპლიკაციების განხილვა, ანალიზი, მათი სისტემატიზაცია და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება.

**მოსალოდნელი შედეგები:**

შეიქმნება რეპატრიაციის მსურველთა მონაცემთა ელექტრონული ბაზა, დაიწყება რეპატრიანტის სტატუსის მინიჭების პროცესი.

# საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

## 1. მოსახლეობის საპენსიო უზრუნველყოფა

### პრიორიტეტის აღწერა და მიზანი

საპენსიო გასაცემლების (სახელმწიფო პენსია, სახელმწიფო კომპენსაცია, სახელმწიფო აკადემიური სტიპენდია და სხვა) უწყვეტ დაფინანსებას მნიშვნელოვანი როლი აკისრია მოსახლეობის მოწყვლადი ნაწილის სიღარიბისგან დაცვის და სხვა არსებითი საჭიროებების დაკმაყოფილებისათვის. მიმდინარე დემოგრაფიული ტენდენციებისა (ბავშვთა და საპენსიო ასაკის მოსახლეობის შეფარდების ზრდა შრომისუნარიანი მოსახლეობის რაოდენობასთან) და შრომის ბაზარზე არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, საქართველოში მცხოვრები შინამეურნეობების მნიშვნელოვანი ნაწილი მოკლებულია საარსებოდ აუცილებელი ფულადი შემოსავლების მიღების შესაძლებლობას; ამ სიტუაციაში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრული საპენსიო შემოსავლების წილი შინამეურნეობათა ბიუჯეტში საკმაოდ მაღალია, რის გამოც პენსიების უწყვეტი და დროული გაცემა მნიშვნელოვან როლს ასრულებს ცხოვრების მინიმალური სტანდარტის უზრუნველყოფაში მოსახლეობის ფართო ჯგუფებისათვის.

### მოსალოდნელი შედეგები:

კანონმდებლობით დადგენილი საპენსიო გასაცემლების უწყვეტი გაცემა; საპენსიო უზრუნველყოფის რაციონალიზაცია (პენსიონერთა სხვადასხვა ჯგუფებში საპენსიო შემოსავლებს შორის განსხვავების შემცირება საპენსიო პაკეტის ოპტიმალური მართვის მეშვეობით); პენსიის მიმღებთა არსებითი საჭიროებებისა და ცხოვრების მინიმალური სტანდარტის უზრუნველყოფა;

## 2. მოსახლეობის სოციალური დაცვა

### პრიორიტეტის აღწერა და მიზანი

ქვეყანაში სიღარიბის ფართო გავრცელების პირობებში სიღარიბის უკიდურესი ფორმების აღმოფხვრისა და შესაბამისი რისკების განეიტრალების მიზნით აუცილებელი ხდება მოსახლეობის ცალკეული ჯგუფების სოციალური დაცვის დამატებითი ღონისძიებების განხორციელება მიზნობრივი ფულადი დახმარებისა და მომსახურეობათა ცალკეული სახეობების გაწევის მეშვეობით.

- ამ პრიორიტეტის ფარგლებში გათვალისწინებულია შემდეგი სახის ფულადი გასაცემლები: საარსებო შემწეობა სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი ოჯახებისათვის, ფულადი დახმარება დევნილი მოსახლეობისათვის, რეინტეგრაციის შემწეობა (ოჯახებისათვის, რომლებიც მოახდენენ ოჯახის წევრის სააღმზრდელო დაწესებულებებიდან ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნებას), მინდობით აღზრდის ანაზღაურება (ოჯახებისათვის, რომლებიც უზრუნველყოფენ მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა საკუთარ ოჯახში აღზრდას), სახელმწიფო დახმარება (ტერიტორიული

მთლიანობისთვის ბრძოლის მარჩენალდაკარგულებისთვის, რომლებმაც დაკარგეს 2 ან მეტი შვილი ან არიან მარტოხელა).

- სოციალური ვაუჩერის მეშვეობით დაფინანსდება შემდეგი სახის მომსახურება: შშმ პირთა დღის ცენტრებით უზრუნველყოფა, შშმ პირთა სათემო ორგანიზაციების მომსახურება, შშმ პირთა დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფა, შშმ ბავშვთა ფსიქოსომატური აბილიტაციის/რეაბილიტაცია, ფსიქიკური დარღვევების მქონე პირთა ინსტიტუციური პატრონაჟი, ძვალ-სახსროვანი დაავადებების მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია, შშმ ბავშვთა ადრეული განვითარების ხელშეწყობა, შშმ პირთა და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა საკურორტო მომსახურება, რეინტეგრირებული და მიტოვების რისკის ქვეშ მყოფი ბავშვების ხელოვნური კვების პროდუქტებით უზრუნველყოფა, მცირე, ოჯახური ტიპის ბავშვთა სახლებში მომსახურეობა. დაფინანსების ამგვარი სქემა უზრუნველყოფს გამოყოფილი სახსრების უშუალოდ ბენეფიციარზე მიმართვას და ამავე დროს აძლევს მას მომსახურების მიმწოდებლის თავისუფალი არჩევის შესაძლებლობას.

**მოსალოდნელი შედეგები:**

- შინამეურნეობათა სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების სისტემის გაუმჯობესება გამოყენებული ფორმულისა და გამოკვლევის მეთოდოლოგიის დახვეწის, ასევე სათანადო ინფორმაციული კამპანიის წარმოებისა და მიზნობრივი სოციალური დახმარების მიმღები ოჯახების ხელახალი შეფასების მეშვეობით;
- სოციალური დახმარების სიტემის ფარგლებში სოციალური ტრანსფერების მიზნობრიობის გაზრდა;
- უკიდურესი სიღარიბის პირობებში მცხოვრები შინამეურნეობების ცხოვრების სტანდარტის გაუმჯობესება;
- სოციალური სფეროს დეინსტიტუციონალიზაცია და ჩანაცვლებითი სოციალური სერვისების განვითარება;
- შშმ პირების ადეკვატური სერვისებით უზრუნველყოფა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათი ინტეგრაციის გაუმჯობესება;

### 3. მოსახლეობისათვის სამედიცინო მომსახურების მიწოდება კერძო სადაზღვევო სქემებით

**პრიორიტეტის აღწერა და მიზანი**

ჯანდაცვის მთლიან დანახარჯებში დაახლოებით 69%-ს წარმოადგენს კერძო დანახარჯები, ე.წ. „ჯიბიდან გადახდების" სახით, შესაბამისად, მოსახლეობის სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის ზრდისათვის მნიშვნელოვანია შესაბამისი სადაზღვევო სქემების განვითარება, განსაკუთრებული როლი აქვს მოსახლეობის სოციალურად დაუცველი ჯგუფების აღნიშნულ სქემებში ჩართვას. პრიორიტეტი ითვალისწინებს სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას კერძო სადაზღვევო მექანიზმებით პრიორიტეტული მიზნობრივი ჯგუფებისათვის, კერძოდ: სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობა, დევნილი მოსახლეობა, სახელმწიფო მზრუნველობის ქვეშ მყოფი პირები, საჯარო სკოლებისა და ცალკეული საგანმანათლებლო დაწესებულების პედაგოგები და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალი.

**მოსალოდნელი შედეგები:**

- მთლიანად ჯანმრთელობის დაცვისა და სამედიცინო დაზღვევის სფეროში სახელმწიფო კონტროლის გაძლიერება;
- სამედიცინო მომსახურებაზე ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდა სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სამედიცინო დაზღვევით მოცვის მაჩვენებელთა გაუმჯობესებისა და სამედიცინო მომსახურეობის ანაზღაურებაში „ჯიბიდან გადახდების“ ხვედრითი წილის შემცირების მეშვეობით;
- ჯანმრთელობის დაზღვევის სისტემაში მთელი მოსახლეობის, მათ შორის მისი შეძლებული ნაწილის ინტეგრაციის მაჩვენებელთა ზრდა.

## 4. საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა

**პრიორიტეტის აღწერა და მიზანი**

ჯანმრთელობის ხელშეწყობის, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებისა და დაავადებათა პროფილაქტიკისკენ მიმართული სამთავრობო ძალისხმევა მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე. ქვეყანაში უნდა გაძლიერდეს შესაძლებლობები იმისთვის, რომ გადამდებ და ონკოლოგიურ დაავადებათა პრევენცია და ადრეული გამოვლენა ეფექტურ მექანიზმად იქცეს, ერთის მხრივ, საზოგადოების დაცულობის გასაზრდელად და მეორეს მხრივ, სახელმწიფო დანახარჯების ოპტიმიზაციისათვის. აღნიშნული პრიორიტეტის განხორციელება მოხდება მოსახლეობის იმუნიზაციის, დაავადებათა ადრეული გამოვლენისა და სკრინინგის ხელშეწყობის, ასევე ისეთი გადამდები დაავადებების როგორიცაა ტუბერკულოზი, მალარია, ვირუსული ჰეპატიტები, აივ-ინფექცია, სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების გავრცელების კონტროლისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების გზით საქართველოს მთელს მოსახლეობაში.

**მოსალოდნელი შედეგები:**

- პირველადი ჯანდაცვის რგოლში საზოგადოებრივი ჯანდაცვის სერვისების ინტეგრაცია;
- იმუნიზაციის კომპონენტის ფარგლებში მოსახლეობის მომსახურების გაუმჯობესება;
- ტუბერკულოზით, აივ/შიდსით და სხვა გადამდები დაავადებებით ავადობის შემცირება;
- ონკოლოგიური სნეულებების ადრეულ სტადიაზე გამოვლენის მაჩვენებელთა ზრდა;

## 5. მოსახლეობისათვის სამედიცინო მომსახურების მიწოდება სხვა პრიორიტეტულ სფეროებში

**პრიორიტეტის აღწერა და მიზანი**

ინტეგრირებული სამედიცინო სერვისების გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა დადებით ზეგავლენას ახდენს მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე; სამედიცინო დახმარების დროული და თანამიმდევრული განხორციელება აუცილებელი პირობაა გაწეული დახმარების შედეგიანობისა და ხარჯთ-ეფექტურობის ამაღლების, ასევე დაავადებათა მძიმე ფორმების პრევენციისა და სიკვდილიანობის შემცირებისათვის; აღნიშნული პრიორიტეტის განხორციელება მოხდება პირველადი ჯანდაცვის დონეზე ინტეგრირებული სამედიცინო მომსახურეობის, სასწრაფო-გადაუდებელი დახმარებისა და რეფერალური სამსახურების მუშაობის ეფექტურობის გაზრდისა და ჩანაცვლებით თერაპიაზე მყოფ პირებისათვის აუცილებელ მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მეშვეობით

**მოსალოდნელი შედეგები:**

- სამედიცინო დახმარების შედეგიანობისა და ხარჯთ-ეფექტურობის ზრდა;
- დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის გაუმჯობესება, დაავადებათა მძიმე ფორმებით ავადობის პრევენცია და სიკვდილიანობის მაჩვენებელთა შემცირება (საქართველოში ათასწლეულის განვითარების მე-4 და მე-5 მიზნების მიღწევა);
- ჩანაცვლებით თერაპიაზე მყოფი პაციენტების სპეციფიკური სამკურნალო საშუალებებით უზრუნველყოფის გაუმჯობესება;

## 6. სამედიცინო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობა

**პრიორიტეტის აღწერა და მიზანი**

არსებული სიტუაციიდან გამომდინარე, ამ პრიორიტეტის ფარგლებში მნიშვნელოვანია სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ჯანდაცვითი ინფრასტრუქტურის, შენობა-ნაგებობებისა და აღჭურვილობის განახლება, სამედიცინო დაწესებულებებში დიაგნოსტიკისა და მკურნალობის მინიმალური სტანდარტის უზრუნველყოფა და ფალსიფიცირებული, უხარისხო და ვადაგასული სამკურნალო საშუალებების მიმოქცევის პრევენცია. სამედიცინო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობა, კერძოდ: სამედიცინო ინფრასტრუქტურის განახლება/განვითარება, დიაგნოსტიკისა და მკურნალობის მინიმალური სტანდარტების დამტკიცება და კონტროლი; ფარმაცევტული ბაზრის ეფექტური რეგულირების მიღწევა;

**მოსალოდნელი შედეგები:**

ამბულატორიული და ჰოსპიტალური სამედიცინო დახმარებით მოსახლეობის კმაყოფილების ზრდა.

## საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო

### 1. ელექტროენერგიის გადაცემის საშუალებების მშენებლობა-რეაბილიტაცია და ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის გაზრდა

**პრიორიტეტის აღწერა და მიზანი**

საქართველოში წარმოებული ელექტროენერგიის გადაცემისა და განაწილებისათვის შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარებისა და ენერგოსისტემის უსაფრთხოებისა და მდგრადობის ამაღლებისათვის ახალი ხაზების და ქვესადგურების მშენებლობა, კერძოდ:

- ახალციხიდან თურქეთის საზღვრამდე 400 კვ და 500 კვ ეგხ-ს მშენებლობა-რეაბილიტაცია ზესტაფონი-ახალციხე-გარდაბნის ქვესადგურებამდე.
- 500/400/220 კვ ქვესადგურის მშენებლობა ახალციხეში 700 მგვტ სიმძლავრის მუდმივი დენის ჩანართით.
- ფოთის თავისუფალ ინდუსტრიული ზონისათვის 110/220კვ ელექტროგადამცემი ხაზების მშენებლობა.
- აზერბაიჯანისა და სომხეთის საზღვრამდე მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობა.
- 220 კვ ეგხ ,,სენაკი-1“-ისა და ,,სენაკი-2“-ის მშენებლობა-რეაბილიტაცია.

**მოსალოდნელი შედეგები:**

- ენერგოსისტემის მდგრადობისა და სტაბილურობის ამაღლება;
- ელექტროენერგიის გადაცემისა და მიღების ხარისხის გაუმჯობესება;
- მეზობელ ქვეყნებთან ელექტროენერგიის მიღებისა და გაცემის დივერსიფიკაცია და საექსპორტო პოტენციალის გაზრდა.

### 2. ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა-რეაბილიტაცია

**პრიორიტეტის აღწერა და მიზანი**

საკუთარი ბუნებრივი რესურსების - ჰიდროპოტენციალის გამოყენებით ეკონომიკურად და ტექნიკურად დასაბუთებული საინვესტიციო პროექტების განხორციელება, რაც ითვალისწინებს დამატებითი სიმძლავრეების შექმნას, ელექტროენერგიაზე ქვეყნის მოთხოვნის დაკმაყოფილებას და მისი ექსპორტის გაზრდას.

პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება ენგურჰესის 2 აგრეგატისა და ვარდნილჰესის არხის რეაბილიტაციის პროექტი, გაგრძელდება 5 ახალი ჰიდროელექტროსადგურის - მტკვარიჰესის, ფარავანჰესის, ბახვიჰესის, ლუხუნიჰესისა და ზოტიჰესის მშენებლობა, ასევე იგეგმება სხვა ჰესების (ხუდონჰესი, ნამახვანჰესების კასკადი, სხვა მცირე და საშუალო სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურები) სამშენებლო სამუშაოების დაწყება, რომლის თაობაზეც მთვარობასა და ინვესტორს შორის გაფორმებულია მემორანდუმი.

**მოსალოდნელი შედეგები:**

- სიანვესტიციო პროექტების განხორციელებით საქართველოს ენერგოსისტემას შეემატება ელექტროენერგიის წარმოების სიმძლავრეები.
- გაიზრდება ქვეყანაში გამომუშავებული განახლებადი ენერგიის ექსპორტის პოტენციალი.

## 3. ბუნებრივი გაზის ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია

**პრიორიტეტის აღწერა და მიზანი**

ბუნებრივ აირზე გაზრდილი მოთხოვნილებიდან გამომდინარე საჭიროა ქვეყნის მაგისტრალური, მაღალი და საშუალო წნევის გაზსადენების ქსელის რეაბილიტაცია/მშენებლობა. აღნიშნული მიმართულებებით განხორციელდება:

- საგურამო-ხაშურის გაზის მილსადენის რეაბილიტაცია (700მმ–40კმ);
- ნავთლუღი-საგურამოს გაზის მილსადენის მშენებლობა (700მმ–38კმ);
- ტაბაწყური-ბაკურიანი გაზის მილსადენის მშენებლობა (300მმ-18კმ);
- ხაშური-სენაკი გაზის მილსადენის რეაბილიტაცია/მშენებლობა (700მმ-60კმ);
- სენაკი-ფოთი გაზის ახალი მილსადენის მშენებლობა (700მმ–32კმ);
- რეგიონალური მნიშვნელობის მიწისქვეშა გაზსაცავის მშენებლობის შესაძლებლობების შესწავლა

**მოსალოდნელი შედეგები:**

- რეგიონების ბუნებრივი აირით მომარაგების უზრუნველყოფა;
- გაზსადენების სატრანსპორტო/სატრნაზიტო პოტენციალის განვითარება;
- ბუნებრივი აირის დანაკარგების შემცირება;
- მიწისქვეშა გაზსაცავის მშენებლობით შესაძლებელი იქნება ბუნებრივი აირის რეზერვის შექმნა ენერგეტიკული უსაფრთხოების და ქვეყნის სატრანზიტო პოტენციალის ამაღლების თვალსაზრისით.

## 4. განახლებადი ენერგიის წყაროების ათვისების და ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით საინვესტიციო პროექტების მომზადება

**პრიორიტეტის აღწერა და მიზანი**

- განახლებადი ენერგიის წყაროების შემდგომი ათვისებისა და ელექტროენერგიის ექსპორტის გაზრდის მიზნით საინვესტიციო პროექტების მომზადება.

- დამატებით მომზადებული საინვესტიციო პროექტების განხორციელების და ინვესტიციების მოზიდვის მიზნით შესაბამისი ღონისძიებების გატარება.

- პრიორიტეტის ფარგლებში ასევე განხორციელდება ჰიდროენერგეტიკაში საინვესტიციო პროექტების მხარდაჭერის პროექტი, შავი ზღვის სანაპიროზე ბუნებრივი აირის გამათხევადებელი სადგურის (AGRI პროექტის ფარგლებში, რომელიც ითვალისწინებს ბუნებრივი აირის ტრანსპორტირებას კასპიის აუზიდან აზერბაიჯანისა და საქართველოს გავლით რუმინეთის პორტ კონსტანცამდე, მათ შორის გათხევადებული ფორმით შავ ზღვაზე) და აგრეთვე ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის მშენებლობის შესაძლებლობის შესწავლა.

**მოსალოდნელი შედეგები:**

- დამატებითი ინვესტიციების მოზიდვა ენერგეტიკის სექტორში დაახლოებით 3 მილიარდი აშშ დოლარის ოდენობით.
- დამატებით 1500 მგვტ დადგმული სიმძლავრის შექმნა და საექსპორტო პოტენციალის კიდევ უფრო გაზრდა. ამის შედეგად მოხდება 10 მლნ. ტონა პირობითი საწვავის ეკონომია და შესაბამიად გარემოში გამოყოფილი სათბური აირების შემცირება.
- ენერგორესურსების დივერსიფიკაცია, ენერგოუსაფრთხოებისა და ქვეყნის სატრანზიტო პოტენციალის გაზრდა.

## საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო

### 1. სურსათის უვნებლობა და მომხმარებელთა უფლებების დაცვა

**პრიორიტეტის აღწერა და მიზანი**

დღეისათვის ხორციელდება სურსათის ხარისხის სახელმწიფო კონტროლი საცალო ვაჭრობის დონეზე, მაგრამ ეს არ იძლევა სრულ წარმოდგენას სურსათის წარმოების სფეროში დღეისათვის ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობის შესახებ. სურსათის უვნებლობის უზრუნველყოფის საკითხი მთლიანად მეწარმის კეთილსინდისიერებაზეა დამოკიდებული, რის გამოც მომხმარებელი დაუცველია არაკეთილსაიმედო სურსათის მოხმარებისაგან და მნიშვნელოვნად შეფერხებულია ქართული სასურსათო პროდუქციის ექსპორტი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე აუცილებელია:

- 2010 წლიდან ინსპექტირების განხორციელება ევროკავშირში ექსპორტიორ სურსათის მწარმოებელ საწარმოებში, ხოლო 2013 წლიდან მაღალი რისკის სურსათის მწარმოებელ საწარმოებში;
- სასურსათო პროდუქტების ლაბორატორიული კვლევის სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების განხორციელება.

**მოსალოდნელი შედეგები:**

- რისკის ანალიზზე დამყარებული სურსათის უვნებლობის ინტეგრირებული სისტემის განვითარება;
- მომხმარებელთა დაცვა მავნე, ვადაგასული, უხარისხო ან ფალსიფიცირებული სურსათისაგან;
- ქვეყნის სასურსათო პროდუქციის საექსპორტო პოტენციალის გაზრდა.

## 2. მცენარეთა დაცვა და ფიტოსანიტარიული კეთილსაიმედოობა

**პრიორიტეტის აღწერა და მიზანი**

საკარანტინო და განსაკუთრებით საშიში მავნე ორგანიზმები სერიოზულად აზიანებენ სასოფლო-სამეურნეო კულტურებს და იწვევენ მოსავლის მნიშვნელოვან დანაკარგებს. მათ მიმართ ლოკალიზაცია/ლიკვიდაციის ღონისძიებების გასატარებლად აუცილებელია ქვეყნის ტერიტორიის ფიტოსანიტარიული მონიტორინგი და მავნე ორგანიზმების გავრცელება-განვითარების პროგნოზის სისტემის შექმნა. ასევე, საგანგებო სიტუაციების სალიკვიდაციოდ პრეპარატების სარეზერვო ფონდის შექმნა.

მაღალი და უვნებელი მოსავლის მიღების მიზნით, მნიშვნელოვანია ხარისხიანი მცენარეთა დაცვის და სასუქების გამოყენება, მათი ნარჩენი რაოდენობების დადგენა მოყვანილ მცენარეულ პროდუქციაში, პესტიციდებისა/აგროქიმიკატების გამოყენებისა და მიმოქცევის რეგულირება სახელმწიფოს მხრიდან.

ფერმერთა ცოდნის ამაღლება წარმოადგენს აუცილებელ პირობას მცენარეთა დაცვის ეფექტური და უსაფრთხო ღონისძიებების გასატარებლად.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით დაგეგმილია:

- საკარანტინო და განსაკუთრებით საშიში მავნე ორგანიზმების საწინააღმდეგო ღონისძიებების გატარება;
- პესტიციდების/აგროქიმიკატების ხარისხის და მცენარეულ პროდუქციაში ნარჩენი რაოდენობების და განსაკუთრებით საშიში და საკარანტინო მავნებელ-დაავადებების გავრცელების მონიტორინგი;
- საგანგებო სიტუაციების სალიკვიდაციოდ პრეპარატების სარეზერვო ფონდის შექმნა;
- ფერმერებისათვის შესაბამისი რეკომენდაციების გამოცემა-გავრცელება.

**მოსალოდნელი შედეგები:**

- საკარანტინო და განსაკუთრებით საშიში მავნე ორგანიზმების მასობრივი გავრცელების აღკვეთა და კერების ლიკვიდაცია.
- სოფლის მეურნეობის პროდუქციის ხარისხის, უვნებლობის და კონკურენტუნარიანობის ამაღლება

## 3. მეცხოველეობის განვითარება და ეპიზოოტიური კეთილსაიმედოობა

**პრიორიტეტის აღწერა და მიზანი**

ქვეყანაში ჯერ კიდევ გვხვდება სხვადასხვა სახის ინფექციური და ინვაზიური დაავადებები, თითქმის არ ფუნქციონირებს სასაკლაოები, არ არის დანერგილი ცხოველთა იდენტიფიკაცია-რეგისტრაციის სისტემა. საქართველოში მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მთლიანი სულადობის 70-75 პროცენტი დაბალპროდუქტიულია.

არსებული სიტუაციის გათვალისწინებით მომდევნო წლებში დაგეგმილია:

- დაავადებების საწინააღმდეგო პროფილაქტიკური ვაქცინაცია;
- დაავადების გაჩენის შემთხვევაში სალიკვიდაციო ღონისძიებების გასატარებლად ბიოპრეპარატების სარეზერვო ფონდის შექმნა და ვაქცინაციისა და გამოკვლევების ჩატარებისათვის დამხმარე საშუალებების შეძენა;
- ცხოველთა რეგისტრაცია – იდენტიფიკაციის სისტემის განხორციელება;
- ცხოველთა სანიტარული სასაკლაოების მოწყობა;
- საქონლის ჯიშობრივი გაუმჯობესება.

**მოსალოდნელი შედეგები**

- დაავადებების შემცირების ტენდეცია;
- ცხოველებისა და მეცხოველეობის პროდუქტების იმპორტის ჩანაცვლება და ექსპორტის განვითარება;
- ცხოველური წარმოშობის ადგილობრივი პროდუქციის საიმედოობის ზრდა მომხმარებლებში;
- მეცხოველეობის პროდუქტების ხარისხობრივი და რაოდენობრივი ზრდა;

## 4. სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაცია

**პრიორიტერის აღწერა და მიზანი**

ქვეყანაში ძალიან დაბალია სასოფლო-სამეურნეო კულტურების საჰექტარო მოსავლიანობა, არ არის ფართოდ დანერგილი ახალი ტექნოლოგიებით სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება, რის გამოც საკმაოდ მაღალია წარმოებული პროდუქციის თვითღირებულება და შესაბამისად მოხმარებულ პროდუქციაში იმპორტის ხვედრითი წილი, ხშირია ამორტიზირებული ვენახები და ბაღები.

აღნიშნულის გათვალისწინებით ფერმერების დაინტერესების და შესაბამისი ტექნოლოგიების დანერგვის მიზნით საჭიროა ქვეყნის რიგ რეგიონებში სადემონსტრაციო ფართობის, ვენახების და ბაღების მოწყობა სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურებით. აგრეთვე, სადემონსტრაციო ნაკვეთებში უცხოელი და ადგილობრივი კონსულტანტების მიერ სემინარების და მინდვრის დღეების ჩატარება.

**მოსალოდნელი შედეგები:**

- ფერმერების პრაქტიკული ცოდნის და გამოცდილების ამაღლება;

- სადემონსტრაციო ფართობებში და ნაკვეთებში მოხდება ხილისა და ბოსნეულის ახალი ჯიშების ინტროდუქცია, რაც გამოიწვევს წარმოების სეზონის გახანგრძლივებას, მოსავლიანობის ამაღლებას;
- შემცირდება წარმოებული პროდუქციის თვითღირებულება, გაიზრდება რენტაბელობა, სადემონსტრაციო ფართობებიდან მიღებული შედეგების რეკლამირებით გაიზრდება იმ ფერმერთა რაოდენობა, რომლებიც მომდევნო წლებში გაიზიარებენ დანერგილ ახალ ტექნოლოგიებს.

## 5. მევენახეობა-მეღვინეობის დარგის განვითარება და ფალსიფიკაციასთან ბრძოლა

### პრიორიტერის აღწერა და მიზანი

რუსეთის მხრიდან განხორციელებული ემბარგოს გამო, საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობის დარგის წინაშე დადგა ახალი ამოცანა, რაც გულისხმობს სამომხმარებლო ბაზრის დივერსიფიკაციას და ქართული ღვინოპროდუქციის საექსპორტო მოცულობების გაზრდას, რაც თავის მხრივ უკავშირდება საერთაშორისო ბაზარზე ქართული პროდუქციის პოპულარიზაციისა და კონკურენტუნარიანობის გაზრდას, ასორტიმენტის გაფართოებას, სამომხმარებლო ბაზრის დაცვას დაბალხარისხოვანი და ფალსიფიცირებული პროდუქციისგან, ვაზის ნარგაობების განახლებასა და ჯიშობრივ გადახალისებას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით დაგეგმილია ქართული ღვინოპროდუქციის საერთაშორისო და ადგილობრივი დეგუსტაცია-კონკურსებისა და გამოფენების მოწყობა, თანამშრომლობა საერთაშორისო ექსპერტებთან, ალკოჰოლიანი სასმელების სერთიფიცირებულ პარტიებზე საინსპექციო კონტროლის განხორციელება.

### მოსალოდნელი შედეგები:

- სანედლეულო ბაზის განახლება და ჯიშობრივი გადახალისება;
- ქართული ღვინის პოპულარიზაცია და მისი ხარისხისა და საექსპორტო პოტენციალის ამაღლება;
- საექსპორტო პროდუქციის რაოდენობრივი და გეოგრაფიული არეალის გაზრდა;
- სამომხმარებლო ბაზრებზე უხარისხო და ფალსიფიცირებული პროდუქციის შემცირება;
- მაღალმოსავლიანი, ძვირფასი ჯიშის ყურძნის ახლად გაშენებული ვენახების რაოდენობის ზრდა.

## 6. სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის განახლება

### პრიორიტერის აღწერა და მიზანი

სურსათის წარმოების გაზრდის მიზნით აუცილებელია სასოფლო-სამეურნეო მანქანა-დანადგარების აღჭურვილობის შეძენისა და მომსახურების ცენტრების შექმნის ხელშეწყობა. დღეისათვის ქვეყანაში არსებული პარკი 7 ათასამდე ერთეულს ითვლის, საიდანაც 70%-ზე მეტს გასული აქვს ექსპლუატაციის ვადა, რაც ზრდის მათი ექსპლუატაციის ხარჯს, ამცირებს დამუშავების ხარისხს და აგროვადებში მათი

გამოყენების შესაძლებლობას. შესაბამისად აუცილებელია საქართველოს ყველა რეგიონში მექანიზაციის სერვის ცენტრების მოწყობა და მათი აღჭურვა ახალი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით.

**მოსალოდნელი შედეგები:**

- სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის დეფიციტის შემცირება;
- დამუშავებული სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მოცულობის ზრდა;
- პირველადი წარმოების ხარჯების მინიმიზაცია და მოსავლიანობის ზრდა;

### 7. სამელიორაციო ინფრასტრუქტურის მონაცემთა ბაზის შექმნა და წყალმომხმარებელთა იდენტიფიცირება

**პრიორიტერის აღწერა და მიზანი**

შემუშავდება საქართველოს სამელიორაციო ინფრასტრუქტურის ერთიანი მონაცემთა ბაზა. მონაცემთა ბაზის დამუშავებისას შეიქმნება მატრიცა ARC-GIS პროგრამული უზრუნველყოფით, მისი შემდგომი განვითარების, სრულყოფისა და უნიფიცირების შესაძლებლობით. ერთიანი JPS კოორდინატთა სისტემაში ინტეგრირებით.

**მოსალოდნელი შედეგები:**

- წყალსამეურნეო რეჟიმების სრულყოფა;
- სამელიორაციო ინფრასტრუქტურის მონაცემთა ბაზის სრულყოფა და მათი ფუნქციონირების ოპტიმიზაცია;
- წყლის რაციონალური გამოყენების გაზრდა;
- მელიორირებული სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ფართობების ზრდა;

## გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო

### 1. ტყის მდგრადი მართვის მიზნით სატყეო სექტორის რეფორმა

**პრიორიტერის აღწერა და მიზანი**

ტყის მდგრადი მართვის მიზნით სატყეო სექტორის რეფორმის მიზანს წარმოადგენს სატყეო რესურსებით ეფექტური მრავალფუნქციონალური სარგებლობა ტყეების ხარისხობრივი მდგომარეობის შენარჩუნება-გაუმჯობესებით, ხოლო სატყეო სექტორში ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოს შექმნის მიზნით აუცილებელია სახელმწიფო ტყის ფონდის მართვა განხორციელდეს სამეურნეო საქმიანობის თანამედროვე მეთოდებით, გრძელვადიანი ტყითსარგებლობის დანერგვით და ტყითმოსარგებლეთა მოტივაციის გაზრდით.

შესაბამისად უნდა შემუშავდეს ტყის მართვის გეგმები, აგრეთვე უნდა გამოიყოს სპეციალური ჭრის ტყეკაფები მოსახლეობის სათბობ შეშაზე მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით საშუალოვადიან პერიოდში ძირითადად უნდა განხორციელდეს:

- ტყეების მოვლისა და აღდგენა-გაშენების ღონისძიებები;
- ტყის ინვენტარიზაცია და მონაცემთა ბაზის შექმნა;
- სახელმწიფო სამეურნეო ტყის ფონდის შიდა და გარე საზღვრების დაზუსტება;
- ტყის სანერგეების მოწყობა;
- მოსახლეობის სათბობ შეშაზე მოთხოვნილების მიზნით სპეციალური ტყეკაფების გამოყოფა;

**მოსალოდნელი შედეგი:**

ტყით სარგებლობა განხორციელედება მხოლოდ ტყის მართვის გეგმების შესაბამისად, ხოლო უკანონოდ სარგებლობა მაქსიმალურად შემცირდება. შემცირდება ეროზირებული და დეგრადირებული ფართობები. ქვეყნის მოსახლეობა უზრუნველყოფილი იქნება სათბობი შეშით. განახლდება სახელმწიფო სამეურნეო ტყის ფონდის მაჩვენებლების შესახებ მონაცემები.

## 2. წყლის რესურსების სააუზო მართვის სისტემაზე გადასვლა

**პრიორიტერის აღწერა და მიზანი**

საქართველოში დღეისათვის წყლის რესურსების მართვა ხორციელდება ადმინისტრაციული პრინციპის საფუძველზე. ადმინისტრაციული მოდელის მიხედვით შეუძლებელია წყლის რესურსების მოხმარების ეფექტური დაგეგმვა მდინარის მთელი აუზის ფარგლებში სხვადასხვა წყალმოსარგებლეთა ინტერესების, აგრეთვე აუზის ეკოსიტემების შენარჩუნებისა და დაცვის გათვალისწინებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, წყლის რესურსების სააუზო მართვის თანამედროვე პრინციპებზე გადასვლის მიზნით აუცილებელია შემუშავებულ იქნეს მდ. მტკვრის, ალაზანი-იორის, ხრამი-დებედას და რიონის აუზების მართვის გეგმები, რომლებშიც გათვალისწინებული იქნება მდინარის აუზის ზოგადი ჰიდროლოგიური და ჰიდროქიმიური დახასიათება, მნიშვნელოვანი უარყოფითი ფაქტორებისა და ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების მდგომარეობაზე ანთროპოგენური ზემოქმედების და წყლის რესურსების დაცვის სფეროში გამოვლენილი პრობლემების აღწერა, ბუნებრივი კატასტროფების რისკების შეფასება, წყლის რესურსების დაბინძურებისაგან თავიდან აცილების ღონისძიებების გეგმა და ა. შ.

**მოსალოდნელი შედეგები:**

- მდინარეების წყლის ფიზიკურ-ქიმიური ხარისხის გაუმჯობესება, ძირითადი დამაბინძურებელი ნივთიერებების (ორგანული ნივთიერებები, აზოტის ნაერთები, ნავთობპროდუქტები, მძიმე ლითონები) კონცენტრაციების შემცირება ზღვრულად დასაშვებ დონემდე;

- წყლის ეკოსისტემების მდგომარეობის გაუმჯობესება;
- მდინარეების აუზების სტაბილური და ხელსაყრელი ეკოლოგიური მდგომარეობის უზრუნველყოფა;

## 3. დაცული ტერიტორიების სისტემის ჩამოყალიბება და ეკოტურიზმის განვითარება

**პრიორიტერის აღწერა და მიზანი**

დაცული ტერიტორიების სისტემაში არსებული რიგი ხარვეზების (დაცული ტერიტორიების ერთიანი ქსელის არარსებობა, მოუწყობელი ინფრასტრუქტურა, კვალიფიციური კარდების ნაკლებობა და ა.შ.) აღმოფხვრის მიზნით საშუალოვადიან პერიოდში აუცილებელია განსახორციელდეს ახალი დაცული ტერიტორიების მართვის გეგმების და დაცულ ტერიტორიებზე ტურიზმის განვითარების სტრატეგიის შემუშავება, ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება, დაცულ ტერიტორიებში იშვიათი და გადაშენების საფრთხის ქვეშ მყოფი სახეობებისა და ჰაბიტატების დაცვა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით საშუალოვადიან პერიოდში ძირითადად უნდა განხორციელდეს:

- ბიომრავლფეროვნების კონსერვაცია და ბუნებრივი რესურსებით მდგრადი სარგებლობის უზრუნველყოფა;
- ინფრასტრუქტურის განვითარება;
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, მათ შორის მეხანძრეებისათვის საჭირო სპეციალური ტანსაცმელის და ინვენტარის, აგრეთვე მავნებლებთან საბრძოლველად სპეციალური ნივთიერებების შეძენა;
- საქართველოს სამხრეთ ნაწილში (სომხეთისა და თურქეთის საზღვრის მიმდებარე ტერიტორიაზე) ჯავახეთის ეროვნული პარკისა და ჭაობით დაფარულ ტერიტორიებზე ხუთი აღკვეთილის (კარწახი, ხანჩალი, ბუღდაშენი, მადატაფა და საღამო) შექმნა;
- ადგილობრივი მოსახლეობის გარემოსდაცვითი ცნობიერებისათვის შესაბამისი ღონისძიებების გატარება;

**მოსალოდნელი შედეგები:**

- შენარჩუნდება და აღდგება ფლორისა და ფაუნის უნიკალური სახეობები;
- შემცირდება ბუნებრივი რესურსებით უკანონო სარგებლობა;
- უზრუნველყოფილი იქნება დაცული ტერიტორიების ფინანსური მდგრადობა საკუთარი შემოსავლების ზრდით;
- მოეწყობა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ინფრასტრუქტურა, რაც გაზრდის ტურისტთა რაოდენობას;

## 4. ნარჩენების მართვის სისტემის რეფორმა და გარემოს ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნების კონტროლი;

### პრიორიტერის აღწერა და მიზანი

ვინაიდან საქართველოში მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის სისტემა არაეფექტურია და ის სრულად არ პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს და სტანდარტებს, რაც ხელისშემშლელი ფაქტორია ქვეყანაში ეკო-ტურიზმის განვითარებისათვის. აუცილებელია ნარჩენებისა და ქიმიური ნივთიერებების მართვის რეფორმის ფარგლებში განხორციელდეს:

- ნარჩენების პოლიგონის შესწავლა, შეფასება და რეკულტივაცია;
- მდგარდი ორგანული დამაბინძურებლების ამოღება, შეფუთვა და დროებით უსაფრთხო ადგილებში განთავსება;
- პოლიეთილენის ნაწარმის ნარჩენების წარმოქმნის ხელშემწყობი ფაქტორების შესწავლა და შეფასება; პოლიეთილენის ნაწარმის შეგროვების, ნედლეულად გამოყენებისა და გადამუშავების (რეციკლირების) ღონისძიებები.

### მოსალოდნელი შედეგები:

- მინიმუმამდე შემცირდება ქვეყანაში არსებული ვადაგასული პესტიციდების რაოდენობა;
- გაუმჯობესდება სამარხზე არსებული ეკოლოგიური მდგომარეობა, მინიმუმამდე შემცირდება გარემოზე ზეგავლენის რისკები;
- შესაბამისი ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობით მკვეთრად შემცირდება პოლიეთილენით გარემოს დანაგვიანება;
- შემცირდება გარემოზე მიყენებული ზიანი და შენარჩუნება ეკოლოგიური წონასწორობა.

## 5. პრიორიტეტი: საშიში ბუნებრივი პროცესების პრევენცია

### პრიორიტერის აღწერა და მიზანი

სტიქიური მოვლენებით გამოწვეული შესაძლო უარყოფითი შედეგების შერბილების ან თავიდან აცილების მისაღწევად საჭიროა კატასტროფების მართვის ეფექტური ღონისძიებების განხორციელება. ამ ღონისძიებებს შორის ერთ-ერთ ძირითადს წარმოადგენს მოსალოდნელი სტიქიური მოვლენების შესახებ წინასწარი გაფრთხილების ეფექტური სისტემის ჩამოყალიბება. შესაბამისად საშუალოვადიან პერიოდში გათვალისწინებულია ჰიდრომეტეოროლოგიური პარამეტრების კონტაქტური და დისტანციური გამზომი საშუალებების და სპეციალიზირებული მეტეოროლოგიური დაკვირვების სისტემების შეძენა და დანერგვა, აგრეთვე საჭიროა ავარიული უბნების გამოვლინება, ინერტული მასალის მარაგების და მათი მოპოვების ტერიტორიების

განსაზღვრა, შესაბამისი პრევენციული და ავარიული სიტუაციის სალიკვიდაციო ღონისძიებების ჩატარება.

**მოსალოდნელი შედეგები**

- გაიზრდება მოსალოდნელი სტიქიური ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენების პროგნოზების სიზუსტე და შესაბამისად შემცირდება სტიქიური მოვლენებით გამოწვეული შესაძლო ეკონომიკური ზარალი;
- მაქსიმალურად შემცირდება სტიქიური მოვლენების შედაგად გარემოსა და მოსახლეობაზე მიყენებული ზიანი;
- გაიზრდება სანაპირო ზონის ანთროპოგენური ფაქტორის მავნე ზემოქმედებისგან დაცულობის დონე;
- შემცირდება ეკომიგრაციის მაჩვენებელი;

## 6. ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების მონიტორინგის სისტემის სრულყოფა

**პრიორიტერის აღწერა და მიზანი**

ქვეყანაში ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე დაკვირვების პუნქტების არასაკმარისი რაოდენობის და არსებული მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების სიძველის (რიგ შემთხვევებში უქონლობის) გამო შემცირებულია გაზომვებით მიღებული შედეგების საიმედოობა და სიზუსტე. შესაბამისად აუცილებელია ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების ავტომატური სადამკვირვებლო სადგურების შეძენა და მოძველებული ხელსაწყო-დანადგარების შეცვლა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ხელსაწყოებით.

**მოსალოდნელი შედეგები:**

- გაუმჯობესდება ანალიზების ხარისხის შეფასებისა და კონტროლის მეთოდები;
- ატმოსფერული ჰაერის ხარისხის შესახებ მიღებული ინფორმაცია იქნება უფრო დეტალური და საიმედო;

## საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო

## 1. სპორტულ სახეობათა განვითარება, სპორტის პოპულარიზაცია და სასპორტო განათლების ხელშეწყობა

**პრიორიტეტის აღწერა და მიზანი**

პრიორიტეტი მოიცავს ღონისძიებებს, რომლებიც ორიენტირებულია სასპორტო განათლების ხელშეწყობაზე. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში მიმდინარეობს სპორტის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისა და მშენებლობისათვის მნიშვნელოვანი სამუშაოები, დღეისათვის საქართველოს რეგიონების უმრავლესობაში არსებული სპორტული ინფრასტრუქტურა არ შეესაბამება საერთაშორისო თანამედროვე სტანდარტებსა და მოთხოვნებს, მნიშვნელოვან გაუმჯობესებას საჭიროებს საქართველოს ნაკრები გუნდების საწვრთნელი ობიექტები, რათა შეიქმნას ამ ბაზებში ადგილობრივი და საერთაშორისო მასშტაბის ღონისძიებების ჩატარებისათვის ნორმალური პირობები. აუცილებელია ახალგაზრდებში სპორტის პოპულარიზაცია და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება, აგრეთვე სპორტის ხელმისაწვდომობა განურჩევლად ასაკისა.

აღნიშნული პრიორიტეტი ორიენტირებულია ქვეყანაში სპორტის შემდგომ განვითარებაზე, ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებაზე, სპორტის სხვადასხვა სახეობების, საქართველოს ეროვნული და ასაკობრივი ნაკრები გუნდების (ყველა ასაკობრივი ნაკრები გუნდის გათვალისწინებით-120 ნაკრები გუნდი) მომზადებასა და საერთაშორისო სპორტულ ღონისძიებებში (ოლიმპიური თამაშები, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატები, სხვადასხვა საერთაშორისო ტურნირები) მონაწილეობის ხელშეწყობაზე. ასევე გულისხმობს საქართველოს ჩემპიონატების და პირველობების ჩატარებას, სპორტული რეზერვისა და მაღალი კლასის სპორტსმენთა მომზადებას, საქართველოს რეგიონებში სპორტული მრავალფუნქციური კომპლექსების, ახალი სპორტული მოედნების, ხელოვნურსაფარიანი მინისაფეხბურთო მოედნების და პრიორიტეტული სახეობების ეროვნული ნაკრებების ძირითადი კომპლექსების აღდგენას.

**მოსალოდნელი შედეგები:**

- საერთაშორისო ტურნირებში, ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებზე სხვადასხვა სინჯის მედლების და ოლიმპიური თამაშებისათვის ლიცენზიების მოპოვება, როგორც ინდივიდუალურ ასევე გუნდურ სახეობებში. ოლიმპიადაზე მნიშვნელოვანი წარმატებების მიღწევა.
- ბავშვთა მასობრივი სპორტით დაინტერესების ზრდა;

## 2. ახალგაზრდობის სფეროში ერთიანი ახალგაზრდული პოლიტიკის გატარება

**პრიორიტეტის აღწერა და მიზანი**

პრიორიტეტი მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს ქვეყანაში ახალგაზრდების განვითარებას, მათში სახელმწიფოებრივი აზროვნების, აქტიური მოქალაქეობის იდეის, თავისუფალი აზროვნების, კანონის პატივისცემისა, სამოქალაქო პასუხისმგებლობის და შემოქმედებითი უნარების განვითარებას. ღონისძიებების უმეტესობა, რომელსაც საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო ახალგაზრდობისთვის შექმნის, არაფორმალური სწავლების ელემენტებზე იქნება აგებული, რისი საშუალებითაც გარდა ზემოთჩამოთვლილ თემებზე ინფორმაციის მიღებისა, მონაწილეები გამოიმუშავებენ პრეზენტაციების, დებატების წარმოების, ინფორმაციის მოძიებისა და მართვის უნარ-ჩვევებს.

პრიორიტეტი აერთიანებს ღონისძიებებს, რომლებიც მიმართულია ახალგაზრდული ორგანიზაციების განვითარებისკენ. კერძოდ ითვალისწინებს მათ მიერ მოწყობილი

ღონისძიებების მხარდაჭერასა და წახალისებას, ტრენინგ-პროგრამების შექმნას, ახალგაზრდების მონაწილეობას სხვადასხვა კონფერენციებსა თუ სამუშაო ჯგუფებში.

პრიორიტეტი ასევე აერთიანებს საერთაშორისო ტიპის პროექტებს, რომელებიც საშუალებას აძლევს ახალგაზრდული სტრუქტურების წარმომადგენლებს (საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს, მის დაქვემდებარებაში არსებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს, ადგილობრივი თვითმართველობის ახალგაზრდული სტრუქტურების წარმომადგენლებს, ახალგაზრდულ ორგანიზაციებს) მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო ღონისძიებებში, ჩართული იყვნენ რეგიონალურ თანამშრომლობის განვითარებაში, დაამყარონ საჭირო კონტაქტები, მიიღონ ინფორმაცია ახალგაზრდული სფეროს სხვა ქვეყნების გამოცდილებაზე და დაგეგმონ სამომავლო საერთაშორისო პროგრამები.

**მოსალოდნელი შედეგები:**

- ახალგაზრდების განვითარების ხელშეწყობა;
- ახალგაზრდებში აქტიური მოქალაქეობრივი, სახელმწიფოებრივი და თავისუფალი აზროვნების, ჯანსაღი ცხოვრების წესის, მოქალაქის უფლებებისა და ვალდებულებების, საზოგადოების წევრებზე ზრუნვის იდეის დამკვიდრება;
- ახალგაზრდებში პრეზენტაციის, დებატების, დასაქმებისთვის აუცილებელი, შემოქმედებითი საქმიანობისთვის საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავება;
- საერთაშორისო ახალგაზრდულ პროგრამებში ქართველი ახალგაზრდების მონაწილეობის გაზრდა;
- საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში მცხოვრები ახალგაზრდების ხელშეწყობა;
- ახალგაზრდული ორგანიზაციების საქმიანობის ხელშეწყობა;
- საბანაკო სისტემის სრულყოფა და განვითარება, ახალგაზრდებში მაღალი ზნეობრივი თვისებების ჩამოყალიბება და ახალგაზრდობის არაფორმალური განათლება;
- საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში მცხოვრები ახალგაზრდების ერთმანეთთან დამეგობრება და ურთიერთობების ჩამოყალიბება უცხოეთში მცხოვრებ თანატოლებთან.

### 3. მოქმედ და ვეტერან სპორტსმენთა, მწვრთნელთა და სპორტის მუშაკთა ფინანსური მხარდაჭერა

**პრიორიტეტის აღწერა და მიზანი**

პრიორიტეტი მოიცავს ოლიმპიურ ჩემპიონთა, ვეტერან სპორტსმენთა, სპორტის მუშაკთა, საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრთა და პერსპექტიულ სპორტსმენთა სტიპენდიებითა და სოციალური დახმარებით უზრუნველყოფის ღონისძიებებს მათი მატერიალური წახალისებისა და ფინანსური მხარდაჭერის მიზნით.

**მოსალოდნელი შედეგები:**

- წახალისებული ახალგაზრდა პერსპექტიული სპორტსმენები;
- საქართველოს ეროვნული და ოლიმპიური ნაკრები გუნდების მოტივირებული წევრები;
- მატერიალურად წახალისებული ოლიმპიური ჩემპიონები და სოციალურად დაცული ვეტერანი სპორტსმენები და სპორტის მუშაკები;

## საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი

### 1. პრევენციის ეროვნული მექანიზმის ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა

**პრიორიტეტის აღწერა და მიზანი**

სისხლის სამართლის რეფორმის ერთ-ერთი სტრატეგიული საკითხია პრევენციის ეროვნული მექანიზმის ფუნქციის შესრულება, რაც გულისხმობს ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობაზე როგორც გეგმიური, ასევე მოულოდნელი (დაუგეგმავი) მონიტორინგის განხორციელებას საქართველოს ტერიტორიაზე თავისუფლების აღკვეთის და თავისუფლების დეფაქტო აღკვეთის ადგილებში, ასევე წამების, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის პრევენციის მიზნით რეკომენდაციების შემუშავებას, მონიტორინგის ანგარიშების მომზადებას, წარდგენას, შემუშავებული რეკომენდაციების შესრულებისა და მათი განხორციელების შეფასებას.

**მოსალოდნელი შედეგები:**

საქართველოს ტერიტორიაზე თავისუფლების შეზღუდვის ადგილებში წამების, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის გამოყენების პრაქტიკის აღმოფხვრა.

### 2. სახალხო დამცველის ოფისის ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა და შესაძლებლობათა გაძლიერება

**პრიორიტეტის აღწერა და მიზანი**

უკანასკნელი წლების განმავლობაში სახალხო დამცველის აპარატის დაფინანსების ზრდის (მათ შორის დონორთა მხრიდან გამოყოფილი დაფინანსება) და აპარატში გატარებული რეფორმების შედეგად გაიზარდა სახალხო დამცველის ოფისების რაოდენობა და შესაბამისად მოსახლეობისთვის გაიოლდა სახალხო დამცველისათვის მიმართვის შესაძლებლობა. ასევე, გაიზარდა თანამშრომელთა კვალიფიკაცია, სამოქალაქო განათლების პროცესის ინტენსივობა, შეიქმნა ბავშვისა და ქალის, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვისა და ტოლერანტობის სპეციალიზებული ცენტრები.

ყოველივე აღნიშნული აისახა საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობაზე, რასაც სახალხო დამცველის მიერ გაწეული მონიტორინგის ანგარიშები, საჩივრების ანალიზი და ადამიანის უფლებათა სფეროში ჩატარებული კვლევები ადასტურებს.

პრიორიტეტის ფარგლებში აპარატის შემდგომი განვითარებისათვის აუცილებელი ღონისძიებები გულისხმობს სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლების გადამზადებას, სპეციალიზებული ცენტრების და რეგიონული ოფისების საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურით აღჭურვას.

**მოსალოდნელი შედეგები:**

- სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლება;
- სახალხო დამცველის სპეციალიზებული ცენტრებისა და რეგიონული ოფისების მუშაობის გაუმჯობესება საჩივრების შესწავლის, პოლიტიკის ანალიზისა და სახალხო დამცველის აპარატზე ხელმისაწვდომობის გაზრდის კუთხით;

## 3. სამოქალაქო განათლების პროცესის მხარდაჭერა

**პრიორიტეტის აღწერა და მიზანი**

ადამიანის უფლებათა შესახებ სამოქალაქო განათლების პროცესის განხორციელება სახალხო დამცველის მანდატის ნაწილია, რომელიც მას ორგანული კანონით აქვს მინიჭებული. იგი ასევე წარმოადგენს სისხლის სამართლის რეფორმის ნაწილს, რომელიც ასახულია სისხლის სამართლის რეფორმის სტრატეგიასა და სახალხო დამცველის სამოქმედო გეგმაში.

პრიორიტეტის ფარგლებში დაგეგმილია:

- სამოქალაქო განათლების მიზნით კამპანიების განხორციელება, სოციალური რეკლამის დამზადება და გაშვება მედიის საშუალებით;
- სამიზნე აუდიტორიებისათვის საგანმანათლებლო აქტივობების განხორციელება;
- ადამიანის უფლებათა თემაზე სხვადასხვა პუბლიკაციების გამოცემა და გავრცელება;

**მოსალოდნელი შედეგი:**

ადამიანის უფლებათა ცნობადობის დონის ამაღლება.

## სსიპ – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური – საქსტატი

## 1. სტატისტიკური სამუშაოთა სახელმწიფო პროგრამა

**პრიორიტეტის აღწერა და მიზანი**

საქართველოს სტატისტიკური სამუშაოების სახელმწიფო პროგრამა მოიცავს ქვეყნისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე სტატისტიკური გამოკვლევების მომზადებას, განხორციელებას და შედეგების გავრცელებას. გამოკვლევების შედეგად დგინდება ძირითადი სტატისტიკური ინდიკატორები. შესაბამისად, სტატისტიკური სამუშაოების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში იგეგმება:

- მთლიანი შიდა პროდუქტის მონაცემთა ხარისხის ამაღლება მისი გაანგარიშებისათვის საჭირო ინფორმაციული წყაროების ხარისხობრივი გაუმჯობესების გზით;
- საწარმოთა წლიური და კვარტალური გამოკვლევა;

- ბიზნეს რეგისტრის აქტუალიზაცია;
- არაკომერციული ორგანიზაციების გამოკვლევა;
- სპეციალური კვლევები (თემატური მიკროეკონომიკური აღწერა, ბაზრებსა და ბაზრობებზე მოვაჭრე ეკონომიკური სუბიექტების გამოკვლევა).
- სამომხმარებლო (ინფლაცია) და მწარმოებელთა ფასების ინდექსის გაანგარიშება.
- ძირითადი დემოგრაფიული მონაცემების გაანგარიშება.
- ქვეყანაში დასაქმებისა და უმუშევრობის დონის განსაზღვრა.

**მოსალოდნელი შედეგები:**

ქვეყანაში ძირითადი სტატისტიკური მაჩვენებლების დადგენა (ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი, საგარეო ვაჭრობისა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მაჩვენებლები, ინფლაცია, ბიზნესის სექტორის ძირითადი ინდიკატორები, დემოგრაფიული და სოციალური სტატისტიკის ძირითადი მაჩვენებლები).

**2. შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის პროგრამა**

**პრიორიტეტის აღწერა და მიზანი:**

შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის პროგრამა მოიცავს საქართველოს შინამეურნეობებზე ოფიციალური სტატისტიკის წარმოებას, სიღარიბის, ცხოვრების დონისა და მოსახლეობის ეკონომიკური აქტივობის ამსახველი მაჩვენებლების გაანგარიშებას,
ეროვნული ანგარიშების მაჩვენებლების გასაანგარიშებლად და სამომხმარებლო კალათის დადგენისათვის საჭირო მონაცემებით უზრუნველყოფას, საარსებო მინიმუმის გაანგარიშებისათვის სასურსათო და არასასურსათო დანახარჯების თანაფარდობის დადგენას.

**მოსალოდნელი შედეგები:**

- მიღებული იქნება მრავალფეროვანი სტატისტიკური ინფორმაცია საქართველოს შინამეურნეობების შესახებ, რომელიც გახდება მძლავრი ინდიკატორი მთავრობის მიერ ისეთი მნიშვნელოვანი სფეროების მონიტორინგისათვის, როგორიცაა სიღარიბის დონე, მოსახლეობის ცხოვრების დონე (შემოსავლები და ხარჯები), მოსახლეობის ეკონომიკური აქტივობა (დასაქმება და უმუშევრობა), აგრეთვე სხვადასხვა პროექტების და პროგრამების განხორციელების მონიტორინგისა და შედეგების შეფასებისათვის;

- შესაძლებელი გახდება ძირითადი მაჩვენებლებისათვის შეფასებების მიღება რეგიონების დონეზე, აგრეთვე დამატებითი მაჩვენებლების გამოქვეყნება ქვეყნის დონეზე;

- მნიშვნელოვნად გაიზრდება შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევიდან მიღებული შეფასებების საერთო სიზუსტე.

**3. სასოფლო მეურნეობათა შერჩევითი გამოკვლევის პროგრამა**

**პრიორიტეტის აღწერა და მიზანი:**

სასოფლო მეურნეობათა შერჩევითი გამოკვლევის პროგრამის მიზანია საქართველოს სოფლის მეურნეობის შესახებ მიმდინარე სტატისტიკური მონაცემების მოპოვება, დამუშავება და გავრცელება. პროგრამის ფარგლებში განისაზღვრება:

- სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნათესი და აღებული ფართობები, მოსავალი და საშუალო მოსავლიანობა;
- პირუტყვის სულადობა და მეცხოველეობის პროდუქციის წარმოება;
- სასუქებითა და პესტიციდებით დამუშავებული ფართობები და მათი მოცულობა;
- მწარმოებელთა საშუალო წლიური ფასები;
- სასოფლო-სამეურნეო წარმოებაზე გაწეული დანახარჯები; მორწყული ფართობები.

**მოსალოდნელი შედეგები:**

- სასოფლო მეურნეობათა შერჩევითი გამოკვლევის შედეგად მიღებული იქნება საქართველოს სოფლის მეურნეობის შესახებ როგორც მიმდინარე (წინასწარი), ისე საბოლოო სტატისტიკური ინფორმაცია, რაც მთავრობას საშუალებას მისცემს მონიტორინგი გაუწიოს სასოფლო-სამეურნეო წარმოებასა და სოფლად სოციალურ-ეკონომიკურ დონეს.

- მნიშვნელოვნად გაიზრდება სასოფლო მეურნეობათა შერჩევითი გამოკვლევიდან მიღებული შეფასებების საერთო სიზუსტე როგორც ქვეყნის, ასევე ყველა რეგიონის დონეზე.

**4. მოსახლეობის და საცხოვრისების საყოველთაო აღწერა**

**პრიორიტეტის აღწერა და მიზანი**

ვინაიდან საქართველოში ბოლო აღწერა ჩატარდა 2002 წელს, ხოლო გაეროს რეკომენდაციებით ქვეყნებმა ხელახალი აღწერა უნდა ჩაატარონ 10 წლიანი ინტერვალით, შესაბამისად მსოფლიოს მოსახლეობისა და საცხოვრისის აღწერის პარალერულად დაგეგმილია საქართველოს მოსახლეობის აღწერის ჩატარება, რაც მიზნად ისახავს საქართველოს რადიკალურად განახლებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების, ქვეყანაში შექმნილი ახალი სოციალურ-ეკონომიკური ვითარების, მოსახლეობის სხვადასხვა ფენის ცხოვრების დონეთა შესახებ სრული და ობიექტური ინფორმაციის მოპოვებას, დამუშავებას, გაანალიზებასა და სხვადასხვა სახელმწიფოებრივი გადაწყვეტილების მისაღებად გამოყენებას.

**მოსალოდნელი შედეგები:**

- ქვეყნის აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების, ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოების და საზოგადოების ინფორმირება ქვეყანაში მომხდარი სოციალურ-ეკონომიკური და დემოგრაფიული ცვლილებების შესახებ;

- არსებული სიტუაციის შესწავლა, შეფასებისა და პროგნოზირების საფუძველზე ქვეყნის უახლესი ათწლეულის სოციალურ-ეკონომიკური და დემოგრაფიული სტრატეგიის შემუშავება.

| | პრიორიტეტებზე მთლიანად მიმართული სახსრები | | | | პრიორიტეტებზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიმართული სახსრები | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| მხარჯავი დაწესებულება | 2011 | 2012 | 2013 | 2014 | 2011 | 2012 | 2013 | 2014 |
| **საქართველოს კონტროლის პალატა** | **11,150.0** | **11,150.0** | **11,150.0** | **11,150.0** | **10,821.0** | **10,821.0** | **10,821.0** | **10,821.0** |
| 1. INTOSAI-ის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად საქართველოს კონტროლის პალატის ინსტიტუციური განვითარება, დამოუკიდებელ თანამედროვე უმაღლეს აუდიტორულ ორგანოდ ჩამოყალიბება | | | | | | | | |
| 2. საჯარო ფინანსების მართვის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა | | | | | | | | |
| **საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია** | **13,183.9** | **37,000.0** | **37,000.0** | **14,000.0** | **13,183.9** | **37,000.0** | **37,000.0** | **14,000.0** |
| **საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო** | **1,075.0** | **1,100.0** | **1,100.0** | **1,150.0** | **1,075.0** | **1,100.0** | **1,100.0** | **1,150.0** |
| **ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი** | **1,301.0** | **1,350.0** | **1,400.0** | **1,400.0** | **1,301.0** | **1,350.0** | **1,400.0** | **1,400.0** |
| 1. NATO-ში ინტეგრაციის კოორდინაცია | | | | | | | | |
| 2. ევროკავშირთან ინტეგრაციის კოორდინაცია | | | | | | | | |
| 3. ევროკავშირის დახმარების პროგრამების | | | | | | | | |
| **დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი** | **623.2** | **650.0** | **700.0** | **700.0** | **623.2** | **650.0** | **700.0** | **700.0** |
| 1. ქართული დიასპორის სამშობლოსთან ინტეგრაცია | 273.2 | 273.2 | 298.2 | 298.2 | 273.2 | 273.2 | 298.2 | 298.2 |
| 2. ქართულ დიასპორებში განათლებისა და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება | 350.0 | 376.8 | 401.8 | 401.8 | 350.0 | 376.8 | 401.8 | 401.8 |
| **რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი** | **1,000.0** | **1,100.0** | **1,200.0** | **1,200.0** | **1,000.0** | **1,100.0** | **1,200.0** | **1,200.0** |
| **საქართველოს ფინანსთა სამინისტრო** | **128,573.1** | **110,000.0** | **105,000.0** | **105,000.0** | **114,131.7** | **110,000.0** | **105,000.0** | **105,000.0** |
| 1. საბიუჯეტო პროცესის შემდგომი განვითარება და სრულყოფა | 46,954.6 | 50,600.0 | 55,600.0 | 60,600.0 | 32,636.2 | 50,600.0 | 55,600.0 | 60,600.0 |
| 2. საგადასახადო პოლიტიკა და გადამხდელთა მომსახურების გაუმჯობესება | 81,618.5 | 58,800.0 | 49,400.0 | 44,400.0 | 81,495.5 | 58,800.0 | 49,400.0 | 44,400.0 |
| **საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო** | **75,441.7** | **33,000.0** | **33,000.0** | **33,000.0** | **49,806.7** | **33,000.0** | **33,000.0** | **33,000.0** |

| | პრიორიტეტებზე მთლიანად მიმართული სახსრები | | | | პრიორიტეტებზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიმართული სახსრები | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **მხარჯავი დაწესებულება** | **2011** | **2012** | **2013** | **2014** | **2011** | **2012** | **2013** | **2014** |
| 1. ეკონომიკური პოლიტიკა და მისი განხორციელების კორდინაცია | 1,200.0 | 1,200.0 | 1,200.0 | 1,200.0 | 1,200.0 | 1,200.0 | 1,200.0 | 1,200.0 |
| 2. უცხოური ინვესტიციების მოზიდვა, ტურიზმის, ხარისხის ინფრასტრუქტურისა და საგარეო ვაჭრობის განვითარება | 67,747.0 | 12,600.0 | 12,600.0 | 12,600.0 | 42,112.0 | 12,600.0 | 12,600.0 | 12,600.0 |
| 3. სახელმწიფო ქონების პრივატიზება | 5,050.0 | 5,050.0 | 5,050.0 | 5,050.0 | 5,050.0 | 5,050.0 | 5,050.0 | 5,050.0 |
| **ადმინისტრაციული და სხვა დანარჩენი ღონისძიებების ხარჯები** | 1,444.6 | 14,150.0 | 14,150.0 | 14,150.0 | 1,444.6 | 14,150.0 | 14,150.0 | 14,150.0 |
| **საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო** | **864,027.3** | **745,000.0** | **815,000.0** | **450,000.0** | **325,285.7** | **225,000.0** | **250,000.0** | **250,000.0** |
| 1. საქართველოს საავტომობილო გზების ინფრასტრუქტურის განვითარება | 517,428.5 | 689,585.0 | 743,730.0 | 378,730.0 | 209,245.9 | 175,585.0 | 185,730.0 | 186,730.0 |
| მ.შ. ნაპირსამაგრი სამუშაოები | 5,000.0 | 5,000.0 | 5,000.0 | 5,000.0 | 5,000.0 | 5,000.0 | 5,000.0 | 5,000.0 |
| 2. რეგიონული ინფრასტრუქტურის განვითარება | 146,005.4 | 20,000.0 | 25,000.0 | 25,000.0 | 24,560.5 | 20,000.0 | 25,000.0 | 25,000.0 |
| 3. იძულებით გადაადგილებულ პირთათვის სახლების მშენებლობა-რეაბილიტაცია და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობა-განვითარება; | 127,020.4 | | | | 68,106.3 | | | |
| 4. წყლით უზრუნველყოფის ერთიანი სისტემის ინსტიტუციური მოწყობისა და განვითარების ღონისძიებები | 69,273.0 | 30,780.0 | 41,380.0 | 41,380.0 | 19,073.0 | 24,780.0 | 34,380.0 | 33,380.0 |
| **ადმინისტრაციული და სხვა დანარჩენი ღონისძიებების ხარჯები** | 4,300.0 | 4,635.0 | 4,890.0 | 4,890.0 | 4,300.0 | 4,635.0 | 4,890.0 | 4,890.0 |
| **საქართველოს იუსტიციის სამინისტრო** | **95,032.9** | **76,651.4** | **71,198.1** | **70,832.9** | **68,700.0** | **50,000.0** | **50,000.0** | **50,000.0** |
| **1. სისხლის სამართლის სისტემის რეფორმა** | 1,232.0 | 817.0 | 1,018.0 | 780.0 | 1,232.0 | 817.0 | 1,018.0 | 780.0 |
| სისხლის სამართლის საპროცესო | 60.0 | 76.0 | 73.0 | | 60.0 | 76.0 | 73.0 | 0.0 |

| | პრიორიტეტებზე მთლიანად მიმართული სახსრები | | | | პრიორიტეტებზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიმართული სახსრები | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **მხარჯავი დაწესებულება** | **2011** | **2012** | **2013** | **2014** | **2011** | **2012** | **2013** | **2014** |
| კოდექსის იმპლემენტაცია | | | | | | | | |
| საქმის მართვის წარმოების ელექტრონული სისტემა | 1,000.0 | 555.0 | 740.0 | 555.0 | 1,000.0 | 555.0 | 740.0 | 555.0 |
| პროკურატურის რეფორმა | 122.0 | 136.0 | 155.0 | 175.0 | 122.0 | 136.0 | 155.0 | 175.0 |
| არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების განხორციელება | 50.0 | 50.0 | 50.0 | 50.0 | 50.0 | 50.0 | 50.0 | 50.0 |
| **2. საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ელექტრონული გამოქვეყნება და ნორმატიული აქტების სისტემატიზაცია** | 60.0 | 40.0 | 70.0 | 55.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| ნორმატიული აქტების სახელმწიფო რეგისტრაციისა და ელექტრონული გამოქვეყნების ავტომატიზაცია ,,საქართველოს საკანონმდებლო მაცნე" | 60.0 | 40.0 | 70.0 | 55.0 | | | | |
| **3. მომხმარებელზე ორიენტირებული, ერთიანი, დაცული და მუდმივად განახლებადი სამოქალაქო რეესტრის ჩამოყალიბება** | 27,911.9 | 15,632.9 | 8,245.0 | 8,245.0 | 17,000.0 | 4,800.0 | 0.0 | 0.0 |
| საქართველოსა და უცხო ქვეყნის მოქალაქეთა ვინაობის დადგენა, დარეგისტრირება, დოკუმენტების ლეგალიზაცია და აპოსტილით დამოწმება, მოსახლეობის რეგისტრაცია, პასპორტების გაცემა, სამოქალაქო აქტების რეგისტრაცია | 4,536.0 | 6,010.0 | 6,195.0 | 6,195.0 | | | | |
| ინფრასტრუქტურის სრულყოფა და ,,იუსტიციის სახლების" სამშენებლო/სარემონტო სამუშაოებში მონაწილეობის მიღება | 12,419.0 | 5,450.0 | 550.0 | 550.0 | 10,000.0 | 4,800.0 | | |
| ახალი ტექნოლოგიების დანერგვა, ერთიანი მონაცემთა ბაზის ფორმირება | 10,956.9 | 4,172.9 | 1,500.0 | 1,500.0 | 7,000.0 | | | |
| **4. საჯარო რეესტრის, მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის წარმოება და ყველა დაინტერესებული პირისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა** | 22,060.0 | 17,300.0 | 9,500.0 | 9,500.0 | 10,000.0 | 4,800.0 | 0.0 | 0.0 |
| საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მომსახურების ხარისხის და შესაძლებლობების გაუმჯობესება | 3,000.0 | 3,500.0 | 5,000.0 | 5,000.0 | | | | |

| | პრიორიტეტებზე მთლიანად მიმართული სახსრები | | | | პრიორიტეტებზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიმართული სახსრები | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **მხარჯავი დაწესებულება** | **2011** | **2012** | **2013** | **2014** | **2011** | **2012** | **2013** | **2014** |
| „იუსტიციის სახლების“ საშენებლო/სარემონტო სამუშაოებში მონაწილეობის მიღება | 19,060.0 | 13,800.0 | 4,500.0 | 4,500.0 | 10,000.0 | 4,800.0 | | |
| **5. სააღსრულებო სისტემის მოწყობა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად** | 2,420.0 | 2,120.0 | 2,350.0 | 2,150.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| ტერიტორიული ორგანოების ინფრასტრუქტურის განახლება | 2,350.0 | 2,080.0 | 2,300.0 | 2,100.0 | | | | |
| პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება | 20.0 | 20.0 | 20.0 | 20.0 | | | | |
| თანამედროვე საინფორმაციო საკომუნიკაციო სისტემების დანერგვა | 50.0 | 20.0 | 30.0 | 30.0 | | | | |
| **6. იუსტიციის სამინისტროს სისტემის თანამშრომელთა გადამზადება და სასწავლო ცენტრის განვითარება** | 363.5 | 363.5 | 343.5 | 343.5 | 193.5 | 193.5 | 173.5 | 173.5 |
| იუსტიციის სამინისტროს და მასში შემავალი სტრუქტურების თანამშრომელთა პროფესიული გადამზადება | 273.5 | 273.5 | 253.5 | 253.5 | 193.5 | 193.5 | 173.5 | 173.5 |
| საჯარო მოსამსახურეთა კვალიფიკაციის ამაღლება საკანონმდებლო სიახლეების ჰარმონიზაციისათვის | 90.0 | 90.0 | 90.0 | 90.0 | | | | |
| **7. ეროვნული საარქივო ფონდის დაცულობის, მომსახურების თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის და დოკუმენტების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა** | 1,665.0 | 1,688.5 | 863.1 | 812.9 | 954.0 | 700.0 | 0.0 | 100.0 |
| ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანოების ცენტრალიზაცია | 1,335.0 | | | | 954.0 | | | |
| მოქალაქეთა მომსახურების სისტემის განვითარება და სრულყოფა | 200.0 | 200.0 | 200.0 | 100.0 | | 200.0 | | 100.0 |
| ეროვნული საარქივო ფონდის ელექტრონული დოკუმენტების არქივის (მ.შ. სადაზღვევო ფონდის) შექმნა | 130.0 | 827.4 | 407.1 | 250.0 | | 500.0 | | |
| ეროვნული არქივის-თბილისში მდებარე ცენტრალური არქივის საცავებში კონდიცირების და ვენტილაციის | | 661.1 | 256.0 | 462.9 | | | | |

| | ᲞᲠᲘᲝᲠᲘᲢᲔᲢᲔᲑᲖᲔ ᲛᲗᲚᲘᲐᲜᲐᲓ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲐᲮᲡᲠᲔᲑᲘ | | | | ᲞᲠᲘᲝᲠᲘᲢᲔᲢᲔᲑᲖᲔ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲑᲘᲣᲯᲔᲢᲘᲓᲐᲜ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲐᲮᲡᲠᲔᲑᲘ | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **მხარჯავი დაწესებულება** | **2011** | **2012** | **2013** | **2014** | **2011** | **2012** | **2013** | **2014** |
| ავტომატური სისტემების მოწყობა | | | | | | | | |
| **8. ელექტრონული მმართველობის განვითარება** | 4,149.1 | 2,500.0 | 2,000.0 | 1,500.0 | 4,149.1 | 2,500.0 | 2,000.0 | 1,500.0 |
| ელექტრონული მმართველობის განვითარება | 4,149.1 | 2,500.0 | 2,000.0 | 1,500.0 | 4,149.1 | 2,500.0 | 2,000.0 | 1,500.0 |
| **ადმინისტრაციული და სხვა დანარჩენი ღონისძიებების ხარჯები** | 35,171.4 | 36,189.5 | 46,808.5 | 47,446.5 | 35,171.4 | 36,189.5 | 46,808.5 | 47,446.5 |
| **საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო** | **105,526.0** | **141,566.2** | **148,174.6** | **155,139.4** | **105,341.6** | **141,566.2** | **148,174.6** | **155,139.4** |
- თანამედროვე ტიპის სპორტული ბაზების უქონლობის გამო აჭარის ნაკრები გუნდები და ცალკეული სპორტსმენები ვერ ღებულობდნენ მონაწილეობას საქართველოს პირველობებსა და ჩემპიონატებში. ბოლო პერიოდში აჭარის ყველა მუნიციპალიტეტში ეტაპობრივად მიმდინარეობდა სპორტული ბაზების მშენებლობა-რეაბილიტაცია, აღნიშნული პრიორიტეტის ფარგლებში დაგეგმილია ქობულეთის მუნიციპალიტეტში თანამედროვე სპორტული კომპლექსის მშენებლობა.

**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო**

## 1. ჯანმრთელობის დაცვა

**პრიორიტეტის აღწერა და მოსალოდნელი შედეგები:**

- კომპონენტის ფარგლებში სოფლის მოსახლეობა თემის სამედიცინო პუნქტებში მიიღებს მისთვის საჭირო ექიმამდელ სამედიცინო დახმარებას, უზრუნველყოფილი იქნება გადაუდებელი დახმარებისათვის საჭირო მედიკამენტებით და სამედიცინო გამოკვლევებით;
- კომპონენტით გათვალისწინებულია 3 წლიდან 60 წლამდე ასაკის პაციენტებისათვის ურგენტული სამედიცინო დახმარების მიწოდება;
- კომპონენტით გათვალისწინებულია პროფილური პაციენტისათვის კარდიოქირურგიული სამედიცინო მომსახურების მიწოდება: ქირურგიული მკურნალობა; ანგიოპლასტიკა; ენდოვასკულური ოპერაციები; გულის თანდაყოლილი მანკების ოპერაციული მკურნალობა. კომპონენტის ბენეფიციარები არიან: 50 წლის და მეტი ასაკის მოქალაქეები, რომლებიც არ სარგებლობენ სამედიცინო დაზღვევის სახელმწიფო პროგრამებით, ინდივიდუალური ან/და კორპორაციული სამედიცინო დაზღვევით; 200 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულის მქონე მოზრდილი მოსახლეობა, რომლებიც არ არიან დაზღვეული მოსახლეობის სამედიცინო დაზღვევის სახელმწიფო პროგრამებით; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები; ომის ვეტერანები, ტერიტორიული მთლიანობისთვის ომში მონაწილეები, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრები (დედა, მამა, მეუღლე); მრავალშვილიანი (18 წლამდე ასაკის 5 და მეტი) ოჯახის წევრები; ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის ავარიის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოების მონაწილეები; პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებული პირები.
- კომპონეტი ითვალისწინებს აჭარის ჯანდაცვის სფეროში დასაქმებული ექიმის და მედდების პროფესიული დონის ამაღლებას.

## 2. სოციალური დაცვა

**პრიორიტეტის აღწერა და მოსალოდნელი შედეგები:**

- კომპონენტით განხორციელდება მუნიციპალიტეტის სოფლის დასახლებულ ადგილებში მოქმედი თემის სამედიცინო პუნქტების რეაბილიტაცია, აღჭურვა საოფისე და სამედიცინო ინვენტარით, რომლებიც მნიშვნელოვან სამედიცინო მომსახურებას აწოდებენ სხვა სამედიცინო ცენტრებიდან დაშორებულ მოსახლეობას.

• აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრები 100 წელს გადაცილებული მოქალაქეების უმრავლესობა განიცდის ეკონომიურ სიდუხჭირეს, პრიორიტეტის განხორციელება ხელს შეუწყობს მათი მატერიალური მდგომარეობის ნაწილობრივ გაუმჯობესებას.

### 3. დაავადებათა პრევენცია

**პრიორიტეტის მოკლე აღწერა და მოსალოდნელი შედეგები:**

• პრიორიტეტის ფარგლებში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლებში განხორციელდება სამედიცინო დარგის სპეციალისტთა ექსპერტ-კონსულტანტთა ესქპედიციები, მოსახლეობის კონსულტირება და მდგომარეობის პირველადი მედიკამენტოზური მართვა. პრიორიტეტის ფარგლებში შესაძლებელი იქნება დაავადებათა ადრეულ ეტაპზე გამოვლენა, მათი დროული და სწორი მართვა, მდგომარეობის სწორი მენეჯმენტი.

• პროგრამულად გათვალისწინებულია ეპიდაფეთქებებისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სხვა პრიორიტეტული სიტუაციებისათვის საპასუხო მზადყოფნის უზრუნველყოფა, შესაბამისად რეგიონში ცალკეული ინფექციების მიმართ შენარჩუნდება ეპიდკეთილსაიმედო სიტუაცია.

• პრიორიტეტის ფარგლებში პრობლემათა გარშემო უზრუნველყოფილი იქნება საინფორმაციო–საგანმანათლებლო და სარეკომენდაციო მომსახურეობის ხელმისაწვდომობა. მომზადდება და გავრცელდება თემატური ინფორმაცია - ლიფლეტები, სტიკერები, საინფორმაციო ფურცლები, ბუკლეტები. მომზადდება თემატური – საინფორმაციო საგანმანათლებლო ღონისძიებები საჯარო სკოლის მოსწავლეთა და სტუდენტი ახალგაზრდობის მონაწილეობით. მოსახლეობაში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება ხელს შეუწყობს მოსახლეობის გაჯანსაღებას. ახალგაზრდობის სწორ ორიენტაციას, რაც შესაბამისად აისახება ყველაზე პროდუქტიული და შემოქმედი თაობის ჯანმრთელობაზე.

## აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო

### 1. ფერმერთა სწავლება-კონსულტირება, მრავალწლიანი კულტურები, მეცხოველეობა

**პრიორიტეტის აღწერა და მოსალოდნელი შედეგები:**

პრიორიტეტი ითვალისწინებს ფერმერთა საინფორმაციო-საკონსულტაციო სერვის ცენტრის შექმნას, რომელიც ხელს შეუწყობს რეგიონის ფერმერთა კვალიფიკაციის ამაღლებას, მათ ინფორმირებულობას თანამედროვე ტექნოლოგიურ სიახლეებზე და წამყვანი

აგრარული ქვეყნების მიღწევების გაცნობისა და დაუფლების მიზნით, რეგიონის წარმატებული ფერმერების უცხოეთში მივლინების ორგანიზებას.

პრიორიტეტის ფარგლებში გათვალისწინებულია მრავალპროფილიანი სანერგე მეურნეობის მოწყობა, სადაც წარმოებული იქნება სხვადასხვა სახეობის უვირუსო, ელიტური წმინდა ჯიშური ნიშანთვისებების მქონე მრავალწლიანი კულტურების სარგავი მასალა. აგრეთვე მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სანაშენე და პროდუქტიული ნიშან-თვისებების გაუმჯობესების მიზნით ხელოვნური დათესვლის სერვის-ცენტრის მოწყობა, რაც ხელს შეუწყობს ყოველწლიურად მაღალი კლასის სანაშენე მოზარდის მიღებას, დაბალპ-როდუქტიული პირუტყვის ნახირიდან გამოყვანას, სულადობის ოპტიმალური რაოდენობის დადგენა-შენარჩუნებას, გაუმჯობესებული მაღალპროდუქტიული პირუტყვის ერთეული პროდუქტიულობისა და პროდუქციის წარმოება-რეალიზაციის საერთო მოცულობების მაქსიმალურ ზრდას.

### 2.სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის განახლება

**პრიორიტეტის აღწერა და მოსალოდნელი შედეგები:**

პრიორიტეტი ითვალისწინებს სხვადასხვა სახის მცირე მექანიზაციის ტექნიკური საშუალებების თანადაფინანსების პრინციპით ფერმერებზე გადაცემას, რაც ხელს შეუწყობს ფერმერთა ხელით შრომის შემსუბუქებას, სამუშაოების აგროვადებში ჩატარებას, პროდუქციის წარმოების მოცულობისა და ფერმერთა შემოსავლების ზრდას.

### 3. სასურსათო უსაფრთხოება და სურსათის უვნებლობა.

**პრიორიტეტის აღწერა და მოსალოდნელი შედეგები:**

- აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ეპიზოტური სიტუაცია ყოველთვის რთულია, ამიტომაც აუცილებლობას წარმოადგენს პირუტყვის მუდმივი იმუნური მდგომარეობა. პროფილაქტიკური აცრების სწორად დაგეგმვა თავიდან ააშორებს რეგიონს ინფექციების გავრცელებისაგან.
- სასურსათო პროდუქციის ლაბორატორიული კვლევის პროგრამის შესრულება ხელს უწყობს საკვებით გადაცემადი ინფექციური დაავადებების შემცირებას და ეპიდაფეთქების თავიდან აცილებას.

### 4. სასოფლო-სამეურნეო, დეკორატიული და სხვა მცენარეთა საფარის დაცვა.

**პრიორიტეტის აღწერა და მოსალოდნელი შედეგები:**

- პრიორიტეტის შესრულება რეგიონის ხეხილოვან კულტურებს და მცენარეულ საფარს დაიცავს საკარანტინო მავნებლის მავნე ზემოქმედებისაგან. ბათუმის, ქობულეთისა და

ხელვაჩაურის ტერიტორიებზე ამერიკული თეთრი პეპელას გავრცელების არეალის შესამცირებლად ჩატარდება ქიმიური ღონისძიებები, შესაბამისად მოხდება მავნებლის გავრცელების ლოკალიზება და დაზიანებული ფართობების შემცირება.

- პესტიციდებისა და აგროქიმიკატების ხარისხის მონიტორინგი და კვლევა-უხარისხო პესტიციდებით რეალიზაციას ალკვეთს, ამიტომაც სამსახურს განსაზღვრული აქვს ბაზრობებზე და სავაჭრო ობიექტებზე ნიმუშების აღება და მათი ლაბორატორიული კვლევა.

**პრიორიტეტებზე საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ მიმართული სახსრები**

| დასახელება | 2011 წელი | 2012 წელი | 2013 წელი | 2014 წელი |
|---|---|---|---|---|
| აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველო | 525.0 | 525.0 | 525.0 | 525.0 |
| ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი | 1,229.9 | 1,500.0 | 1,500.0 | 1,500.0 |
| აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტი | 8,850.0 | 25,490.1 | 17,908.3 | 14,697.3 |
| აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო | 3,791.5 | 3,228.0 | 3,228.0 | 3,228.0 |
| აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო | 17,693.0 | 9,503.3 | 8,943.0 | 9,059.0 |
| აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო | 2,457.2 | 2,473.0 | 2,410.0 | 2,412.5 |
| აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო | 1,015.0 | 2,185.0 | 2,213.0 | 2,233.0 |
| **სულ ჯამი** | **35,561.6** | **44,904.4** | **36,727.3** | **33,654.8** |

## თვითმმართველი ქალაქი ბათუმი

2011-2014 წლებში საქართველოს მთავრობისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ დასახული პრიორიტეტების და ქ. ბათუმში არსებული სიტუაციის ანალიზის გათვალისწინებით ჩამოყალიბდა საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა, რომლის ფარგლებშიც დაგეგმილია მომდევნო წლებში განსახორციელებელი პრიორიტეტული ღონისძიებები.

თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის 2011-2014 წლების პრიორიტეტულ მიმართულებებია:

- კომუნალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია;
- ურბანული ინფრასტუქტურის განვითარება;
- ტურისტული და ისტორიული უბნების რეაბილიტაცია.
- საბინაო ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა;
- კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროში პროგრამების განხორციელება;
- მოსახლეობის ცალკეული კატეგორიებისა და სოციალური ჯგუფების ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური გარანტიების შექმნა.

## 1. კომუნალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია

**პრიორიტეტის აღწერა**

- ***ქალაქის სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია***, სანიაღვრე სისტემის გაუმჯობესება, რომელიც გულისხმობს შემდეგ მიმართულებებს: არსებული კოლექტორების გაწმენდას და შეკეთებას, ახალი სანიაღვრე სისტემების მოწყობას, შემოერთებულ ტერიტორიებზე სანიაღვრე არხების მოწყობას.

- ***წყლის სისტემების რეაბილიტაცია*** - სისტემის ეკონომიკური რეაბილიტაცია და მომსახურების პირობების გაუმჯობესება, სისტემაში წყლის დანაკარგების მისაღებ დონემდე შემცირება.

- ***კანალიზაციის სისტემის რეაბილიტაცია*** – საკანალიზაციო მილების სრული რეაბილიტაცია; მთავარი სატუმბო სადგურების რეაბილიტაცია, სადგურთა შენობების კონსტრუქციის გაუმჯობესება; სისტემის შეერთება ადლიის გამწმენდ ნაგებობასთან და გაუწმენდავი ფეკალური წყლის ზღვაში ჩადინების თავიდან აცილება.

ადგილობრივი ბიუჯეტის პარალელურად ქ. ბათუმში წყლისა და საკანალიზაციო სიტემების სარეაბილიტაციო ღონისძიებების დაფინანსება იგეგმება გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკიდან (KFW) აღებული შეღავათიანი კრედიტის ხარჯზე

**მოსალოდნელი შედეგები:**

- ქალაქის კომუნალური ინფრასტრუქტურის მოდერნიზაცია;

- მომხმარებლის კომუნალური მომსახურეობის სტაბილური უზრუნველყოფა და საიმედოობის გაზრდა;
- ავარიული სიტუაციებისა და მომსახურეობის შეფერხების მინიმიზაცია;
- მიწოდებული მომსახურების რაოდენობრივი და ხარისხობრივი ზრდა.

## 2. ურბანული ინფრასტრუქტურა

### პრიორიტეტის აღწერა

- ***სანიტარული დასუფთავება*** - ქალაქის ყოველდღიური სანიტარულ დასუფთავება, ქალაქის ტერიტორიაზე სისუფთავის და წესრიგის დაცვა, საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა, ნაგავსაყრელების მოვლა-დამუშავება, კონტეინერების, ნაგავგამტარების სპეციალური დამუშავება, მწვანე საფარის დასუფთავება, ღია არხების მიმდებარე ტერიტორიების დამუშავება, უპატრონო მაწანწალა ცხოველებთან და მღრღნელებთან ბრძოლა, დერატიზაცია-დეზინსექცია.

- ***გარე განათება*** - გარე განათების სისტემის ჩამოყალიბება და არსებულის სრულყოფა; ენერგიის დაზოგვისაკენ მიმართული ღონისძიებების დანერგვა: განათების თანამედროვე წყაროების, ეფექტური ოპტიკური სისტემების და ხელსაწყოების კონსტრუქციების, ახალი მასალების გამოყენება; შუქტექნიკის პრაქტიკაში შუქდიოდების აქტიური დანერგვა, ღამით ქალაქში უსაფრთხოებისათვის ხელის შეწყობა.

- ***ქუჩებისა და ტროტუარების კეთილმოწყობა*** - ქალაქის ქუჩებისა და ტროტუარების სათანადო მდგომარეობაში შენახვა-გაუმჯობესება; ასფალტირებული და არასაფალტირებული ქუჩების სარემონტო სამუშაოები; მოედნების, ქვეითად მოსიარულეთა ქუჩების, ავტომანქანების გასაჩერებელი ადგილების მოწყობა; გზების სავალი ნაწილის, ტროტუარების, შიდა გასასვლელების საფარის სრულყოფა ყველა სახის ტრანსპორტისა და ფეხით მოსიარულეთათვის; საგზაო ნიშნების განთავსება; ახალი შუქნიშნების მონტაჟი;

- ***საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა*** – კეთილმოწყობითი ღონისძიებებისათვის პროექტების მომზადება, კონტროლი საპროექტო გადაწყვეტილების შესრულებაზე; მონაწილეობის მიღება წარმოების გრაფიკის შემუშავებაში; მონაწილეობის მიღება საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შემუშავებაში.

- ***ქალაქის დაგეგმარება*** - ქალაქის ქონების (მ.შ. მიწის) პასპორტიზაცია; უსახური შენობების დემონტაჟი; ქალაქის შემოერთებულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის ქონების რეგისტრაცია; ქალაქის ქონების აუდიტორული შეფასება; სხვადასხვა კონცეფციების დამუშავება.

- ***საკომპენსაციო თანხებით მოქალაქეთა უზრუნველყოფა*** – ძველი ბათუმის სარეაბილიტაციო ღონისძიებების ჩატარება, ბათუმის იერსახის მოწესრიგება, მოქალაქეთა საკომპენსაციო თანხებით უზრუნველყოფა მათ მფლობელობაში არსებული შენობა-ნაგებობების დემონტაჟის შემთხვევაში.

**მოსალოდნელი შედეგები:**

- ქალაქის მრავალფუნქციური სახის უზრუნველყოფა, რაც საშუალებას იძლევა გაფართოვდეს მოსახლეობის მხრიდან პროფესიის არჩევის შესაძლებლობა;
- დამატებითი სასწავლო და სამუშაო ადგილების შექმნა;
- დასვენების, კულტურული ცხოვრების ადგილების და ცენტრების შექმნა;
- ჰარმონიული, მოხერხებული, დინამიური და მიმზიდველი ქალაქის ჩამოყალიბება.

### 3. საბინაო ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა

**პრიორიტეტის აღწერა**

განხორციელდება ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ჩამოყალიბება და მათ მიერ საცხოვრებელი სახლების სახურავის, ლიფტებისა და შიდა წყალ-კანალიზაციის გაყვანილობის შესაკეთებელი სამუშაოების ორგანიზება, ეზოების კეთილმოწყობა.

**მოსალოდნელი შედეგები:**

- სახლის მობინადრეთა დაცულობა;
- მობინადრეთა საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება და კომფორტი.

### 4. ისტორიული უბნებისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია

**პრიორიტეტის აღწერა**

პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება ბათუმის ისტორიული უბნებისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია.

**მოსალოდნელი შედეგები:**

- ქალაქში ისტორიული უბნების, ისტორიული ძეგლების, შენობების აღდგენა–შენარჩუნება, განვითარებული და რეკონსტრუირებული ბათუმის ძველი უბნები, რესტავრირებული ისტორიული და კულტურული ობიექტები, ახალი და რეკონსტრუირებული ქუჩები. ქალაქის მაცხოვრებელთა პირობების, ქალაქის ტურისტული ინფრასტრუქტურის სფეროს გაუმჯობესება, ვიზიტორთათვის მიმზიდველი და საინტერესო ქალაქი.
- ქალაქის ისტორიული უბნების, ისტორიული და კულტურული ძეგლების, ფასეულობების სახელმწიფოს მიერ ადექვატური სამართლებრივი დაცვა, მოვლა-პატრონობა.
- ქალაქის ტურისტული პოტენციალის გაზრდა

## 5. განათლება, კულტურა, სპორტი და დასვენება

**პრიორიტეტის აღწერა**

- ***პარკების, სკვერებისა და მოედნების კეთილმოწყობა*** - პარკების, სკვერების და მოედნების მოვლა-შენახვა, შადრევნების მოვლა-შენახვა, ერთწლიანი სეზონური ყვავილების შეძენა, დეკორატიული ხეებისა და ბუჩქების გასხვლა-გაფორმება; ტურისტული და დასასვენებელი ინფრასტრუქტურის განვითარება.

- ***ქალაქის გაფორმება*** - გაფორმების უნივერსალური ქსელის შექმნა მთელი წლის განმავლობაში, რომელიც სტრუქტურულად დააკავშირებს ქალაქის ყველა რაიონს; სადღესასწაულო ინფორმაციის მატარებლების ხარისხობრივად ახალი დიზაინერული და ტექნიკური გადაწყვეტა; ლოკალური ზონებისა და სადღესასწაულო ადგილების კომპლექსური სადღესასწაულო გაფორმება, ქალაქის გაფორმება გირლიანდებით, შუქეფექტებით, სოციალური დანიშნულებისა და მისალოცი პლაკატების, ქალაქის სივრცის ოპტიმალური და ეფექტური გამოყენება სადღესასწაულო და საინფორმაციო დატვირთვის მიზნით.

- ***სასპორტო და დასვენების ობიექტების რეაბილიტაცია*** - ადგილობრივი დონის სასპორტო და დასვენების ობიექტების მშენებლობა და რეკონსტრუქცია ყველა კატეგორიის მოსახლეობის სპორტით დაკავების მიზნით; ადგილობრივი დონის სასპორტო და დასვენების ობიექტების მშენებლობა და რეკონსტრუქცია მასიური სპორტის განვითარებისათვის, მათ შორის შეზღუდული ფიზიკური შესაძლებლობის მქონე პირებისათვის; სპორტული მოედნების მშენებლობა; სპორტული ბაზის მშენებლობა; საბავშვო ატრაქციონების მოწყობა.

- ***საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია*** - საბავშვო ბაღების კაპიტალური რემონტი; საბავშვო ბაღებისათვის ინვენტარის შეძენა.

- ***კულტურის პროგრამები*** – საქართველოსა დამეგობრებულ ქალაქებთან კულტურული ურთიერთობების განვითარება; ქალაქის წარმატებული ახალგაზრდების წახალისება შემდგომი მუშაობისათვის, საინტერესო პროექტების ხელშეწყობა; იმ ადამიანების წარმოჩენა, რომელთაც თავისი მოღვაწეობით ნათელი კვალი დააჩინა ბათუმის ისტორიას; თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით ბათუმში შექმნილი იშვიათი, ექსკლუზიური, დიზაინერულ ნაკეთობათა პოპულარიზაცია; სხვა კულტურული ღონისძიებები;

- ***ახალგაზრდობის საქმეთა პროგრამები*** - სტუდენტებში შრომისმოყვარეობის ხარისხის ამაღლება; ახალგაზრდებში პატრიოტული სულისკვეთების ამაღლება; ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა დამკვიდრება; ახალგაზრდებისათვის გასართობი და შემეცნებითი პროგრამების შეთავაზება; ტურისტული სეზონისათვის ადგილობრივი ახალგაზრდობისათვის და სტუმრებისათვის გასართობი პროგრამების მომზადება;

**მოსალოდნელი შედეგები:**

- დასვენებისა და გართობისათვის ნორმალური პირობების შექმნა;
- ქალაქის ესთეტიკური შეხედულების გაზრდა;
- კულტურული საქმიანობის ახალი ფორმების წარმოშობა და განვითარება;
- კულტურული დაწესებულებების განვითარება და სრულყოფა;
- სახელმწიფოს როლის ზრდა ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებაში;
- ფიზიკური კულტურისა და სპორტის გამოყენება ინვალიდების, ობოლი და უპატრონო ბავშვების სოციალური და ფიზიკური ადაპტაციის მიზნით;
- ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება მოსახლეობის ინტერესებისა და მოთხოვნილების გათვალისწინებით;
- ახალგაზრდებისა და მთლიანად საზოგადოების შემოქმედებითი და სულიერი პოტენციალის თვითრეალიზაცია.

## 6. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური სფერო

**პრიორიტეტის აღწერა**

ისევე როგორც გასულ წლებში, მომდევნო წლებშიც გაგრძელდება სხვადასხვა ჯანდაცვისა და სოციალური პროგრმების დაფინანსება

**მოსალოდნელი შედეგები:**

- მოსახლეობის მოთხოვნილების ოპტიმალური დაკმაყოფილება სამედიცინო-სოციალურ და პროფილაქტიკურ უზრუნველყოფის სფეროში;
- ოპტიმალური სოციალურ-ეკონომიკური და სამედიცინო სოციალური პირობების შექმნა.

**პრიორიტეტებზე მიმართული სახსრები**

*ათას ლარებში*

| დასახელება | 2011 წელი | 2012 წელი | 2013 წელი | 2014 წელი |
|---|---|---|---|---|
| ქალაქის კომუნალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია | 66 783,4 | 49 900,0 | 48 205,0 | 3 124,7 |
| ურბანული ინფრასტრუქტურა | 50 295,0 | 73 900,0 | 75 500,0 | 79 600,0 |
| საბინაო ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა | 6 070,0 | 5 211,0 | 5 437,0 | 4 759,0 |
| ისტორიული უბნებისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია | 66 500,0 | 41 400,0 | 48 400,0 | 47 700,0 |
| განათლება, კულტურა, სპორტი და დასვენება | 8 334,1 | 9 550,0 | 9 900,0 | 10 150,0 |
| ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური უზრუნველყოფის ღონისძიებები | 3 009,5 | 3 100,0 | 3 260,0 | 3 380,0 |
| **სულ ჯამი** | **200 992,0** | **183 061,0** | **190 702,0** | **148 713,7** |

## ხულოს მუნიციპალიტეტი

### 1. კომუნალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია

- ***მუნიციპალიტეტში სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია*** - არსებული სანიაღვრე ინფრასტრუქტურის გაწმენდა და შეკეთება, მუნიციპალიტეტის თემებში მისასვლელი გზების ახალი სანიაღვრე არხების მოწყობა.
- ***წყლის სისტემების რეაბილიტაცია*** - სისტემის ეკონომიკური რეაბილიტაცია და მომსახურების პირობების გაუმჯობესება, სისტემაში წყლის დანაკარგების მისაღებ დონემდე შემცირება.
- ***კანალიზაციის სისტემის რეაბილიტაცია*** – დაბა ხულოში ორი შედარებით მჭიდროდ დასახლებულ უბანში საკანალიზაციო ქსელის მოწყობა.

## 2. ურბანული ინფრასტრუქტურა

- ***სანიტარული დასუფთავება*** - დაბის და ხულო-ახალციხის მაგისტრალის ცალკეული მონაკვეთების ყოველდღიური სანიტარული დასუფთავება, ქუჩების რეგულარული დაგვა-დასუფთავება, ტერიტორიაზე სისუფთავის და წესრიგის დაცვა, საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა, მწვანე საფარის დასუფთავება, ტერიტორიების დასუფთავება თოვლისაგან, ყინულისაგან და მათი გატანა სპეციალურად გამოყოფილ ადგილებზე, ღია არხების მიმდებარე ტერიტორიების დამუშავება, მაწანწალა ცხოველებთან და მღრღნელებთან ბრძოლა.

- ***გარე განათება*** - გარე განათების სისტემის ჩამოყალიბება და არსებულის სრულყოფა; ენერგიის დაზოგვისაკენ მიმართული ღონისძიებების დანერგვა: განათების თანამედროვე წყაროების, ახალი მასალების გამოყენება; ღამით უსაფრთხოებისათვის ხელის შეწყობა.

## 3. საბინაო ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა

განხორციელდება ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ჩამოყალიბება და მათ მიერ საცხოვრებელი სახლების სახურავის, ლიფტებისა და შიდა წყალ-კანალიზაციის გაყვანილობის შესაკეთებელი სამუშაოების ორგანიზება, ეზოების კეთილმოწყობა.

## 4. განათლება, კულტურა, სპორტი და დასვენება

- პარკების, სკვერებისა და მოედნების კეთილმოწყობა;
- სასპორტო და დასვენების ობიექტების რეაბილიტაცია;
- საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია;
- სხვადასხვა სპორტული და კულტურული პროგრამები;

## 5. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური სფერო

ისევე როგორც გასულ წლებში, მომდევნო წლებშიც გაგრძელდება სხვადასხვა ჯანდაცვისა და სოციალური პროგრმების დაფინანსება.

## პრიორიტეტებზე მიმართული სახსრები

*ათას ლარებში*

| დასახელება | 2011 წელი | 2012 წელი | 2013 წელი | 2014 წელი |
|---|---|---|---|---|
| მუნიციპალიტეტის კომუნალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია | 320,0 | 151,0 | 202,0 | 154,0 |
| ურბანული ინფრასტრუქტურა | 120,0 | 124,0 | 103,0 | 109,0 |
| საბინაო ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა | 45,0 | 90,0 | 90,0 | 90,0 |
| განათლება, კულტურა, სპორტი და დასვენება | 533,0 | 280,0 | 316,0 | 367,0 |
| ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური სფერო | 276,3 | 224,4 | 234,4 | 254,4 |
| სულ ჯამი | **1 294,3** | **869,4** | **945,4** | **974,4** |

## ქედის მინიციპალიტეტი

### 1. კომუნალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია

- ***დაბის სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია*** – სანიაღვრე სისტემის გაუმჯობესება, რომელიც გულისხმობს შემდეგ მიმართულებებს: დაბის გარეთ სადრენაჟე ფართობისაგან ზედაპირული წყლის დაცვას, არსებული სისტემის გაწმენდას და შეკეთებას, სახურავებისა და სახლების ეზოებიდან წყლის ლოკალურ ინფილტრაციას, ღია სანიაღვრე არხების ფსკერების გაწმენდას, გაბიონების და ნაპირსამაგრი კედლების მშენებლობასა და რეკონსტრუქციის სამუშაოებს, ახალი სანიაღვრე სისტემის მოწყობას;

- ***წყლის სისტემების რეაბილიტაცია*** – სისტემის ეკონომიკური რეაბილიტაცია და მომსახურების პირობების გაუმჯობესება, სისტემაში წყლის დანაკარგების მისაღებ დონემდე შემცირება;

- ***კანალიზაციის სისტემის რეაბილიტაცია*** – საკანალიზაციო მილების ნაწილობრივ შეცვლა ავარიულ მონაკვეთებში. საკანალიზაციო შემკრები სისტემის შექმნა და გაუწმენდავი ფეკალური წყლის მდინარეში ჩადინებისაგან თავის არიდება.

### 2. ურბანული ინფრასტრუქტურა

- ***სანიტარული დასუფთავება*** - დაბის ყოველდღიური სანიტარულ დასუფთავება, დაბის ტერიტორიაზე სისუფთავის და წესრიგის დაცვა, საყოფაცხოვრებო

ნარჩენების გატანა, კონტეინერების, ნაგავგამტარების სპეციალური დამუშავება, დერატიზაცია-დეზინსექცია.

- ***გარე განათება*** – ქუჩებში გარე განათების სისტემების რეაბილიტაცია, ახალი ქუჩების განათება, ენერგიის დაზოგვისაკენ მიმართული ღონისძიებების დანერგვა;

- ***ქუჩებისა და ტროტუარების კეთილმოწყობა*** - დაბის ქუჩებისა და ტროტუარების მოწყობა, შიდა გზების სარემონტო სამუშაოები, მოედნების, ტროტუარების, ავტომანქანების გასაჩერებელი ადგილების მოასფალტება-კეთილმოწყობა;

- ***მუნიციპალიტეტის დაგეგმარება*** – მუნიციპალიტეტის ქონების (მ.შ. მიწის) პასპორტიზაცია, მუნიციპალიტეტის ქონების აუდიტორული შეფასება, სხვადასხვა კაპიტალურ და ინფრასტრუქტურული ღონისძიებების დაგეგმვა.

### 3.საბინაო ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა

განხორციელდება ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ჩამოყალიბება და მათ მიერ საცხოვრებელი სახლების სახურავის, ლიფტებისა და შიდა წყალ-კანალიზაციის გაყვანილობის შესაკეთებელი სამუშაოების ორგანიზება, ეზოების კეთილმოწყობა.

### 4. ტურისტული ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბება

განხორციელდება ისტორიული ძეგლების, შენობების აღდგენა, მათთან მისასვლელი გზებისა და ბილიკების რეაბილიტაცია. ახალი ტურისტული მარშუტების მოწყობა მერისის ხეობაში და ახო-ხინოს მიმართულებით. საცხენოსნო ტურისტული ბაზის შექმნა მთა დიდვაკეზე.

### 5. განათლება, კულტურა, სპორტი და დასვენება

- პარკების, სკვერებისა და მოედნების კეთილმოწყობა;
- სასპორტო და დასვენების ობიექტების რეაბილიტაცია;
- საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია;
- სხვადასხვა სპორტული და კულტურული პროგრამები;

### 6. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური სფერო

ისევე როგორც გასულ წლებში, მომდევნო წლებშიც გაგრძელდება სხვადასხვა ჯანდაცვისა და სოციალური პროგრმების დაფინანსება.

## პრიორიტეტებზე მიმართული სახსრები

*ათას ლარებში*

| დასახელება | 2011 წელი | 2012 წელი | 2013 წელი | 2014 წელი |
|---|---|---|---|---|
| კომუნალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია | 49,0 | 320,0 | 135,0 | 150,0 |
| ურბანული ინფრასტრუქტურა | 117,0 | 215,0 | 245,0 | 255,0 |
| საბინაო ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა | 40,0 | 100,0 | 100,0 | 100,0 |
| ტურისტული ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბება | | 120,0 | 100,0 | 90,0 |
| განათლება, კულტურა, სპორტი და დასვენება | 175,8 | 270,0 | 291,0 | 193,0 |
| ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური სფერო | 108,9 | 121,5 | 131,0 | 140,5 |
| **სულ ჯამი** | **490,7** | **1 146,5** | **1 002,0** | **928,5** |

## ქობულეთის მუნიციპალიტეტი

### 1. კომუნალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია

- ***ქალაქის სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია*** - სანიაღვრე სისტემის გაუმჯობესება, რომელიც გულისხმობს შემდეგ მიმართულებებს: ქალაქგარეთ სადრენაჟო ფართობისაგან ზედაპირული წყლის დაცვას, არსებული კოლექტორების გაწმენდას და შეკეთებას, ადგილობრივი ინფილტრაციით ზედაპირული ჩამონადენის ლიმიტირებას, მდინარეებისა და ღია სანიაღვრე არხების ფსკერების გაწმენდას, გაბიონებისა და ნაპირსამაგრი კედლების მშენებლობისა და რეკონსტრუქციის სამუშაოებს, ახალი სანიაღვრე სისტემების მოწყობას.

- ***წყლის სისტემების რეაბილიტაცია*** - სისტემის ეკონომიკური რეაბილიტაცია და მომსახურების პირობების გაუმჯობესება, სისტემაში წყლის დანაკარგების მისაღებ დონემდე შემცირება.

- ***კანალიზაციის სისტემის რეაბილიტაცია*** - საკანალიზაციო მილების სრული განახლება, ექსპლოატაციისათვის ვარგისი არსებული გაყვანილობის სქემის შენარჩუნება ყოველგვარი მოდიფიკაციების გარეშე. მთავარი სატუმბო სადგურების რეაბილიტაცია, სადგურთა შენობების კონსტრუქციის გაუმჯობესება, სისტემის შეერთება გამწმენდ ნაგებობასთან და გაუწმენდავი ფეკალური წყლის ზღვაში განტვირთვის თავიდან აცილება.

2. ურბანული ინფრასტრუქტურა

- ***სანიტარული დასუფთავება*** - ქალაქის ყოველდღიური სანიტარულ დასუფთავება, ქუჩების რეგულარული დაგვა-დასუფთავება, ქალაქის ტერიტორიაზე სისუფთავის და წესრიგის დაცვა, საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა, ნაგავსაყრელების მოვლა-დამუშავება, ნაგავგამტარების სპეციალური დამუშავება, მწვანე საფარის დასუფთავება, ტერიტორიების დასუფთავება თოვლისაგან, ყინულისაგან და მათი გატანა სპეციალურად გამოყოფილ ადგილებზე, მაწანწალა ცხოველებთან და მღრღნელებთან ბრძოლა, დერატიზაცია-დეზინსექცია.

- ***გარე განათება*** - გარე განათების სისტემის ჩამოყალიბება და არსებულის სრულყოფა, ენერგიის დაზოგვისაკენ მიმართული ღონისძიებების დანერგვა, განათების თანამედროვე წყაროების, ეფექტური ოპტიკური სისტემების და ხელსაწყოების კონსტრუქციების, ახალი მასალების გამოყენება, სანათი ტექნიკის პრაქტიკაში შუქდიოდების აქტიური დანერგვა;

- ***ქუჩებისა და ტროტუარების კეთილმოწყობა*** - ქალაქის ქუჩებისა და ტროტუარების სათანადო მდგომარეობაში შენახვა-გაუმჯობესება, გზების სავალი ნაწილის, ტროტუარების, შიდა გასასვლელების საფარის სრულყოფა ყველა სახის ტრანსპორტისა და ფეხით მოსიარულეთათვის;

3. საბინაო ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა

განხორციელდება ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ჩამოყალიბება და მათ მიერ საცხოვრებელი სახლების სახურავის, ლიფტებისა და შიდა წყალ-კანალიზაციის გაყვანილობის შესაკეთებელი სამუშაოების ორგანიზება, ეზოების კეთილმოწყობა.

4. განათლება, კულტურა, სპორტი და დასვენება

მომდევნო წლებში გაგრძელდება სხვადასხვა სპორტული და კულტულური ღონისძიებების დაფინანსება, საბავშვო ბაღები უზრუნველყოფილი იქნებიან ფუნქციონირებისათვის საჭირო დაფინანსებით;

5. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური სფერო

ისევე როგორც გასულ წლებში, მომდევნო წლებშიც გაგრძელდება სხვადასხვა ჯანდაცვისა და სოციალური პროგრმების დაფინანსება.

**პრიორიტეტებზე მიმართული სახსრები**

*ათას ლარებში*

| დასახელება | 2011 წელი | 2012 წელი | 2013 წელი | 2014 წელი |
|---|---|---|---|---|
| კომუნალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია | 2 386,8 | 2 200,0 | 2 200,0 | 2 200,0 |
| ურბანული ინფრასტრუქტურა | 2 448,8 | 1 943,3 | 4 677,8 | 8.025.6 |
| საბინაო ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა | 950,2 | 1 550,0 | 1 400,0 | 1 350,0 |
| განათლება, კულტურა, სპორტი და დასვენება | 124,5 | 2 895,0 | 3 925,0 | 540,0 |
| ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური უზრუნველყოფის ღონისძიებები | 323,9 | 286,1 | 286,1 | 286,1 |
| **სულ ჯამი** | **6 234,2** | **8 874,4** | **12 488,9** | **4 376,1** |

## შუახევის მუნიციპალიტეტი

### 1. კომუნალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია

- ***სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია*** – სანიაღვრე სისტემის გაუმჯობესება, ძირითადად გულისხმობს არსებული კოლექტორების გაწმენდას და შეკეთებას ახალი სანიაღვრე სისტემების მოწყობას;

- ***წყლის სისტემების რეაბილიტაცია*** – სათავე ნაგებობების და წყალგაყვანილობის სისტემის რეაბილიტაცია და მომსახურების პირობების გაუმჯობესება;

- ***კანალიზაციის სისტემის რეაბილიტაცია*** – საკანალიზაციო მილების სრული განახლება, ექსპლოატაციისათვის ვარგისი არსებული გაყვანილობის სქემის შენარჩუნება, მთავარი სატუმბო სადგურების რეაბილიტაცია, სადგურთა შენობების კონსტრუქციის გაუმჯობესება.

### 2. ურბანული ინფრასტრუქტურა

- *სანიტარული დასუფთავება* – შუახევისა და ხიჭაურის ყოველდღიური სანიტარულ დასუფთავება, შუახევისა და ხიჭაურის ტერიტორიაზე საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა, ნაგავსაყრელების მოვლა-დამუშავება, ნაგავგამტარების სპეციალური დამუშავება, ტერიტორიების დასუფთავება თოვლისაგან, ყინულისაგან და მათი გატანა სპეციალურად გამოყოფილ ადგილებზე, ღია არხების მიმდებარე ტერიტორიების დამუშავება, მაწანწალა ცხოველებთან და მღრღნელებთან ბრძოლა;

- *გარე განათება* - გარე განათების სისტემის ჩამოყალიბება და არსებულის სრულყოფა, ენერგიის დაზოგვისაკენ მიმართული ღონისძიებების დანერგვა;

- *ქუჩებისა და ტროტუარების კეთილმოწყობა* - შუახევის ქუჩებისა და ტროტუარების სათანადო მდგომარეობაში შენახვა-გაუმჯობესება, ასფალტირებული და არასაფალტირებული ქუჩების სარემონტო სამუშაოები, ტროტუარების, შიდა გასასვლელების საფარის სრულყოფა ყველა სახის ტრანსპორტისა და ფეხით მოსიარულეთათვის, შუქნიშნების მონტაჟი.

## 3. საბინაო ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა

განხორციელდება ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ჩამოყალიბება და მათ მიერ საცხოვრებელი სახლების სახურავის, ლიფტებისა და შიდა წყალ-კანალიზაციის გაყვანილობის შესაკეთებელი სამუშაოების ორგანიზება, ეზოების კეთილმოწყობა.

## 4. ისტორიული ძეგლებისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია

განხორციელდება ქუჩების, პარკებისა და სკვერების სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები, შენობა-ნაგებობების და მიმდებარე ტერიტორიების სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები.

## 5. განათლება, კულტურა, სპორტი და დასვენება

- პარკების, სკვერებისა და მოედნების კეთილმოწყობა;
- სასპორტო და დასვენების ობიექტების რეაბილიტაცია;
- საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია;
- სხვადასხვა სპორტული და კულტურული პროგრამები;

## 6. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური სფერო

ისევე როგორც გასულ წლებში, მომდევნო წლებშიც გაგრძელდება სხვადასხვა ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამების დაფინანსება.

**პრიორიტეტებზე მიმართული სახსრები**

*ათას ლარებში*

| დასახელება | 2011 წელი | 2012 წელი | 2013 წელი | 2014 წელი |
|---|---|---|---|---|
| კომუნალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია | 116,5 | 150,0 | 150,0 | 150,0 |
| ურბანული ინფრასტრუქტურა | 195,0 | 160,0 | 165,0 | 160,0 |
| საბინაო ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა | | 45,0 | 45,0 | 45,0 |
| ისტორიული ძეგლებისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია | 200,0 | 94,9 | 144,9 | 149,9 |
| განათლება, კულტურა, სპორტი და დასვენება | 97,0 | 229,0 | 229,0 | 229,0 |
| ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური სფერო | 155,1 | 169,2 | 170,5 | 170,5 |
| **სულ ჯამი** | **763,6** | **848,1** | **904,4** | **904,4** |

## ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი

## 1. კომუნალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია

- ***მუნიციპალიტეტის სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია*** - სადრენაჟო ფართობისაგან ზედაპირული წყლის დაცვას, არსებული კოლექტორების გაწმენდას და შეკეთებას, სახურავებისა და სახლების ეზოებიდან წყლის ლოკალურ ინფილტრაციას, მდინარეებისა და ღია სანიაღვრე არხების ფსკერების გაწმენდას, გაბიონებისა და ნაპირსამაგრი კედლების მშენებლობისა და რეკონსტრუქციის სამუშაოებს, ახალი სანიაღვრე სისტემების მოწყობას.

- ***წყლის სისტემების რეაბილიტაცია*** - სისტემის ეკონომიკური რეაბილიტაცია და მომსახურების პირობების გაუმჯობესება, სისტემაში წყლის დანაკარგების მისაღებ დონემდე შემცირება.

- ***კანალიზაციის სისტემის რეაბილიტაცია*** – საკანალიზაციო მილების სრული შეცვლა, მთავარი სატუმბო სადგურების რეაბილიტაცია, სადგურთა შენობების კონსტრუქციის გაუმჯობესება.

ადგილობრივი ბიუჯეტის პარალელურად ხელვაჩაურში საკანალიზაციო სისტემების სარეაბილიტაციო ღონისძიებების დაფინანსება იგეგმება გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკიდან (KfW) აღებული შეღავათიანი კრედიტის ხარჯზე.

2. ურბანული ინფრასტრუქტურა

- ***სანიტარული დასუფთავება*** - მუნიციპალიტეტის ყოველდღიური სანიტარული დასუფთავება, ქუჩების რეგულარული დაგვა-დასუფთავება, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სისუფთავის და წესრიგის დაცვა, ტერიტორიების გაწმენდა თოვლისაგან, ყინულისაგან და მათი გატანა სპეციალურად გამოყოფილ ადგილებზე, ღია არხების მიმდებარე ტერიტორიების დამუშავება, მაწანწალა ცხოველებთან და მღრღნელებთან ბრძოლა, დერატიზაცია-დეზინფექცია.

- ***გარე განათება*** - გარე განათების სისტემის ჩამოყალიბება და არსებულის სრულყოფა, ენერგიის დაზოგვისაკენ მიმართული ღონისძიებების დანერგვა, განათების თანამედროვე წყაროების, ეფექტური ოპტიკური სისტემების და ხელსაწყოების კონსტრუქციების, ახალი მასალების გამოყენება;

- ***ქუჩებისა და ტროტუარების კეთილმოწყობა*** - მუნიციპალიტეტის ქუჩებისა და ტროტუარების სათანადო მდგომარეობაში შენახვა-გაუმჯობესება, ასფალტირებული და არასაფალტირებული ქუჩების სარემონტო სამუშაოები, მოედნების, ტროტუარების, ავტომანქანების გასაჩერებელი ადგილების მოასფალტება-კეთილმოწყობა, გზების სავალი ნაწილის, შიდა გასასვლელების საფარის სრულყოფა ყველა სახის ტრანსპორტისა და ფეხით მოსიარულეთათვის, საგზაო ნიშნების განთავსება, საგზაო მოძრაობის მართვის ავტომატიზირებული სისტემების დანერგვა და ექსპლოატაცია, მოძრაობის რეგულირებისათვის თანამედროვე ტექნიკური საშუალებების დანერგვა.

- ***მუნიციპალიტეტის დაგეგმარება*** - მუნიციპალიტეტის ქონების (მ.შ. მიწის) პასპორტიზაცია, უსახური შენობების დემონტაჟი, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის ქონების რეგისტრაცია, მუნიციპალიტეტის ქონების აუდიტორული შეფასება;

3. საბინაო ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა

განხორციელდება ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ჩამოყალიბება და მათ მიერ საცხოვრებელი სახლების სახურავის, ლიფტებისა და შიდა წყალ-კანალიზაციის გაყვანილობის შესაკეთებელი სამუშაოების ორგანიზება, ეზოების კეთილმოწყობა.

**4. ისტორიული უბნებისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია**

განხორციელდება ქუჩების, პარკებისა და სკვერების სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები, შენობა-ნაგებობების და მიმდებარე ტერიტორიების სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები.

**5. განათლება, კულტურა, სპორტი და დასვენება**

**პრიორიტეტის აღწერა და მიზანი**

- პარკების, სკვერებისა და მოედნების კეთილმოწყობა;
- სასპორტო და დასვენების ობიექტების რეაბილიტაცია;
- საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია;
- სხვადასხვა სპორტული და კულტურული პროგრამები;

**6. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური სფერო**

ისევე როგორც გასულ წლებში, მომდევნო წლებშიც გაგრძელდება სხვადასხვა ჯანდაცვისა და სოციალური პროგრმების დაფინანსება.

**პრიორიტეტებზე მიმართული სახსრები**

*ათას ლარებში*

| დასახელება | 2011 წელი | 2012 წელი | 2013 წელი | 2014 წელი |
|---|---|---|---|---|
| კომუნალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია | 1 058,4 | 1 135,2 | 1 120,1 | 1 000,3 |
| ურბანული ინფრასტრუქტურა | 1 029,1 | 975,0 | 957,0 | 960,0 |
| საბინაო ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა | 371,1 | 410,0 | 420,0 | 435,0 |
| ისტორიული უბნებისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია | | 70,0 | 90,0 | 80,0 |
| განათლება, კულტურა, სპორტი და დასვენება | 752,6 | 350,0 | 406,0 | 381,0 |
| ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური სფერო | 176,2 | 190,8 | 204,8 | 214,8 |
| **სულ ჯამი** | **3 387,4** | **3 131,0** | **3 197,9** | **3 071,1** |

## თელავის მუნიციპალიტეტი

### 1. მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია.

თელავის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენს მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია, რომლის ფარგლებშიც მომდევნო 4 წლის განმავლობაში, რეაბილიტირებული იქნება ქ. თელავის და მუნიციპალიტეტში შემავალი სოფლების ძირითადი გზები, მოიხრეშება და მოსწორდება სოფლების შიდა საუბნო გზები, ასევე, სრულად იქნება რეაბილიტირებული და მოასფალტებული ქალაქში ყველა ქუჩა. მოწესრიგდება გზაჯვარედინები, შუქნიშნები, დამონტაჟდება საგზაო ნიშნები და წინასწარი მაჩვენებელი დაფები. გაუმჯობესდება მუნიციპალური ტრანსპორტის სამარშრუტო სქემა.

### 2. კომუნალური მეურნეობის განვითარება

თელავის მუნიციპალიტეტისათვის 2011-2014 წლებში განსახორციელებელი პროექტებიდან ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენს საბინაო-კომუნალური მეურნეობის განვითარება. ამ ეტაპისათვის კვლავ პრობლემას წარმოადგენს წყალმომარაგება. დაზიანებული და მოძველებული სასმელი წყლის სისტემების გამო ფერხდება წყლის მიწოდება და დიდია წყლის დანაკარგები. ყოველივე ამის გათვალისწინებით, მომდევნო პერიოდში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სასმელი წყლის ქსელების და სათავე-ნაგებობების მოწყობა-რეაბილიტაცია, სასმელი წყლის უკეთ მომარაგების მიზნით მოეწყობა დამატებითი რეზერვუარები. მომდევნო წლების განმავლობაში დაიბურღება ახალი ჭაბურღილები. ქალაქში მოწესრიგდება და მოეწყობა ახალი საკანალიზაციო სისტემები. საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანის გასაუმჯობესებლად დამატებით იქნება შესყიდული ნაგავმზიდი მანქანები. საბინაო ამხანაგობების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში, ნაწილობრივ მოსახლეობის რესურსების გამოყენების პრინციპით შეკეთდება მაღალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსების სახურავები და სადარბაზოები, ასევე განხორციელდება ლიფტების განახლება.

### 3. მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობა

მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ტერიტორიის კეთილმოწყობა და მისი იერსახის გაუმჯობესება, რაც ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის გაზრდას, რისი გათვალისწინებითაც მომდევნო წლებში გაგრძელდება მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებების განხორციელება, რომლის ფარგლებშიც დაგეგმილია ქალაქში ტროტუარების მოწესრიგება და დასასვენებელი პარკების მოწყობა-რეაბილიტაცია, სოფლებში მოეწყობა საზოგადოების თავშეყრის ადგილები და საბავშვო ატრაქციონები.

## 4. სკოლამდელი განთლების ხელშეწყობა

მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა და ახალი ბაღების მშენებლობა.

## 5. სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა.

როგორც ბოლო წლების განმავლობაში, ისე მომდევნო პერიოდშიც მუნიციპალიტეტის კიდევ ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა, რომლის ფარგლებშიც მომდევნო წლებში დაგეგმილია სპორტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, სახელოვნებო სკოლების აღდგენა, სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებების და კულტურული ღონისძიებების ორგანიზება, ნიჭიერი სპორტსმენების მხარდაჭერა სხვადასხვა ჩემპიონატებში, დაძმობილებულ და დამეგობრებულ ქალაქებთან, ასევე მეგობარი ქვეყნების ქალაქებთან კულტურული ურთიერთობების გაღრმავება, გარდა ამისა, მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელდება ადგილობრივი ანსამბლების, ბიბლიოთეკების, კულტურის ცენტრის, დასვენების და კულტურის პარკის, სამუსიკო და სპორტული სკოლების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება.

### პრიორიტეტებზე მიმართული სახსრები

*ათას ლარებში*

| დასახელება | 2011 წელი | 2012 წელი | 2013 წელი | 2014 წელი |
|---|---|---|---|---|
| მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია | 445,0 | 476,2 | 509,5 | 545,1 |
| კომუნალური მეურნეობის განვითარება | 1 629,0 | 1 903,5 | 2 036,8 | 2 179,4 |
| მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობა | 100,0 | 100,0 | | |
| სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა | 737,0 | 788,6 | 843,8 | 902,9 |
| სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა | 1 635,3 | 1 749,8 | 1 872,3 | 2 003,3 |
| **სულ ჯამი** | **4 546,3** | **5 018,1** | **5 262,4** | **5 630,7** |

## ახმეტის მუნიციპალიტეტი

### 1. მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია.

მუნიციპალიტეტის მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს საავტომობილო გზების ინფრასტრუქტურის განვითარება, მომდევნო წლების განმავლობაში მოასფალტდება ქ. ახმეტის შიდა და დუისი-ომალოს გზები. მოიხრეშება მატნის და ქისტაურის შიდა საუბნო გზები.

### 2. კომუნალური მეურნეობის განვითარება

ახმეტის მუნიციპალიტეტში მომდევნო წლების განმავლობაში მოხდება სასმელი წყლის ქსელების რეაბილიტაცია იმ სოფლებში, სადაც ჯერ კიდევ მოსაწესრიგებელია სასმელი წყლის მიწოდება. ამ ეტაპზე ქ. ახმეტაში მოსაწესრიგებელია საკანალიზაციო სისტემაც, რომლის აღდგენა უნდა განხორციელდეს 2011-2014 წლებში. განხორციელდება არსებული ქსელების გამოცვლა და სარწყავი არხების გაყვანა.

### 3. მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობა

მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის გაზრდის მიზნით მოეწყობა დასასვენებელი პარკი ახმეტა-თიანეთის გზის მიმდებარედ, ე.წ. ,,შვეიცარიის'' ტერიტორიაზე. ქ. ახმეტაში მოეწყობა აგრეთვე მცირე სკვერები, სადაც განთავსდება საბავშვო ატრაქციონები. 2011-2014 წლებში გარემონტდება მუნიციპალიტეტის ყველა ტერიტორიული ორგანოს ოფისი. სოფლებში მოეწყობა გარე განათების სისტემები.

### 4. სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა

მომავალი თაობების აღზრდის მიზნით მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სკოლამდელ განათლებას, რომელიც მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს. მომდევნო წლებში გაგრძელდება საბავშვო ბაღების სრულყოფილად ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება და მათი რეაბილიტაცია.

### 5. სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა.

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა, რომლის ფარგლებშიც დაგეგმილია სპორტული და კულტურული ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია. ქ. ახმეტის კულტურის სახლს ჩაუტარდება შიდა სარემონტო სამუშაოები და მოხდება მისი აღჭურვა სათანადო ინვენტარით, შერემონტდება აგრეთვე ზ. ალვანისა და მატნის კულტურის სახლები. სპორტული შეჯიბრებების დროს მოწვეული სტუმრებისათვის მოეწყობა სპორტული სკოლის სასტუმროები, ჩატარდება მნიშვნელოვანი ღონისძიებები

ქართული ფოლკლორული ხელოვნების და ადგილობრივი ტრადიციების შენარჩუნების მიზნით.

**პრიორიტეტებზე მიმართული სახსრები**

*ათას ლარებში*

| დასახელება | 2011 წელი | 2012 წელი | 2013 წელი | 2014 წელი |
|---|---|---|---|---|
| მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია | 800,0 | 800,0 | 800,0 | 800,0 |
| კომუნალური მეურნეობის განვითარება | 400,0 | 500,0 | 500,0 | 500,0 |
| მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობა. | 100,0 | 100,0 | | |
| სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა | 800,0 | 800,0 | 800,0 | 800,0 |
| სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა | 951,5 | 1 000,0 | 1 000,0 | 1 000,0 |
| **სულ ჯამი** | **3 051,5** | **3 200,0** | **3 100,0** | **3 100,0** |

## სიღნაღის მუნიციპალიტეტი

### 1. მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია.

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენს მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია, რომლის ფარგლებშიც მომდევნო 4 წლის განმავლობაში რეაბილიტაცია ჩაუტარდება მუნიციპალიტეტში შემავალი სოფლების ძირითადი გზების 60 პროცენტს, მოიხრეშება და მოსწორდება სოფლების შიდა საუბნო გზები, ასევე, სრულად იქნება რეაბილიტირებული ცენტრიდან სოფლებთან დამაკავშირებელი გზები, სიღნაღის მუნიციპალიტეტში დასრულდება შიდა საუბნო გზების მოასფალტება.

### 2. კომუნალური მეურნეობის განვითარება

მუნიციპალიტეტის პრიორიტეტს წარმოადგენს კომუნალური მეურნეობის განვითარება, რომლის ფარგლებშიც მომდევნო წლების განმავლობაში აშენდება ოთხი ახალი წყლის სისტემის სათავე ნაგებობა და შვიდი ჭაბურღილი, ყველა იმ სოფელში, რომლებშიც ამ ეტაპზე ვერ ხერხდება წყლის მიწოდება, მოეწყობა წყალგაყვანილობის სისტემები, ასევე რეაბილიტაცია ჩაუტარდება სხვადასხვა სოფლებში დაზიანებულ წყალგაყვანილობის სისტემებს, ქალაქ წნორში მოწესრიგდება საკანალიზაციო სისტემები. დამატებით იქნება შესყიდული ნაგავმზიდი მანქანები და ნაგვის კონტეინერები. საბინაო ამხანაგობების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში შეკეთდება მრავალსართულიანი

საცხოვრებელი კორპუსების სახურავები.

### 3. მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობა

სიღნაღის მუნიციპალიტეტში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება კეთილმოწყობას და მისი იერსახის გაუმჯობესებას, რაც ასევე ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის გაზრდას, რისი გათვალისწინებითაც მომდევნო წლებში გაგრძელდება მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებების განხორციელება, რომლის ფარგლებშიც დაგეგმილია დასასვენებელი პარკების მოწყობა-რეაბილიტაცია, ყველა სოფელში მოეწყობა საზოგადოების თავშეყრის ადგილები, ეტაპობრივად ყველა სოფლის ცენტრალურ გზებზე მოეწყობა გარე განათების სისტემები. განხორციელდება სასაფლაოების რეაბილიტაცია და მათი მუდმივი მოვლა-პატრონობა.

### 4. სკოლამდელი განთლების ხელშეწყობა

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე  სკოლამდელ განათლებას, რაც, თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა და ახალი ბაღების მშენებლობა.

### 5. სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა.

როგორც ბოლო წლების განმავლობაში, ისე მომდევნო პერიოდშიც მუნიციპალიტეტის კიდევ ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა, რომლის ფარგლებშიც მომდევნო წლებში დაგეგმილია სპორტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, სოფლის კლუბების აღდგენა, სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებების და კულტურული ღონისძიებების ორგანიზება, ნიჭიერი სპორტსმენების მხარდაჭერა სხვადასხვა ჩემპიონატებში. გარდა ამისა, მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელდება ადგილობრივი ანსამბლების, ბიბლიოთეკების, სამუსიკო და სპორტული სკოლების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება.

### 6. სოციალური სფეროს დაფინანსება

როგორც განვლილ წლებში, ასევე მომდევნო წლებშიც მნიშვნელოვანი თანხები იქნება გათვალისწინებული სოციალური სფეროს დაფინანსებისთვის, კერძოდ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს ახალშობილთა დახმარების პროგრამა, ავადმყოფთა სოციალური დაცვა, მარტოხელა დედების სოციალური დაცვა, იძულებით

გადაადგილებული მოსახლეობის სოციალური დაცვა. ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს აგრეთვე ჯანდაცვის ობიექტების რეაბილიტაციის პროგრამა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გასულ წლებში რეაბილიტაცია ჩაუტარდა რამდენიმე სოფლის ამბულატორიას, მაგრამ ჯერ კიდევ არსებობს ისეთი ობიექტები რომლებიც საჭიროებენ აუცილებელ რეაბილიტაციას, აღნიშნული მიმართულებით შემდეგ წლებშიც გაგრძელდება მუშაობა და 2011-2014 წლებში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე თითქმის ყველა ამბულატორიას ჩაუტარდება სარეაბილიტაციო სამუშაოები.

**პრიორიტეტებზე მიმართული სახსრები**

*ათას ლარებში*

| დასახელება | 2011 წელი | 2012 წელი | 2013 წელი | 2014 წელი |
|---|---|---|---|---|
| მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია | 1 350,0 | 1 500,0 | 1 650,0 | 1 700,0 |
| კომუნალური მეურნეობის განვითარება | 1 205,0 | 870,0 | 670,0 | 660,0 |
| მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობა | 120,0 | 120,0 | 150,0 | 160,0 |
| სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა | 500,0 | 500,0 | 500,0 | 500,0 |
| სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა | 601,2 | 605,5 | 605,5 | 605,5 |
| სოციალური სფეროს დაფინანსება | 330,0 | 300,0 | 300,0 | 300,0 |
| **სულ ჯამი** | **4 106,2** | **3 895,5** | **3 875,5** | **3 925,5** |

## ყვარლის მუნიციპალიტეტი

### 1. მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია.

ყვარლის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენს მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია, რომლის ფარგლებშიც მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში მოიხრეშება და მოსწორდება სოფლების შიდა საუბნო გზები, მოასფალტდება ქ. ყვარლის შიდა და სოფლებთან დამაკავშირებელი გზები.

### 2. კომუნალური მეურნეობის განვითარება

ბოლო წლებში განხორციელებული სხვადასხვა პროექტების მიუხედავად, მაინც არასათანადო პირობებია მუნიციპალიტეტის კომუნალურ მეურნეობაში. შეიცვლება საერთო საცხოვრებელი ბინების სახურავები, მოეწყობა ახალი სანიაღვრე არხები ბეტონის ძირით და კედლებით, ასევე გაიწმინდება და გამტარუნარიანი გახდება სოფლის

სანიაღვრე არხები, გაგრძელდება ქ. ყვარელში და სოფლებში წყალსადენების შიდა ქსელების რეაბილიტაცია,

### 3. მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობა

როგორც ქალაქში, ისე სხვადასხვა სოფლებში განხორციელდება სკვერების კეთილმოწყობა, გაგრძელდება გარე განათების დაზიანებული საყრდენების შეცვლა და ახალი სანათების მოწყობა ქალაქსა და სოფლებში.

### 4. სკოლამდელი განთლების ხელშეწყობა

მომდევნო წლებში გაგრძელდება საბავშვო ბაღების დაფინანსება, მათი რეაბლიტაცია და საჭირო ინვენტარით უზრუნველყოფა.

### 5. სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა.

მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა. დაფინანსდება სპორტული და დღესასწაულებთან დაკავშირებული ღონისძიებები, განხორციელდება სპორტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა–რეაბილიტაცია.

**პრიორიტეტებზე მიმართული სახსრები**

*ათას ლარებში*

| დასახელება | 2011 წელი | 2012 წელი | 2013 წელი | 2014 წელი |
|---|---|---|---|---|
| მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია | 540,0 | 520,0 | 520,0 | 500,0 |
| მუნიციპალიტეტის კომუნალური მეურნეობის განვითარება | 436,1 | 450,0 | 455,0 | 435,0 |
| მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობა | 110,0 | 150,0 | 150,0 | 160,0 |
| სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა | 520,0 | 580,0 | 580,0 | 580,0 |
| სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა | 316,0 | 280,0 | 180,0 | 180,0 |
| **სულ ჯამი** | **1 922,1** | **1 980,0** | **1 885,0** | **1 855,0** |

## გურჯაანის მუნიციპალიტეტი

### 1. მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია.

გურჯაანის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს საავტომობილო გზების ინფრასტრუქტურის განვითარება. ქალაქის შიდა გზების რეაბილიტაცია, სოფლებამდე მისასვლელი გზების მოხრეშვა, სტიქიური მოვლენების შედეგად დაზიანებული მონაკვეთების რეაბილიტაცია.

### 2. კომუნალური მეურნეობის განვითარება

წყალმომარაგების კუთხით 2011 წელს დასრულდება წინა წელს დაწყებული ქ. გურჯაანის წყალმომარაგების ქსელის სარეაბილიტაციო სამუშაოები. დაგეგმილია სოფლების: კარდენახის, ჩუმლაყის, ვეჯინის, გურჯაანის, ნანიანის, ველისციხის სასმელი წყლის სისტემების ნაწილობრივი რეაბილიტაცია. მომდევნო ოთხ წელში განხორციელდება საცხოვრებელი კორპუსების სახურავების რეაბილიტაცია.

### 3. სკოლამდელი განთლების ხელშეწყობა

სკოლამდელი განათლება გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკუთარ უფლებამოსილებას განეკუთვნება და შესაბამისად იგი მუნიციპალიტეტის პრიორიტეტს წარმოადგენს. გაგრძელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის აუცილებელი ხარჯების დაფინანსება, ასევე, საბავშვო ბაღების შენობების რეაბილიტაცია.

### 4. სოციალური ღონისძიებების განხორციელება

გასულ წლის მსგავსად მომდევნო ოთხ წელიწადში პრიორიტეტის ფარგლებში დაგეგმილია ისეთი სოციალური პროგრამების განხორციელება, როგორიცაა ახალშობილთა და მშობიარეთა ერთჯერადი დახმარება და სამედიცინო მკურნალობის თანადაფინანსება.

### პრიორიტეტებზე მიმართული სახსრები

*ათას ლარებში*

| დასახელება | 2011 წელი | 2012 წელი | 2013 წელი | 2014 წელი |
|---|---|---|---|---|
| მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია | 800,0 | 800,0 | 800,0 | 800,0 |
| კომუნალური მეურნეობის განვითარება | 450,0 | 730,0 | 755,0 | 785,0 |
| სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა | 810,0 | 900,0 | 950,0 | 980,0 |

| დასახელება | 2011 წელი | 2012 წელი | 2013 წელი | 2014 წელი |
|---|---|---|---|---|
| სოციალური ღონისძიებების განხორციელება | 458,0 | 458,0 | 458,0 | 458,0 |
| **სულ ჯამი** | **2 518,0** | **2 888,0** | **2 963,0** | **3 023,0** |

## საგარეჯოს მუნიციპალიტეტი

### 1. მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია.

მუნიციპალიტეტის ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენს მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია, მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში მოასფალტდება ხაშმის, გიორგიწმინდის, პატარძეულის, პატარა ჩილურის, ვერხვიანის ცენტრალური გზები, რეაბილიტაცია ჩაუტარდება პატარა ჩაილური-კაკაბეთი-ვერხვიანი-ყანდაურის დამაკავშირებელ გზას. მოასფალტდება სოფ. წყაროსთავის შიდა სასოფლო გზები, რეაბილიტაცია ჩაუტარდება ქალაქ საგარეჯოს სტალინის და რუსთაველის ქუჩების ტროტუარებს.

### 2. კომუნალური მეურნეობის განვითარება

ბოლო წლებში განხორციელებული სხვადასხვა პროექტების მიუხედავად არასათანადო პირობებია კომუნალურ მეურნეობაში, ამიტომ მომდევნო 4 წელიწადში მუნიციპალიტეტი ითვალისწინებს დიდი ჩაილურის, ხაშმის, ნინოწმინდის, პატარძეულის, ბოგდანოვკის, გიორგიწმინდის სასმელი წყლის სათავე ნაგებობების, შიდა და გარე ქსელების რეაბილიტაციას, ქალაქ საგარეჯოში, გიორგიწმინდაში, ნინოწმინდაში, ბადიაურში, მანავში, ყანდაურაში აშენდება ახალი ნაგავსაყრელები, შესყიდული იქნება ნაგავმზიდი მანქანები და ნაგვის კონტეინერები. გაგრძელდება საბინაო ამხანაგობების ხელშემწყობი პროგრამა, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან მოსახლეობასთან თანადაფინანსების პრინციპით შეკეთდება მრავალსართულიანი ბინების სახურავები და სადარბაზოები, ასევე შეიღებება ფასადები.

### 3. მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობა

საგარეჯოს მუნიციპალიტეტში დიდი მნიშვნელობა ენიჭება მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობასა და იერსახის გაუმჯობესებას, რაც ასევე ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის ეკონომიკურ განვითარებას. მომდევნო წლებში გაგრძელდება ახალი დასასვენებელი პარკების მოწყობა ქალაქ საგარეჯოში, სოფ. ხაშმში, ბოგდანოვკაში,

შიბლიანში, ბადიაურში, თოხლიაურში და კოჭბაანში. სოფ, გიორგიწმინდის, თოხლიაურის, ხაშმის, მანავის, დიდი ჩაილურის, პატარა ჩაილურის, კაკაბეთის, ვერხვიანის, ყანდაურის, შიბლიანის, ბოგდანოვკის ცენტრალურ გზებზე მოეწყობა გარე განათების სისტემები. კეთილმოეწყობა სოფლებში მოსახლეობის თავშეყრის ადგილები.

## 4. სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა

მომავალი თაობის აღზრდის მიმართულებით მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველობის საკუთარუფლებამოსილებას განეკუთვნება და მუნიციპალიტეტის ერთ–ერთი ძირითადი პრიორიტეტია. მომდევნო წლებშიც გაგრძელდება საბავშვო ბაღის ფუნქციონერებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, დიდ ჩაილურში აშენდება საბავშვო ბაღი, რეაბილიტაცია ჩაუტარდება ქალაქ საგარეჯოს 4 საბავშო ბაღს, ასევე რეაბილიტაცია ჩაუტარდება გიორგიწმინდის, ბოგდანოვკის, ნინოწმინდის, მანავის №1, მანავის №2, გომბორის, უჯარმის და უდაბნოს საბავშვო ბაღებს.

## 5. სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა.

მომდევნო წლებში დაგეგმილია ქალაქ საგარეჯოში, ხაშმში, ბოგდანოვკაში და ბადიაურში სპორტული მოედნების მოწყობა, რევაზ ინანიშვილის სახელობის საბავშვო ბიბლიოთეკის, სოფ. უჯარმის, ხაშმის, დიდი და პატარა ჩაილურის, მანავის და კაკაბეთის ბიბლიოთეკების, საგარეჯოს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის, გიორგი ლეონიძის და იოსებ იმედაშვილის სახელობის სახლმუზეომების რეაბილიტაცია. ყოველწლიურად ჩატარდება სოფელ კოჭბაანში ,,ვაჟაობა‘‘; სოფ. ნინოწმინდაში ,,ნინოობა‘‘, აღდგება სახალხო დღესასწაული ,,გარეჯობა‘‘ და მრავალი სხვა დღესასწაული და ღონისძიება.

### პრიორიტეტებზე მიმართულის სახსრები

*ათას ლარებში*

| დასახელება | 2011 წელი | 2012 წელი | 2013 წელი | 2014 წელი |
|---|---|---|---|---|
| მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია | 1 200,0 | 1 200,0 | 1 200,0 | 1 200,0 |
| კომუნალური მეურნეობის განვითარება | 726,3 | 435,0 | 435,0 | 435,0 |
| მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობა | 698,9 | 770,0 | 775,0 | 780,0 |
| სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა | 667,8 | 600,0 | 600,0 | 600,0 |
| სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა | 678,7 | 709,6 | 713,7 | 713,6 |
| **სულ ჯამი** | **3 971,7** | **3 714,6** | **3 723,7** | **3 728,6** |

## დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი

### 1. მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია

მომდევნო 4 წლის განმავლობაში რეაბილიტირებული იქნება მუნიციპალიტეტში შემავალი სოფლების გზების 80 პროცენტი, მოიხრეშება და მოსწორდება სოფლის შიდა საუბნო გზები, ასევე სრულად იქნება რეაბილიტირებული ცენტრიდან სოფლებთან დამაკავშირებელი გზები.

### 2. კომუნალური მეურნეობის განვითარება

პრიორიტეტის ფარგლებში მომდევნო წლების განმავლობაში აშენდება სამი ახალი წყლის სისტემის სათავე ნაგებობა და ყველა იმ სოფელში, რომლებშიც ამ ეტაპზე ვერ ხერხდება წყლის მიწოდება, მოეწყობა წყალგაყვანილობის სისტემები, ასევე რეაბილიტაცია ჩაუტარდება სხვადასხვა სოფლებში დაზიანებულ წყალგაყვანილობის სისტემებს, მოწესრიგდება საკანილაზაციო სისტემები, აშენდება რამდენიმე ახალი ნაგავსაყრელი.

### 3. მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობა

გზების მშენებლობა-რეაბილიტაციისა და კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარებასთან ერთად მნიშვნელოვანი როლი ენიჭება მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობას და მისი იერსახის გაუმჯობესებას, რომლის ფარგლებშიც დაგეგმილია ქალაქში ტროტუარების სრული მოწესრიგება და დასასვენებელი პარკების მოწყობა-რეაბილიტაცია, ყველა სოფელში მოეწყობა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილები, ეტაპობრივად ყველა სოფლის ცენტრალურ გზებზე მოეწყობა გარე განათების სისტემები. განხორციელდება სასაფლაოების კეთილმოწყობა და მათი მუდმივი მოვლა-პატრონობა.

### 4. სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა

მომდევნო წლებში გაგრძელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია და ინვენტარით უზრუნველყოფა.

### 5. სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა

როგორც ბოლო წლების განმავლობაში, ისე მომდევნო პერიოდშიც მუნიციპალიტეტის კიდევ ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა, რომლის ფარგლებშიც მომდევნო წლებში დაგეგმილია სპორტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებების და კულტურული ღონისძიებების ორგანიზება, ნიჭიერი

სპორტსმენების მხარდაჭერა სხვადასხვა ჩემპიონატებში. ჩატარდება საახალწლო და სხვა კულტურული ღონისძიებები, რომლებშიც მონაწილეობას მიიღებენ ადგილობრივი ფოლკლორული ანსამბლები.

**პრიორიტეტებზე მიმართული სახსრები**

*ათას ლარებში*

| დასახელება | 2011 წელი | 2012 წელი | 2013 წელი | 2014 წელი |
|---|---|---|---|---|
| მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია | 600,0 | 700,0 | 750,0 | 800,0 |
| კომუნალური მეურნეობის განვითარება | 720,0 | 720,0 | 720,0 | 720,0 |
| მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის | 70,0 | 60,0 | 50,0 | 40,0 |
| სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა | 485,0 | 540,0 | 460,0 | 480,0 |
| სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა | 387,2 | 400,0 | 420,0 | 430,0 |
| **სულ ჯამი** | **2 262,2** | **2 420,0** | **2 400,0** | **2 470,0** |

## ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი

### 1. საავტომობილო გზების რეაბილიტაცია

პრიორიტეტის ფარგლებში მომდევნო წლებში დაგეგმილია მუნიციპალიტეტის სოფლებთან, ძირითად საკურორტო, ისტორიულ და კულტურულ ძეგლებთან მისასვლელი საავტომობილო გზების პერიოდული შეკეთება და რეაბილიტაცია.

### 2. ტურიზმის და ინფრასტრუქტურის განვითარება

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში ტურისტული და სხვა ინფრასტრუქტურის განვითარება პირდაპირ გავლენას იქონიებს ტურისტების რაოდენობის ზრდაზე. შედეგად მოხდება ეფექტიანი პოზიციონირება ტურისტულ ბაზრებზე. მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარებისათვის ძალზედ მნიშვნელოვანია ასევე ტურისტული ინფრასტუქტურისა და ტურისტული ადგილების განვითარების ხელშეწყობა და ტურიზმის სფეროში მომსახურეობის ხარისხის გაუმჯობესება. 2011-2014 წლებში ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარების მიზნით დაგეგმილია ფესტივალების და დღესასწაულების ორგანიზება, გამოფენების მოწყობა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ახალი ტურისტული პროდუქტის შექმნა და მათი განვითარებისათვის პროექტების განხორციელება

## 3. კომუნალური მეურნეობის განვითარება

ბოლო წლებში განხორციელებული სხვადასხვა პროექტების მიუხედავად, მაინც არასათანადო პირობებია მუნიციპალიტეტის კომუნალურ მეურნეობაში, მომავალ წლებში დაგეგმილია ამ მიმართულებით სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები. წყალმომარაგების სათავე ნაგებობებისა და შიდა ქსელის რეაბილიტაცია. აშენდება სამი ახალი წყლის სისტემის სათავე ნაგებობა და ყველა იმ სოფელში, რომლებშიც ამ ეტაპზე ვერ ხერხდება წყლის მიწოდება, მოეწყობა წყალგაყვანილობის სისტემები, ასევე რეაბილიტაცია ჩაუტარდება სხვადასხვა სოფლებში დაზიანებულ წყალგაყვანილობის სისტემებს, მოწესრიგდება საკანილაზაციო სისტემები. პრიორიტეტის ფარგლებში ჩატარდება მუნიციპალიტეტის დასახლებებში ელექტრო და გაზის მეურნეობების რეაბილიტაცია და მოწესრიგდება გამრიცხველიანება.

## 4. გარემოს დაცვა

პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება ნაგავსაყრელის მშენებლობა და კანალიზაციის გამწმენდი ნაგებობის და სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია.

## 5. სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა

პრიორიტეტი მოიცავს ღონისძიებებს, რომლებიც ორიენტირებულია სასპორტო განათლების ხელშეწყობაზე. მუნიციპალიტეტში არსებული სპორტული ინფრასტრუქტურა არ შეესაბამება თანამედროვე სტანდარტებსა და მოთხოვნებს, არ არის თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი სპორტული ობიექტები და ამ ბაზებში ღონისძიებების ჩატარებისათვის ნორმალური პირობები. აუცილებელია ახალგაზრდებში სპორტის პოპულარიზაცია და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება, აგრეთვე სპორტის ხელმისაწვდომობა განურჩევლად ასაკისა.

აღნიშნული პრიორიტეტი ორიენტირებულია მუნიციპალიტეტში სპორტის შემდგომ განვითარებაზე, ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებაზე. სპორტის სხვადასხვა სახეობების მომზადებასა და სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობის ხელშეწყობაზე. ასევე დაგეგმილია სპორტული მრავალფუნქციური კომპლექსების, ახალი სპორტული მოედნების, ხელოვნურსაფარიანი მინისაფეხბურთო მოედნების მშენებლობა-რეაბილიტაცია.

## პრიორიტეტებზე მიმართული სახსრები

*ათას ლარებში*

| დასახელება | 2011 წელი | 2012 წელი | 2013 წელი | 2014 წელი |
|---|---|---|---|---|
| მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია | 1 500,0 | 1 600,0 | 1 700,0 | 1 700,0 |
| კომუნალური მეურნეობის განვითარება | 240,0 | 280,0 | 300,0 | 300,0 |
| გარემოს დაცვა | 180,0 | 230,0 | 180,0 | 170,0 |
| სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა | 951,5 | 1 000,0 | 1 000,0 | 1 000,0 |
| **სულ ჯამი** | **2 871,5** | **3 110,0** | **3 180,0** | **3 170,0** |

## თვითმმართველი ქალაქი ქუთაისი

### 1. გზების რეაბილიტაცია

მომდევნო წლებში ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტად რჩება ცენტრალური გზებისა და შიდა ქუჩების რეაბილიტაცია, რაც გაზრდის შიდა სატრანსპორტო მიმოსვლას და მნიშვნელოვნად აამაღლებს ქალაქის ეკონომიკურ აქტივობას.

### 2. კომუნალური მეურნეობის განვითარება

ბოლო წლებში განხორციელებული სხვადასხვა პროექტების მიუხედავად, მაინც პრიორიტეტულია ქალაქის საბინაო-კომუნალური მეურნეობის განვითარება. ერთერთ მთავარ პრიორიტეტად 2011-2014 წლებში ითვლება მოსახლეობისთვის სუფთა გარემოს შექმნა.

ქალაქ ქუთაისის პრიორიტეტად რჩება ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობის ჩართვა აქტუალური პრობლემების მოგვარებაში. პროგრამა ,,კორპუსის'' ფარგლებში მოსახლეობის თანადაფინანსების პრინციპით შეკეთდება საცხოვრებელი კორპუსების სახურავები და განხორციელდება ლიფტების რეაბილიტირება.

ქალაქის ძველ უბნებში ძირითადად სანიაღვრე ქსელები დაიხურება რკინაბეტონის ფილებით. სანიაღვრე არხებისა და მილების გამართული მუშაობა ხელსაყრელ პირობებს უქმნის ავტომანქანებისა და ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხო მოძრაობას.

### 3. სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა

მომავალი თაობის აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად

ქალაქი ქუთაისისათვის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია და ინვენტარით უზრუნველყოფა.

## 4. სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა

მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა, რომლის ფარგლებშიც მომდევნო წლებში დაგეგმილია სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებებისა და კულტურული ღონისძიებების ორგანიზება, ნიჭიერი სპორტსმენების მხარდაჭერა სხვადასხვა ჩემპიონატებში. გარდა ამისა, თვითმმართველობის მიერ განხორციელდება მუზეუმების, ბიბლიოთეკების, თეატრების, სახელოვნებო, სპორტული სკოლების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, რომლებშიც მონაწილეობას მიიღებენ ადგილობრივი ფოლკლორული ანსამბლები უზრუნველყოფს ქართულ ფოლკლორული ხელოვნების და ადგილობრივი ტრადიციების შენარჩუნებას.

## პრიორიტეტებზე მიმართული სახსრები

*ათას ლარებში*

| დასახელება | 2011 წელი | 2012 წელი | 2013 წელი | 2014 წელი |
|---|---|---|---|---|
| მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია | 3,000.0 | 1,000.0 | 1,000.0 | 1,000.0 |
| კომუნალური მეურნეობის განვითარება | 5,175.0 | 5,600.0 | 5,500.0 | 6,000.0 |
| სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა | 5,156.0 | 5,236.0 | 5,376.0 | 5,476.0 |
| სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა | 8,112.7 | 8,133.0 | 8,243.0 | 8,443.0 |
| **სულ ჯამი** | **21,443.7** | **19,969.0** | **20,119.0** | **20,919.0** |

## ჭიათურის მუნიციპალიტეტი

### 1.მუნიციპალიტეტის გზების რეაბილიტაცია

### პრიორიტეტის აღწერა:

მუნიციპალიტეტის მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია, რომელიც ასევე ითვალისწინებს გზების დახაზვას და საგზაო ნიშნების დაყენებას. მომდევნო წლებში დაგეგმილია სოფლის საუბნო გზების მოხრეშვა და მოსწორება, ასევე, რეაბილიტირებული იქნება სოფლებამდე მისასვლელი გზები. ქალაქში გაგრძელდება შიდა საუბნო გზების მოასფალტება.

## 2. კომუნალური მეურნეობის განვითარება

მუნიციპალიტეტისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს კომუნალური მეურნეობის განვითარებას, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში დაგეგმილია მუნიციპალიტეტში სანიტარული პირობების გაუმჯობესება და საბინაო ამხანაგობების მხარდაჭერა.

## 3. მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობა

მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებების განხორციელება, რომლის ფარგლებში დაგეგმილია სანიაღვრე არხების, საყრდენი კედლებისა და სკვერების აღდგენა, ქვათაცვენის სამუშაოების განხორციელება, გარე განათების ქსელის მოწყობა და მოვლა-პატრონობა, ქალაქის განაშენიანებისა და ქუჩების ნუმერაციის ღონისძიებების განხორციელება, საყრდენი კედლის აღდგენა, ტროტუარების აღდგენა, ხიდებისა და მოაჯირების შეკეთება, შიდა ეზოების კეთილმოწყობა, სოფლის კეთილმოწყობის სამუშაოები.

## 4. სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა

მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება.

## 5. სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა

მუნიციპალიტეტის კიდევ ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა, რომლის ფარგლებშიც მომდევნო წლებში დაგეგმილია სპორტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, კლუბების აღდგენა, სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებების და კულტურული ღონისძიებების ორგანიზება, ნიჭიერი სპორტსმენების მხარდაჭერა სხვადასხვა ჩემპიონატებში.

### პრიორიტეტებზე მიმართული სახსრები

*ათას ლარებში*

| დასახელება | 2011 წელი | 2012 წელი | 2013 წელი | 2014 წელი |
|---|---|---|---|---|
| მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია | 0.0 | 630.0 | 650.0 | 630.0 |
| კომუნალური მეურნეობის განვითარება | 245.0 | 550.0 | 520.0 | 540.0 |
| მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობა | 2,375.4 | 822.0 | 830.0 | 850.0 |

| დასახელება | 2011 წელი | 2012 წელი | 2013 წელი | 2014 წელი |
|---|---|---|---|---|
| სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა | 710.0 | 820.0 | 870.0 | 900.0 |
| სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა | 1,501.1 | 1,797.0 | 1,934.0 | 2,140.0 |
| **სულ ჯამი** | **4,831.5** | **4,619.0** | **4,804.0** | **5,060.0** |

## ტყიბულის მუნიციპალიტეტი

### 1. მუნიციპალიტეტის გზების რეაბილიტაცია

ტყიბულის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენს მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია, რომლის ფარგლებშიც მომდევნო 4 წლის განმავლობაში რეაბილიტირებული იქნება ძირითადი გზები, მოიხრეშება და მოსწორდება სოფლის შიდასაუბნო გზები. აშენდება ახალი ხიდები. სრულად იქნება რეაბილიტირებული ცენტრიდან სოფლებთან დამაკავშირებელი გზები, ქალაქში განხორციელდება შიდასაუბნო გზების ასფალტობეტონის საფარით მოწყობა. გარდა ამისა მოხდება ტურისტულ ადგილებზე მისასვლელი გზების რეაბილიტაცია.

### 2. კომუნალური მეურნეობის განვითარება

მუნიციპალიტეტის პრიორიტეტს წარმოადგენს კომუნალური მეურნეობის განვითარება, რომლის ფარგლებშიც მომდევნო წლების განმავლობაში აშენდება ახალი წყლის სათავე ნაგებობები და იმ სოფლებშიც, რომლებშიც ამ ეტაპზე ვერ ხერხდება წყლის მიწოდება, მოეწყობა წყალგაყვანილობის სისტემები. ასევე რეაბილიტაცია ჩაუტარდება სხვადასხვა სოფლებში დაზიანებული წყალგაყვანილობის სისტემებს.

საკანალიზაციო სისტემები მოწესრიგდება ქალაქშიც. მასთან ერთად ქალაქის გეოგრაფიული სპეციფიურობიდან გამომდინარე გადაუდებელ აუცილებლობას წარმოადგენს სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია და მშენებლობა.

მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების მიზნით დამატებით იქნება შესყიდული ნაგავმზიდი და დასუფთავების სპეცტექნიკა, ნაგვის კონტეინერები. გაგრძელდება საბინაო ამხანაგობების ხელშეწყობის პროგრამა და მის ფარგლებში მოსახლეობის თანადაფინანსების პრინციპით შეკეთდება მაღალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსების სახურავები, საკანალიზაციო სისტემები, სადარბაზოები, ასევე განხორციელდება ლიფტების განახლება.

## 3. მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობა

მნიშვნელოვანი როლი ენიჭება მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობას და მისი იერსახის გაუმჯობესებას, რაც ასევე ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტში ტურისტული პოტენციალის გაზრდას, რისი გათვალისწინებითაც მომდევნო წლებში გაგრძელდება მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებების განხორციელება, რომლის ფარგლებშიც დაგეგმილია ქალაქში ტროტუარების სრული მოწესრიგება, ცენტრალური ქუჩების ფასადების აღდგენა-გალამაზება, დასასვენებელი პარკებისა და გამწვანების ზოლების მოწყობა-რეაბილიტაცია.

ყველა სოფელში მოეწყობა საზოგადოების თავშეყრის ადგილები. ეტაპობრივად ყველა სოფლის ცენტრალურ ქუჩაზე მოეწყობა გარე განათების სისტემები. განხორციელდება სასაფლაოების კეთილმოწყობა და მათი მუდმივი მოვლა-პატრონობა.

## 4. სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა

თვითმმართველი ერთეულების საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა.

## 5. სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა

მუნიციპალიტეტის კიდევ ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა, რომლის ფარგლებშიც მომდევნო წლებში დაგეგმილია სპორტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია. სხვადსხვა სპორტული შეჯიბრებებისა და კულტურული ღონისძიებების ორგანიზება. ნიჭიერი სპორტსმენების მხარდაჭერა სხვადასხვა ჩემპიონატებში. გარდა ამისა მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელდება ადგილობრივი ანსამბლების, სამუსიკო და სპორტული ჯგუფების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება.

### პრიორიტეტებზე მიმართული სახსრები

*ათას ლარებში*

| დასახელება | 2011 წელი | 2012 წელი | 2013 წელი | 2014 წელი |
|---|---|---|---|---|
| მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია | 1,420.0 | 1,000.0 | 1,200.0 | 1,500.0 |
| კომუნალური მეურნეობის განვითარება | 430.0 | 470.0 | 900.0 | 1,150.0 |

| დასახელება | 2011 წელი | 2012 წელი | 2013 წელი | 2014 წელი |
|---|---|---|---|---|
| მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობა | 925.6 | 750.0 | 850.0 | 980.0 |
| სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა | 350.0 | 400.0 | 450.0 | 500.0 |
| სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა | 807.0 | 1,000.0 | 950.0 | 1,100.0 |
| **სულ ჯამი** | **3,932.6** | **3,620.0** | **4,350.0** | **5,230.0** |

## წყალტუბოს მუნიციპალიტეტი

### 1. მუნიციპალიტეტის გზების რეაბილიტაცია

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენს მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია, რომლის ფარგლებშიც მომდევნო 4 წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტში შემავალ სოფლებში რეაბილიტირებული იქნება ძირითადი გზები, მოიხრეშება და მოსწორდება სოფლების შიდა საუბნო გზები, შეკეთდება ხიდები, რომლითაც ერთმანეთს უმოკლესი გზით დაუკავშირდება სოფლები. ასევე, სრულად იქნება რეაბილიტირებული ცენტრიდან სოფლებთან დამაკავშირებელი გზები, ქალაქში დასრულდება შიდა გზების მოასფალტება.

### 2. კომუნალური მეურნეობის განვითარება

მუნიციპალიტეტის პრიორიტეტს წარმოადგენს კომუნალური მეურნეობის განვითარება, რომლის ფარგლებშიც მომდევნო წლების განმავლობაში აშენდება და მოეწყობა წყლის სისტემები და სათავე ნაგებობები, მოწესრიგდება საკანალიზაციო სისტემები. დამატებით იქნება შესყიდული ნაგავმზიდი მანქანები და ნაგვის კონტეინერები. საბინაო ამხანაგობების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში მოსახლეობის თანადაფინანსების პრინციპით შეკეთდება მაღალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსების სახურავები და სადარბაზოები.

### 3. მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობა

მნიშვნელოვანი როლი ენიჭება მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობას და მისი იერსახის გაუმჯობესებას, რაც ასევე ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის გაზრდას, რისი გათვალისწინებითაც მომდევნო წლებში გაგრძელდება მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებების განხორციელება, რომლის ფარგლებშიც დაგეგმილია ქალაქში ტროტუარების მოწესრიგება და დასასვენებელი პარკების მოწყობა-რეაბილიტაცია, ასევე სრულყოფილად მოწესრიგდება გარე განათების ქსელი, როგორც ქალაქში ასევე სოფლის ცენტრებში.

## 4. სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა

პრიორიტეტის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა.

## 5. სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა

მუნიციპალიტეტის კიდევ ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა, რომლის ფარგლებშიც მომდევნო წლებში დაგეგმილია სპორტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებების და კულტურული ღონისძიებების ორგანიზება, ნიჭიერი სპორტსმენების მხარდაჭერა სხვადასხვა ჩემპიონატებში.

### პრიორიტეტებზე მიმართული სახსრები

*ათას ლარებში*

| დასახელება | 2011 წელი | 2012 წელი | 2013 წელი | 2014 წელი |
|---|---|---|---|---|
| მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია | 707.1 | 1,000.0 | 1,300.0 | 1,250.0 |
| კომუნალური მეურნეობის განვითარება | 748.0 | 730.0 | 750.0 | 850.0 |
| მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობა | 378.0 | 280.0 | 300.0 | 350.0 |
| სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა | 485.0 | 516.5 | 550.1 | 585.9 |
| სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა | 2,056.1 | 3,021.4 | 982.4 | 1,033.3 |
| **სულ ჯამი** | **4,374.2** | **5,547.9** | **3,882.5** | **4,069.2** |

## ბაღდათის მუნიციპალიტეტი

## 1. მუნიციპალიტეტის გზების რეაბილიტაცია

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენს მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია, რომლის ფარგლებშიც მომდევნო 4 წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტში შემავალი სოფლების 90%-ში რებილიტირებული იქნება ძირითადი გზები, მოიხრეშება და მოსწორდება სოფლების შიდა საუბნო გზები, შეკეთდება ხიდები და ბოგირები.

## 2. კომუნალური მეურნეობის განვითარება

მუნიციპალიტეტის პრიორიტეტს წარმოადგენს კომუნალური მეურნეობის განვითარება, რომლის ფარგლებშიც მომდევნო წლების განმავლობაში აშენდება სამი ახალი წყლის სისტემის სათავე ნაგებობა და ყველა იმ სოფელში, რომლებშიც ამ ეტაპზე ვერ ხერხდება წყლის მიწოდება, მოეწყობა წყალგაყვანილობის სისტემები, ასევე რეაბილიტაცია ჩაუტარდება სხვადასხვა სოფლებში დაზიანებულ წყალგაყვანილობის სისტემებს, ქალაქში გაკეთდება საკანალიზაციო სისტემა. დამატებით იქნება შესყიდული ნაგავმზიდი მანქანები და ნაგვის კონტეინერები. საბინაო ამხანაგობების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში მოსახლეობის თანადაფინანსების პრინციპით შეკეთდება მაღალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსების სახურავები.

## 3. სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა

როგორც ბოლო წლების განმავლობაში, ისე მომდევნო პერიოდშიც მუნიციპალიტეტის კიდევ ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს სპორტული და კულტულური ღონისძიებების ხელშეწყობა, რომლის ფარგლებშიც მომდევნო წლებში დაგეგმილია სპორტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებების და კულტულური ღონისძიებების ორგანიზება, ნიჭიერი სპორტსმენების მხარდაჭერა სხვადასხვა ჩემპიონატებში. გარდა ამისა, მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელდება ადგილობრივი ანსამბლების, ბიბლიოთეკების, სამუსიკო და სპორტული სკოლების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება.

### პრიორიტეტებზე მიმართული სახსრები

*ათას ლარებში*

| დასახელება | 2011 წელი | 2012 წელი | 2013 წელი | 2014 წელი |
|---|---|---|---|---|
| მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია | 240.0 | 350.0 | 360.0 | 400.0 |
| კომუნალური მეურნეობის განვითარება | 240.0 | 350.0 | 400.0 | 420.0 |
| სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა | 240.0 | 41.0 | 49.5 | 51.0 |
| **სულ ჯამი** | **720.0** | **741.0** | **809.5** | **871.0** |

### ვანის მუნიციპალიტეტი

## 1. მუნიციპალიტეტის გზების რეაბილიტაცია

2011-2014 წლებში მუნიციპალიტეტში შემავალი თემების 70%-ში რეაბილიტირებული იქნება შიდა საუბნო გზები. ცენტრიდან სოფლებთან დამაკავშირებელი გზების 60-70%-ზე დაიგება შავი საფარი.

## 2. კომუნალური მეურნეობის განვითარება

აშენდება სასმელი წყლის ახალი სათავე ნაგებობა, რომლიდანაც მომარაგდება 3 თემის მოსახლეობა, შეკეთდება სოფლებში არსებული სათავე ნაგებობები, რეაბილიტაცია ჩაუტარდება წყალგაყვანილობის სისტემის 80%-ს.

ქალაქში მოეწყობა საკანალიზაციო სისტემა. საბინაო ამხანაგობების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში მოწესრიგდება მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ფასადები.

## 3. კეთილმოწყობის ღონისძიებების განხორციელება

მუნიციპალიტეტში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება კეთილმოწყობასა და იერსახის გაუმჯობესებას, რაც ხელს შეუწყობს ტურისტული პოტენციალის გაზრდას. აღნიშნულის გათვალისწინებით გაგრძელდება კეთილმოწყობის ღონისძიებების განხორციელება, ქალაქში რეაბილიტაცია ჩაუტარდება ფეხით სავალ ბილიკებს, მოეწყობა და რეაბილიტაცია ჩაუტარდება დასასვენებელ პარკებს, ყველა თემის მისასვლელ ცენტრალურ გზებზე მოეწყობა გარე განათების სისტემები.

## 4. სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა

მომავალი თაობის აღზრდის მიმართულებით მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებშიც მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია და ინვენტარით უზრუნველყოფა.

## 5. სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა

მუნიციპალიტეტის კიდევ ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა, რომლის ფარგლებშიც მომდევნო წლებში განხორციელდება სპორტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებების და კულტურული ღონისძიებების ორგანიზება, ნიჭიერი სპორტსმენების მხარდაჭერა სხვადასხვა ჩემპიონატებში. აგრეთვე, განხორციელდება ადგილობრივი ანსამბლების, ბიბლიოთეკების, სამუსიკო და სპორტული სკოლების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება.

## პრიორიტეტებზე მიმართული სახსრები

*ათას ლარებში*

| დასახელება | 2011 წელი | 2012 წელი | 2013 წელი | 2014 წელი |
|---|---|---|---|---|
| მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია | 400.5 | 550.0 | 600.0 | 700.0 |
| კომუნალური მეურნეობის განვითარება | 300.0 | 400.0 | 500.0 | 550.0 |
| კეთილმოწყობის ღონისძიებების განხორციელება | 384.1 | 450.0 | 500.0 | 550.0 |
| სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა | 391.7 | 420.0 | 480.0 | 520.0 |
| სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა | 804.4 | 850.0 | 900.0 | 950.0 |
| **სულ ჯამი** | **2,280.7** | **2,670.0** | **2,980.0** | **3,270.0** |

## ზესტაფონის მუნიციპალიტეტი

### 1. მუნიციპალიტეტის გზების რეაბილიტაცია

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენს გზების რეაბილიტაცია, მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტის შემავალ სოფელში აღდგება და რეაბილიტაცია ჩაუტარდება გზებს, მოიხრეშება და მოშანდაკდება სოფლის შიდა საუბნო გზები, ასევე რეაბილიტირებული იქნება ცენტრიდან სოფლებთან დამაკავშირებელი გზები, მოასფალტდება ქალაქის ქუჩების 60 პროცენტი.

## 2. კომუნალური მეურნეობის განვითარება

ქალაქში კომუნალური მომსახურეობის კუთხით შექმნილია სერვის ცენტრი, რომელიც აღჭურვილია და დამატებით აღიჭურვება თანამედროვე ტიპის მანქანა-დანადგარებით, რეაბილიტაცია ჩაუტარდება ნაგავსაყრელ ტერიტორიას, შესყიდული იქნება ნაგავსაზიდი მანქანები და ნაგვის კონტეინერები. საბინაო ამხანაგობის ხელშეწყობის პროგრამების ფარგლებში მოსახლეობის თანადაფინანსების პრინციპით შეკეთდება მაღალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსების სახურავები და სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდებათ არსებულ ლიფტებს.

## 3. სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა

მომავალი თაობის აღზრდის მიმართულებით დიდი უპირატესობა მიენიჭება სკოლამდელ განათლებას, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება, საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო თანხების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა და შენობების კაპიტალური შეკეთება.

## 4. სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა

პრიორიტეტის ფარგლებში მომდევნო წლებში დაგეგმილია სპორტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, დამთავრდება ქ. ზესტაფონში სპორტის სასახლის მშენებლობა, სოფლად მოეწყობა და რეაბილიტაცია ჩაუტარდება მინი სტადიონებს, მოხდება სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებების და კულტურული ღონისძიებების ორგანიზება, ნიჭიერი სპორტსმენების მხარდაჭერა სხვადასხვა ჩემპიონატში, გარდა ამისა მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელდება ადგილობრივი ანსამბლების, ბიბლიოთეკების, სამუსიკო და სპორტული სკოლების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება.

### პრიორიტეტებზე მიმართული სახსრები

*ათას ლარებში*

| დასახელება | 2011 წელი | 2012 წელი | 2013 წელი | 2014 წელი |
|---|---|---|---|---|
| მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია | 793.0 | 1,500.0 | 1,700.0 | 1,800.0 |
| კომუნალური მეურნეობის განვითარება | 250.0 | 220.0 | 250.0 | 300.0 |
| სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა | 11.8 | 150.0 | 200.0 | 250.0 |

| დასახელება | 2011 წელი | 2012 წელი | 2013 წელი | 2014 წელი |
|---|---|---|---|---|
| სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა | 600.0 | 500.0 | 550.0 | 350.0 |
| სულ ჯამი | **1,654.8** | **2,370.0** | **2,700.0** | **2,700.0** |

## თერჯოლის მუნიციპალიტეტი

### 1. მუნიციპალიტეტის გზების რეაბილიტაცია

2011-2014 წლებში მუნიციპალიტეტში შემავალი თემების 70%-ში რეაბილიტირებული იქნება შიდა საუბნო გზები, ცენტრიდან სოფლებთან დამაკავშირებელი გზების 60-70%-ზე დაიგება შავი საფარი.

### 2. კომუნალური მეურნეობის განვითარება

აშენდება სასმელი წყლის ახალი სათავე ნაგებობა, რომლიდანაც მომარაგდება 3 თემის მოსახლეობა, შეკეთდება სოფლებში არსებული სათავე ნაგებობები, რეაბილიტაცია ჩაუტარდება წყალგაყვანილობის სისტემის 80%-ს.

ქალაქში მოეწყობა საკანალიზაციო სისტემა. საბინაო ამხანაგობების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში მოწესრიგდება მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ფასადები.

### 3. კეთილმოწყობის ღონისძიებების განხორციელება

მნიშვნელოვანი როლი ენიჭება კეთილმოწყობასა და იერსახის გაუმჯობესებას, რაც ხელს შეუწყობს ტურისტული პოტენციალის გაზრდას. აღნიშნულის გათვალისწინებით გაგრძელდება კეთილმოწყობის ღონისძიებების განხორციელება, ქალაქში რეაბილიტაცია ჩაუტარდება ფეხით სავალ ბილიკებს, მოეწყობა და რეაბილიტაცია ჩაუტარდება დასასვენებელ პარკებს, ყველა თემის მისასვლელ ცენტრალურ გზებზე მოეწყობა გარე განათების სისტემები.

### 4. სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა

მომავალი თაობის აღზრდის მიმართულებით მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებშიც მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია და ინვენტარით უზრუნველყოფა.

## 5. სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა

მუნიციპალიტეტის კიდევ ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა, რომლის ფარგლებშიც მომდევნო წლებში განხორციელდება სპორტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებების და კულტურული ღონისძიებების ორგანიზება, ნიჭიერი სპორტსმენების მხარდაჭერა სხვადასხვა ჩემპიონატებში. აგრეთვე, განხორციელდება ადგილობრივი ანსამბლების, ბიბლიოთეკების, სამუსიკო და სპორტული სკოლების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება.

### პრიორიტეტებზე მიმართული სახსრები

*ათას ლარებში*

| დასახელება | 2011 წელი | 2012 წელი | 2013 წელი | 2014 წელი |
|---|---|---|---|---|
| მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია | 540.0 | 600.0 | 1,000.0 | 1,500.0 |
| კომუნალური მეურნეობის განვითარება | 357.8 | 100.0 | 120.0 | 150.0 |
| კეთილმოწყობის ღონისძიებების განხორციელება | 715.0 | 750.0 | 846.0 | 1,057.0 |
| სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა | 293.6 | 400.0 | 600.0 | 900.0 |
| სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა | 479.5 | 496.3 | 500.0 | 530.0 |
| **სულ ჯამი** | **2,385.9** | **2,346.3** | **3,066.0** | **4,137.0** |

# სამტრედიის მუნიციპალიტეტი

## 1. მუნიციპალიტეტის გზების რეაბილიტაცია

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენს მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია, რომლის განხორციელებაც გათვალისწინებულია რამოდენიმე წლის განმავლობაში. ასევე გათვალისწინებულია ხიდებისა და ბოგირების რეაბილიტაცია, ქუთაისი-სამტრედიის გზაგამტარი ხიდის (შემოსასვლელი ხიდი) კეთილმოწყობა და სხვა სარეაბილიტაციო სამუშაოები.

## 2. კომუნალური მეურნეობის განვითარება

მუნიციპალიტეტის პრიორიტეტს წარმოადგენს კომუნალური მეურნეობის განვითარება. წყლის სისტემებისა და სათავე ნაგებობების მშენებლობა-რეაბილიტაცია, საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტაცია.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საბინაო ამხანაგობების მხარდამჭერი პროგრამების განხორციელება, კერძოდ, მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების სახურავებისა და სარდაფებში არსებული კომუნიკაციების აღდგენითი სამუშაოები და მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების ფასადების მოწესრიგება.

## 3. კეთილმოწყობის ღონისძიებების განხორციელება

გაგრძელდება მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებების განხორციელება. დაგეგმილია სკვერების, პარკების, გამწვანების ობიექტების სარეაბილტაციო სამუშაოები, კულტურის ცენტრის მიმდებარე პარკის კეთილმოწყობა. ეტაპობრივად განხორციელდება გარე განათების სისტემების მოწესრიგება.

## 4. სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა

პრიორიტეტის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო თანხების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია, რის შედეგადაც ყველა სოფელში იფუნქციონირებს კეთილმოწყობილი და ბავშვთა მოვლისა და აღზრდისათვის საჭირო პირობებით უზრუნველყოფილი საბავშვო ბაღები.

## 5. სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა

მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს სპორტულ და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა, კერძოდ სპორტული მოედნების რეაბილიტაცია - კეთილმოწყობა, აღნიშნული ღონისძიების დაფინანსება ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ახალგაზრდობაში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას. კულტურული ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაციიდან 2011 წელს მნიშვნელოვანია წმინდა დავით აღმაშენებლის სახელობის საკათედრო ტაძრის გახსნასთან დაკავშირებით მიმდებარე ტერიტორიის მოწესრიგება. მუნიციპალიტეტში ჩატარებული იქნა ცენტრალური ბიბლიოთეკის რეაბილიტაცია, მაგრამ მნიშვნელოვანია ასევე ეროსი მანჯგალაძის კულტურის ცენტრის კეთილმოწყობა. გათვალისწინებულია სამუსიკო სკოლების რეაბილიტაცია და დიდი ჯიხაიშის ნ. ნიკოლაძის მუზეუმის კეთილმოწყობა, რაც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტში სეზონურად ტურისტებისა და დამსვენებელთა რაოდენობის ზრდას. კულტურული ღონისძიებების ჩატარება, რომლებშიც მონაწილეობას მიიღებენ ადგილობრივი ფოლკლორული ანსამბლები, უზრუნველყოფს ქართული ფოლკლორული ხელოვნების და ადგილობრივი ტრადიციების შენარჩუნებას.

## პრიორიტეტებზე მიმართული სახსრები

*ათას ლარებში*

| დასახელება | 2011 წელი | 2012 წელი | 2013 წელი | 2014 წელი |
|---|---|---|---|---|
| მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია | 585.9 | 800.0 | 840.0 | 1,100.0 |
| კომუნალური მეურნეობის განვითარება | 300.0 | 450.0 | 550.0 | 600.0 |
| კეთილმოწყობის ღონისძიებების განხორციელება | 400.0 | 650.0 | 700.0 | 800.0 |
| სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა | 105.0 | 120.0 | 130.0 | 150.0 |
| სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა | 107.0 | 250.0 | 400.0 | 550.0 |
| **სულ ჯამი** | **1,497.9** | **2,270.0** | **2,620.0** | **3,200.0** |

## საჩხერის მუნიციპალიტეტი

### 1. მუნიციპალიტეტის გზების რეაბილიტაცია

საჩხერის მუნიციპალიტეტის ერთ–ერთ ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენს მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია, მისი საფარის აღდგენა და აქ არსებული ხიდ-ბოგირების და სხვათა აღდგენა და ახლის მშენებლობა. პრიორიტეტის ფარგლებში მომდევნო ოთხ წელიწადში რეაბილიტირებული იქნება სოფლებამდე მისასვლელი არსებული საავტომობილო გზების 70–75 პროცენტი, მოიხრეშება და მოსწორდება სოფლების საუბნო გზები, ყოველ წელს საშუალოდ აშენდება 6–7 საავტომობილო მოსაცდელი, და 5–6 მარტივი ტიპის საავტომობილო ხიდი, მოასფალტდება სოფელ კორბოულის და სოფელ ჯალაურთის 9 კილომეტრიანი გზის მონაკვეთი.

### 2. კომუნალური მეურნეობის განვითარება

პრიორიტეტის ფარგლებში მომდევნო წლებში აშენდება ხუთი ახალი წყლის სისტემის სათავე ნაგებობა, სამ სოფელში გაყვანილი იქნება საკანალიზაციო ქსელი, შეძენილი იქნება რამდენიმე ნაგვის სპეცავტომანქანა, რომლებიც სოფლებიდან უზრუნველყოფს დაგროვილი ნაგვის ნაგავსაყრელამდე ტრანსპორტირებას.

### 3. კეთილმოწყობის ღონისძიებების განხორციელება

მიუხედევად იმისა, რომ უკანასკნელ პერიოდში ქველმოქმედებითა და ბიუჯეტის დაფინანსებით მნიშვნელოვანი პროგრამები ხორციელდება მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის კუთხით, კვლავ მრავალი ობიექტია ასაშენებელი და კეთილმოსაწყობი, რისი გათვალისწინებითაც მომდევნო წლებში გაგრძელდება მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებების განხორციელება, რომლის ფარგლებშიც ქ. საჩხერეში და თემებისა და სოფლის ცენტრებში დაგეგმილია დეკორატიული კედლების მშენებლობა და არსებულის რეკონსტრუქცია, დასასვენებელი პარკების მოწყობა–რეაბილიტაცია და საზოგადოების თავშეყრის ადგილების მოწყობა. სოფლების ცენტრალურ გზებზე მოეწყობა გარე განათების სისტემები, განხორციელდება სასაფლაოების კეთილმოწყობა და მათი მუდმივი მოვლა–პატრონობ.

### 4. სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა

საჩხერის მუნიციპლიტეტის კიდევ ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა. რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში დაგეგმილია სპორტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა–რეაბილიტაცია, სოფლის კლუბების აღდგენა, სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებების და კულტურული ღონისძიებების ორგანიზება, ნიჭიერ სპორტსმენთა მხარდაჭერა და მათი დაფინანსება, მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელდება მის მიერ შექმნილი სპორტული და კულტურული მიმართულების არასმეწარმეო იურიდიული პირისა და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება.

### პრიორიტეტებზე მიმართული სახსრები

*ათას ლარებში*

| დასახელება | 2011 წელი | 2012 წელი | 2013 წელი | 2014 წელი |
|---|---|---|---|---|
| მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია | 309.0 | 550.0 | 800.0 | 1,100.0 |
| კომუნალური მეურნეობის განვითარება | 578.0 | 500.0 | 570.0 | 610.0 |
| კეთილმოწყობის ღონისძიებების განხორციელება | 252.0 | 480.0 | 510.0 | 550.0 |
| სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა | 798.0 | 850.0 | 950.0 | 1,200.0 |
| **სულ ჯამი** | **1,937.0** | **2,380.0** | **2,830.0** | **3,460.0** |

# ხარაგაულის მუნიციპალიტეტი

## 1. მუნიციპალიტეტის გზების რეაბილიტაცია

2011 წელს მუნიციპალიტეტში შეკეთდება რკინიგზის სადგურსა და დაბას შორის არსებული ხიდი, შეკეთდება დაბისა და ბაზარი-ავტოსადგურის დამაკავშირებელი ხიდი, აღნიშნული ხიდი აკავშირებს მუნიციპალიტეტს რამდენიმე სოფელს ცენტრთან.

შეკეთდება, აგრეთვე, დაბაში არსებული ხიდი, რომელიც გადებულია მდინარე ჯიხველაზე, აღნიშნული პროექტის განხორციელების შედეგად ძირითადად მოწესრიგდება შიდა სატრანსპორტო მიმოსვლა.

## 2. კომუნალური მეურნეობის განვითარება

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს კომუნალური მეურნეობის განვითარება, საბინაო ამხანაგობების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში მოსახლეობის თანადაფინანსების ფარგლებში შეკეთდება მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავები.

## 3. სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა

პრიორიტეტის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია და ინვენტარით უზრუნველყოფა.

## 4. სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა

როგორც 2009-2010 წლებში, ასევე მომდევნო წლებში მუნიციპალიტეტის კიდევ ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა, რომლის ფარგლებშიც მომდევნო წლებში დაგეგმილია სპორტული ინფრასტუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებების და კულტურული ღონისძიებების ორგანიზება, ნიჭიერი სპორტსმენების მხარდაჭერა სხვადასხვა ჩემპიონატებში, გარდა ამისა მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელდება ადგილობრივი ანსამბლების, ბიბლიოთეკების, სამუსიკო და სპორტული სკოლების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება.

## პრიორიტეტებზე მიმართული სახსრები

*ათას ლარებში*

| დასახელება | 2011 წელი | 2012 წელი | 2013 წელი | 2014 წელი |
|---|---|---|---|---|
| მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია | 457.9 | 800.0 | 820.0 | 850.0 |
| კომუნალური მეურნეობის განვითარება | 287.0 | 200.0 | 220.0 | 250.0 |
| სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა | 222.4 | 300.0 | 320.0 | 350.0 |
| სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა | 1,067.6 | 450.0 | 500.0 | 550.0 |
| სულ ჯამი | **2,034.9** | **1,750.0** | **1,860.0** | **2,000.0** |

## ხონის მუნიციპალიტეტი

### 1. მუნიციპალიტეტის გზების რეაბილიტაცია

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია, რომლის ფარგლებშიც მომდევნო 4 წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტში შემავალი სოფლების 70%-ში რეაბილიტირებული იქნება ძირითადი გზები, მოიხრეშება და მოსწორდება სოფლების შიდა და საუბნო გზები.

### 2. კომუნალური მეურნეობის განვითარება

მუნიციპალიტეტის პრიორიტეტს წარმოადგენს კომუნალური მეურნეობის განვითარება, რომლის ფარგლებშიც მომდევნო წლების განმავლობაში განხორციელდება წყლის სისტემებისა და სათავე ნაგებობების მშენებლობა-რეაბილიტაცია. განხორციელდება საკანალიზაციო სისტემების რეაბილიტაცია. საბინაო ამხანაგობების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში მოსახლეობის თანადაფინანსების პრინციპით შეკეთდება მაღალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსების სახურავები.

### 3. სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით მნიშვნელოვანი როლი ენიჭება, სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად, მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების

ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა.

## 4. სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა

როგორც ბოლო წლების განმავლობაში, ისე მომდევნო პერიოდშიც მუნიციპალიტეტის კიდევ ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა, რომლის ფარგლებშიც მომდევნო წლებში დაგეგმილია სპორტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, სოფლის კლუბების აღდგენა, ნიჭიერი სპორტსმენების მხარდაჭერა სხვადასხვა ჩემპიონატებში. გარდა ამისა, მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელდება ბიბლიოთეკების, სამუსიკო და სპორტული სკოლების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება.

### პრიორიტეტებზე მიმართული სახსრები

*ათას ლარებში*

| დასახელება | 2011 წელი | 2012 წელი | 2013 წელი | 2014 წელი |
|---|---|---|---|---|
| მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია | 107.0 | 237.0 | 500.0 | 800.0 |
| კომუნალური მეურნეობის განვითარება | 150.0 | 535.0 | 475.0 | 320.0 |
| სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა | 210.0 | 250.0 | 260.0 | 300.0 |
| სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა | 80.0 | 180.0 | 190.0 | 200.0 |
| **სულ ჯამი** | **547.0** | **1,202.0** | **1,425.0** | **1,620.0** |

## თვითმმართველი ქალაქი ფოთი

## 1. ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება

ქალაქი ფოთისთვის 2011-2014 წლებში ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენს ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება. მომდევნო 4 წლის განმავლობაში განხორციელდება ქ. ფოთის ტერიტორიაზე სასმელი წყლის ქსელების რეაბილიტაცია, ქალაქში მოწესრიგდება და მოეწყობა ახალი საკანალიზაციო

სისტემები, საბინაო ამხანაგობების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში შეკეთდება მაღალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსების სახურავები და სადარბაზოები, მოეწყობა სპორტულ-გამაჯანსაღებელი მოედნები, ასევე დაგეგმილია ქ. ფოთის გარე განათებისა და გაზიფიკაციის ქსელის მოწყობა.

## 2. სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა

კვლავ პრიორიტეტად რჩება სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა. რამდენადაც ძალზე მნიშვნელოვანია ბავშვისათვის იმ აუცილებელი ცოდნის და ქცევის ნორმის შეძენა, რაც უზრუნველყოფს მის მზადყოფნას სკოლაში სწავლისა და ყოველდღიური ცხოვრებისათვის. სკოლამდელ დაწესებულებებში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებას.

## 3. სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა

კულტურულ-სპორტულ ღონისძიებათა ხელშეწყობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტია. გასული წლების მსგავსად, კვლავ დაფინანსდება სახელოვნებო და სპორტული სკოლები. ქალაქში კვლავაც გაგრძელდება კულტურულ-მასობრივი ღონისძიებების განხორციელება, ასევე გაგრძელდება ნიჭიერი სპორტსმენების მხარდაჭერა სხვადასხვა ჩემპიონატებში.

## 4. სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის პროგრამები

2011-2014 წლებში ქალაქ ფოთში პრიორიტეტის ფარგლებში გათვალისწინებულია შემდეგი სოციალური პროგრამები: მეორე მსოფლიო ომის მონაწილე და სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის მონაწილეთა დახმარების პროგრამა, მრავალშვილიანი ოჯახების ყოველთვიური დახმარების პროგრამა, მიუსაფარ ბავშვთა რეაბილიტაციის პროგრამა და სხვა სოციალური პროგრამები. ასევე დაფინანსდება ჯანმრთელობის დაცვის შემდეგი პროგრამები: ფსიქიურად დაავადებულთა და ურგენტულ ავადმყოფთა ქალაქგარეთ ტრანსპორტირების პროგრამა, კისტოზური ფიბროზით (მუკოვისციდოზი) დაავადებულ ბავშვთა მკურნალობის პროგრამა, სასმელი, სარეკრიაციო და ჩამდინარე წყლების სანიტარულ-ბაქტერიოლოგიური და სანიტარულ-ქიმიური გამოკვლევის პროგრამა და სხვა ჯანმრთელობის დაცვის პროგრამები.

## პრიორიტეტებზე მიმართული სახსრები

*ათას ლარებში*

| დასახელება | 2011 წელი | 2012 წელი | 2013 წელი | 2014 წელი |
|---|---|---|---|---|
| ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსება | 7 103,0 | 17 951,0 | 8 986,0 | 9 911,0 |
| სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა | 1 000,0 | 1 050,0 | 1 100,0 | 1 150,0 |
| სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა | 718,5 | 750,0 | 800,0 | 900,0 |
| სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის პროგრამები | 1 055,0 | 1 100,0 | 1 150,0 | 1 150,0 |
| **სულ ჯამი** | **9 876,5** | **20 851,0** | **12 036,0** | **13 111,0** |

## ხობის მუნიციპალიტეტი

### 1. გზების რეაბილიტაცია

ხობის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენს მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია, რომლის ფარგლებშიც მომდევნო 4 წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტში რეაბილიტირებული იქნება ძირითადი გზები, მოიხრეშება და მოსწორდება სოფლების შიდა საუბნო გზები, აშენდება ახალი ხიდ-ბოგირები.

### 2. კომუნალური მეურნების განვითარება

2011-2014 წლებში დაგეგმილია წყალგაყვანილობის სისტემების სრული რეაბილიტაცია.

### 3. კეთილმოწყობის ღონისძიებების დაფინანსება

გზების მშენებლობა-რეაბილიტაციისა და კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარებასთან ერთად მნიშვნელოვანი როლი ენიჭება მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობას, რომლის ფარგლებშიც დაგეგმილია ქალაქში ტროტუარების სრული მოწესრიგება, ყველა სოფელში მოეწყობა საზოგადოების თავშეყრის ადგილები.

### 4. სკოლამდელი განათლება

2011-2014 წლებში ბაგა-ბაღებში დაგეგმილია სასრიალოებისა და ატრაქციონების მოწყობა, გაგრძელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება და შენობების რეაბილიტაცია.

## 5. სპორტულ კულტურული ღონისძიების ხელშეწყობა

როგორც ბოლო წლების განმავლობაში, ისე მომდევნო პერიოდშიც მუნიციპალიტეტის კიდევ ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს სპორტული და კულტულური ღონისძიებების ხელშეწყობა, რომლის ფარგლებშიც მომდევნო წლებში დაგეგმილია სპორტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, ნიჭიერი სპორტსმენების მხარდაჭერა სხვადასხვა ჩემპიონატებში. გარდა ამისა, მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელდება ადგილობრივი ანსამბლების, ბიბლიოთეკების, სამუსიკო და სპორტული სკოლების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება.

### პრიორიტეტებზე მიმართული სახსრები

*ათას ლარებში*

| დასახელება | 2011 წელი | 2012 წელი | 2013 წელი | 2014 წელი |
|---|---|---|---|---|
| მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია | 585,7 | 590,0 | 600,0 | 650,0 |
| კომუნალური მეურნეობის განვითარება | 819,6 | 840,0 | 850,0 | 880,0 |
| კეთილმოწყობის ღონისძიებების დაფინანსება | 871,4 | 880,0 | 890,0 | 850,0 |
| სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა | 575,0 | 600,0 | 610,0 | 620,0 |
| სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა | 847,5 | 860,0 | 870,0 | 860,0 |
| **სულ ჯამი** | **1 446,4** | **2 070,0** | **2 100,0** | **2 120,0** |

## აბაშის მუნიციპალიტეტი

## 1. მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია

მომდევნო წლებში გაგრძელდება გზების რეაბილიტაცია, მოიხრეშება და მოსწორდება სოფლების შიდა საუბნო გზები, რეკონსტრუქცია ჩაუტარდება ხიდ-ბოგირებს,

## 2. სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა

გაგრძელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია და ინვენტარით აღჭურვა.

## 3. სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა

როგორც ბოლო წლების განმავლობაში, ისე მომდევნო პერიოდშიც მუნიციპალიტეტის პრიორიტეტს წარმოადგენს სპორტული და კულტულური ღონისძიებების ხელშეწყობა, რომლის ფარგლებშიც მომდევნო წლებში დაგეგმილია სპორტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, სოფლის კლუბების აღდგენა, ქალაქსა და სოფლებში სპორტული მოედნების, ცენტრალური სტადიონის, სასპორტო სკოლის და იპოდრომის რემონტი, კულტურის ცენტრის შენობის რემონტი და კ. გამსახურდიას სახელობის სახლ-მუზეუმის რემონტი, კულტურისა და არქიტექტურული ობიექტების რეაბილიტაცია, სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებების და კულტულური ღონისძიებების ორგანიზება, ნიჭიერი სპორტსმენების მხარდაჭერა სხვადასხვა ჩემპიონატებში. გარდა ამისა, მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელდება ადგილობრივი ანსამბლების, ბიბლიოთეკების, სამუსიკო და სპორტული სკოლების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება.

## 4. კომუნალური მეურნეობის განვითარება

ბოლო წლებში განხორციელებული სხვადასხვა პროექტების მიუხედავად, მაინც არასათანადო პირობებია მუნიციპალიტეტის კომუნალურ მეურნეობაში. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით მუნიციპალიტეტის პრიორიტეტს წარმოადგენს კომუნალური მეურნეობის განვითარება, რომლის ფარგლებშიც მომდევნო წლების განმავლობაში განხორციელდება წყალგაყვანილობისა და საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტაცია. დაგეგმილია სასმელი წყლის და საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტაცია, გარე განათების ქსელის რეაბილიტაცია, ასევე დასრულდება სანიაღვრე არხებისა და კოლექტორების რეაბილიტაცია.

## 5. მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებების განხორციელება;

პრიორიტეტის ფარგლებში დაგეგმილია ქალაქში ტროტუარების სრული მოწესრიგება და ცენტრალური პარკის მოწყობა-რეაბილიტაცია. საბინაო ამხანაგობების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში მოსახლეობის თანადაფინანსების პრინციპით

განხორციელდება მაღალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსების ფასადების სარემონტო სამუშაოები.

## პრიორიტეტებზე მიმართული სახსრები

*ათას ლარებში*

| დასახელება | 2011 წელი | 2012 წელი | 2013 წელი | 2014 წელი |
|---|---|---|---|---|
| მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია | 158,3 | 745,5 | 452,5 | 735,5 |
| სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა | 255,0 | 150,0 | 180,0 | 190,0 |
| სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა | 470,9 | 668,4 | 572,0 | 552,0 |
| კომუნალური მეურნეობის განვითარება | 371,8 | 950,0 | 1 100,0 | 1 200,0 |
| მუნიციპალიტეტში კეთილმოწყობის ღონისძიებები | 597,1 | 400,0 | 400,0 | 400,0 |
| **სულ ჯამი** | **1 853,1** | **2 913,9** | **2 704,5** | **3 077,5** |

## მესტიის მუნიციპალიტეტი

### 1. გზების რეაბილიტაცია

პრიორიტეტის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება მესტიისკენ მიმავალი ცენტრალური გზების სრული რეაბილიტაცია, ასევე განხორციელდება ტურისტულ ზონებამდე მისასვლელი გზების რეაბილიტაცია. აღნიშნული ღონისძიებების დაფინანსება მუნიციპალური ბიუჯეტის გარდა, ასევე განხორციელდება სახელმწიფოს მიერ ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის გამოყოფილი სახსრებიდან.

### 2. კომუნალური მეურნების განვითარება

მომდევნო წლების განმავლობაში მოეწყობა წყალგაყვანილობის სისტემები, ასევე რეაბილიტაცია ჩაუტარდება სხვადასხვა სოფლებში დაზიანებულ წყალგაყვანილობის სისტემებს. ახალი საკანალიზაციო და წყალგაყვანილობის სისტემა აშენდება დ. მესტიაში. აშენდება რამდენიმე ახალი ნაგავსაყრელი, დამატებით იქნება შესყიდული ნაგავმზიდი მანქანები და ნაგვის კონტეინერები.

### 3. კეთილმოწყობის სამუშაოები

მომდევნო წლებში დაგეგმილია მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის მიზნით სხვადასხვა პროექტების განხორციელება, რაც ასევე ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის გაზრდას. დაგეგმილია დაბაში ტროტუარების სრული მოწესრიგება და დასასვენებელი პარკების მოწყობა-რეაბილიტაცია. სამთო ტურიზმის განვითარების მიზნით დაგეგმილია ახალი სათხილამურო ტრასებისა და საბაგირო გზების მშენებლობა.

## 4. სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა

სკოლამდელი განათლების ხელშეწყობის მიზნით გაგრძელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია და ინვენტარით უზრუნველყოფა.

## 5. სპორტული და კულტურული ღონისზიების დაფინანსება

როგორც ბოლო წლების განმავლობაში, ისე მომდევნო პერიოდშიც მუნიციპალიტეტის კიდევ ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს სპორტული და კულტულური ღონისძიებების ხელშეწყობა, რომლის ფარგლებშიც მომდევნო წლებში დაგეგმილია სპორტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, სოფლის კლუბების აღდგენა, სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებების და კულტულური ღონისძიებების ორგანიზება, ნიჭიერი სპორტსმენების მხარდაჭერა სხვადასხვა ჩემპიონატებში. გარდა ამისა, მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელდება ადგილობრივი ანსამბლების, ბიბლიოთეკების, სამუსიკო და სპორტული სკოლების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება.

### პრიორიტეტებზე მიმართული სახსრები

*ათას ლარებში*

| დასახელება | 2011 წელი | 2012 წელი | 2013 წელი | 2014 წელი |
|---|---|---|---|---|
| გზების რეაბილიტაცია | 1 411,0 | 1 500,0 | 2 500,0 | 2 700,0 |
| კომუნალური მეურნეობის განვითარება | 803,7 | 1 000,0 | 11 150,0 | 2 000,0 |
| კეთილმოწყობის ღონისძიებები | 178,4 | 350,0 | 500,0 | 800,0 |
| სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა | 220,0 | 400,0 | 400,0 | 300,0 |
| სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა | 377,2 | 500,0 | 600,0 | 700,0 |

| დასახელება | 2011 წელი | 2012 წელი | 2013 წელი | 2014 წელი |
|---|---|---|---|---|
| სულ ჯამი | **2 990,3** | **3 750,0** | **15 150,0** | **6 500,0** |

## სენაკის მუნიციპალიტეტი

### 1. გზების რეაბილიტაცია

სენაკის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენს მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია, რომლის ფარგლებშიც მომდევნო 4 წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტში რებილიტირებული იქნება ძირითადი გზები, მოიხრეშება და მოსწორდება სოფლების შიდა საუბნო გზები, აშენდება ახალი ხიდები და ხიდ-ბოგირები.

### 2. კომუნალური მეურნების განვითარება

მომდევნო წლების განმავლობაში მოეწყობა წყალგაყვანილობის სისტემები, ასევე რეაბილიტაცია ჩაუტარდება სხვადასხვა სოფლებში დაზიანებულ წყალგაყვანილობის სისტემებს, ყველა სოფელში მოწესრიგდება საკანალიზაციო სისტემები, აშენდება რამდენიმე ახალი ნაგავსაყრელი, დამატებით იქნება შესყიდული ნაგავმზიდი მანქანები და ნაგვის კონტეინერები.

### 3. კეთილმოწყობის ღონისღიებები

მომდევნო წლებში მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის მიზნით გაგრძელდება სხვადასხვა პროექტების განხორციელება.

### 4. სკოლამდელი განათლება

გაგრძელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსებადა, მათი რეაბილიტაცია და ინვენტარით უზრუნველყოფა.

### 5. სპორტული ღონისძიებების დაფინანსება

მუნიციპალიტეტის კიდევ ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს სპორტული და კულტულური ღონისძიებების ხელშეწყობა, რომლის ფარგლებშიც მომდევნო წლებში დაგეგმილია სპორტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, სოფლის კლუბების აღდგენა, სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებების და

კულტურული ღონისძიებების ორგანიზება, ნიჭიერი სპორტსმენების მხარდაჭერა სხვადასხვა ჩემპიონატებში.

### პრიორიტეტებზე მიმართული სახსრები

*ათას ლარებში*

| დასახელება | 2011 წელი | 2012 წელი | 2013 წელი | 2014 წელი |
|---|---|---|---|---|
| გზების რეაბილიტაცია | 855,0 | 462,0 | 508,2 | 559,0 |
| კომუნალური მეურნეობის განვითარება | 695,0 | 253,0 | 278,3 | 306,1 |
| კეთილმოწყობის ღონისძიებები | 100,0 | 200,0 | 250,0 | 300,0 |
| სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა | 630,0 | 693,0 | 762,3 | 838,5 |
| სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა | 842,9 | 927,2 | 1 019,9 | 1 121,9 |
| **სულ ჯამი** | **3 122,9** | **2 535,2** | **2 818,7** | **3 125,5** |

## წალენჯიხის მუნიციპალიტეტი

### 1. მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენს მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია, რომლის ფარგლებშიც მომდევნო 4 წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტში მოასფალტებული იქნება ძირითადი გზები, მოიხრეშება და მოსწორდება სოფლების შიდა საუბნო გზები, აშენდება ახალი ხიდები და ხიდ-ბოგირები, რაც ხელს შეუწყობს მოსახლეობის სწრაფ გადაადგილებას.

### 2. კომუნალური მეურნეობის განვითარება

მომდევნო წლების განმავლობაში მოწესრიგდება წყალმომარაგება, რეაბილიტაცია ჩაუტარდება სხვადასხვა სოფლებში დაზიანებულ წყალგაყვანილობის სისტემებს, ქალაქებში მოწესრიგდება საკანალიზაციო სისტემები.

### 3. კეთილმოწყობის ღონისძიებები

მომდევნო წლებში გაგრძელდება მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებების განხორციელება, რომლის ფარგლებშიც დაგეგმილია ქალაქებში ტროტუარების სრული მოწესრიგება და დასასვენებელი პარკების მოწყობა-რეაბილიტაცია.

### 4. სკოლამდელი განათლება

გაგრძელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსებადა, მათი რეაბილიტაცია და ინვენტარით უზრუნველყოფა.

## 5. სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა

როგორც ბოლო წლების განმავლობაში, ისე მომდევნო პერიოდშიც მუნიციპალიტეტის კიდევ ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა, რომლის ფარგლებშიც მომდევნო წლებში დაგეგმილია სპორტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებების და კულტურული ღონისძიებების ორგანიზება, გარდა ამისა, მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელდება ადგილობრივი ანსამბლების, ბიბლიოთეკების, სახელოვნებო და სპორტული სკოლების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება.

### პრიორიტეტებზე მიმართული სახსრები

*ათას ლარებში*

| დასახელება | 2011 წელი | 2012 წელი | 2013 წელი | 2014 წელი |
|---|---|---|---|---|
| მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია | 20,0 | 100,0 | 100,0 | 100,0 |
| კომუნალური მეურნეობის განვითარება | 352,0 | 253,0 | 278,3 | 306,1 |
| კეთილმოწყობის ღონისძიებები | 160,0 | 240,0 | 260,0 | 270,0 |
| სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა | 430,0 | 400,0 | 400,0 | 400,0 |
| სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა | 487,0 | 850,0 | 850,0 | 850,0 |
| **სულ ჯამი** | **1 449,0** | **1 590,0** | **1 610,0** | **1 620,0** |

### ზუგდიდის მუნიციპალიტეტი

## 1. მუნიციპალიტეტის გზების რეაბილიტაცია

პრიორიტეტის ფარგლებში მომდევნო წლების განმავლობაში გაგრძელდება ქალაქის შიდა გზებისა და სოფლებთან დამაკავშირებელი გზების რეაბილიტაცია, მოიხრეშება და მოსწორდება სოფლების შიდა საუბნო გზები.

## 2. კეთილმოწყობის ღონისძიებები და კომუნალური მეურნეობის განვითარება

მომავალი ოთხი წლის განმავლობაში გათვალისწინებულია ყველა სოფლის ცენტრისა და ქალაქის ქუჩების განათება, აგრეთვე გათვალისიწინებულია ახალი გაზონებისა და სკვერების მოწყობა, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ტროტუარების და სანიაღვრეების მოწესრიგებას. კომუნალური მეურნეობის განვითარებაში უპირველეს ამოცანად რჩება მოსახლეობის სასმელი წყლით უზრუნველყოფა, სანიაღვრეებისა და ნაპირსამაგრების მშენებლობა, ამხანაგობების მხარდაჭერა, მრავალსართულიანი სახლების გადახურვა და კანალიზაციის ქსელის გაფართოება.

## 3. სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა

2011 წლიდან გათვალისწნებულია სკოლამდელ დაწესებულებათა დაფინანსების პრინციპის შეცვლა ერთ ბავშვზე გათვლილი ფინანსური ნორმარტივის ფორმით ვაუჩერით. სკოლამდელ დაწესებულებაში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა მატერიალური-ტექნიკური ბაზის განმტკიცებას.

## 4. სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა

კულტურულ-სპორტული ღონისძიებათა ხელშეწყობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტია. ოთხი წლის განვალობაში კვლავაც გაგრძელდება სახელოვნებო და სპორტული სკოლების დაფინანსება. გარდა საფორტეპიანო და საგუნდო განყოფილებისა, სამუშიკო სკოლაში 2010 წლიდან ფუნქციონირებს და 2014 წლისათვის მნიშვნელოვანი შედეგებს მიაღწევს საორკესტრო განყოფილება. მნიშვნელოვნად გაფართოვდება ხალხური მუსიკალურ-ქორეოგრაფიული ანსამბლები. აგრეთვე დაგეგმილია სპორტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, სპორტული მოედნების მოწყობა, რომელიც ხელს შეუწყობს ჯანმრთელი ახალგაზრდა თაობის წამოსვლას.

### პრიორიტეტებზე მიმართული სახსრები

*ათას ლარებში*

| დასახელება | 2011 წელი | 2012 წელი | 2013 წელი | 2014 წელი |
|---|---|---|---|---|
| მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია | 1 492,3 | 3 000,0 | 3 000,0 | 3 000,0 |
| კეთილმოწყობის ღონისძიებები და კომუნალური მეურნეობის განვითარება | 1 282,1 | 2 000,0 | 2 200,0 | 2 400,0 |
| სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა | 1 000,0 | 1 200,0 | 1 200,0 | 1 200,0 |
| სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა | 2 320,0 | 1 950,0 | 2 200,0 | 2 400,0 |
| **სულ ჯამი** | **6 094,4** | **8 150,0** | **8 600,0** | **9 000,0** |

## მარტვილის მუნიციპალიტეტი

### 1. გზების რეაბილიტაცია

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენს მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია, რომლის ფარგლებშიც მომდევნო 4 წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტში რეაბილიტირებული იქნება ძირითადი გზები, მოიხრეშება და მოსწორდება სოფლების შიდა საუბნო გზები, აშენდება ახალი ხიდები და ხიდ-ბოგირები.

### 2. კომუნალური მეურნეობის განვითარება

მომდევნო წლების განმავლობაში მოეწყობა და რეაბილიტაცია ჩაუტარდება სხვადასხვა სოფლებში დაზიანებულ წყალგაყვანილობის სისტემებს, მოწესრიგდება საკანალიზაციო სისტემები. აშენდება რამდენიმე ახალი ნაგავსაყრელი, დამატებით იქნება შესყიდული ნაგავმზიდი მანქანები და ნაგვის კონტეინერები, საბინაო ამხანაგობების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში მოსახლეობის თანადაფინანსების პრინციპით შეკეთდება მაღალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსების სახურავები და სადარბაზოები.

### 3. კეთილმოწყობის სამუშაოები

გაგრძელდება მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებების განხორციელება, რომლის ფარგლებშიც დაგეგმილია ქალაქებში ტროტუარების სრული მოწესრიგება და დასასვენებელი პარკების მოწყობა-რეაბილიტაცია, ყველა სოფელში მოეწყობა საზოგადოების თავშეყრის ადგილები, ეტაპობრივად ყველა სოფლის ცენტრალურ გზებზე მოეწყობა გარე განათების სისტემები.

### 4. სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა

მომდევნო წლებში გაგრძელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია და ინვენტარით აღჭურვა.

### 5. სპორტული და კულტურული ღონისძიებების დაფინანსება

როგორც ბოლო წლების განმავლობაში, ისე მომდევნო პერიოდშიც მუნიციპალიტეტის კიდევ ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს სპორტული და კულტულური ღონისძიებების ხელშეწყობა, რომლის ფარგლებშიც მომდევნო წლებში დაგეგმილია სპორტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, სოფლის კლუბების აღდგენა, სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებების და კულტულური ღონისძიებების ორგანიზება, ნიჭიერი სპორტსმენების მხარდაჭერა სხვადასხვა ჩემპიონატებში. გარდა ამისა, მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელდება ადგილობრივი

ანსამბლების, ბიბლიოთეკების, სამუსიკო და სპორტული სკოლების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება.

## პრიორიტეტებზე მიმართული სახსრები

*ათას ლარებში*

| დასახელება | 2011 წელი | 2012 წელი | 2013 წელი | 2014 წელი |
|---|---|---|---|---|
| გზების რეაბილიტაცია | 81,5 | 292,0 | 315,0 | 380,0 |
| კომუნალური მეურნეობის განვითარება | 20,0 | 300,0 | 420,0 | 550,0 |
| კეთილმოწყობის ღონისძიებები | 200,0 | 240,0 | 260,0 | 280,0 |
| სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა | 175,0 | 200,0 | 250,0 | 300,0 |
| სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა | 875,9 | 500,0 | 600,0 | 775,0 |
| **სულ ჯამი** | **1 352,4** | **1 532,0** | **1 845,0** | **2 285,0** |

## ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი

### 1. მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია

მომდევნო წლებში გაგრძელდება მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია, მოიხრეშება და მოსწორდება სოფლების შიდა საუბნო გზები, რეკონსტრუქცია ჩაუტარდება ხიდე-ბოგირებს.

### 2. კომუნალური მეურნეობის განვითარება

მომდევნო წლების განმავლობაში განხორციელდება წყალგაყვანილობისა და საკანალიზაციო სისტემების რეაბილიტაცია. საბინაო ამხანაგობების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში მოსახლეობის თანადაფინანსების პრინციპით შეკეთდება მაღალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსების ფასადები.

### 3. კეთილმოწყობის ღონისძიებები

მუნიციპალიტეტის იერსახის გაუმჯობესების მიზნით გაგრძელდება სხვადასხვა პროექტების განხორციელება, დაგეგმილია ქალაქში ტროტუარების სრული მოწესრიგება და ცენტრალური პარკის მოწყობა-რეაბილიტაცია.

### 4. სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა

მომდევნო წლებში გაგრძელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია და ინვენტარით აღჭურვა.

### 5. სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა;

როგორც ბოლო წლების განმავლობაში, ისე მომდევნო პერიოდშიც მუნიციპალიტეტის კიდევ ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს სპორტული და კულტულური ღონისძიებების ხელშეწყობა, რომლის ფარგლებშიც მომდევნო წლებში დაგეგმილია სპორტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, სოფლის კლუბების აღდგენა, სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებების და კულტულური ღონისძიებების ორგანიზება, ნიჭიერი სპორტსმენების მხარდაჭერა სხვადასხვა ჩემპიონატებში. დაფინანსდება საახალწლო და სხვა კულტურული ღონისძიებები, რომლებშიც მონაწილეობას მიიღებენ ადგილობრივი ფოლკლორული ანსამბლები, რაც უზრუნველყოფს ქართული ფოლკლორული ხელოვნების და ადგილობრივი ტრადიციების შენარჩუნებას.

### პრიორიტეტებზე მიმართული სახსრები

*ათას ლარებში*

| დასახელება | 2011 წელი | 2012წელი | 2013 წელი | 2014წელი |
|---|---|---|---|---|
| მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია | 410,6 | 450,0 | 400,0 | 350,0 |
| კომუნალური მეურნეობის განვითარება | 459,0 | 400,0 | 450,0 | 450,0 |
| კეთილმოწყობის ღონისძიებები | 100,0 | 140,0 | 180,0 | 180,0 |
| სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა | 300,0 | 300,0 | 300,0 | 300,0 |
| სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა | 435,0 | 450,0 | 450,0 | 470,0 |
| **სულ ჯამი** | **1 704,6** | **1 740,0** | **1 780,0** | **1 750,0** |

## გორის მუნიციპალიტეტი

### 1. მრავალსართულიანი საცხოვრებელი ბინების მიმდებარე ეზოების განათება, კეთილმოწყობა და მოასფალტება;

გორის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენს მრავალსართულიანი საცხოვრებელი ბინების მიმდებარე ეზოების განათება, კეთილმოწყობა და მოასფალტება.

საბინაო ამხანაგობების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში მოსახლეობის თანადაფინანსების პრინციპით შეკეთდება მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსების სახურავები და სადარბაზოები.

## 2. სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია

ბოლო წლებში განხორციელებული სხვადასხვა პროექტების მიუხედავად, მაინც არასათანადო პირობებია მუნიციპალიტეტის კომუნალურ მეურნეობაში, მოსაწესრიგებელია სასმელი წყლის სისტემები და სათავე ნაგებობები, საკანალიზაციო სისტემები, აღნიშნულიდან გამომდინარე, მუნიციპალიტეტის პრიორიტეტს წარმოადგენს კომუნალური მეურნეობის განვითარება, რომლის ფარგლებშიც მომდევნო წლებში მოეწყობა სასმელი წყლის სისტემები, რეაბილიტაცია ჩაუტარდება წყალგაყვანილობების სისტემებს, მოწესრიგდება საკანალიზაციო სისტემები, განხორციელდება რკინიგზის დასახლების საკანალიზაციო სისტემის მშენებლობა.

ზემოაღნიშნული ღონისძიებების განხორციელების შედეგად გაუმჯობესდება მუნიციპალიტეტის მოსახლეობის საცხოვრებელი პირობები.

## 3. მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია;

მომდევნო წლებში განხორციელდება მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია, დასრულდება შიდა საუბნო გზების მოასფალტება. გზების რეაბილიტაციისა და კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარებას-თან ერთად მნიშვნელოვანი როლი ენიჭება მუნიციპალურ კეთილმოწყობას, რომლის ფარგლებშიც დაგეგმილია ტროტუარების სრული მოწესრიგება.

## 4. სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა

მომავალი თაობის აღზრდის მიმართულებით გორის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს სკოლამდელი განათლება, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაგა-ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, რის შედეგადაც ქალაქის ტერიტორიაზე და 28 სოფელში იფუნქციონირებს ბავშვთა მოვლისა და აღზრდისათვის საჭირო პირობებით აღჭურვილი საბავშვო ბაგა-ბაღები.

## 5. სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა

როგორც წინა წლებში, ისე მომდევნო წლებშიც გორის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა, რომლის ფარგლებშიც დაგეგმილია სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებების და კულტურული ღონისძიებების ორგანიზება, ნიჭიერი სპორტსმენების

მხარდაჭერა სხვადასხვა ჩემპიონატებში, ნიჭიერი ხელოვანების და ახალგაზრდების მხარდაჭერა, გარდა ამისა, მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელდება ადგილობრივი ანსამბლების, ბიბლიოთეკების, სამუსიკო და სპორტული სკოლების ფუნქციონირებისათვის საჭირო დაფინანსება, სპორტული მინი-მოედნების მშენებლობა, ასევე საბავშვო გასართობი მინი-მოედნების მოწყობა.

დასასვენებელი საბავშვო მინი-მოედნების მოწყობა ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ახალგაზრდობაში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას.

## პრიორიტეტებზე მიმართული სახსრები

*ათას ლარებში*

| დასახელება | 2011 წელი | 2012 წელი | 2013 წელი | 2014 წელი |
|---|---|---|---|---|
| მრავალსართულიანი საცხოვრებელი ბინების მიმდებარე ეზოების განათება, კეთილმოწყობა და მოასფალტება | 800,0 | | | |
| სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია | 893,0 | 1 830,0 | 1 450,0 | 1 480,0 |
| მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია | 2 300,0 | 2 300,0 | 2 300,0 | 2 300,0 |
| სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა | 1 202,2 | 1 300,0 | 1 350,0 | 1 350,0 |
| სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა | 2 302,0 | 2 350,0 | 2 400,0 | 2 420,0 |
| **სულ ჯამი** | **7 497,2** | **7 780,0** | **7 500,0** | **7 550,0** |

## კასპის მუნიციპალიტეტი

### 1. მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენს მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია, რომლის ფარგლებშიც მომდევნო 4 წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტში შემავალი სოფლების 70%-ში რეაბილიტირებული იქნება ძირითადი გზები, მოსწორდება და მოიხრეშება სოფლის შიდა საუბნო გზები, ასევე რეაბილიტირებული იქნება ცენტრიდან სოფლებთან დამაკავშირებელი გზები.

ზემოაღნიშნული პროექტების განხორციელების შემდეგ ძირითადად მოწესრიგდება შიდა სატრანსპორტო მიმოსვლა, შემცირდება ცენტრიდან სოფლებამდე და სოფლებს შორის მიმოსვლის დრო.

## 2. კომუნალური მეურნეობის განვითარება

ბოლო წლებში განხორციელებული სხვადასხვა პროექტების მიუხედავად, მაინც არასათანადო პირობებია მუნიციპალიტეტის კომუნალურ მეურნეობაში, რისი გათვალისწინებით მუნიციპალიტეტის პრიორიტეტს წარმოადგენს კომუნალური მეურნეობის განვითარება, რომლის ფარგლებშიც მომდევნო წლების განმავლობაში ქალაქ კასპში დასრულდება სასმელი წყლის სისტემების რეაბილიტაცია და იმ სოფლებში, რომლებშიც ამ ეტაპზე ვერ ხერხდება წყლის მიწოდება, მოეწყობა წყალგაყვანილობის სისტემები, ქალაქში მოწესრიგდება საკანალიზაციო სისტემები. აშენდება ნაგავსაყრელი, დამატებით იქნება შესყიდული ნაგავმზიდი მანქანები.

ზემოაღნიშნული ღონისძიებების განხორციელების შედეგად გაუმჯობესდება მუნიციპალიტეტში დასახლებული მოსახლეობის საცხოვრებელი პირობები და შემცირდება მათი მიგრაცია.

## 3. სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა, რის შედეგადაც ყველა საბავშვო ბაღი იქნება კეთილმოწყობილი და ბავშვთა მოვლისა და აღზრდისათვის საჭირო პირობებით უზრუნველყოფილი.

## 4. სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა

მუნიციპალიტეტისთვის მომდევნო წლებში ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში დაგეგმილია სპორტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, სოფლის კლუბების აღდგენა, სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებების და კულტურული ღონისძიებების ორგანიზება. გარდა ამისა მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელდება ადგილობრივი ანსამბლების, ბიბლიოთეკების, სამუსიკო და სპორტული სკოლების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება.

აღნიშნული ღონისძიების დაფინანსება ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ახალგაზრდობაში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, საახალწლო და სხვა კულტურული ღონისძიებები, რომლებშიც მონაწილეობას მიიღებენ ადგილობრივი ფოლკლორული ანსამბლები უზრუნველყოფს ქართული ფოლკლორული ხელოვნების და ადგილობრივი ტრადიციების შენარჩუნებას.

## პრიორიტეტებზე მიმართული სახსრები

*ათას ლარებში*

| დასახელება | 2011 წელი | 2012 წელი | 2013 წელი | 2014 წელი |
|---|---|---|---|---|
| მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია | 2 800,0 | 3 500,0 | 4 000,0 | 4 500,0 |
| კომუნალური მეურნეობის განვითარება | 500,0 | 700,0 | 900,0 | 900,0 |
| სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა | 30,0 | 240,0 | 240,0 | 240,0 |
| სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა | 140,0 | 500,0 | 700,0 | 850,0 |
| **სულ ჯამი** | **3 470,0** | **4 940,0** | **5 840,0** | **6 490,0** |

## ქარელის მუნიციპალიტეტი

### 1. მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენს მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია, რომლის ფარგლებშიც მომდევნო 4 წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტში შემავალი სოფლების 80%-ში რეაბილიტირებული იქნება ძირითადი გზები, მოიხრეშება და მოსწორდება სოფლების შიდა საუბნო გზები. ქ. ქარელისა და დაბა აგარაში დასრულდება ქუჩების მოასფალტება. რეაბილიტირებული იქნება ქარელის მუნიციპალიტეტის ტურისტული ზონების მისასვლელი გზები. დასრულდება ხიდების რეაბილიტაცია მუნიციპალიტეტის სოფლებში.

ზემოაღნიშნული პროექტების განხორციელების შედეგად ძირითადად მოწესრიგდება შიდა სატრანსპორტო მიმოსვლა, შემცირდება ცენტრიდან სოფლებამდე და სოფლებს შორის მიმოსვლის დრო, გაიზრდება ტურისტთა რაოდენობა, რის შედეგადაც გაიზრდება მუნიციპალიტეტის ეკონომიკური აქტივობა და გაუმჯობესდება დასახლებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა.

### 2. კომუნალური მეურნეობის განვითარება

ბოლო წლებში განხორციელებული სხვადასხვა პროექტების მიუხედავად, მაინც არასათანადო პირობებია მუნიციპალიტეტის კომუნალურ მეურნეობაში, გათვალისწინებითაც ქარელის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტს წარმოადგენს კომუნალური მეურნეობის განვითარება, რომლის ფარგლებშიც მომდევნო წლების განმავლობაში აშენდება ახალი სათავე ნაგებობები და ყველა იმ სოფელში, რომლებშიც ამ ეტაპზე ვერ ხერხდება წყლის მიწოდება, მოეწყობა წყალგაყვანილობის სისტემები, ასევე რეაბილიტაცია ჩაუტარდება სხვადასხვა სოფლებში დაზიანებულ წყალგაყვანილობის სისტემებს, ქ. ქარელში დარჩენილ ქუჩებში მოწესრიგდება

საკანალიზაციო სისტემები. აშენდება რამდენიმე ახალი ნაგავსაყრელი, დამატებით იქნება შესყიდული ნაგავმზიდი მანქანები და ნაგვის კონტეინერები.

ზემოაღნიშნული ღონისძიებების განხორციელების შედეგად გაუმჯობესდება მუნიციპალიტეტში დასახლებული მოსახლეობის საცხოვრებელი პირობები და შემცირდება მათი მიგრაციის პროცესი.

### 3. კეთილმოწყობის ღონისძიებების განხორციელება

მნიშვნელოვანი როლი ენიჭება მუნიციპალიტეტის კეთილმოწობას და მისი იერსახის გაუმჯობესებას, რაც ასევე ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის გაზრდას, რისი გათვალისწინებითაც მომდევნო წლებში გაგრძელდება მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებების განხორციელება, რომლის ფარგლებშიც დაგეგმილია ქალაქში ტროტუარების მოწესრიგება და დასასვენებელი პარკების მოწყობა-რეაბილიტაცია, სოფლებში მოეწყობა საზოგადოების თავშეყრის ადგილები, ეტაპობრივად სოფლების გზებზე მოეწყობა გარე განათების სისტემები.

ზემოაღნიშნული ღონისძიებების განხორციელების შედეგად ქ. ქარელში და მუნიციპალიტეტის სოფლების უმრავლესობაში შეიქმნება კეთილმოწყობილი გარემო, რაც ასევე აუცილებელია მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებისათვის. კეთილმოწყობილი გარემოს შექმნა ასევე უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტში სეზონურად ტურისტებისა და დამსვენებელთა რაოდენობის ზრდას.

### 4. სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებასაც, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა და ახალი ბაღების გახსნა, რის შედეგადაც თითქმის ყველა სოფელში იფუნქციონირებს კეთილმოწყობილი ბავშვთა მოვლისა და აღზრდისათვის საჭირო პირობებით უზრუნველყოფილი საბავშვო ბაღები.

### 5. სპორტული, ტურისტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა

როგორც ბოლო წლების განმავლობაში, ისე მომდევნო პერიოდშიც მუნიციპალიტეტის კიდევ ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა, რომლის ფარგლებშიც მომდევნო წლებში დაგეგმილია სპორტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია, კულტურის სახლების აღდგენა, სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებების და კულტურული ღონისძიებების ორგანიზება, ნიჭიერი სპორტსმენების მხარდაჭერა სხვადასხვა ტურნირებზე. გარდა ამისა მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელდება ადგილობრივი ანსამბლების, ბიბლიოთეკების, მუზეუმის, სამუსიკო და სპორტული სკოლების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება.

ალიღნული ღონისძიებების დაფინანსება ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ახალგაზრდობაში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, საახალწლო და სხვა კულტურული ღონისძიებები, რომლებშიც მონაწილეობას მიიღებენ ადგილობრივი ფოლკლორული ანსამბლები უზრუნველყოფს ქართული ფოლკლორული ხელოვნების და ადგილობრივი ტრადიციების შენარჩუნებას.

**პრიორიტეტებზე მიმართული სახსრები**

*ათას ლარებში*

| დასახელება | 2011 წელი | 2012 წელი | 2013 წელი | 2014 წელი |
|---|---|---|---|---|
| მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია | 800,0 | 850,0 | 900,0 | 950,0 |
| კომუნალური მეურნეობის განვითარება | 1 150,0 | 1 190,0 | 1 190,0 | 1 230,0 |
| კეთილმოწყობის ღონისძიებების განხორციელება | 50,0 | 80,0 | 120,0 | 100,0 |
| სკოლამდელი განათლების ხალშეწყობა | 450,0 | 480,0 | 500,0 | 500,0 |
| სპორტული, ტურისტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა | 537,5 | 655,0 | 698,0 | 715,0 |
| **სულ ჯამი** | **2 987,5** | **3 255,0** | **3 408,0** | **3 495,0** |

## ხაშურის მუნიციპალიტეტი

### 1. მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია

ხაშურის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენს მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია, რომლის ფარგლებშიც განხორციელდება ქუჩების მოხრეშვა-მოშანდაკება, მნიშვნელოვანი როლი ენიჭება მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობას და მისი იერსახის გაუმჯობესებას, რომლის ფარგლებშიც დაგეგმილია ტროტუარების მოპირკეთება და დასასვენებელი პარკების მოწყობა–რეაბილიტაცია.

### 2. კომუნალური მეურნეობის განვითარება

მომდევნო წლების განმავლობაში განხორციელდება ქალაქ ხაშურისა და დაბა სურამის დასახლებებში საკანალიზაციო სისტემების მშენებლობა, მოეწყობა სანიაღვრე არხები და დასუფთავების ღონისძიებების ჩატარების ხელშეწყობის უზრუნველსაყოფად განხორციელდება სპეციალური ტექნიკისა და ინვენტარის შესყიდვა. დაგეგმილია მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების დაზიანებული სახურავების რეაბილიტაცია.

### 3. სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა

მომავალი თაობის აღზრდის მიმართულებით, ბავშვთა მოვლისა და განათლების საჭირო პირობებით უზრუნველსაყოფად განხორციელდება ქალაქ ხაშურში სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების და სახელოვნებო სკოლების შენობების სახურავების რეაბილიტაცია, ქალაქ ხაშურსა და დაბა სურამში მოეწყობა სპორტული მოედნები, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლე-ახალგაზრდობის ჩაბმას სპორტის სხვადასხვა სახეობებში და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას.

**პრიორიტეტებზე მიმართული სახსრები**

*ათას ლარებში*

| დასახელება | 2011 წელი | 2012 წელი | 2013 წელი | 2014 წელი |
|---|---|---|---|---|
| მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია | 1 175,0 | 1 200,0 | 1 200,0 | 1 300,0 |
| კომუნალური მეურნეობის განვითარება | 1 560,0 | 1 600,0 | 1 770,0 | 1 590,0 |
| სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა | 679,0 | 683,0 | 690,0 | 690,0 |
| **სულ ჯამი** | **3 414,0** | **3 483,0** | **3 660,0** | **3 580,0** |

## თვითმმართველი ქალაქი რუსთავი

### 1. გზების რეაბილიტაცია

2011-2014 წლებში გაგრძელდება ცენტრალური გზებისა და შიდა ქუჩების რეაბილიტაცია, რაც ხელს შეუწყობს ავტოსატრანსპორტო საშუალებების შეუფერხებელ მოძრაობას და მნიშვნელოვნად აამაღლებს ქალაქის ეკონომიკურ აქტივობას.

### 2. გარემოს დაცვითი და კომუნალური მეურნეობის განვითარება

ბოლო წლებში განხორციელებული სხვადასხვა პროექტების მიუხედავად, კვლავაც პრიორიტეტულია ქალაქის გარემოს დაცვა და საბინაო-კომუნალური მეურნეობის განვითარება. მომდევნო წლის განმავლობაში დასრულდება ახალი ნაგავსაყრელის მშენებლობა, საბინაო ამხანაგობების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში ჩატარდება სადარბაზოების სარემონტო სამუშაოები, განხორციელდება პანელოვან შენობებში სართულშუა ნაპრალების რეაბილიტაცია, მოსახლეობის თანადაფინანსების პრინციპით შეკეთდება საცხოვრებელი კორპუსების სახურავები და გამოიცვლება საცხოვრებელი კორპუსების სარდაფებში წყლისა და კანალიზაციის ცენტრალური გაყვანილობა, გაგრძელდება ქალაქში გარე განათებების მოწყობა-რეაბილიტაცია.

## 3. კეთილმოწყობის ღონისძიებების განხორციელება

მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ქალაქის კეთილმოწყობას და მისი იერსახის გაუმჯობესებას, რისი გათვალისწინებითაც მომდევნო წლებშიც გაგრძელდება ქალაქ რუსთავში კეთილმოწყობის ღონისძიებების განხორციელება, რომლის ფარგლებშიც დაგეგმილია ქალაქში ტროტუარების სრული მოწესრიგება და დასასვენებელი პარკების მოწყობა-რეაბილიტაცია.

გაუმჯობესდება ქალაქის მოსახლეობის დასვენების პირობები, ქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობა და ქალაქს შეემატება თანამედროვე ტიპის საერთო სარგებლობის დასასვენებელი პარკები.

## 4. სკოლამდელი განათლების დაფინანსება

მომავალი თაობების მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად ქალაქი რუსთავისათვისაც ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია და ინვენტარით უზრუნველყოფა, რის შედეგადაც ქალაქში იფუნქციონირებს კეთილმოწყობილი და ბავშვთა მოვლისა და აღზრდისათვის საჭირო პირობებით უზრუნველყოფილი საბავშვო ბაღები.

## 5. სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა

როგორც ბოლო წლებში, ისე მომდევნო პერიოდშიც თვითმმართველობის კიდევ ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტად რჩება სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა, რომლის ფარგლებშიც მომდევნო წლებში დაგეგმილია სპორტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებების და კულტურული ღონისძიებების ორგანიზება, ნიჭიერი სპორტსმენების სხვადასხვა ჩემპიონატებში მონაწილეობის მხარდაჭერა. ასევე თვითმმართველობის მიერ განხორციელდება ადგილობრივი ბიბლიოთეკების, სამუსიკო, სპორტული სკოლების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება.

## 6. სოციალური და ჯანდაცვის პროგრამები

თვითმმართველი ქალაქი რუსთავის მნიშვნელოვან და მტკივნეულ პრობლემად რჩება სიღარიბის ზღვარს მიღმა მოსახლეობის სოციალური დაცვა. ამ მხრივ ხორციელდება მთელი რიგი პროგრამები, რომლებიც ემსახურება ქალაქში სოციალური ფონის გაუმჯობესებას და მოსახლეობის დახმარებას სხვადასხვა სახით. მომდევნო წლებში გაგრძელდება: უფასო სასადილოს დაფინანსება, მოსახლეობისათვის შეღავათები სასმელი წყლის გადასახადზე და საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანაზე, მუნიციპალურ ტრანსპორტზე შეღავათები, ახალი ცხოვრების დასაწყისი – ქუჩის ბავშვების პროექტი, მუნიციპალურ მოხუცთა სახლის დაფინანსება, მოქალაქეთა მედიკამენტებით დახმარება, ვეტერანების, საჯარო სკოლების, მუნიციპალური თეატრისა და ააიპ-ების

თანამშრომლების მუნიციპალურ ტრანსპორტზე მგზავრობის შეღავათები, მრავალშვილიანების დახმარება და სხვა.

**პრიორიტეტებზე მიმართული სახსრები**

*ათას ლარებში*

| დასახელება | 2011 წელი | 2012 წელი | 2013 წელი | 2014 წელი |
|---|---|---|---|---|
| გზების რეაბილიტაცია | 1 250,0 | 1 067,8 | 1 368,2 | 1 544,9 |
| გარემოს დაცვითი და საბინაო-კომუნალური მეურნეობის განვითარება | 3 415,2 | 3 615,2 | 3 715,2 | 3 815,2 |
| კეთილმოწყობის ღონისძიებების განხორციელება | 4 500,0 | 2 500,0 | 3 100,0 | 3 700,0 |
| სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა | 1 391,1 | 1 462,6 | 1 536,2 | 1 620,0 |
| სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა | 1 465,4 | 1 577,0 | 1 691,0 | 1 809,0 |
| სოციალური და ჯანდაცვის პროგრამები | 1 898,5 | 2 084,5 | 2 096,8 | 2 101,0 |
| **სულ ჯამი** | **13 920,2** | **12 307,1** | **13 507,4** | **14 590,1** |

## ბოლნისის მუნიციპალიტეტი

### 1. მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია

2011-2014 წლებში მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტად რჩება მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია, რომლის ფარგლებშიც მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეაბილიტირებული იქნება ძირითადი შიდა გზები, მოიხრეშება და მოსწორდება სოფლების შიდა საუბნო გზები.

2011 წელს ქ. ბოლნისში მოასფალტდება 4 ქუჩა, მოასფალტდება დ. თამარისის კორპუსებთან მისასვლელი შიდა გზა და სოფ. აკაურთაში მისასვლელი შიდა გზა.

### 2. კომუნალური მეურნეობის განვითარება

განხორციელდება ქ. ბოლნისში სანიაღვრე სისტემის რეაბილიტაცია, სოფ. რატევანში სარწყავი არხების რეაბილიტაცია, მუნიციპალიტის ტერიტორიაზე მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსების სარეაბილიტაციო (სახურავი და კიბის უჯრედები) სამუშაოები, მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დაგვა-დასუფთავების ღონისძიებები და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გარე განათების ქსელის საექსპლოატაციო მოსახურეობა.

### 3. კეთილმოწყობის ღონისძიებები

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალიტეტში ტროტუარების სრული მოწესრიგება და დასასვენებელი პარკების მოწყობა-რეაბილიტაცია, ყველა სოფელში მოეწყობა საზოგადოების თავშეყრის ადგილები, ეტაპობრივად ყველა სოფლის ცენტრალურ გზებზე მოეწყობა გარე განათების სისტემები, განხორციელდება სასაფლაოების რეაბილიტაცია და მათი მუდმივი მოვლა-პატრონობა.

### 4. სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა

მომავალი თაობის აღზრდის მიზნით მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობა. რომლის ფარგლებშიც განხორციელდება საბავშვო ბაგა-ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება და მათი რეაბილიტაცია.

### 5. სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა

მუნიციპალიტეტის კიდევ ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა, რომლის ფარგელბშიც მოდევნო წლებში დაგეგმილია სპორტული და კულტურული ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, სპორტული და კულტურული ღონისძიებების ორგანიზება, მუზეუმების, ბიბლიოთეკების, სამუსიკო და სპორტული სკოლების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება.

2011 წელს განხორციელდება, სპორტული დარბაზების და საცურაო აუზის მშენებლობა-რეაბილიტაცია, დასვენების სკვერების, შადრევნებისა და პარკის რეაბილიტაცია-მშენებლობა, მათი მოვლა პატრონობა და კულტურის სახლებისა, მუზეუმების რეკონსტრუქცია.

პროგრამის ფარგლებში მომდევნო წლებში დაგეგმილია სპორტული შეჯიბრებების და კულტურული ღონისძიებების ორგანიზება, ნიჭიერი სპორტსმენების მხარდაჭერა სხვადასხვა ჩემპიონატებში. გარდა ამისა, მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელდება ადგილობრივი ანსაბლების, ბიბლიოთეკების, სამუსიკო და სპორტული სკოლების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება.

**პრიორიტეტებზე მიმართული სახსრები**

*ათას ლარებში*

| დასახელება | 2011 წელი | 2012 წელი | 2013 წელი | 2014 წელი |
|---|---|---|---|---|
| მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია | 1 750,9 | 1 550,0 | 1 550,0 | 1 550,0 |
| კომუნალური მეურნეობის განვითარება | 500,0 | 500,0 | 500,0 | 500,0 |
| კეთილმოწყობის ღონისძიებები | 895,0 | 900,0 | 900,0 | 900,0 |
| სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა | 740,0 | 840,0 | 840,0 | 840,0 |
| სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა | 2 025,2 | 1 283,7 | 1 283,7 | 1 283,7 |
| **სულ ჯამი** | **5 911,1** | **5 073,7** | **5 073,7** | **5 073,7** |

## გარდაბნის მუნიციპალიტეტი

### 1. მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია

2011-2014 წლებში მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტად რჩება მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია, რომლის ფარგლებშიც მომდევნო 4 წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეაბილიტირებული იქნება ძირითადი შიდა გზები, მოიხრეშება და მოსწორდება სოფლების შიდა საუბნო გზები.

### 2. კომუნალური მეურნეობის განვითარება

აგრეთვე მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარემოს დაცვისა და საბინაო კომუნალური მეურნეობის განვითარება. 2011 წელს მუნიციპალიტეტში განხორციელდება სანიაღვრე სისტემის რეაბილიტაცია, სარწყავი არხების რეაბილიტაცია და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გარე განათების ქსელის საექსპლოატაციო მოსახურეობა.

### 3. სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, გარდაბნის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია და ინვენტარით უზრუნველყოფა, რის შედეგადაც ქალაქში იფუნქციონირებს კეთილმოწყობილი და ბავშვთა მოვლისა და აღზრდისათვის საჭირო პირობებით უზრუნველყოფილი საბავშვო ბაღები.

### 4. სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა

მუნიციპალიტეტის კიდევ ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა, რომლის ფარგელბშიც მოდევნო წლებში დაგეგმილია სპორტული და კულტურული ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, სპორტული და კულტურული ღონისძიებების ორგანიზება, მუზეუმების, ბიბლიოთეკების, სამუსიკო და სპორტული სკოლების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება.

პროგრამის ფარგლებში მომდევნო წლებშიც დაგეგმილია სპორტული შეჯიბრებების და კულტურული ღონისძიებების ორგანიზება, ნიჭიერი სპორტსმენების მხარდაჭერა სხვადასხვა ჩემპიონატებში. გარდა ამისა მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელდება ადგილობრივი ანსაბლების, ბიბლიოთეკების, სამუსიკო და სპორტული სკოლების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება.

## 5. სოციალური და ჯანდაცვის პროგრამები

მუნიციპალიტეტის მნიშვნელოვან და მტკივნეულ პრომლემად რჩება სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი მოსახლეობის სოციალური დაცვა. აღნიშნული მიმართულებით დაგეგმილია სხვადასხვა პროგრამების განხორციელება, რომლებიც ხელს შეუწყოფს მუნიციპალიტეტში სოციალური ფენის გაუმჯობესებას.

### პრიორიტეტებზე მიმართული სახსრები

*ათას ლარებში*

| დასახელება | 2011 წელი | 2012 წელი | 2013 წელი | 2014 წელი |
|---|---|---|---|---|
| მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია | 1 515,0 | 1 515,0 | 1 700,0 | 2 000,0 |
| კომუნალური მეურნეობის განვითარება | 971,2 | 1 350,0 | 900,0 | 900,0 |
| სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა | 561,0 | 700,0 | 700,0 | 700,0 |
| სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა | 228,9 | 315,0 | 315,0 | 335,0 |
| სოციალური და ჯანდაცვის პროგრამები | 564,8 | 567,0 | 567,0 | 567,0 |
| **სულ ჯამი** | **3 840,9** | **4 447,0** | **4 182,0** | **4 502,0** |

### მარნეულის მუნიციპალიტეტი

## 1. მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია

მარნეულის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენს მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია, რომლის ფარგლებშიც განხორციელდება ქ. მარნეულში რუსთაველის ქუჩაზე არსებული ხიდის რეაბილიტაცია, ქ. მარნეულის ქუჩებისა და სოფ. ყულარის ადგილობრივი გზების მოასფალტება და მუნიციპალიტეტის ძირითადი გზების მოწესრიგება, რის შედეგადაც გაიზრდება მუნიციპალიტეტის ეკონომიკური აქტივობა და გაუმჯობესდება მოსახლეობის სოციალური მდგომარეობა.

## 2. კომუნალური მეურნეობის განვითარება

განხორციელებული სხვადასხვა პროექტების მიუხედავად, კვლავ დარჩენილია მუნიციპალიტეტის კომუნალურ მეურნეობაში გასაკეთებელი ღონისძიებები, სოფლებში სასმელი წყლის რეაბილიტაცია, სოფლებში სარწყავი არხების სარეაბილიტაციო

სამუშაობი, სოფ. შულავერის სასმელი წყლით მომარაგების მე-2 ეტაპის განხორციელება, ქ. მარნეულის საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტაცია, გარე განათების მოვლა-შენახვა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დასუფთავება და სხვა ღონისძიებები რომლებიც გააუმჯობესებს ადგილობრივი მოსახლეობისათვის საცხოვრებელ პირობებს.

### 3. სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა

მომდევნო წლებში განხორციელდება ახალი საბავშვო ბაღების მშენებლობა და საბავშვო ბაღების უკეთესად ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება.

### 4. სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა

მუნიციპალიტეტის კიდევ ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა, ქ. მარნეულში განხორციელდება ახალი ბიბლიოთეკის, სპორტული მოედნების და კულტურული ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაცია.

### პრიორიტეტებზე მიმართული სახსრები

*ათას ლარებში*

| დასახელება | 2011 წელი | 2012 წელი | 2013 წელი | 2014 წელი |
|---|---|---|---|---|
| მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია | 3 725,0 | 1 718,0 | 1 701,0 | 1 913,0 |
| კომუნალური მეურნეობის განვითარება | 1 048,0 | 1 915,0 | 1 915,0 | 1 812,0 |
| სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა | 311,0 | 650,0 | 650,0 | 650,0 |
| სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა | 790,0 | 1 191,0 | 1 246,0 | 1 188,0 |
| **სულ ჯამი** | **5 874,0** | **5 474,0** | **5 512,0** | **5 563,0** |

## წალკის მუნიციპალიტეტი

### 1. მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენს მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია, რომლის ფარგლებშიც მომდევნო 4 წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტში შემავალი სოფლების 80%-ში რეაბილიტირებული იქნება ძირითადი გზები, მოიხრეშება და მოსწორდება სოფლების შიდა საუბნო გზები. ასევე, სრულად იქნება რეაბილიტირებული ცენტრიდან სოფლებთან დამაკავშირებელი გზები. ქ. წალკაში დასრულდება ძირითადი გზების მოასფალტება.

## 2. კომუნალური მეურნეობის განვითარება

პრიორიტეტის ფარგლებში მომდვნო წლების განმავლობაში ყველა იმ სოფელში, რომლებშიც ამ ეტაპზე ვერ ხერხდება წყლის მიწოდება, მოეწყობა წყალგაყვანილობის სისტემები, ასევე რეაბილიტაცია ჩაუტარდება სხვადასხვა სოფლებში დაზიანებულ წყალგაყვანილობის სისტემებს. დამატებით იქნება შესყიდული ნაგავმზიდი მანქანები და ნაგვის კონტეინერები.

## 3. სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა

მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია და ინვენტარით უზრუნველყოფა, რის შედეგადაც სოფლებში იფუნქციონირებს კეთილმოწყობილი და ბავშვთა მოვლისა და აღზრდისათვის საჭირო პირობებით უზრუნველყოფილი საბავშვო ბაღები.

## 4. სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა

როგორც ბოლო წლების განმავლობაში, ისე მომდევნო პერიოდშიც მუნიციპალიტეტის კიდევ ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა, რომლის ფარგლებშიც მომდევნო წლებში დაგეგმილია სპორტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, სოფლის კლუბების აღდგენა, სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებების და კულტულური ღონისძიებების ორგანიზება, ნიჭიერი სპორტსმენების მხარდაჭერა სხვადასხვა ჩემპიონატებში. გარდა ამისა, მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელდება ადგილობრივი ანსამბლების, ბიბლიოთეკების, კულტურის სახლისა და სპორტული სკოლის ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება.

### პრიორიტეტებზე მიმართული სახსრები

*ათას ლარებში*

| დასახელება | 2011 წელი | 2012 წელი | 2013 წელი | 2014 წელი |
|---|---|---|---|---|
| მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია | 120,0 | 100,0 | 100,0 | 100,0 |
| კომუნალური მეურნეობის განვითარება | 541,7 | 580,0 | 580,0 | 580,0 |
| სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა | 45,0 | 90,0 | 90,0 | 90,0 |
| სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა | 191,0 | 325,0 | 325,0 | 325,0 |
| **სულ ჯამი** | **897,7** | **1 095,0** | **1 095,0** | **1 095,0** |

## დმანის მუნიციპალიტეტი

### 1. მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენს მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია, რომლის ფარგლებშიც მომდევნო 4 წლის განმავლობაში რეაბილიტირებული იქნება მუნიციპალიტეტში შემავალი სოფლების ძირითადი გზები, მოიხრეშება და მოსწორდება სოფლების შიდა საუბნო გზები.

### 2. კომუნალური მეურნეობის განვითარება

მომდევნო წლების განმავლობაში საფუძველი ჩაეყრება წყლის სისტემის სათავე ნაგებობის რეაბილიტაციას, ასევე რეაბილიტაცია ჩაუტარდება სხვადასხვა სოფლებში დაზიანებული წყალგაყვანილობის და საკანალიზაციო სისტემებს.

### 3. სკოლამდელი განათლების ხალშეწყობა

სკოლამდელ განათლებას მნიშვნელოვანი როლი ენიჭება მომავალი თაობის აღზრდაში, რომელიც მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს. მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია და ინვენტარით უზრუნველყოფა.

### 4. სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა

დმანისის მუნიციპალიტეტის მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს სპორტული და კულტურული ღინისძიებების ხელშეწყობა, სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებების და კულტურული ღონისძიებების ორგანიზება. მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელდება ადგილობრივი ანსამბლების, ბიბლიოთეკების, სამუსიკო და სპორტული სკოლების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება.

### პრიორიტეტებზე მიმართული სახსრები

*ათას ლარებში*

| დასახელება | 2011 წელი | 2012 წელი | 2013 წელი | 2014 წელი |
|---|---|---|---|---|
| მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია | 1 336,0 | 1 300,0 | 1 400,0 | 1 500,0 |
| კომუნალური მეურნეობის განვითარება | 42,2 | 140,0 | 100,0 | 100,0 |
| სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა | 62,7 | 100,0 | 100,0 | 100,0 |

| დასახელება | 2011 წელი | 2012 წელი | 2013 წელი | 2014 წელი |
|---|---|---|---|---|
| სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა | 342,4 | 280,0 | 280,0 | 280,0 |
| **სულ ჯამი** | **1 783,3** | **1 820,0** | **1 880,0** | **1 980,0** |

## თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი

### 1. მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია, რომლის ფარგლებში განხორციელდება სოფლების შიდა საუბნო გზების მოხრეშვა და მოსწორება, სრულად იქნება რეაბილიტირებული ცენტრიდან სოფლებთან დამაკავშირებელი გზები.

### 2. კომუნალური მეურნეობის განვითარება

მომდევნო წლების განმავლობაში საფუძველი ჩაეყრება წყლის სისტემის სათავე ნაგებობის რეაბილიტაციას, ასევე რეაბილიტაცია ჩაუტარდება სხვადასხვა სოფლებში დაზიანებული წყალგაყვანილობის სისტემებს, მოწესრიგდება საკანლიზაციო სისტემების მშენებლობა.

### 3. სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა

სკოლამდელ განათლებას მნიშვნელოვანი როლი ენიჭება მომავალი თაობის აღზრდაში, რომელიც მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს. მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა.

### 4. სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს სპორტული და კულტურული ღინისძიებების ხელშეწყობა, სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებების და კულტურული ღონისძიებების ორგანიზება. მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელდება ადგილობრივი ანსაბლების, ბიბლიოთეკების, სამუსიკო და სპორტული სკოლების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება.

## პრიორიტეტებზე მიმართული სახსრები

*ათას ლარებში*

| დასახელება | 2011 წელი | 2012 წელი | 2013 წელი | 2014 წელი |
|---|---|---|---|---|
| მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია | 408,9 | 400,0 | 350,0 | 300,0 |
| კომუნალური მეურნეობის განვითარება | 331,4 | 300,0 | 300,0 | 350,0 |
| სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა | 100,0 | 90,0 | 90,0 | 100,0 |
| სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა | 228,9 | 315,0 | 315,0 | 335,0 |
| **სულ ჯამი** | **1 069,2** | **1 105,0** | **1 055,0** | **1 085,0** |

## დუშეთის მუნიციპალიტეტი

### 1. მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია

დუშეთის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენს მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია, რომლის ფარგლებშიც მომდევნო 4 წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტში შემავალი სოფლების 80%-ში რეაბილიტირებული იქნება ძირითადი გზები, მოიხრეშება და მოსწორდება სოფლების შიდა საუბნო გზები. ასევე რეაბილიტირებული იქნება ცენტრიდან სოფლებთან დამაკავშირებელი გზები, ქ. დუშეთში დასრულდება შიდა საუბნო გზების მოასფალტება.

აღნიშნული პროექტების განხორციელების შედეგად ძირითადად მოწესრიგდება შიდა სატრანსპორტო მიმოსვლა, შემცირდება ცენტრიდან სოფლებამდე და სოფლებს შორის მიმოსვლის დრო, გაიზრდება ტურისტთა რაოდენობა, რის შედეგადაც გაიზრდება მუნიციპალიტეტის ეკონომიკური აქტივობა და გაუმჯობესდება მოსახლეობის სოციალური მდგომარეობა.

### 2. კომუნალური მეურნეობის განვითარება

ბოლო წლებში განხორციელებული სხვადასხვა პროექტების მიუხედავად, კვლავ არასახარბიელო მდგომარეობაა მუნიციპალიტეტის კომუნალურ მეურნეობაში, რისი გათვალისწინებით მუნიციპალიტეტის პრიორიტეტს წარმოადგენს კომუნალური მეურნეობის განვითარება, რომლის ფარგლებშიც მომდევნო წლების განმავლობაში ყველა იმ სოფელში, რომლებშიც ამ ეტაპზე ვერ ხერხდება სასმელი წყლის მიწოდება, მოეწყობა წყალგაყვანილობის სისტემები, რეაბილიტაცია ჩაუტარდებასოფლებში დაზიანებულ

წყალგაყვანილობის სისტემებს, მოწესრიგდება საკანალიზაციო სისტემები. მოეწყობა ნაგავსაყრელი, დამატებით იქნება შესყიდული ნაგავმზიდი მანქანები და ნაგვის კონტეინერები. საბინაო ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში მოსახლეობის თანადაფინასების პრინციპით შეკეთდება საცხოვრებელი კორპუსების სახურავები.

ზემოაღნიშნული ღონისძიების განხორციელების შედეგად გაუმჯობესდება მუნიციპალიტეტში დასახლებული მოსახლეობის საცხოვრებელი პირობები და შემცირდება მათი მიგრაციის პროცესი.

### 3. მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობა

მნიშვნელოვანი როლი ენიჭება მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის და მისი იერსახის გაუმჯობესებას, რაც მნიშვნელოვნად ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის გაზრდას, რისი გათვალიწინებითაც მომდევნო წლებში გაგრძელდება მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებების განხორციელება, რომლის ფარგლებშიც დაგეგმილია სკვერების, ატრაქციონების და დასასვენებელი პარკების მოწყობა-რეაბილიტაცია, სოფლის ცენტრალურ გზებზე გარე განათების მოწყობა.

### 4. სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა

მომავალი თაობების აღზრდის მიზნით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა, რის შედეგადაც იფუნქციონირებს კეთილმოწყობილი და ბავშვთა მოვლისა და აღზრდისათვის საჭირო პირობებით უზრუნველყოფილი საბავშვო ბაღები.

### 5. სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა

დუშეთის მუნიციპალიტეტის კიდევ ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა, რომლის ფარგლებშიც მომდევნო წლებში დაგეგმილია სპორტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, სოფლის კლუბების აღდგენა, სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებების და კულტურული ღონისძიებების ორგანიზება, ნიჭიერი სპორტსმენების მხარდაჭერა სხვადასხვა ჩემპიონატებში. გარდა ამისა, მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელდება ადგილობრივი ბიბლიოთეკების, სამუსიკო და სპორტული სკოლების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება.

აღნიშნული ღონისძიებების დაფინანსება ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ახალგაზრდობაში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, საახალწლო და სხვა კულტურული ღონისძიებები, რომლებშიც მონაწილეობას მიიღებენ ადგილობრივი ფოლკლორული ანსამბლები, უზრუნველყოფს ქართული ფოლკლორული ხელოვნების და ადგილობრივი ტრადიციების შენარჩუნებას.

## პრიორიტეტებზე მიმართული სახსრები

*ათას ლარებში*

| დასახელება | 2011 წელი | 2012 წელი | 2013 წელი | 2014 წელი |
|---|---|---|---|---|
| მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია | 2,540.0 | 1,340.0 | 2,300.0 | 4,200.0 |
| კომუნალური მეურნეობის განვითარება | 1,550.0 | 1,570.0 | 1,650.0 | 1,650.0 |
| მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობა | 100.0 | 120.0 | 150.0 | 170.0 |
| სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა | 591.0 | 597.9 | 596.0 | 611.0 |
| სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა | 230.0 | 300.0 | 290.0 | 330.0 |
| **სულ ჯამი** | **5,011.0** | **3,927.9** | **4,986.0** | **6,961.0** |

## თიანეთის მუნიციპალიტეტი

### 1. მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია

თიანეთის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენს მუნიციპალური გზების რეაბილიტაცი. მომდევნო წლებში რეაბილიტირებული იქნება ძირითადი გზები, მოიხრეშება და მოსწორდება სოფლების შიდა გზები. ზემოაღნიშნული პროექტების განხორციელების შედეგად ძირითადად მოწესრიგდება შიდა სატრანსპორტო მიმოსვლა.

### 2. კომუნალური მეურნეობის განვითარება

პრიორიტეტის ფარგლებში მომდევნო წლებში რეაბილიტაცია ჩაუტარდება დ. თიანეთისა და სოფ. ზარიძეების წყლის სათავე ნაგებობესა და შიდა ქსელს. იმ სოფლებში, რომლებშიც ამ ეტაპზე ვერ ხერხდება წყლის მიწოდება, მოეწყობა წყალგაყვანილობის

სისტემები, ასევე რეაბლიტაცია ჩაუტარდება სხვადასხვა სოფლებში დაზიანებული წყალგაყვანილობის სისტემებს და გაიზრდება წყლის დებეტი, რამდენიმე სოფელში მოეწყობა არტეზიული ჭები, მოწესრიგდება საკანალიზაციო სისტემები და სანიაღვრე არხები.

### 3. მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობა

გზების მშენებლობა-რეაბილიტაციასა და კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარებასთან ერთად მნიშვნელოვანი როლი ენიჭება მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობას და მისი იერსახის გაუმჯობესებას, რისი გათვალისწინებითაც მომდევნო წლებში გაგრძელდება მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებების განხორციელება, იგეგმება თავშეყრის ადგილების მოწყობა-რეაბილიტაცია. მოეწყობა დ. თიანეთის და სოფ. ჟებოტის დამაკავშირებელი ხიდის გარე განათების სისტემები.

**პრიორიტეტებზე მიმართული სახსრები**

*ათას ლარებში*

| დასახელება | 2011 წელი | 2012 წელი | 2013 წელი | 2014 წელი |
|---|---|---|---|---|
| მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია | 100.0 | 200.0 | 200.0 | 200.0 |
| კომუნალური მეურნეობის განვითარება | 420.0 | 240.0 | 240.0 | 240.0 |
| მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობა | 80.0 | 120.0 | 150.0 | 150.0 |
| **სულ ჯამი** | **600.0** | **560.0** | **590.0** | **590.0** |

## მცხეთის მუნიციპალიტეტი

### 1. მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია

მცხეთის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენს მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია, რომლის ფარგლებშიც მომდევნო 4 წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტში შემავალი სოფლების 80%-ში რეაბილიტირებული იქნება ძირითადი გზები, მოიხრეშება და მოსწორდება სოფლების შიდა საუბნო გზები. ასევე რეაბილიტირებული იქნება ცენტრიდან სოფლებთან დამაკავშირებელი გზები, მცხეთაში დასრულდება შიდა საუბნო გზების მოასფალტება.

აღნიშნული პროექტების განხორციელების შედეგად ძირითადად მოწესრიგდება შიდა სატრანსპორტო მიმოსვლა, შემცირდება ცენტრიდან სოფლებამდე და სოფლებს შორის მიმოსვლის დრო, გაიზრდება ტურისტთა რაოდენობა, რის შედეგადაც გაიზრდება მუნიციპალიტეტის ეკონომიკური აქტივობა და გაუმჯობესდება მოსახლეობის სოციალური მდგომარეობა.

## 2. კომუნალური მეურნეობის განვითარება

პრიორიტეტის ფარგლებში მომდევნო წლების განმავლობაში, ყველა იმ სოფელში, რომლებშიც ამ ეტაპზე ვერ ხერხდება სასმელი წყლის მიწოდება, მოეწყობა წყალგაყვანილობის სისტემები, რეაბილიტაცია ჩაუტარდება სოფლებში დაზიანებულ წყალგაყვანილობის სისტემებს, მოწესრიგდება საკანალიზაციო სისტემები. საბინაო ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში მოსახლეობის თანადაფინასების პრინციპით შეკეთდება საცხოვრებელი კორპუსების სახურავები.

ზემოაღნიშნული ღონისძიების განხორციელების შედეგად გაუმჯობესდება მუნიციპალიტეტში დასახლებული მოსახლეობის საცხოვრებელი პირობები.

## 3. მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობა

გზების მშენებლობა-რეაბილიტაცია და კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარებასთან ერთად მნიშვნელოვანი როლი ენიჭება მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის და მისი იერსახის გაუმჯობესებას, რისი გათვალიწინებითაც მომდევნო წლებში გაგრძელდება მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებების განხორციელება, რომლის ფარგლებშიც დაგეგმილია სკვერების და მოედნების მოწყობა-რეაბილიტაცია.

## 4. სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა

მომავალი თაობების აღზრდის მიზნით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც მუნიციპალიტეტისათვის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა, რის შედეგადაც იფუნქციონირებს კეთილმოწყობილი და ბავშვთა მოვლისა და აღზრდისათვის საჭირო პირობებით უზრუნველყოფილი საბავშვო ბაღები.

## 5. სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა

მცხეთის მუნიციპალიტეტის კიდევ ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა, რომლის ფარგლებშიც მომდევნო წლებში დაგეგმილია სპორტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებების და კულტურული ღონისძიებების ორგანიზება, ნიჭიერი სპორტსმენების მხარდაჭერა სხვადასხვა ჩემპიონატებში. გარდა ამისა, მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელდება ადგილობრივი ბიბლიოთეკების, სამუსიკო და სპორტული სკოლების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება.

აღნიშნული ღონისძიებების დაფინანსება ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ახალგაზრდობაში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, საახალწლო და სხვა კულტურული ღონისძიებები, რომლებშიც მონაწილეობას მიიღებენ ადგილობრივი ფოლკლორული ანსამბლები.უზრუნველყოფს ქართული ფოლკლორული ხელოვნების და ადგილობრივი ტრადიციების შენარჩუნებას.

## პრიორიტეტებზე მიმართული სახსრები

*ათას ლარებში*

| დასახელება | 2011 წელი | 2012 წელი | 2013 წელი | 2014 წელი |
|---|---|---|---|---|
| მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია | 500.0 | 500.0 | 500.0 | 500.0 |
| კომუნალური მეურნეობის განვითარება | 1,610.0 | 857.0 | 493.0 | 550.0 |
| მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობა | 546.0 | 300.0 | 300.0 | 300.0 |
| სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა | 642.0 | 659.7 | 580.0 | 580.0 |
| სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა | 592.4 | 419.6 | 337.0 | 409.0 |
| **სულ ჯამი** | **3,890.4** | **2,736.3** | **2,210.0** | **2,339.0** |

## ყაზბეგის მუნიციპალიტეტი

### 1. მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენს მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია, რომლის ფარგლებშიც მომდევნო 4 წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტში შემავალი სოფლების 75%-ში რეაბილიტირებული იქნება ძირითადი გზები, მოიხრეშება და მოსწორდება სოფლების შიდა საუბნო გზები, აშენდება ორი ახალი ხიდი, რომლითაც ერთმანეთს უმოკლესი გზით დაუკავშირდება ხუთი სოფელი. ასევე სრულად იქნება რეაბილიტირებული ცენტრიდან სოფლებთან დამაკავშირებელი გზები.

## 2. კომუნალური მეურნეობის განვითარება

პრიორიტეტის ფარგლებში მომდევნო წლების განმავლობაში აშენდება სამი ახალი წყლის სისტემის სათავე ნაგებობა და ყველა იმ სოფლებში რობლებშიც ამ ეტაპზე არ ხერხდება წყლის მიწოდება, მოეწყობა წყალგაყვანილობის სისტემები, ასევე რეაბილიტაცია ჩაუტარდება სხვადასხვა სოფლებში დაზიანებულ წყალგაყვანილობის სისტემებს, ყველა სოფელში მოწესრიგდება საკანალიზაციო სისტემები. რამდენიმე დიდ სოფელში აშენდება ახალი ნაგავსაყრელი, დამატებით იქნება შესყიდული ნაგავმზიდი მანქანები და ნაგვის კონტეინერები. პროგრამის ფარგლებში მოსახლეობის თანადაფინანსების პრინციპით შეკეთდება მაღალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსების სახურავები და სადარბაზოები.

## 3. მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობა

გზების მშენებლობა - რეაბილიტაციისა და კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარებასთან ერთად მნიშვნელოვანი როლი ენიჭება მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობას და მისი იერსახის გაუმჯობესებას, რაც ასევე ხელს შეუწყობს მუნიციალიტეტის ტურისტული პოტენციალის გაზრდას, რისი გათვალისწინებითაც მომდევნო წლებში გაგრძელდება მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებების განხორციელება, რომლის ფარგლებშიც დაგეგმილია სოფლებში ტროტუარების სრული მოწესრიგება და დასასვენებელი პარკების მოწყობა – რეაბილიტაცია, ყველა სოფელში მოეწყობა საზოგადოების თავშეყრის ადგილები, ეტაპობრივად ყველა სოფლის ცენტრალურ გზებზე მოეწყობა გარე განათების სისტემები. განხორციელდება სასაფლაოების რეაბილიტაცია და მათი მუდმივი მოვლა-პატრონობა.

## 4. სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია, ინვენტარის უზრუნველყოფა და ახალი ბაღების მშენებლობა, რის შედეგადაც ყველა სოფელში იფუნქციონირებს კეთიმოწყობილი და ბავშვთა მოვლისა და აღზრდისათვის საჭირო პირობებით უზრუნველყოფილი საბავშვო ბაღები.

## 5. სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა

როგორც ბოლო წლების განმავლობაში, ისე მომდევნო პერიოდშიც მუნიციპალიტეტის კიდევ ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა, რომლის ფარგლებშიც მომდევნო წლებში დაგეგმილია სპორტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, სოფლის კლუბების აღდგენა, სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებების და კულტურული

ღონისძიებების ორგანიზება, ნიჭიერი სპორტსმენების მხარდაჭერა სხვადასხვა ჩემპიონატებში. გარდა ამისა, მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელდება ადგილობრივი ანსამბლების, ბიბლიოთეკების, სამუსიკო და სპორტული სკოლების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება.

## პრიორიტეტებზე მიმართული სახსრები

*ათას ლარებში*

| დასახელება | 2011 წელი | 2012 წელი | 2013 წელი | 2014 წელი |
|---|---|---|---|---|
| მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია | 200.0 | 300.0 | 400.0 | 400.0 |
| კომუნალური მეურნეობის განვითარება | 270.0 | 300.0 | 320.0 | 320.0 |
| მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობა | 280.0 | 350.0 | 500.0 | 420.0 |
| სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა | 230.0 | 230.0 | 230.0 | 230.0 |
| სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა | 150.0 | 185.0 | 200.0 | 300.0 |
| **სულ ჯამი** | **1,130.0** | **1,365.0** | **1,650.0** | **1,670.0** |

## ბორჯომის მუნიციპალიტეტი

### 1. მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია

ბოლო წლების განმავლობაში ბორჯომის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს და შესაბამისად წლების განმავლობაში ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი თანხები მიიმართებოდა. მომდევნო წლებში კვლავ გაგრძელდება გზების რეაბილიტაცია, რაც ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარებას და გაუმჯობესდება მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობა.

### 2. კომუნალური მეურნეობის განვითარება

პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება სოფელ ლიკანში და ლიკანის დასახლებაში წყლის სისტემის რეაბილიტაცია და საკანალიზაციო სისტემის მშენებლობა. დაგეგმილია ნაგავმზიდი მანქანებისა და ნაგვის კონტეინერების შეძენა. საბინაო ამხანაგობების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში მოსახლეობის თანადაფინანსების პრინციპით შეკეთდება მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსების სახურავები, სადარბაზოები, კომუნიკაციები და ლიფტები.

### 3. მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობა

მუნიციპალიტეტისათვის ერთ-ერთი პრიორიტეტია კეთილმოწყობის ღონისძიებების განხორციელება, რომლის ფარგლებშიც დაგეგმილია ქალაქში ტროტუარების მოწესრიგება, საყრდენი კედლებისა და მდინარეებზე ნაპირსამაგრი სამუშაოების შესრულება.

## 4. სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა

სკოლამდელი განათლება საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და თავისთავად წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს, რომლის ფარგლებშიც მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია და ინვენტარით უზრუნველყოფა. განსაზღვრულია სოფელ დვირში საბავშვო ბაღის მშენებლობა, ასევე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბაღების რეაბილიტაცია.

## 5. სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა, რომლის ფარგლებშიც დაგეგმილია სპორტული და კულტურული ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია.

### პრიორიტეტებზე მიმართული სახსრები

*ათას ლარებში*

| დასახელება | 2011 წელი | 2012 წელი | 2013 წელი | 2014 წელი |
|---|---|---|---|---|
| მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია | 1,900.0 | 1,950.0 | 1,800.0 | 1,870.0 |
| კომუნალური მეურნეობის განვითარება | 500.0 | 935.0 | 850.0 | 1,250.0 |
| მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობა | 1,800.0 | 2,800.0 | 1,800.0 | 1,800.0 |
| სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა | 350.0 | 450.0 | 450.0 | 400.0 |
| სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა | 658.0 | 680.0 | 680.0 | 690.0 |
| **სულ ჯამი** | **5,208.0** | **6,815.0** | **5,580.0** | **6,010.0** |

## ადიგენის მუნიციპალიტეტი

## 1. მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია

საავტომობილო გზების ინფრასტრუქტურის განვითარება ბოლო წლების განმავლობაში ადიგენის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს და შესაბამისად წლების განმავლობაში ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი თანხები მიიმართება, მომდევნო წლებში მოასფალტდება და მოიხრეშება ადიგენის მუნიციპალიტეტის შიდა საუბნო გზები.

## 2. კომუნალური მეურნეობის განვითარება

2011-2014 წლების განმავლობაში მოხდება სასმელი წყლის ქსელების რეაბილიტაცია იმ სოფლებში, სადაც ჯერ კიდევ მოსაწესრიგებელია სასმელი წყლის მიწოდება, დაგეგმილია მაღალსართულიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების შეკეთება და გაზიფიცირება.

## 3. მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობა

მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის გაზრდის მიზნით ადიგენის მუნიციპალიტეტში მოეწყობა დასასვენებელი პარკები, აგრეთვე მცირე სკვერები, სადაც განთავსდება საბავშვო ატრაქციონები. დაგეგმილია ქალაქის გარე განათების სისტემების მოწყობა.

## 4. სკოლამდელი განთლების ხელშეწყობა

პრიორიტეტის ფარგლებში მომდევნო წლებშიც გაგრძელდება საბავშვო ბაღების სრულყოფილად ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება და მათი რეაბილიტაცია.

## 5. სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა

მუნიციპალიტეტის ერთ ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა რაგბის პოპულარიზაციასა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობას.

### პრიორიტეტებზე მიმართული სახსრები

*ათას ლარებში*

| დასახელება | 2011 წელი | 2012 წელი | 2013 წელი | 2014 წელი |
|---|---|---|---|---|
| მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია | 700.0 | 750.0 | 750.0 | 750.0 |
| კომუნალური მეურნეობის განვითარება | 800.0 | 855.0 | 855.0 | 1,160.0 |

| დასახელება | 2011 წელი | 2012 წელი | 2013 წელი | 2014 წელი |
|---|---|---|---|---|
| მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობა | 100.0 | 100.0 | 100.0 | 100.0 |
| სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა | 80.0 | 80.0 | 80.0 | 80.0 |
| სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა | 173.0 | 160.0 | 160.0 | 160.0 |
| **სულ ჯამი** | **1,853.0** | **1,945.0** | **1,945.0** | **2,250.0** |

## ასპინძის მუნიციპალიტეტი

### 1. მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია

დ. ასპინძის პრიორიტეტად რჩება შიდა გზებს სარეაბილიტაციო სამუშაოები, მუნიციპალიტეტის 2 სოფელში მოასფალტდება მისასვლელი გზები, მოასფალტდება სოფელ დამალაში, სოფლებში საროსა და ხიზაბავრაში მისასვლელი გზა. აგრეთვე ჩატარდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მთებში მისასვლელი გზების რეაბილიტაცია. აშენდება ახალი ხიდები, მოიხრეშება მუნიციპალიტეტის ტერიტორია.

### 2. კომუნალური მეურნეობის განვითარება

მომდევნო წლების განმავლობაში გაგრძელდება დ. ასპინძაში სასმელი წყლის მაგისტრალური მილსადენის მშენებლობა სოფელ ნიჯგორამდე 16კმ-ის მანძილზე. ასევე მოწესრიგდება დ. ასპინძაში დარჩენილი საკანალიზაციო სისტემები.

### 3. სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა

პრიორიტეტის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შენობების კაპიტალური შეკეთება და მათი ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება..

### 4. სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა

ასპინძის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა, რომლის ფარგლებშიც მომდევნო წლებში დაგეგმილია დ. ასპინძის კულტურის ცენტრის შენობის კაპიტალური რემონტი. ასევე ასპინძაში მდებარე ვ. მაღრაძის სახელობის სამუსიკო სკოლის შენობის კაპიტალური რემონტი.

## პრიორიტეტებზე მიმართული სახსრები

*ათას ლარებში*

| დასახელება | 2011 წელი | 2012 წელი | 2013 წელი | 2014 წელი |
|---|---|---|---|---|
| მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია | 500.0 | 500.0 | 500.0 | 500.0 |
| კომუნალური მეურნეობის განვითარება | 800.0 | 700.0 | 700.0 | 700.0 |
| სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა | 120.0 | 105.0 | 110.0 | 115.0 |
| სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა | 248.0 | 272.8 | 300.0 | 330.0 |
| **სულ ჯამი** | **1,668.0** | **1,577.8** | **1,610.0** | **1,645.0** |

## ახალციხის მუნიციპალიტეტი

### 1. მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია

მომდევნო წლებშიც პრიორიტეტად რჩება როგორც ქ. ახალციხის შიდა გზების, ასევე, სოფლებთან დამაკავშირებელი გზებისა და სამანქანო ხიდების მშენებლობა-რეაბილიტაცია.

### 2. კომუნალური მეურნეობის განვითარება

პრიორიტეტის ფარგლბში განხორციელდება: ქ. ახალციხეში სასმელი წყლის რეზერვუარების მშენებლობა, სოფ. სვირის სასმელი წყლის ახალი სისტემის მოწყობა, ქ. ვალის სასმელი წყლის შიდა ქსელის რეაბილიტაცია, საკანალიზაციო სისტემების რეაბილიტაცია, ცენტრალური საკანალიზაციო კოლექტორების რეაბილიტაცია, მრავალბინიანი სახლებისა და ადმინისტრაციული შენობების რეაბილიტაცია.

### 3. სკოლამდელი განთლების ხელშეწყობა

ახალციხის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტია სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების დახმარება და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შენობების აღდგენა-რეაბილიტაცია.

### 4. სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა

როგორც ბოლო წლების განმავლობაში, მომდევნო პერიოდშიც მუნიციპალიტეტის კიდევ ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა, რომლის ფარგლებშიც მომდევნო წლებში დაგეგმილია

სპორტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია. სხვადსხვა სპორტული შეჯიბრებებისა და კულტურული ღონისძიებების ორგანიზება. ნიჭიერი სპორტსმენების მხარდაჭერა სხვადასხვა ჩემპიონატებში.

### 5. საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამების ხელშეწყობის უზრუნველყოფა

მუნიციპალიტეტის კიდევ ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამების ხელშეწყობა, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში დაგეგმილია ახალციხის ჯანრთელობის დაცვის ცენტრის დაფინანსება, მოსახლეობის გეგმიური და გადაუდებელი საოპერაციო ხარჯების თანადაფინანსება, სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მშობიარობის გადასახადის თანადაფინანსება.

### პრიორიტეტებზე მიმართული სახსრები

*ათას ლარებში*

| დასახელება | 2011 წელი | 2012 წელი | 2013 წელი | 2014 წელი |
|---|---|---|---|---|
| მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია | 3,924.5 | 2,200.0 | 2,000.0 | 2,000.0 |
| კომუნალური მეურნეობის განვითარება | 2,974.0 | 1,650.0 | 1,650.0 | 1,650.0 |
| სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა | 228.1 | 220.0 | 220.0 | 228.0 |
| სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა | 100.0 | 120.0 | 120.0 | 150.0 |
| საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამების ხელშეწყობა | 100.0 | 100.0 | 100.0 | 100.0 |
| **სულ ჯამი** | **7,326.6** | **4,290.0** | **4,090.0** | **4,128.0** |

## ახალქალაქის მუნიციპალიტეტი

### 1. მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტად რჩება საავტომობილო გზების ინფრასტრუქტურის განვითარება და სოფლის გზების რეაბილიტაცია. დაგეგმილია სოფ. დილისკის გზის რებილიტაცია, რომლითაც სარგებლობს სამი სოფლის მოსახლეობა. მომდევნო წლებში დაგეგმილია ახალქალაქის მუნიციპალიტეტის ხიდების რეაბილიტაცია.

### 2. კომუნალური მეურნეობის განვითარება

განხორციელდება ახალქალაქში წყალსადენის და საკანალიზაციო კონტურების რეაბილიტაცია, შეიცვლება ძველი საკანალიზაციო ხაზები. დაგეგმილია

მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლებიის რეაბილიტაცია, ძველი სამხედრო ქალაქის საცხოვრებელი სახლების სახურავების შეკეთება. ასევე დაგეგმილია სოფლებისა და ქალაქების გარე განათების სისტემების გაუმჯობესება და მუნიციპალიტეტში წყალარხების გაყვანა.

### 3. მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობა

პრიორიტეტის ფარგლებში ახალქალაქის მუნიციპალიტეტში დაგეგმილია სკვერების, გამწვანებისა და გაზონების რეაბილიტაცია.

### 4. სკოლამდელი განთლების ხელშეწყობა

მომავალი თაობების აღზრდის მიზნით მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სკოლამდელ განათლებას, რომელიც მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს. მომდევნო წლებში გაგრძელდება საბავშვო ბაღების სრულყოფილად ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება და მათი რეაბილიტაცია.

### 5. სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა, რომლის ფარგლებშიც დაგეგმილია სპორტული და კულტურული ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია.

## პრიორიტეტებზე მიმართული სახსრები

*ათას ლარებში*

| დასახელება | 2011 წელი | 2012 წელი | 2013 წელი | 2014 წელი |
|---|---|---|---|---|
| მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია | 800.0 | 800.0 | 800.0 | 800.0 |
| კომუნალური მეურნეობის განვითარება | 1,000.0 | 1,000.0 | 1,000.0 | 1,000.0 |
| მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობა | 100.0 | 100.0 | 100.0 | 100.0 |
| სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა | 180.0 | 180.0 | 180.0 | 180.0 |
| სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა | 587.7 | 587.7 | 587.7 | 587.7 |
| **სულ ჯამი** | **2,667.7** | **2,667.7** | **2,667.7** | **2,667.7** |

## ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი

### 1. მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენს მუნიციპალური გზებისა და ხიდების მშენებლობა და რეაბილიტაცია. მუნიციპალიტეტის გზების მოასფალტება, მოხრეშვა და სარეაბილიტაციო სამუშაოები როგორც ქ. ნინოწმინდაში, ასევე სოფლებში.

## 2. კომუნალური მეურნეობის განვითარება

მუნიციპალიტეტის პრიორიტეტს აგრეთვე წარმოადგენს სასმელი წყლის სისტემისა საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტაცია, მრავალსართულიანი სახლების და ადმინისტრაციული შენობების რეაბილიტაცია.

## 3. მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობა

მუნიციპალიტეტში მოეწყობა დასასვენებელი პარკი, მოეწყობა აგრეთვე მცირე სკვერები, სადაც განთავსდება საბავშვო ატრაქციონები. 2011-2014 წლებში გარემონტდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოების ოფისი, მოეწყობა გარე განათების სისტემები.

## 4. სკოლამდელი განთლების ხელშეწყობა

მომდევნო წლებში გაგრძელდება საბავშვო ბაღების სრულყოფილად ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება და მათი რეაბილიტაცია.

## 5. სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა, რომლის ფარგლებშიც დაგეგმილია სპორტული და კულტურული ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია.

### პრიორიტეტებზე მიმართული სახსრები

*ათას ლარებში*

| დასახელება | 2011 წელი | 2012 წელი | 2013 წელი | 2014 წელი |
|---|---|---|---|---|
| მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია | 1,000.0 | 1,000.0 | 1,000.0 | 1,000.0 |
| კომუნალური მეურნეობის განვითარება | 820.0 | 900.0 | 900.0 | 900.0 |
| მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობა | 100.0 | 80.0 | 80.0 | 80.0 |
| სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა | 117.0 | 120.0 | 120.0 | 120.0 |
| სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა | 314.0 | 320.0 | 320.0 | 320.0 |

| დასახელება | 2011 წელი | 2012 წელი | 2013 წელი | 2014 წელი |
|---|---|---|---|---|
| სულ ჯამი | **2,351.0** | **2,420.0** | **2,420.0** | **2,420.0** |

## ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი

### 1. მუნიციპალიტეტის გზების რეაბილიტაცია

2011-2014 ლებში მუნიციპალიტეტის ერთ ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს გზების რეაბილიტაცია და მომდევნო 4 წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტში შემავალ სოფლების 75%-ი რეაბილიტირებული იქნება გზების ძირითადი მიმართულებები და შიდა საუბნო გზები.

აღნიშნული პროექტის განხორციელების შედეგად მოწესრიგდება შიდა სატრანსპორტო მიმოსვლა.

### 2. კომუნალური მეურნეობის განვითარება

მომდევნო წლებში განხორციელდება წყლის სისტემისა და სათავე ნაგებობების მშენებლობა-რეაბილიტაცია და საკანალიზაციო სისტემების რეაბილიტაცია.

აღნიშნული ღონისძიებების განხორციელებას შედეგად მუნიციპალიტეტში მკვეთრად გაუმჯობესდება მოსახლეობის საცხოვრებელი პირობები და სანიტარული პირობები.

### 3. სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს შეადგენს სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა, შესაბამისად მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშო ბაღების ფუნქციონირების საჭირო ხარჯების დაფინანსება.

თითქმის ყველა სოფელში იფუნქციონირებს საბავშვო ბაღები ბავშვთა მოვლისა და აღზრდისათვის საჭირო პირობებით.

### 4. სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა

მუნიციპალიტეტში წლების განმავლობაში მიმდინარეობდა სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა. მომდევნო წლებში გათვალისწინებულია სპორტული დარბაზის რეაბილიტაცია, სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებების და კულტურული ღონისძიებების ორგანიზება.

ზემოთ აღნიშნული ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ახალგაზრდობაში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას.

## პრიორიტეტებზე მიმართული სახსრები

*ათას ლარებში*

| დასახელება | 2011 წელი | 2012 წელი | 2013 წელი | 2014 წელი |
|---|---|---|---|---|
| მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია | 437.2 | 500.0 | 550.0 | 600.0 |
| კომუნალური მეურნეობის განვითარება | 279.1 | 600.0 | 680.0 | 700.0 |
| სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა | 529.8 | 649.0 | 670.0 | 692.0 |
| სპორტული და კულტურული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია | 80.0 | 450.0 | 500.0 | 300.0 |
| **სულ ჯამი** | **1,326.1** | **2,199.0** | **2,400.0** | **2,292.0** |

## ოზურგეთის მუნიციპალიტეტი

### 1. მუნიციპალიტეტის გზების რეაბილიტაცია

2011-2014 წლებში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია, რომელიც მოიცავს ქ. ოზურგეთის ქუჩების რეაბილიტაციას, სოფლებსა და დაბებში ხრეშოვანი გზების რეაბილიტაციას, ნატანები-შრომა-ურეკის გზის, დვაბზუ-ცხემლისხიდი-ვაკიჯვრის გზის და მაკვანეთი-გოგიეთის გზის რეაბილიტაციას.

### 2. კომუნალური მეურნეობის განვითარება

მუნიციპალიტეტის პრიორიტეტს წარმოადგენს კომუნალური მეურნეობის განვითარება, რომლის ფარგლებში 2011-2014 წლებში განხორციელდება წყლის სისტემისა და სათავე ნაგებობების მშენებლობა რეაბილიტაცია. საბინაო ამხანაგობების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში მოსახლეობის თანადაფინასების პრინციპით შეკეთდება მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების სახურავები.

### 3. მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობა

გზების მშენებლობა-რეაბილიტაციისა და კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარებასთან ერთად მნიშვნელოვანი როლი ენიჭება მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობას და მისი იერსახის გაუმჯობესებას, რაც ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის გაზრდას, რისი გათვალისწინებითაც მომდევნო წლებში გაგრძელდება მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებების განხორციელება, რომლის ფარგლებშიც დაგეგმილია გაზონებისა და ტროტუარების მოწესრიგება, დასასვენებელი სკვერების მოწყობა-რეაბილიტაცია, ყველა სოფელში მოეწყობა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილები, ეტაპობრივად ყველა სოფლის

ცენტრალურ გზაზე მოეწყობა გარე განათების სისტემები, განხორციელდება სასაფლაოების რეაბილიტაცია და მოვლა-პატრონობა.

## 4. სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებას განეკუთვნება. 2011-2014 წლებში გათვალისწინებულია ბაგა-ბაღების შენობების სარემონტო სამუშაოების ჩატარება.

## 5. სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა

მუნიციპალიტეტის მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს აგრეთვე სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა, რომლის ფარგლებშიც დაგეგმილია სპორტული მოედნების მშენებლობა-რეაბილიტაცია, ნიჭიერი სპორტსმენების მხარდაჭერა სხვადასხვა ტურნირებში.

### პრიორიტეტებზე მიმართული სახსრები

*ათას ლარებში*

| დასახელება | 2011 წელი | 2012 წელი | 2013 წელი | 2014 წელი |
|---|---|---|---|---|
| მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია | 1,064.0 | | | |
| კომუნალური მეურნეობის განვითარება | 3,571.3 | 1,664.7 | 1,665.0 | 1,650.0 |
| მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობა | 66.0 | | | |
| სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა | 1,035.0 | 1,000.0 | 900.0 | 950.0 |
| სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა | 1,893.4 | 1,797.4 | 1,600.0 | 1,650.0 |
| **სულ ჯამი** | **7,629.7** | **4,462.1** | **4,165.0** | **4,250.0** |

# ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი

## 1. მუნიციპალიტეტის გზების რეაბილიტაცია

მუნიციპალიტეტის მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია, რომელიც ასევე ითვალისწინებს გზების დახაზვას და საგზაო

ნიშნების დაყენებას. მომდევნო წლებში დაგეგმილია სოფლის საუბნო გზების მოხრეშვა და მოსწორება, ასევე, რეაბილიტირებული იქნება სოფლებამდე მისასვლელი გზები.

## 2. კომუნალური მეურნეობის განვითარება

მუნიციპალიტეტისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს კომუნალური მეურნეობის განვითარებას, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში დაგეგმილია მუნიციპალიტეტში სანიტარული პირობების გაუმჯობესება და საბინაო ამხანაგობების მხარდაჭერა.

## 3. სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა

თვითმმართველი ერთეულის ერთ-ერთ საკუთარ უფლებამოსილებას წარმოადგენს სკოლამდელი განათლების დაფინანსება. ამიტომ იგი მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება.

## 4. სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა

მუნიციპალიტეტის კიდევ ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა, რომლის ფარგლებშიც მომდევნო წლებში დაგეგმილია სპორტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, კლუბების აღდგენა, სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებების და კულტურული ღონისძიებების ორგანიზება, ნიჭიერი სპორტსმენების მხარდაჭერა სხვადასხვა ჩემპიონატებში. გარდა ამისა, მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელდება ადგილობრივი ანსამბლების, ბიბლიოთეკების, სამუსიკო და სპორტული სკოლების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება.

### პრიორიტეტებზე მიმართული სახსრები

*ათას ლარებში*

| დასახელება | 2011 წელი | 2012 წელი | 2013 წელი | 2014 წელი |
|---|---|---|---|---|
| მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია | 191.7 | 280.0 | 290.0 | 300.0 |
| კომუნალური მეურნეობის განვითარება | 185.5 | 400.0 | 420.0 | 450.0 |
| სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა | 561.3 | 560.0 | 620.0 | 650.0 |
| სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა | 603.5 | 800.0 | 850.0 | 900.0 |
| **სულ ჯამი** | **1,542.0** | **2,040.0** | **2,180.0** | **2,300.0** |

## ამბროლაურის მუნიციპალიტეტი

### 1. მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენს მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია, რომლის ფარგლებშიც მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში რეაბილიტაცია ჩაუტარდება მუნიციპალიტეტში შემავალი სოფლების გზების 95 პროცენტს, ძირითადი გზები მოიხრეშება, მოსწორდება სოფლის შიდა საუბნო გზები, სრულად იქნება რეაბილიტირებული ცენტრიდან სოფლებთან დამაკავშირებელი გზები, აგრეთვე ასფალტირებული იქნება ქ. ამბროლაურში გზების 90 პროცენტი.

### 2.კომუნალური მეურნეობის განვითარება

პრიორიტეტის ფარგლებში მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში მოეწყობა ხუთი ახალი წყლის სისტემის სათავე ნაგებობა, ხოლო დანარჩენ სოფლებში რომლებშიც ამ ეტაპზე ვერ ხერხდება წყლის მიწოდება, მოეწყობა წყალგაყვანილობის სისტემები, მოწესრიგდება საუბნო წყაროები, ქ. ამბროლაურში მოეწყობა საკანალიზაციო სისტემა, ოთხ დიდ სოფელში მოეწყობა სანიაღვრე არხები, საბინაო ამხანაგობების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში, მოსახლეობის თანადაფინანსების პრინციპით, შეკეთდება მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლები. აგრეთვე გაზიფიცირდება მთლიანად ქ. ამბროლაური და სოფლების 80 პროცენტი.

### 3.სკოლამდელი განათლების განვითარების ხელშეწყობა

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სკოლამდელ განათლებას, რაც მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებშიც მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, რეაბილიტაცია ჩაუტარდება შვიდ საბავშვო ბაღს.

### 4.სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს სპორტული და კულტურული ღინისძიებების ხელშეწყობა, რომლის ფარგლებშიც მომდევნო წლებში დაგეგმილია სპორტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, სოფლის კლუბების აღდგენა, ბიბლიოთეკების რეაბილიტაცია, სპორტული შეჯიბრებებისა და კულტურული ღონისძიებების ორგანიზება, მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელდება ადგილობრივი ანსაბლების, სამუსიკო-სახელოვნებო და სპორტული სკოლების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება.

## პრიორიტეტებზე მიმართული სახსრები

*ათას ლარებში*

| დასახელება | 2011 წელი | 2012 წელი | 2013 წელი | 2014 წელი |
|---|---|---|---|---|
| მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია | 65.2 | 79.0 | 0.0 | 58.0 |
| კომუნალური მეურნეობის განვითარება | 1,007.7 | 978.0 | 615.0 | 130.0 |
| სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა | 180.3 | 188.4 | 188.4 | 188.4 |
| სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა | 414.2 | 499.7 | 432.7 | 411.7 |
| **სულ ჯამი** | **1,667.4** | **1,745.1** | **1,236.1** | **788.1** |

## ლენტეხის მუნიციპალიტეტი

### 1. მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია

მომდევნო ოთხ წელიწადში რეაბილიტაცია ჩაუტარდება მუნიციპალიტეტის შიდა სასოფლო გზების 65 პროცენტს, აშენდება ოთხი ხიდი, ასევე სრულად რეაბილიტირებული იქნება ცენტრიდან სოფლებამდე დამაკავშირებელი გზები. დაწყებულია და მომავალ წელს დასრულდება მდინარე ცხენისწყალზე საყდრდენი კედლისა და მდინარე მურგოულზე კაპიტალური ხიდის მშენებლობა.

### 2. კომუნალური მეურნეობის განვითარება

მუნიციპალიტეტის პრიორიტეტად მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში კვლავ რჩება, კომუნალური მეურნეობის განვითარება. მომდევნო წლებში აშენდება ახალი წყალსადენის მაგისტრალი, აშენდება ნაგავსაყრელი და შესყიდული იქნება ნაგავზიდი მანქანები.

### 3. განათლების ხელშეწყობის ღონისძიებები

ლენტეხის მუნიციპალიტეტში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა სკოლამდელი განათლების ხელშეწყობას, რეაბილიტაცია გაუკეთდება ყვედრეშის, ხელედის, სასაშის, თეკალის, ჭველფის ბაღებს. ახალი ინვენტარით აღიჭურვება ლენტეხის სოფლების საბავშვო ბაღები.

### 4. სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა

როგორც ბოლო წლებში ასევე მომდევნო პერიოდშიც მუნიციპალიტეტის პრიორიტეტი იქნება, სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელის შეწყობა. დაგეგმილია ახალი სპორტული კომპლექსის თანამედროვე ინვენტარით აღჭურვა.

აშენდება ახალი საცურაო აუზი, კეთილმოეწყობა ცენტრალური ფეხბურთის მოედანი, სამ სოფელში აშენდება მარტივი ტიპის სპორტული მოედნები. ხელი შეეწყობა ადგილობრივი ანსამბლების, სამუსიკო და სასპორტო სკოლების ფუნქციონირებას, აღნიშნული სკოლები მომარაგდებიან სათანადო ინვენტარით. ხელი შეეწყობა ადგილობრივი ტრადიციების შენარჩუნებას და მის პოპულარიზაციას.

## პრიორიტეტებზე მიმართული სახსრები

*ათას ლარებში*

| დასახელება | 2011 წელი | 2012 წელი | 2013 წელი | 2014 წელი |
|---|---|---|---|---|
| მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია | 162.0 | 410.0 | 550.0 | 600.0 |
| კომუნალური მეურნეობის განვითარება | 79.0 | 240.0 | 205.0 | 205.0 |
| განათლების ხელშეწყობის ღონისძიებები | 83.1 | 165.0 | 155.0 | 75.0 |
| სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა | 541.2 | 869.0 | 696.0 | 706.0 |
| **სულ ჯამი** | **865.3** | **1,684.0** | **1,606.0** | **1,586.0** |

## ონის მუნიციპალიტეტი

### 1. მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია

2011-2014 წლებში გაგრძელდება მუნიციპალიტეტის გზების რეაბილიტაცია, მოასფალტება, სასოფლო გზების მოხრეშვა და მოსწორება.

### 2. მუნიციპალიტეტის კომუნალური მეურნეობის გნვითარება

მომდევნო წლებში დაგეგმილია ქ. ონის წყალსადენის სათავე ნაგებობის და სოფლის წყალსადენების მოწყობა, ქ. ონში სანიაღვრე სისტემის რეაბილიტაცია. საბინაო ამხანაგობების მხარდაჭერის პროგრამაში განხორციელდება მრავალბინიანი სახლების სახურავების, ფასადების და სადარბაზოების რეაბილიტაცია.

### 3. მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობა

გზების მშენებლობა რეაბილიტაციისა და კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარებასთან ერთად მნიშვნელოვანი როლი ენიჭება მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობას, მისი იერსახის გაუმჯობესებას, რომლის ფარგლებში დაგეგმილია ქ. ონში აღმაშენებლის მოედნის, ლებანიძის სახელობის სკვერის, გ. ჯაფარიძის

სახელობის სკვერის, კულტურისა და დასვენების პარკის რეაბილიტაცია, ასევე განხორციელდება ქალაქის გარე განათების რეაბილიტაცია.

### 4. სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა

მომავალი თაობის აღზრდის მიმართულებით დიდი როლი ენიჭება სკოლამდელ განათლებას, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში გაგრძელდება საბავშვო ბაღების დაფინანსება, მათი შენობის რეაბილიტაცია და ინვენტარით აღჭურვა.

### 5. სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა

სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობის მხრივ დაგეგმილია სპორტული და კულტურული ღონისძიებების ორგანიზება, სტადიონების მშენებლობა, კულტურისა და არქიტექტურული ობიექტების რეაბილიტაცია.

**პრიორიტეტებზე მიმართული სახსრები**

*ათას ლარებში*

| დასახელება | 2011 წელი | 2012 წელი | 2013 წელი | 2014 წელი |
|---|---|---|---|---|
| მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია | 142.0 | 198.2 | 150.0 | 500.0 |
| კომუნალური მეურნეობის განვითარება | 337.4 | 174.1 | 220.0 | 622.0 |
| მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობა | 117.2 | 174.1 | 200.0 | 0.0 |
| სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა | 69.0 | 58.0 | 59.0 | 60.0 |
| სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა | 270.0 | 251.5 | 490.0 | 270.0 |
| **სულ ჯამი** | **935.6** | **855.9** | **1,119.0** | **1,452.0** |

## ცაგერის მუნიციპალიტეტი

### 1. მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია

მომდევნო წელს დასრულდება ქ. ცაგერის შიდა საუბნო გზების მოასფალტება. მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტში შემავალ ყველა სოფელში რეაბილიტირებული იქნება ძირითადი გზები, მოიხრეშება და მოსწორდება სოფლების

შიდა საუბნო გზები. ძირითადი გზების 70 პროცენტზე მოეწყობა სანიაღვრე არხები. სრულად იქნება რეაბილიტირებული კურორტ ლაშიჭალამდე და მუნიციპალიტეტში არსებულ სხვა საკურორტო ადგილებამდე მისასვლელი გზები.

## 2. კომუნალური მეურნეობის განვითარება

ბოლო წლებში სხვადასხვა პროგრამებით მთელ რიგ სოფლებში განხორციელდა წყალგაყვანილობის სისტემების მოწყობა-რებილიტაცია. მიუხედავად განხორციელებული პროექტებისა სრულად არ არის მოწესრიგებული ქ. ცაგერისა და მუნიციპალიტეტის რამოდენიმე სოფლის წყალმომარაგება. მომდევნო წლებში დაგეგმილი განსახორციელებელი პროექტებით სრულად მოწესრიგდება ქ. ცაგერსა და სოფლების წყლით თვითდინებით მომარაგება. მუნიციციპალიტეტის სამ სოფელში განხორციელდება საკანალიზაციო სისტემის მოწყობა. 2011-2014 წლებში დაგეგმილია ქ. ცაგერში ტროტუარების მოწყობა. მოეწყობა ორი საბავშვო გასართობი პარკი, ეტაპობრივად ყველა სოფლის ცენტრალურ გზაზე მოეწყობა გარე განათების სისტემები, განხორციელდება სასაფლაოების მოვლა-პატრონობა.

## 3. სკოლამდელი განათლების განვითარების ხელშეწყობა

2011 წელს განხორციელდება ქ. ცაგერის ორი საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია. მომდევნო წლებში განხორციელდება სოფლის ბაღების რეაბილიტაცია, ყველა ბაღის ინვენტარით უზრუნველყოფა და მათი ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება.

## 4. სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა

2011 წელს დაგეგმილია ქ. ცაგერში სპორტული დარბაზის მშენებლობა, სტადიონისა და საცურაო აუზის რეაბილიტაცია, „მწვანე თეატრის“ და სამხატვრო გალერიის რეაბილიტაცია. მომდევნო წლებში დაგეგმილია სოფლის კლუბების აღდგენა, მინიმოედნების მოწყობა. განხორციელდება სპორტული და კულტურული ღონისძიებების ორგანიზება. ნიჭიერი სპორტსმენების მხარდაჭერა სხვადასხვა ჩემპიონატებში. მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელდება მუზეუმების, ბიბლიოთეკების, ადგილობრივი ანსამბლების, სამუსიკო, სამხატვრო და სპორტული სკოლების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება.

### პრიორიტეტებზე მიმართული სახსრები

*ათას ლარებში*

| დასახელება | 2011 წელი | 2012 წელი | 2013 წელი | 2014 წელი |
|---|---|---|---|---|
| მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია | 163.4 | 50.0 | 50.0 | 50.0 |
| კომუნალური მეურნეობის განვითარება | 225.0 | 295.0 | 300.0 | 310.0 |

| დასახელება | 2011 წელი | 2012 წელი | 2013 წელი | 2014 წელი |
|---|---|---|---|---|
| სკოლამდელი განათლების განვითარების ხელშეწყობა | 255.0 | 402.8 | 402.8 | 402.8 |
| სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა | 559.0 | 533.2 | 552.9 | 655.6 |
| **სულ ჯამი** | **1,202.4** | **1,281.0** | **1,305.7** | **1,418.4** |